

სონ უმის სახელწოდო უნივერსიტეტი

გულნაზ ხუხუა

# პედაგოგიკა



თბილისი 2009

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია პედაგოგიკის კურსის პროგრამის მიხედვით. მასში განხილულია სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხები, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებასთან დაკავშირებული პედაგოგიური პროცესები, სისტემები და კომპონენტები, მასწავლებლის პროფესიული მომზადების, სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ასპექტები. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური პროფილის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების, პედაგოგებისა და მშობელთათვის.

რედაქტორი: ირაკლი დანელია  
შტუდგარტის უნივერსიტეტის  
პრივატ – დოცენტი

რეცენზენტები: ამირან ლომაძე  
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ლუარა სორდია  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

რობერტ შმიდტი  
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ–ფული  
სოციოლოგიისა და კულტურის დარგში  
განათლების რეფერენტი

მედეა სალია  
დოქტორანტი პრაქტიკოს-მასწავლებელი

**ISBN 978-9941-0-1439-0**

© გულნაზ ხუხუა 2009 წელი

## პრეამბულა

ყოველის შემოქმედმა ღმერთმა თავის უნიკალურ ქმნილებას – ადამიანს უნიკალური მისია დააკისრა: გამრავლება, აღზრდა, შრომა, დედამიწის სამოთხედ გადაქცევა, ღვთის კანონების დაცვა, გარემომცველ სამყაროსთან მშვიდობიანი თანაარსებობა, სიბრძნისა და გონიერების მოხვეჭა, მთელი მიწიერი და სულიერი სიკეთით სარგებლობა; აჩვენა ცხოვრების აზრი და ადამიანის დანიშნულება. “აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა მათ ღმერთმა: “ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას და თქვენ გემორჩილებოდნენ ზღვის თევზები, ცის ფრინველები და ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე” (დაბადება 1:28). შემცოდველთა წარღვნიტ დასჯის შემდეგ მისცა წერილობითი ინსტრუქცია – 10 მცნება და სიბრძნის წიგნი ბიბლია, რომ ბედნიერად და მარადიულად ეცხოვრათ ადამიანებს მშვიდობიან, მდიდარ და ულამაზეს გარემოში.

ადამიანი ისევ განუდგა თავის შემოქმედს და სატანის მხარე დაიჭირა. ღმერთმა კვლავ გრანდიოზული ღონისძიება გაატარა თავის შეცდენილი ძეთა ჭეშმარიტებისაკენ მოსაქცევად. ა.წ.ად. I საუკუნეში საკუთარი ძე იესო ქრისტე შემოსწირა კაცობრიობას ცოდვებისგან გამოსასყიდად და აღდგომის შემდეგ სათავეში დაუყენა მწყემსად და მასწავლებლად. არც ქრისტეს მიერ გაღებული სისხლი დააფასა კაცობრიობამ გარდა მისი მცირედი ნაწილისა. დაუმორჩილებლობას შედეგად მოყვა ყველა ის უბედურებები, რაც დღეს ჭირს კაცობრიობას: ათასობით ცრურელიგიები, უზნეო პოლიტიკა, ბინძური კომერცია, კორუფცია, მატერიალიზმი, ეგოცენტრიზმი, ტერორიზმი, ომები, ეკოლოგიური და ეკონომიური კრიზისი, ზნეობრივი და სულიერი დეგრადაცია და მთელი მსოფლიო აღმოჩნდა განადგურების საფრთხის წინაშე.

გამოსავალი ერთადერთია. ცოდვების გულწრფელად მონანიება და ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთთან დაბრუნება ქრისტეს მეშვეობით. სულიერობის ამაღლება თეოკრატიული განათლებით, ბიბლიური შემეცნებით, გონების განახლებით და ახალკაცად შემოსვით: “. . . რათა მოიშორეთ ძველი პიროვნება,

რომელიც . . . ირყენება მაცდუნებელი სურვილებით, განიახლოთ გონების აღმძვრელი ძალა და შეიმოსოთ ახალი პიროვნება, რომელიც შექმნილია ღვთის ნების თანახმად ჭეშმარიტი სიმართლითა და ერთგულებით” (ეფესოელები 4:22-24).

თეოკრატიული განათლება არაფრით არ ზღუდავს საერო განათლებას. პირიქით, სულიერი ადამიანის ხელში საერო განათლება იქცევა ნამდვილ განძად, სამართლიანობისა და მშვიდობის, სიყვარულისა და კეთილდღეობის წყაროდ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტრადიციულისგან განსხვავებით, წინამდებარე პედაგოგიკის სახელმძღვანელო აგებულია თეოკრატიული და კლასიკური პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ საფუძველზე ისტორიული მემკვიდრეობითობის, თეოკრატიული და საერო განათლების ჰარმონიულ თანხმობაში მოყვანის პრინციპით; ერთიანი პედაგოგიური პროცესის ერთიანი სისტემის ხელოვნურად: სწავლების თეორიად ანუ დიდაქტიკად და აღზრდის თეორიად ანუ პედაგოგიკად, სწავლების პრინციპებად და მეთოდებად და აღზრდის პრინციპებად და მეთოდებად გათიშულობის გამო გაორებული პედაგოგიკა აღდგენილია თავის ბუნებრივ მდგომარეობაში; პედაგოგიკის კურსის ყველა საკითხი გაშუქებულია ახლებურად, თეოკრატიულ ჭრილში; შესულია ახალი თემა: სულიერობის აღზრდა; ცალკეულ თავებად არის გამოყოფილი და შევსებული სალექციო თემები: გონებრივი აღზრდა, პედაგოგიური პროცესი და სისტემები, ეკოლოგიური აღზრდა, ძნელად აღსაზრდელები და პედაგოგიური ხელოვნება.

პიროვნების ფორმირების პედაგოგიური სისტემები და კოპონენტები წარმოდგენილია ერთმთლიან პედაგოგიურ მექანიზმად, რომ პრაქტიკოს მასწავლებელს გაუადვილდეს მთელსა და ნაწილებს, ზოგადსა და კერძოს შორის ორგანული კავშირების დანახვა, პედაგოგიკის პრაქტიკაში გამოყენება დაბნეულობისა და გაურკვეველობის გარეშე.

ჩვენი მცდელობა, პედაგოგიკის მეცნიერებას აღედგინა თავისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ცხადია, უნაკლო არ იქნება. თუ ვინმე შეეცდება მის გაუმჯობესებას, დიდად მოხარული ვიქნებით.

# თემა I. პედაგოგიკა როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება

საკითხები:

1. პედაგოგიკის განსაზღვრება, მისი წარმოშობა და განვითარება;
2. პედაგოგიკის მიზანი და ამოცანები;
3. პედაგოგიკური ტერმინოლოგია;
4. პედაგოგიკის სტრუქტურული აგებულება;
5. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემა;
6. პედაგოგიკის მოსაზღვრე მეცნიერებანი.

პედაგოგიკა უძველესი და მარად მწვანე საზოგადოებრივი მეცნიერებაა სწავლა-განათლებისა და აღზრდის შესახებ. იგი იკვლევს პედაგოგიურ მიზნებსა და ამოცანებს, შინაარსს, კანონებსა და კანონზომიერებებს, პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს; არკვევს კავშირებს პედაგოგიურ სისტემებსა და მოსაზღვრე მეცნიერებებს შორის. ტერმინი პედაგოგიკა ბერძნული წარმომავლობისაა და შედგება ორი სიტყვისაგან: “პაიდოს” – ბავშვი და “აგოგოს” – ტარება. ე. ი. ბავშვის წინამძღოლობა, მეგზურობა, მართვა, ზედამხედველობა. დროთა განმავლობაში, გარკვეული პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების დაგროვების, შემოქმედებითად ათვისებისა და სისტემაში მოყვანის საფუძველზე აღზრდის მეცნიერებას უწოდეს პ ე დ ა გ ო გ ი კ ა, ხოლო ამ მეცნიერების ამთვისებელსა და პრაქტიკოს რეალიზატორს – პ ე დ ა გ ო გ ი.

პედაგოგიკამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განვლო. მისი ელემენტები ჩაისახა მაშინ, როცა პირველი ბავშვი დაიბადა დედამიწაზე. ვინ იყო ის პირველი ბავშვი, რომელმაც წარმოშვა პედაგოგიკური მეცნიერების საჭიროება? რასაკვირველია, ეს იყო კაენი, კაცობრიობის პირველი წინაპარი

წყვილის, ღვთის ქმნილებების – ადამისა და ევას პირმშო. მათ, ცხადია, არავითარი პედაგოგიური ცოდნა–გამოცდილება არ გააჩნდათ აღზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ ყოვლისშემოქმედის მიერ მათ ბუნებაში ჩადებული შემეცნების უნარის წყალობით თანდათანობით შეიძინეს აღზრდისათვის საჭირო პედაგოგიური ცოდნა–გამოცდილება, როგორც საწყისი საფუძველი, სათავე პედაგოგიკური მეცნიერებისა.

ანტიკური ხანის ბერძენმა ფილოსოფოსებმა (დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) შეიცნეს რა, ადამიანის უსაზღვრო პოტენციური შესაძლებლობა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისა, ზუსტად განსაზღვრეს აღზრდის ფაქტორის პედაგოგიური და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა ფილოსოფიის წიაღში და შექმნეს პედაგოგიური ცოდნის მდიდარი ბაზა. შემდეგში ათენურ-სპარტანული და რომაული პედაგოგიური შეხედულებების შემოქმედებითად ათვისებისა და განზოგადოების საფუძველზე I საუკუნის რომაელმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ სისტემაში მოიყვანა და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოაყალიბა პედაგოგიკა, რასაც ადასტურებს მისი სუფთა პედაგოგიური თხზულების 12 წიგნი “ორატორის დარიგებანი”.

პირველ საუკუნიდან წარმართულ და ქრისტიანულ რელიგიათა დაპირისპირებამ შექმნა გარკვეული პრობლემები და ადრეულ და შუა საუკუნეებში ერთგვარი დაცემა განიცადა პედაგოგიკამ მეთოდოლოგიური საფუძვლის უქონლობის გამო. აღორძინების ხანაში გაზაფხული დაუდაგა ყველა მეცნიერებას და მათ შორის პედაგოგიკასაც. არენაზე გამოჩნდნენ პედაგოგიკის კლასიკოსები: იან ამოს კომენსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ადოლფ დისტერვეგი, პესტალოცი, ჰელვეციუსი, კონსტანტინე უშინსკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი, რომლებმაც აღადგინეს კვინტილიანეს პედაგოგიკა და განავითარეს დროის მოთხოვნის შესაბამისად; შეინარჩუნეს მთავარი ღერძი, მისი გვარი, უმდიდრესი ზოგადკაცობრიული პედაგოგიური თეორია და სასკოლო პრაქტიკა, როგორც საზოგადოების პროგრესული გარდაქმნის ერთერთი მძლავრი საშუალება. პირველი ღვთივშთაგონებული წიგნი ბიბლია გვასწავლის, რომ ყველაფერი

შეიქმნა თავის გვარისდამიხედვით განსაზღვრული ფუნქციითა და დანიშნულებით. “და შექმნა ღმერთმა ცხოველნი მათი გვარისამებრ, და პირუტყვი – მისი გვარისამებრ, და ყოველი ქვეწარმავალი მიწისა – მისი გვარისამებრ” (დაბადება 1: 25). გვარის შეცვლა იწვევს უგვანობას, გადაგვარებას და შესაძლებელია – გადაშენებასაც! ეს ეხება ყოველივეს, და, ცხადია, მეცნიერებასაც, რომ მან დეგრადაცია არ განიცადოს.

პედაგოგიკას გააჩნია თავისი კვლევის ობიექტი (აღსაზრდელი), საგანი (აღზრდა), მიზანი (აღსაზრდელის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირება), ამოცანები (გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, შრომითი, ეკოლოგიური, ესთეტიკური, ფიზიკური სრულყოფა); საკუთარი ტერმინოლოგია, კვლევის მეთოდები, სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, კანონები და კანონზომიერებანი, პედაგოგიური პრინციპები, პედაგოგიური პროცესების ფორმები და საშუალებები და ა. შ., რაც ურყევ დაგიღს უნარჩუნებს მას სხვა მეცნიერებათა შორის. უფრო მეტიც, პედაგოგია, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საყოველთაო და პერმანენტული მეცნიერებაა, რადგან ყოველი ადამიანი პოტენციური მშობელია და პირველი აღმზრდელი; ხოლო მის პერმანენტულობას გამრავლების უწყვეტობა განაპირობებს.

როგორც ყველა მეცნიერებას, პედაგოგიკასაც გააჩნია თავისი ტერმინოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მის არსს, საზღვრებსა და ფუნქციებს, რაც ადვილად გასაგებ და დასამახსოვრებელს ხდის მის შინაარსს, რამეთუ, სიტყვის საშუალებით შედის აზრი ცნობიერებაში და სიტყვა თავის მხრივ ახდენს აზრის პროვოცირებას. ამიტომ ფიგურალურად სიტყვას აზრის სხეულს უწოდებენ (გ. რობაქიძე). პედაგოგიური ტერმინებია: აღზრდა, სწავლება, სწავლა, განათლება, ცოდნა, აღსაზრდელი, აღმზრდელი, მასწავლებელი, პედაგოგი, მოსწავლე, სტუდენტი, ლექტორი, გაკვეთილი, ლექცია, სასწავლო პროცესი, პედაგოგიური სიტუაცია, სემინარი, გამოცდა, პედაგოგიური პრაქტიკა, საბავშვო ბაღი, სკოლა, კოლეჯი, ლიცეუმი, გიმნაზია, ტექნიკუმი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, დოცენტი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი და ა. შ.

ტერმინი აღზრდა, როგორც მ. ი. დემკოვი მიუთითებს, წარმოიშვა ლათინური ზმნის – “ე დ უ კ ა რ ე” – გან, რაც

ნიშნავს ბავშვის განვითარების იმ პოტენციურ შესაძლებლობის გამოვლინებას, მითითებას, რომელიც უნდა იქცეს ფაქტად, რეალურ სინამდვილედ გარეგანი ზემოქმედების შედეგად.

რუსული სიტყვა “ვ ო ს პ ი ტ ა ნ ი ე” შედგება ორი ნაწილისაგან: სიტყვა “პიტანიე” (კვება), ხოლო თავსართი “ვოს” (მაღლა, ზემოთ) მიუთითებს აღმავალ მიზანზე.

ქართული სიტყვაც “აღზრდა” ორ ნაწილად იყოფა. “ზრდა” ფიზიკურ – ბიოლოგიური პროცესია სიმწიფისკენ მიმართული, ხოლო “აღ” თავსართი ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და ზნეობრივ აღმასვლაზე, თვისობრივ ცვლილებაზე მიუთითებს.

სამყაროში არსებული ცოცხალი ქმნილებანი თავის ფორმას თავის გვარის და მიხედვით იღებს განვითარების პროცესში. მაგალითად, უზარმაზარი ხე თანდათანობით ვითარდება პაწაწინა თესლისაგან; ასევე პატარა კვერცხუჯრედებისაგან იზრდებიან გოლიათი ცხოველები, სამყაროს უნიკალური ქმნილება – ა დ ა მ ი ა ნ ი. ეს პროცესი მიმდინარეობს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების თანხვედრით.

აღამიანი შედგება სხეულისა და სულისაგან. სულიერება, ცხადია, მთავარი და უმნიშვნელოვანესი მდგომარეობაა აღამიანში პიროვნების არსებისა. ამიტომ აღზრდის ცნება მიუთითებს როგორც სხეულის ფიზიკურ ასევე სულიერ განვითარებაზე, როგორც უმაღლეს მიზანზე.

აღზრდის ცნებას ორნაირი გაგებით განიხილავენ: ფილოსოფიურ და პედაგოგიურ ასპექტში. აღზრდა ფართო ანუ ფილოსოფიური გაგებით ნიშნავს ცხოვრების ყველა სფეროში კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესს. ამ ისტორიული მემკვიდრეობითობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარება, რადგან ყოველ თაობას თავად მოუწევდა წინა თაობების მიერ აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენა, რაც არამც თუ პრაქტიკულად, თეორიულადაც კი წარმოუდგენელია.

აღზრდა, ვიწრო პედაგოგიური გაგებით, ნიშნავს მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ პედაგოგიურ ზემოქმედებას აღსაზრდელზე მისი ყოველმხრივ, ჰარმონიულად: გონებრივად,



სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად ფიზიკურად განვითარებული, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებას.

აღზრდა წარმოადგენს საზოგადოებრივ, ისტორიულ და მარადიულ კატეგორიას რამდენადაც ის ყოველთვის გულისხმობს აღსაზრდელს, საზოგადოების მომავალ წევრს; რამდენადაც აღზრდა განპირობებულია საზოგადოებრივი მოთხოვნებით, მისი მიზანი და შინაარსი იცვლება მოცემული საზოგადოების ცვლილებების შესაბამისად; შობადობის უწყვეტობა განაპირობებს აღზრდის მარადიულობას.

აღზრდის პიროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ ყველა აღიარებული ადამიანი წერდა. თავორს სწამდა, “რომ კაცობრიობის ყველა პრობლემამ აღზრდაში უნდა ჰპოვოს გადაწყვეტა”. “ყველაფერი ის – წერს ჟან ჟაკ რუსო – რაც არ გაგვაჩნია დაბადებისას და უიმისოდ არ ვარგივართ დიდობაში, მოგვცა აღზრდამ.” “აღზრდა – ამბობს რ. ოუენი – ქვეყნად არსებული ყოველი სიკეთისა და ბოროტების, უბედურებისა და ბედნიერების პირველი წყაროა.”

სწავლების ცნებაში მოიაზრება ორმხრივი პედაგოგიური პროცესი, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებელი და მოსწავლეები. პირველი გადასცემს დროისა და სივრცის განსაზღვრულ დიმენსიონებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს და მეორე მხარე ითვისებს მას. სწავლება ემყარება შემეცნების ცნობილ თეორიას – სენსუალიზმს, რაც გულისხმობს სამყაროს შემეცნებას შეგრძნებებით, გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. სენსუალიზმის თეორია მოცემულია ფორმულაში კომპენდიუმის სახით: “ცოცხალი კონკრეტული განსჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და მისგან პრაქტიკისაკენ”. ასე იკვრება წრე აზრობრივი მოძრაობისა. ამ თეორიის მიხედვით, სწავლება მოიცავს სამ ეტაპს: შეგრძნება-აქტმა, წარმოსხვა-გააზრება და დამახსოვრება-გამოყენება. აქედან შემეცნების პირველი ეტაპი შეგრძნება, რომელიც ხორციელდება გრძნობათა ანალიზატორებით, კონკრეტულ აზროვნებას ემყარება. გარეშე გამდიზიანელებთან უშუალო კონტაქტს. როგორც იან ამოს კომენსკიმ თქვა, არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ

გექონია. ამიტომ რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია შეგრძნებებით მიღებული შთაბეჭდილებები, მით უფრო მდიდარია წარმოსახვა და აზროვნება განვითარების ობიექტური კანონის – რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის – თანახმად. აზროვნება მუდამ ინფორმაციის ადეკვატურია.

სწავლებას ოთხი მთავარი ფუნქცია აკისრია, რომელიც საერთოა ნებისმიერი სასწავლო საგნის გაკვეთილისთვის. ესენია: საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი.

სწავლების საგანმანათლებლო ფუნქცია გულისხმობს ინფორმაციების მიღებას სამყაროს შესახებ. იმ განათლების შინაარსის ათვისებას, რომელიც ასახულია სასწავლო გეგმებში, პროგრამებში, ძირითად და დახმარე სახელმძღვანელოებსა და სხვა ცოდნის წყაროებში. განათლების შინაარსი გულისხმობს ცნებებს, ცნობებს, ფაქტებს, საგნებს, მოვლენებს, წესებს, კანონებს, პრინციპებს, მეთოდებს, განსაზღვრებებს, დებულებებს, თეორიებს, ფორმულებს, სახელებს, სახელწოდებებს, თარიღებს და ა. შ.

სასწავლების განმავითარებელი ფუნქცია ისეთ ფსიქოლოგიურ პროცესებს უკავშირდება, როგორიცაა შეგრძნებები, წარმოსახვები, აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, ნებისყოფა, ნიჭიერება, მეხსიერება და სხვა. ყოველივე ეს ემსახურება ისეთი სააზროვნო ოპერაციების განვითარებას, როგორიცაა: შედარება, კლასიფიკაცია, ანალიზი, სინთეზი, განზოგადოება, სისტემატიზაცია, შეფასება, დასკვნა და სხვ. ასევე სწავლის, წერის, კითხვის, ანგარიშის ინტელექტუალური უნარების ფორმირებას.

სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია მოიცავს გონებრივ (იდებებს, მრწამსს, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოზიციის), ზნეობრივ (ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, პატიოსნება, სამართლიანობა, შრომისმოყვარობა, ყოველგვარი სიკეთე), სულიერ (ღვთის რწმენა, ბიბლიური კანონებისა და პრინციპების ცოდნა და ცხოვრებაში გამოყენება და ა. შ.), ეკოლოგიური ( ბუნებრივი გარემოსა და მისი საინციფოცხლო მნიშვნელობის შესახებ ცოდნა, ბუნების სიყვარული, მისი დაცვა

და მოვლა), შრომითი (შრომისმოყვარეობა, შრომითი უნარ-ჩვევები, მშრომელის დაფასება, შრომის პროდუქტებისადმი გაფრთხილება), ესთეტიკური (სილამაზე, მშვენიერება, ამაღლებული, კომიკური, ტრაგიკული კატეგორიების ცოდნა და სილამაზის კანონებით ცხოვრება), ფიზიკური (ჯანმრთელობის, თავდაცვისა და შრომისუნარიანობა) აღზრდას.

სწავლების შრომითი ფუნქციის სწორად განხორციელება გარკვეულწილად განაპირობებს სწავლების ზემოთხსენებული ფუნქციების რენტაბელურობასაც, რამეთუ, როგორც დემოკრიტემ თქვა: “სწავლება ახდენს სასწაულებს მხოლოდ შრომის საფუძველზე”. რადგან სწავლების შრომით ფუნქციაში შედის შრომისმოყვარეობის, ფიზიკური და გონებრივი შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება მოსწავლეებში. აქ ხდება მოსწავლის დარწმუნება იმაში, რომ ყოველივე ის მატერიალური და სულიერი საგანძური, რაც აუცილებელია პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისა და შეგნებული ცხოვრებისათვის, იქმნება მხოლოდ შრომის საფუძველზე. ამიტომ შრომისა და მშრომელისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავებას აღსაზრდელებში უდიდესი ზნეობრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სულიერი, ეკონომიური, ეკოლოგიური, სოციალური და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

სწავლა, როგორც პედაგოგიკური ცნება, მონოქცევიაა, როცა სუბიექტი თავად იღებს საჭირო ინფორმაციებს დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად უკვე ათვისებული ცოდნისა და ინტელექტუალური უნარ-ჩვევების ბაზაზე.

განათლების ცნება მიაჩნის მხრებს გონებრივ სინათლეზე, აზროვნების ასამოქმედებელ ცოდნა-გამოცდილების გარკვეულ მარაგზე. განათლება სწავლების შედეგია. ის შინაარსის, დონისა და მიმართულების მიხედვით სამი სახისაა: ზოგადი ანუ საშუალო განათლება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იძლევა 10-11 წლის განმავლობაში. (XII კლასი სისულელეა ადამიანის სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის ხანგრძლივობას რომ წარმოვიდგინოთ), ასევე, თითქმის იგივე ფუნქციას ასრულებს გიმნაზია, კოლეჯი, ლიცეუმი. ამ პერიოდში მოსწავლეები ეცნობიან საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ,

ასევე ხელოვნების დარგთა ზოგად საფუძვლებს, იგებენ სამყაროს შექმნისა და მისი განვითარების უზოგადეს ობიექტურ კანონებს, არსებობისა და მოძრაობის პრინციპებსა და წესებს და ა. შ. ზოგადი განათლება წარმოადგენს საბაზო საფუძველს განათლების შემდგომი საფეხურებისათვის.

განათლების სისტემის მეორე რგოლია საშუალო სპეციალური განათლება, რომელსაც ტექნიკუმი იძლევა. იგი უამრავ დარგებს ანუ მიმართულებებს შეიცავს.

განათლების მესამე რგოლია უმაღლესი სასწავლებლები: ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მწარმოებლური თუ არამწარმოებლურ სფეროებში. უმაღლესი განათლება იმდენ დარგებს მოიცავს, რამდენიც კვლევის ობიექტია დედამიწაზე.

ცოდნის ცნებაში იგულისხმება პრაქტიკული მოქმედების თეორიული საფუძვლები, ცოდნა-გამოცდილებისა და პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევების ერთიანობა. ის წარმოადგენს სუბიექტის ინტელექტუალურ საკუთრებას და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია გამოიყენოს. ამავე დროს ის წარმოადგენს ბაზას ახალი ცოდნა-გამოცდილების მისაღებად, მარად ცვალებად დროსა და სივრცეში. განათლება უფრო თეორიულ ასპექტში წარმოგვიდგება, ცოდნაში თეორიისა და პრაქტიკის სრულ ინტეგრაციასთან გვაქვს საქმე. “ცოდნა კაცს წონას აძლევს, ხოლო აღზრდა ბრწყინვალეობას სძენს” – უთქვამს ჩესტერფილდს.

განხილული ტერმინები ძირითადი პედაგოგიკური კატეგორიებია, რომელიც გასაღების ანუ კლიტის როლს ასრულებენ ამ მეცნიერებაში.

პედაგოგიკის სტრუქტურა. როცა პედაგოგიკის სტრუქტურას ვეხებით, ჩვენ ვირჩევთ მის კლასიკურ გაგებას, რადგან მოქმედ პედაგოგიკაში მიღებული სტრუქტურული განლაგება ეწინააღმდეგება მის ბუნებას და უკარგავს გავლენის ძალას. მაგალითად “აღზრდა” და “სწავლება” ცალ-ცალკე “აღზრდის თეორიად” და “სწავლების თეორიად” ანუ დიდაქტიკად, სწავლების პრინციპებად და აღზრდის პრინციპებად, სწავლების მეთოდებად

და აღზრდის მეთოდებად არის დანაწევრებული, თითქოს პედაგოგიკა სხვა მეცნიერება იყოს და დიდაქტიკა – სხვა. პედაგოგიკა და დიდაქტიკა მხოლოდ სინონიმური ცნებებია და მეტი არაფერი. ეს ნათლად ჩანს იან ამოს კომენსკის “დიდ დიდაქტიკაში.” სწავლებისა და აღზრდის როგორც ერთიანი პროცესის ხელოვნურად გახლეჩვას მოჰყვა პედაგოგიკური მეცნიერების გაორება, რამაც ძალა დაუკარგა და რაღაც გაუგებრობად აქცია.

პედაგოგიკისადმი ამგვარმა არასწორმა მიდგომამ დიდი სირთულე და გაუგებრობა შექმნა მის თეორიასა და პრაქტიკაში. განსაკუთრებით ზიანი მიაყენა სკოლას. საგნის მასწავლებელი მხოლოდ პროგრამული ინფორმაციების გადაცემით, საგანმანათლებლო ფუნქციით ივარგლება, რადგან თვლის, რომ აღზრდაზე სხვა, “აღზრდის” ორგანიზატორი, კლასის დამრიგებელია პასუხისმგებელი. ამასობაში ყველაზე მეტი ზიანი ადგება აღსაზრდელს, ვისთვისაც იმართება პედაგოგიური პროცესი და აქ, ცხადია, აღზრდის მიზნის მიღწევა ფაქტიურად შეფერხებულია სწავლებისა და აღზრდის შინაგანი ორგანული კავშირების კანონზომიერების დარღვევის გამო.

პედაგოგიკის კლასიკოსს იან ამოს კომენსკის თავის უკვდავ “დიდ დიდაქტიკაში” სწავლება და აღზრდა განხილული აქვს როგორც ერთი ორგანო, რომელიც ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებს, უფრო ზუსტად, სწავლება წარმოდგენილია როგორც აღზრდის საშუალება.

კლასიკური და საუკეთესო თანამედროვე გაგებით, პედაგოგიკის თეორია არის აღზრდის თეორია, რომელიც თავის არსებაში გულისხმობს სწავლებას, რამეთუ აღზრდა სათანადო ინფორმაციების მიღების გარეშე, უბრალოდ არ არსებობს. მაგალითად, ჰუმანიზმის აღზრდა არ შედგება მანამ, სანამ აღსაზრდელს არ ვასწავლით ადამიანისა და მოყვასის ცნებას, როგორც ღვთის უნიკალურ ქმნილებას, სიყვარულით სიყვარულისთვის შექმნილ გონიერ არსებას, ცხოვრების აზრს და ადამიანის დანიშნულებას. რომ ჰუმანიზმი ვლინდება ადამიანებთან, ბუნებასთან და მთელ სამყაროსთან ურთიერთობაში, მათ შემეცნებასა და გონივრულ გამოყენებაში.

აღზრდისათვის საჭიროა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საფუძველი, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ყოველივე ამას სჭირდება მეცნიერულ საფუძველზე ორგანიზება, მართვა და ხელმძღვანელობა. როცა ასე, ხელოვნურად შექმნილი შიგა სტრუქტურებისა და განყოფილებების გარეშე, ერთმთლიან ორგანიზმად, ერთ თეორიად იქნება წარმოდგენილი, მაშინ არის პედაგოგიკის თეორია მასწავლებლისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

პედაგოგიკის შესავალი შეიცავს საწყის ინფორმაციებს, რომელიც ჰქმნის პედაგოგიკის მთლიან ხედს, ზოგად წარმოდგენას პედაგოგიკის საგნის, მიზნის, ამოცანების, მისი ობიექტის – აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირების, მასწავლებლის, პედაგოგიური სისტემების, სახალხო განათლების სისტემისა და მართვის შესახებ.

აღზრდის თეორია არკვევს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სისტემებს, საგაკვეთილო და კლასგარეშე პროცესებს, აღზრდის მიზანს, (მასში ავტომატურად იგულისხმება სწავლება), შინაარსს, კანონებს, პრინციპებს, მეთოდებს, ორგანიზაციულ ფორმებს, ცოდნის შემოწმება-შეფასების სახეებსა და კრიტერიუმებს და ა. შ.

სკოლათმცოდნეობის თემა, როგორც მთელის ნაწილი, ლოგიკურად უკავშირდება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს და არკვევს სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპებს, მის მიზანმიმართულ, გეგმაზომიერი მოწყობის, მოსწავლეთა კონტიგენტისა და პედაგოგიური კადრების დაკომპლექტების, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმების შემუშავებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, პედაგოგიური საბჭოს მუშაობის, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პოტენციალის ამოქმედებისა და კოორდინირების საკითხებს.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემა ანუ დარგები: თავისი კვლევის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, პედაგოგიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მეცნიერებაა. იგი შედგება ურთიერთ ორგანულ კავშირში მყოფი შემდეგი დარგებისაგან:

1. ზოგადი პედაგოგიკა;

2. ასაკობრივი პედაგოგიკა: სკოლამდელი, დაწყებითი განათლების, საშუალო სკოლის, უმაღლესი განათლების პედაგოგიკა;
3. სოციალური პედაგოგიკა;
4. სამხედრო პედაგოგიკა;
5. დეფექტოლოგია: სურდო ანუ ყრუმუნჯთა პედაგოგიკა, ტიფლო ანუ უსინათლოთა პედაგოგიკა, ოლიგოფრენო ანუ გონებრივად შეზღუდულთა პედაგოგიკა, კორექციული პედაგოგიკა;
6. კერძო ანუ საგნობრივი მეთოდოლოგია;
7. პედაგოგიკის ისტორია.

ზოგადი პედაგოგიკა პედაგოგიკის ყველა დარგის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. იგი იკვლევს ყველა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებს, პედაგოგიკურ სისტემებს, ყველა ასაკის აღსაზრდელთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, ასაკობრივი პერიოდიზაციის პედაგოგიურ საფუძველებს ფსიქოლოგიურ და სოციალური მონაცემების გათვალისწინებით; აღზრდის ზოგად პრინციპებს, მეთოდებსა, ფორმებსა და ა. შ.

ასაკობრივი პედაგოგიკა, ზოგად პედაგოგიკაზე დაყრდნობით, სწავლობს კონკრეტულად ამა თუ იმ ასაკობრივ პერიოდისთვის დამახასიათებელ ასაკობრივ და ინდივიდუალურ სპეციფიკას, სწავლებისა და აღზრდის თავისებურებებს. პედაგოგიკაში მიღებულია შემდეგი ასაკობრივი პერიოდიზაცია: სკოლამდელი – დაბადებიდან 6 წლამდე; უმცროსი სასკოლო ასაკი 6-7-დან 10-11 წლამდე; საშუალო სასკოლო ასაკი 11-12-დან 14-15-მდე; უფროსი სასკოლო ასაკი – 14-15-დან 17-18 წლამდე. აქედან გამომდინარე, ასაკობრივი პედაგოგიკა აკონკრეტებს ზოგადი პედაგოგიკის მონაცემებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა შესაბამისად.

სოციალური პედაგოგიკა არკვევს ბავშვის პიროვნებად ფორმირების, მისი სოციალიზაციის, საზოგადოებასთან, შრომით კოლექტივთან უმტკივნეულოდ ადაპტაციის უნარ-ჩვევების

განვითარების სოციალურ ფაქტორებს, რომელშიც მოიაზრება მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო ფაქტორები.

პიროვნების სოციალიზაციის მეგაფაქტორებში შედის კოსმოსი, პლანეტა, სამყარო; მაკროფაქტორებში – ქვეყანა, ეთნოსი, ერი, საზოგადოება, სახელმწიფო; მეზოფაქტორებში – რეგიონი, მასობრივი კომუნიკაციის (მეგამასმედია) საშუალებები, სუბკულტურა, უბანი; სოციალიზაციის მიკროფაქტორები – ოჯახი, თანატოლების წრე, რელიგიური და საადმზრდელო ორგანიზაციები, მიკროსოციუმი, სპორტი და ა. შ.

სამხედრო პედაგოგიკა ემსახურება პატრიოტიზმის, სამშობლოს დამცველთა მომზადებას.

დეფექტოლოგია იკვლევს ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე აღსაზრდელთა კანონზომიერებებს, პრინციპებსა და მეთოდებს. პედაგოგიური კორექციის, პრევენციისა და კომპენსაციის საკითხებს. ეს არის ჰუმანიზმისა და დემოკრატიის კლასიკური ნიმუში, ზრუნვა სუსტების, დაჩაგრულების მდგომარეობიდან გამოსაყვანად, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად მომზადების მიზნით.

კერძო ანუ საგნობრივი მეთოდოლოგია, ეყრდნობა რა ზოგად პედაგოგიკას, ის აკონკრეტებს ამა თუ იმ საგნის სწავლების მიზანს, მის საგანმანათლებლო, განმავითარებელ, აღმზრდელობით და შრომით ფუნქციებს, შინაარსს, მოცულობას, დოზებსა და დროებს კლასების მიხედვით. იმდენი კერძო მეთოდოლოგია, რამდენიც სასწავლო საგანიცაა. მაგალითად: ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია და ა. შ.

უმადლესი სკოლის პედაგოგიკა არკვევს სპეციალური პედაგოგიური განათლების მიღებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მეცნიერულ საფუძვლებს, განათლების შინაარსს, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, პედაგოგიურ პრინციპებს, მეთოდებს, პროფესიული დაოსტატების ორგანიზაციულ ფორმებს, თეორიისა და პრაქტიკის, არჩეული პროფესიის ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან დაკავშირების გზებსა და საშუალებებს.



პედაგოგიკის ისტორია გვამცნობს პედაგოგიკის მეცნიერების წარმოშობას, განვითარების კანონებსა და კანონზომიერებებს; იძლევა წარსულის გათვალისწინების, აწმყოს გაგებისა და მომავლის განჭვრეტის საშუალებას; შეიცავს რეტროსპექტრულ და თანამედროვე მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებებს. მისი საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია პედაგოგიკური მეცნიერების განვითარება. როგორც ეს კირიონ II თქვა ისტორიზმის პრინციპთან დაკავშირებით: როგორც ანბანის გარეშე შეუძლებელია ისწავლო წერა-კითხვა, ასევე შეუძლებელია პედაგოგიკის გაგება და განვითარება მისი ისტორიის გათვალისწინების გარეშე.

პედაგოგიკის ისტორია გვიჩვენებს თუ რა განაპირობებს აღნიშნული მეცნიერების საჭიროებას, მის განვითარებას, წარმატებას თუ წარუმატებლობას. ხელს უწყობს აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენის თავიდან აცილებას, გვიცავს ამაო გარჯისაგან; იძლევა საშუალებას წარსულის მიღწევებით სარგებლობის, ღირსეულ ადამიანთა წარმოჩენის, სხვისი შრომის დაფასების, მშრომელისადმი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობის განვითარებისა. სენეკამ კარგად თქვა წარსულ მონაპოვართა ღირებულებასთან დაკავშირებით, რომ “ყველანაირი წამალი გაკეთებულია ჩვენამდე, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვისწავლოთ მისი აღმოჩენა და გამოყენება”. მართლაც, მეცნიერება გამოგონება კი არაა, არამედ არსებული აღმოჩენაა და თუ არ გვეცოდინება აღმოჩენილი, აღმოჩენილის აღმოჩენა ჩვენს გამოგონებად მოგვეჩვენება და სიბნელეში ერთ წრეზე მოგვიწევს მუდმივად ტრიალი. აქაც მინდა სენეკას უკვდავ სიბრძნეს დავეყრდნო მეცნიერულ აღმოჩენასთან დაკავშირებით. “პირდაპირ გზას, რომელიც მე ვიპოვე გვიან ხეტიალით დაღლილმა, ვუჩვენებ სხვებს”, სწორედ ამ გზას მიჰყვებოდა ნიუტონი, რომელმაც თქვა: “მე თუ ჩემს თანამედროვეთა შორის მაღალი ვჩანდი, ეს იმიტომ, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექიო”. ასევე უადგილო არ იქნება თუ გავიხსენებთ ლაიბნიცის დებულებას დროის უწყვეტობასა და ისტორიული მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებით. “აწმყო, შობილი წარსულისაგან, დედაა მომავლისა”.

პედაგოგიკის მოსაზღვრე მეცნიერებანი. როგორც ყველა მეცნიერება, პედაგოგიკაც თავის მიზნებისათვის იყენებს მონათესავე მეცნიერებათა მონაცემებს. ადამიანი წარმოსდგება სხეულისა და სულისგან და წარმოადგენს აღზრდის ორ მხარეს. აქედან გამომდინარეობს პედაგოგიკის კავშირი იმ მეცნიერებებთან, რომელნიც შეისწავლიან ადამიანს სხვადასხვა ასპექტში. პედაგოგიკის მოკავშირე მეცნიერებებია: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, მედიცინა, ადამიანის ფიზიოლოგია, ეკოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, სოციოლოგია და ა. შ.

ფსიქოლოგია ერთერთი მნიშვნელოვანი დამხმარე მეცნიერებაა პედაგოგისათვის. ამასთან დაკავშირით გერმანელებს აქვთ ასეთი ფრაზეოლოგიური გამოთქმა: “ვერ იქნები მასწავლებელი, თუ არა ხარ ფსიქოლოგი”. ფსიქოლოგია, როგორც ფსიქიკის მეცნიერება, სწავლობს ისეთ ფსიქიკურ პროცესებს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია შემეცნებისათვის, განსაკუთრებით სწავლების განმავითარებელი ფუნქციის განხორციელებისათვის. ეს პროცესებია: შეგრძნება, აღქმა, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, ყურადღება, ნებისყოფა, მეხსიერება, ნიჭიერება, ტემპერემენტი, ხასიათ და ა. შ.

ფსიქოლოგიური ცოდნა იძლევა საშუალებას, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად იქნეს აგებული სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებათა სისტემები, სასწავლო გეგმები, პროგრამები, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და სხვა.

და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიას მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთობის ოპტიმალურ დარგულირებაშიც გარკვეული წილი უდევს. თუმცა რამდენადაც სასარგებლოა ფსიქოლოგია, იმდენად და ზოგჯერ უფრო მეტად საზიანოა ფსიქოლოგიაში გადავარდნა, ფსიქოლოგიაში პედაგოგიკაში, რადგან, როგორც ფსიქოლოგიის მამამთავარი დ. უხნაძე ამბობდა, პედაგოგიკურ დასკვნებს პედაგოგიკოსი უნდა აკეთებდეს და არა ფსიქოლოგი.

პედაგოგიკას ასევე უშუალო კავშირი აქვს ფილოსოფიასთან. იგი ადგენს სამყაროს განვითარების უზოგადეს ობიექტურ კანონებს, რომელთა კონკრეტიზაციას ახდენს ცალკეული მეცნიერებანი და მათ შორის პედაგოგიკაც თავ-თავისი კვლევის ობიექტთა შესაბამისად. პედაგოგიკა ფილოსოფიიდან იყენებს განვითარების უზოგადეს ობიექტურ კანონებს, რომელთა დაკონკრეტებას ახდენს თავისი მიზნის მიხედვით. ეს კანონებია:

1. რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი;
2. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი;
3. უარყოფის უარყოფის კანონი.

ამ კანონთა არსის ასახსნელად გამოვიყენოთ მარტივი მაგალითი. ვიმოქმედოთ წარმოსახვით. ავიღოთ წყალი, შევდგათ მაცივრის საყინულეში და გარკვეული დროის შემდეგ დავაკვირდეთ თუ რა მდგომარეობაში გადავა წყალი?

– გაიყინება.

– რამ გამოიწვია მისი ყინულად ქცევა?

– ტემპერატურის რაოდენობრივმა ცვლილებამ მინუსისაკენ. ახლა ეს ყინული გამოვიტანოთ და შევდგათ ანთებულ გაზქურაზე და დავაკვირდეთ პროცესს. რას შევამჩნევთ?

– ყინული იწყებს ღღობას, თბობას, გაცხელებას, დუდილს, აორთქლებას.

წყლის ხუთივე მდგომარეობა განსხვავებულია.

– რამ განაპირობა ეს ცვლილებები?

– ამჯერად პლუსი ტემპერატურის რაოდენობრივმა ზრდამ.

– როგორ მიმდინარეობს პროცესი?

– თანდათანობით, ტემპერატურის ცვლილების მიხედვით.

ახლა დავადგინოთ თუ რა კავშირი აქვს ამ პროცესს პედაგოგიკასთან. ანალოგიური. წარმოვიდგინოთ მოსწავლე საწყის ეტაპზე. ახალშობილს არანაირი ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნია, გარდა განვითარების პოტენციური შესაძლებლობისა. მაგრამ თანდათანობით, გარეშე ზემოქმედების შედეგად, დროისა და ინფორმაციის რაოდენობრივი ზრდის კვალობაზე იცვლება, იზრდება და ვითარდება ბავშვი. და, რაც უფრო მეტ ჭეშმარიტ

ინფორმაციებს იღებს, მით უფრო დროულად მიმდინარეობს მისი სოციალიზაცია, პიროვნებად ფორმირება.

რაც შეეხება მეორე ფილოსოფიურ კანონს, რასაც ჰქვია დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, პედაგოგიკა მას გვერდს ვერ აუვლის, რადგან ისიც ობიექტურ რეალობას შეეხება. ყოველივე თავის თავში შეიცავს ორ დაპირისპირებულ მხარეს, განვითარების მამოძრავებელ ძალებს, შინაგან და გარეგან წინააღმდეგობას და ამ წინააღმდეგობათა ჭიდილში იმარჯვებს ძლიერი. ბავშვი, როგორც ბიო-სოციალური არსება წარმოადგენს პიროვნების საწყის ფორმას, რომელშიც ჩადებულია სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პოტენციური შესაძლებლობა, რომელიც გარემოსთან ურთიერთობის პროცესში გარდაიქცევა ბიოლოგიურ და სოციოგენურ მოთხოვნილებად, როგორც განვითარების ტენდენცია. ეს არის პირველი შინაგანი წინააღმდეგობა, რომლის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით წარმოიშობა მეორე გარეგანი წინააღმდეგობა, რომელიც ხელს უშლის მის დაკმაყოფილებას. ეს არის: ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მოუპწიფებლობა, ინფორმაციულობის, სათანადო ცოდნა-გამოცდილების დეფიციტი. მაშასადამე, მოხდა განვითარების მამოძრავებელი ძალების: შინაგან და გარეგან წინააღმდეგობათა შეჯახება. ამ ბარიერის გადასალახავად საჭიროა შეიქმნას მდგომარეობის შესატყვისი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური პირობები. ეს კი მასწავლებლის კომპეტენტურობაზე, მის ერუდიციასა და ოსტატობაზე, აქტივაციაზე, სტიმულსა და მოტივაციაზეა დამოკიდებული. მასწავლებელი ქმნის ისეთ პედაგოგიურ და ყოფით სიტუაციებს, რაც მოსწავლეებს დაანახვებს მიღწეულსა და მისაღწეს, რეალურსა და იდეალურს შორის სხვაობას და “გაამწვავებს” ამ წინააღმდეგობებს, აგრძნობინებს ცოდნის დეფიციტს, აუმაღლებს ინტელექტუალურ და სოციოგენურ მოთხოვნებს, რაც აღძრავს მას მოქმედებისკენ ამ წინააღმდეგობათა ბუნებრივი დაძლევისათვის პროგრესული შედეგით.

უარყოფის უარყოფის ფილოსოფიური კანონის გაცნობიერება მასწავლებელს დააძლევის არქაულ- კონსერვატორულ,

სტერეოტიპულ კომპლექსებს; გაათავისუფლებს დროგარდასული შეხედულებებისა და ტრადიციებისაგან; გადააღახვინებს ასაკობრივ ბარიერს მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში.

სამყაროს არსებობის წესი მოძრაობაა. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი ვითარდება და იცვლება, იცვლება შეხედულებებიც, მიდგომაც, ურთიერთობებიც და ასე შემდეგ და მასწავლებელი ამ პროგრესულ ცვლილებებს არ უნდა ჩამორჩეს. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი შრომის ობიექტი, მისი მოსწავლეც სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით იცვლება და სწრაფად მიმდინარობს მისი აქსელერაციის პროცესი. ამიტომ ურთიერთობის მეთოდი, რომელიც გუშინ ეფექტური იყო, დღეს უკვე გარკვეულწილად მოძველებულია. უარყოფის უარყოფის კანონს ემორჩილება, რაც როდი ნიშნავს ძველის ხელაღებით უარყოფას, პირიქით, სწორედ ძველიდან წარმოიშობა ახალი. ხემ უარყო თესლი, რომლისგანც წარმოიშვა თვითონ, მაგრამ მან თავის თავში გაიმეორა ის არსებითი, გვარი და ჯიში, მთელი გენოკოდი, რაც ამ თესლს ახასიათებდა კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ხარისხში რაოდენობრივად და თვისობრივად.

განვითარების უზოგადესი კანონების ცოდნა უზრუნველყოფს პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებას, სასკოლო პრაქტიკის ოპტიმიზაციას, დროის მოთხოვნებთან სწორებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერულ დონეზე აგებას ობიექტური კანონების საფუძველზე.

პედაგოგიკა არანაკლებ წარმატებით იყენებს ფილოსოფიურ კატეგორიებს: ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, მიზეზ-შედეგობრიობის, შემთხვევითობისა და აუცილებლობის და ა. შ. კავშირებს. არ არსებობს ფორმა შინაარსის გარეშე და, პირიქით, შინაარსი ფორმის გარეშე. მაგალითად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციული ფორმაა გაკვეთილი, ხოლო შინაარსია ის, რაც ამ გაკვეთილზე ხდება. ადამიანის ფორმაა მისი ფიზიკურ-ბიოლოგიური დეტერმინანტი, ხოლო შინაარსია მისი სოციალური მდგომარეობა, პიროვნული და პროფესიული თვისებები, ცოდნა-გამოცდილება, სოციალური

დეტერმინანტი. მაშასადამე პიროვნება არის ფორმისა და შინაარსის მთლიანობა.

მიზეზ-შედეგობრიობის კატეგორიის გაცნობიერება და პედაგოგიკის სივრცეში გადმოტანა ემსახურება ბევრი პედაგოგიური პრობლემების ახსნა-გაგებას, მის პრევენციასა და კორექციას. სამყაროში არაფერი ხდება უმიზეზოდ. ყოველ მიზეზს შედეგი მოსდევს და, პირიქით, ყოველ შედეგს თავისი მიზეზი აქვს. მაგალითად, ცნობილი ბიბლიური ანდაზა: “რასაც დასთეს, იმას მოიმკი” მიზეზ-შედეგობრიობის ნათელი ნიმუშია.

მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენილობა თუ სოციალურ-მორალური დეფექტი შედეგია გარკვეული მიზეზისა. ეს მიზეზები შეიძლება იყოს მრავალნაირი: უნიჭობა, სწავლისთვის მოუპწიფებლობა, ავადმყოფობა, სიზარმაცე, ოჯახური პირობები, თანატოლთა წრე, არასწორი შეხედულებები, გრძნობათა უმართაობა, განაწყენება, ფიზიკური ან გონებრივი ნაკლი, შეგრძნებათა ანალიზატორების დეფექტი და ა. შ. მაგრამ შედეგში ყოველთვის არის მიზეზის სიპტომები, მიმანიშნებელი ნიშნები ზოგჯერ ცხადი, ზოგჯერ ფარული სახით. ამიტომ საჭიროა მოცემული შედეგის შესაძლო, სავარაუდო მიზეზების ცოდნა, რომ კვლევისა და ლოგიკის გზით მივაგნოთ რეალურ მიზეზს კონკრეტულად, რაც მოგვცემს საშუალებას სწორი დიაგნოსტიკისა და “მკურნალობისა”.

რაც შეეხება შემთხვევითობისა და აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორიის პედაგოგიურ ასპექტში გაცნობიერებას, ის აუცილებლად თავიდან აგვაცდენს ბევრ პედაგოგიურ პრობლემებს, შემთხვევათა მსხვერპლობას.

მაშასადამე, განვითარების უზოგადესი ობიექტური კანონებისა და კატეგორიების საფუძველზე პედაგოგიური პროცესების ორგანიზების ცოდნა და უნარ-ჩვევები, მასწავლებელს აძლევს საშუალებას წარმატებით გაართვას თავი მის მიერვე არჩეულ პროფესიულ მოვალეობას.

ადამიანის ფიზიოლოგიიდან პედაგოგიკა წარმატებით იყენებს მისთვის საჭირო მონაცემებს. კერძოდ, ცოდნას ადამიანის ცენტრალურ-ნერვული სისტემის, რეფლექსების, რეაქციებისა და სხვა აღზრდასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

მედიცინა მნიშვნელოვან სამსახურს უწევს პედაგოგიკას განსაკუთრებით მაშინ, როცა პრობლემა ეხება აღსაზღველის ფიზიკურ და გონებრივ დეფექტებს. ამ სფეროში პედაგოგიური კორექცია ეყრდნობა სამედიცინო დასკვნებს.

პედაგოგიკას აგრეთვე კავშირი აქვს ეთიკასა და ესთეტიკასთან. ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა ორგანულად უკავშირდება აღნიშნული მეცნიერებების შინაარსს. პიროვნების მორალური სახის ჩამოყალიბება ეთიკური ნორმებისა და წესების ცოდნის გარეშე წარმოდგენელია. პედაგოგიკის დანიშნულებაა ამ ნორმებისა და წესების მოსწავლეთა ინტელექტუალურ საკუთრებად, შეგნებად, გრძნობებად და მოქმედების უნარ-ჩვევებად გადაქცევა, საზოგადოების ღირსეულ წევრად მომზადება. ეთიკურ ნორმებსა და წესებში იგულისხმება ის ზნეობრივი კატეგორიები, როგორცაა: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, სიყვარული, სიკეთე, სამართლიანობა, პატიოსნება, მშვიდობა, შრომისმოყვარეობა, სულიერობა, მიმტყვებლობა, ყოველივე ის, რასაც ბიბლია სულის ნაყოფებს უწოდებს.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანს აწმყოშიც და მომავალში იცავს საფრთხეებისაგან, ამორალური ქცევებისაგან.

პედაგოგიკა ეკოლოგიას უკავშირდება ეკოლოგიური აღზრდის პრობლემით და იქიდან იღებს მონაცემებს ეკოლოგიური განათლების, კერძოდ, ბუნების სასიცოცხლო, სამედიცინო, ვალეოლოგიური, ეკონომიური, ეთიკური და ესთეტიკური მნიშვნელობის შესახებ. ეკოლოგიური აღზრდის აქტუალობას დღეს განაპირობებს დედამიწაზე შექმნილი ეკოლოგიური პრობლემები, რაც გარკვეულწილად განპირობებულია მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დაბალი დონით. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა ბუნების – ფლორის, ფაუნას, მიწის, წყლის, ჰაერის და მათი დაცვის, მოვლის, გამდიდრების შესახებ სათანადო ინფორმაციულობა, ეკოლოგიური შეგნების, ეკოლოგიური გრძნობებისა და ეკოლოგიური მოქმედების მოთხოვნებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ესთეტიკური აღზრდაც პირდაპირ კავშირშია ესთეტიკის საფუძვლების ცოდნასთან. სამყაროს ესთეტიკური შეგრძნება და აღქმა, მისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება ადამიანს უყალიბებს ესთეტიკურ გემოვნებას, ესთეტიკურ კულტურას, რაც ვლინდება სილამაზისა და მშვენიერებისაკენ, ამაღლებულისა და იდეალურისაკენ სწრაფვაში, ხელოვნების გაგებასა და სილამაზის კანონებით ცხოვრების, ესთეტიკურით ტკობისა და ესთეტიკურის შექმნის მოთხოვნილებაში.

ამრიგად, პედაგოგიკა არის უძველესი, მაგრამ მარად მწვანე საზოგადოებრივი მეცნიერება ყოველმხრივ ჰარმონიულად : გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად, ფიზიკურად სრულფასოვანი პიროვნების აღზრდის კანონების, პრინციპების, მეთოდების, ფორმებისა და საშუალებების, ასევე პედაგოგიკური თეორიის პრაქტიკული რეალიზატორის – მასწავლებლის პროფესიული მომზადების შესახებ. პედაგოგიკის თეორია უდევს საფუძვლად პედაგოგიკური ციკლის კონკრეტულ, გამოყენებით დარგებს.



## თ ე მ ა II. მასწავლებლის პროფესია

საკითხები:

1. მასწავლებლის პროფესიის არსი, მისი საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა;
2. ეპითეტები მასწავლებლის პროფესიაზე;
3. მასწავლებლის კომპეტენციები;
4. მასწავლებლის პროფესიული დაოსტატების პედაგოგიური საფუძვლები.

მასწავლებელია ის ოფიციალური პირი, რომელსაც აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება, დაუფლებულია სწავლებისა და აღზრდი თეორიას და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას გადასცემს ახალ თაობას მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით. მასწავლებლობა უძველესი, უმშვენიერესი, ღმრთთან წილნაყარი პროფესიაა. კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე ჰყავს ორი უდიდესი მასწავლებელი: ყოვლისშემოქმედი ღმერთი და მისი საყვარელი ძე იესო ქრისტე. მათგან მოდის “ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი” (იაკობის 1:17).

მასწავლებელს უდიდესი საზოგადოებრივი როლი აკისრია. მან უნდა უზრუნველჰყოს ღირსეული ახალი თაობის მომზადება, რომელიც განაპირობებს საზოგადოების კულტურულ დონეს, მის განვითარებასა და შეუფერხებელ აღმასვლას.

ყველა ეპოქასა და საზოგადოებაში ცნობდნენ და აღიარებდნენ მასწავლებლის უდიდეს საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას. გამოჩენილი საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწეები, პედაგოგიკისა და ლიტერატურის კლასიკოსები არავითარ ეპითეტებს არ იშურებდნენ მასწავლებლის შესამკობად, მის მიმართ პატივისცემის გამოსახატავად, მასწავლებლის პროფესიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საზგასასმელად. ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსები სოკრატე და მისი

მოწაფე ანტისტენე ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას მასწავლებლის დამსახურებად მიიჩნევდნენ. პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე ქვეყნის კულტურულ აღმავლობას მასწავლებლს უკავშირებდა. “ბრძენი რომაელის” აღმზრდელს კვინტილიანემ სპეციალური წიგნი მიუძღვნა – “ორატორის დარიგებანი”, რომელშიც სრულყოფილად წარმოაჩინა იდეალური მასწავლებლის სახე. რომის იმპერატორები განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ მასწავლებლის მიმართ. ისინი ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში გამოსცემდნენ ბრძანებულებებს, (ზოგიერთის ასლი ჩვენამდეა მოღწეული), რომელიც ითვალისწინებდა მასწავლებლის ეკონომიურ და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მორალურ ფსიქოლოგიურ თუ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გარკვეული შედეგათები მის ოჯახზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, რომის იმპერატორმა პიი ანტონმა მასწავლებლებს დუწესა ახალი პრივილეგიები: კომუნალური გადასახადების განახევრება და ოჯახის წევრ მამაკაცების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება. 333 წლის 27 დეკემბერს კონსტანტინე იმპერატორმა გამოსცა სპეციალური ბრძანება: “ექიმთა და მასწავლებელთა პრივილეგიების შესახებ”, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ექიმის, ასევე მასწავლებლისა და მათი ოჯახის წევრების ყოველგვარი გადასახადებისაგან და სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებებისაგან განთავისუფლებასა და უსაფრთხოების გრანტიას. “ჩვენ – ვკითხულობთ ბრძანებაში – მოვითხოვთ მათთვის დახმარებისა და პრემიების გაცემას, რათა ისინი მთელი არსებით მიეცნენ პედაგოგიურ საქმიანობას და მეტი მონდომებითა და მომზადებით ასწავლონ მრავალი თავისუფალი მეცნიერებანი და ზემოთ ჩამოთვლილი ხელოვნებანი”. იმპერატორმა ვესპასიანემ მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს კერძო რიტორიკული სასწავლებელი სახელმწიფო სასწავლებლად გადააკეთა და უხვად დააფინანსა, მაღალი ხელფასი დაუნიშნა მის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებს.

სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ გამოჩენილი ზრუნვა და ყურადღება მასწავლებელს ავალებდა და შინაგანად განაწყოდა კეთილსინდისიერად მოჰკიდებოდა მასზე მინდობილი საქმეს და წარმატებით აღესრულებია თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა.

მართალია, ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი როდი იყო მასწავლებლის გზა. ანტაგონისტურ საზოგადოებაში პროგრესულად მოაზროვნე, დემოკრატი მასწავლებლები ხელისუფლებისათვის არასაიმედო პირებად აღიქმებოდა, მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი დისკრიმინაციისა და რეპრესიებისა, მათში იმდენად მაღალი იყო პროფესიული პასუხისმგებლობის შეგნება, რომ არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ დაბრკოლებას არ უშინდებოდნენ, ოღონდ მიეღწიათ ნათელი მიზნისთვის. ამის ნათელი მაგალითია სოკრატეს ცხოვრება. მას ბრალი დასდეს მასებში პროგრესული იდეების გავრცელების გამო და სამუდამოდ აუკრძალეს მასწავლებლობა. იგი ამ სასჯელს ვერ შეეგუა და თავი მოიკლა.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგბაშივილიც უსამართლობის მსხვერპლი იყო. ცარიზმის რუსიფიკატორულმა რეჟიმმა ბევრჯერ მიიყვანა თვითმკვლელობამდე, მაგრამ, საბედნიეროდ, აღსრულება არ ეწერა ამ იძულებას.

ბევრი მასწავლებელი იყო ასეთ მძიმე მდგომარებაში, მაგრამ ვერც პატიმრობა, ვერც გადასახლება ვერ ახრევინებდა ქედს ჭეშმარიტ სახალხო მასწავლებლებს. სწორედ, ასეთმა რჩეულმა მასწავლებლებმა შექმნეს პედაგოგიკური მეცნიერება და ღირსეული ადგილი დაიკავეს პედაგოგიკის ისტორიაში.

გამოჩენილი ადამიანები ამიტომ ამკობენ მასწავლებლის სახელს დაუშურველი ეპითეტებით. მასწავლებელს კვინტილიანემ ბრძენი წინამძღოლი უწოდა. იან ამოს კომენსკიმ ასე შეაფასა მასწავლებლის საპატიო პროფესია: მასწავლებლები “დაყენებულნი არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს” (“კარგად მოწყობილი სკოლის კანონები”). კომენსკიმ სკოლის დირექტორს “მასწავლებელთა მასწავლებელი” უწოდა, რომელიც მისი აზრით,

ის უნდა “წარმოადგენდეს მთავარ სინათლეს მთელი სკოლისათვის და მის დასაყრდენს” (იქვე). ადოლფ დისტერვეგი მასწავლებელს მზეს ადარებდა. “ მასწავლებელი – წერს დისტერვეგი – სკოლისათვის იგივეა, რაც მზე სამყაროსათვის”-ო. კონსტანტინე უშინსკიმ მასწავლებელს სწავლება-აღზრდის ცენტრალური ფიგურა უწოდა. იაკობ გოგებაშვილმა – სულიერი მოძღვარი. ილია ჭავჭავაძემ – “მზრდელი ყრმისა” და ასე დაუსრულებლად შეგვიძლია მაგალითების მოყვანა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია, პროგრესულ საზოგადოებაში მასწავლებლის ავტორიტეტის დასამოწმებლად. ეს აბზაცი მინდა დავასრულო ერთი ცნობილი ანეკდოტის შეხსენებით. გაბრაზებულმა მასწავლებელმა უხეშ მოსწავლეს უთხრა: შენს ასაკში ალექსანდრე მაკედონელს ნახევარი მსოფლიო ჰქონდა დაპყრობილიო. მოსწავლემ უპასუხა: მას არისტოტელე ჰყავდა მასწავლებელიო.

მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციები. მასწავლებელს ურთულესი ამოცანები აკისრია. მან ბავშვი, ჯერ კიდევ ბიოლოგიური არსება ყოველმხრივ ჰარმონიულად, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერდ, ესთეტიკურად, ფიზიკურად განვითარებულ სრულფასოვან პიროვნებად უნდა აქციოს, რომელიც უმტკივნეულად შეძლებს კუთვნილი ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში. იგი ერთდროულად ასრულებს საგნის მასწავლებლის ორგანიზატორის, ინფორმატორ-პროპაგანდისტის, დამრიგებლისა და მეგზურის ფუნქციებს. ამ კომპეტენციების შესასრულებლად მასწავლებელს სჭირდება შემდეგი თვისებების განვითარება:

1. ქრისტიანული მორალი;
2. პროფესიული გატაცება (სიამაყე) და ბავშვის სიყვარული;
3. განსწავლულობა და ერუდიცია;
4. კომუნიკაბელურობა და მეტყველების კულტურა;
5. ცოდნა-გამოცდილების გადაცემის უნარი;
6. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
7. პედაგოგიური ოპტიმიზმი;
8. სიახლის შეგრძნების უნარი;
9. პედაგოგიური ოსტატობა: პედაგოგიური სტრატეგია და

ტაქტი, ავტორიტეტი, პედაგოგიური სინდისი, ინტუიცია და ალღო, იდენტიფიცირების უნარი, გარეგნული იერ-სახე, ჩაცმისა და ვარცხნილობის კულტურა;

10. ესთეტიკური გემოვნება და სხვა.

ქრისტიანული მორალის მატარებელი უნდა იყოს ქრისტიანი მასწავლებელი, რაც ნიშნავს ყოვლისშემოქმედ ღმერთთან ურთიერთობას მისი საყვარელი ძის ქრისტეს მეშვეობით. როცა ნათელღებული იესო იორდანის წყლიდან ამოვიდა, მასზე გადმოვიდა ღვთის წმინდა სული მტრედის სახით და ყველა იქ მყოფმა მოისმინა ღვთის სიტყვა: “ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე” (მათე 3:17) და მეორედ ფერისცვალებისას იგივე სიტყვები გაისმა ღვთისგან მცირედი, მაგრამ მეტად საყურადღებო მოწოდებით: “. . . მას უსმინეთ!” (მათე 17:5). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიცოდეთ ღვთის მცნებები და ამ მცნებებით ვხელმძღვანელობდეთ ცხოვრებაში ქრისტესდარად. ღვთის ძირითადი კანონები და პრინციპები საყოველთაოდ ცნობილ ათ მცნებაშია ჩადებული კომპენდიუმის სახით, რომელშიც მცირედი ცვლილებები შეიტანა იესო ქრისტემ ახალი რჯულის თანახმად, რომელთა შორის არის მცნება: “ისე მოექეც სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ” (მათე 7:12), რაც ყველას, მაგრამ განსაკუთრებით სჭირდება მასწავლებელს მისი შრომის ობიექტის თავსებურებიდან გამომდინრე.

საერთოდ ღვთის რწმენა უმძლავრესი საშუალებაა ყოველგვარი ცოდვისა და ბოროტებისაგან თავშეკავებისა, ღვთისმოსაობისა და ღვთისნიერებისა. რასაც საფუძვლად უდევს ღვთის, როგორც ყოვლისშემოქმედის და მოყვასის სიყვარული. ქრისტიანული რწმენა ეგოცენტრიზმზე, მატერიალიზმსა და ყოველგვარ გულისთქმებზე, ხორციელ სურვილებზე მადლა აყენებს ადამიანს, ამდიდრებს სულიერობას და იცავს სატანის მახეებისაგან. რწმენას საფუძვლად უდევს ჭეშმარიტების ცოდნა ღვთის შესახებ, რომლის უშრეტ წყაროს წარმოადგენს ღვთის სიტყვა – ბიბლია! “მთელი წმინდა წერილები ღვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად,

გამოსასწორებლად და სიმართლეში აღსაზრდელად” (II ტიმოთე 3:16. ბიბლია ახალი ქვეყნიერების თარგმანი, 1984).

რწმენა ნიშნავს უხილავის დაჯერებას ღვთის სიტყვის – ბიბლიისა და ღვთის ქმნილებების საფუძველზე.

პროფესიით გატაცებისა და შრომის ობიექტის სიყვარულის გარეშე წარმოდგენაც კი ჭირს წარმატებაზე. პედაგოგიურ საქმიანობას, ფიგურალურად რომ ვთქვათ, აუცილებლად სჭირდება გარდა თავისა, გულიც, გრძნობები, ბავშვების სიყვარული, როგორც ხიდი მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის. ვ. სუხოძინსკმა დაწერა: “შეუძლებელია ბავშვის აღზრდა მივანდოთ მას, ვისაც თავის ბავშვობა არ ახსოვს”-ო. პროფესიით გატაცება პროფესიონალიზმის, მაღალკვალიფიციურობის, კომპეტენტურობისა და ენთუზიზმის უშრეტი წყაროა. ამიტომ პროფესიის სწორად არჩევა უდიდესი პიროვნული და საზოგადოებრივი საქმეა. ამასთან დაკავშირებით, ბიბლია იძლევა ბრძნულ დარიგებას: “შეიცანი თავი შენი”. რადგან ყოველი ადამიანისთვის მოცემულია ინდივიდუალური ნიჭი. I კორინთელების მე-12 თავის 1-11 მუხლებში წერია: “ნიჭი სხვადასხვანაირია. . . მსახურებანიც სხვადასხვანაირია. . . მოქმედებანიც სხვადასხვანაირია . . . ვინაიდან ერთს ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა. . . ზოგს რწმენა. . . ზოგს განკურნებათა ნიჭი. . . ზოგს – სასწაულმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს შთაგონებით წარმოთქმული სიტყვის გარჩევა, ზოგს სხვადასხვა ენა, ზოგს ენების განმარტების. . . და ამ ყველაფერს ერთდაიგვე სული აკეთებს”. ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით პროფესიის არჩევის პრობლემა სკოლაში პროფორიენტაციული მუშაობის გზით წყდება, რაც იძლევა საშუალებას სათანადო ინფორმაციების მიღებისა ქვეყნად არსებული პროფესიების ნუსხის, კონკრეტული პროფესიისა და სპეციალობისათვის საჭირო ფსიქოლოგიური და ფიზიკური მონაცემებისა და პროფესიის ადგილობრივი ან რეგიონალური მოთხოვნილების შესახებ.

დედამიწაზე 2500 – ზე მეტი პროფესიაა ცნობილი. ყველა არავინ არ იცის, მაგრამ არის სპეციალური ფორმულა, რომლის მიხედვით მათზე ადამიანს გარკვეული წარმოდგენა ექმნება. ამ

მხრივ ძალზე ეფექტური გამოდგა კლიმოვის მიერ შემუშავებული სქემა, რომელშიც მთელი პროფესიათა არსენალი დაყოფილია ჯგუფებად შრომის ობიექტის მიხედვით.

პირველ ჯგუფში – “ადამიანი და ადამიანი”, თავს იყრის ისეთი პროფესიები, რომლის შრომის ობიექტია თვით ადამიანი. მაგალითად, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, პარიკმახერის, გამყიდველის პროფესიები და ა. შ. ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობა სპეციალისტისგან გარდა პროფესიონალიზმისა, მოითხოვს გარკვეულ პიროვნულ თვისებებს, მაგალითად მოყვასის სიყვარულს, აქტიურ კომუნიკაბელურობას, მოთმინებასა და თავშეკავებას, მიმტევებლობას და ა. შ.

მეორე ჯგუფი – “ადამიანი და ბუნება”, აქ ადამიანის შრომის ობიექტია ბუნება, მთელი თავისი ეკოსისტემებით, ფლორა, ფაუნა, მიწა, წყალი, ჰაერი და რაც მასშია ბუნებრივი და შესაბამისად ამ ჯგუფში თავს იყრის ყველა საბუნებისმეტყველო პროფესიები: ბიოლოგიური, ქიმიური, გეოგრაფიული, აგრონომიული, ეკოლოგია, დეკორატორიული, მელორაციული, ოკეანოლოგია და ა. შ.

მესამე ჯგუფი – “ადამიანი და ტექნიკა” მოიცავს ისეთ პროფესიებს, რომელიც დაკავშირებულია ტექნიკასთან, მანქანა-დანადგარებთან, ავიაციასთან, ყოველგვარ მშენებლობასთან და შეესაბამება ინჟინრის პროფესია თავისი უამრავი განშტოებებით, განსაკუთრებით მათემატიკისა და ფიზიკის მიმართულებებით.

მეოთხე ჯგუფი პროფესიებისა – “ადამიანი და სქემა-სიმბოლოები” დაკავშირებულია ნახაზებთან, გრაფიკასთან, მოდელსა და მაკეტებთან და შეესაბამება პროფესიები: არქიტექტორის, მოქანდაკის, მხაზველის და სხვა.

მეხუთე ჯგუფში – “ადამიანი და ხელოვნება” დაკავშირებულია მხატვრულ აზროვნებასთან და ეყრდნობა თანდაყოლილ, განსაკუთრებულად გამოკვეთილ სპეციფიკურ შემოქმედებით ნიჭს, რომელსაც შეესაბამება მწერლობის – პოეტის, პროზაიკოსის, მუსიკოსის, მხატვრის, მოქანდაკის, მსახიობის, რეჟისორის პროფესიები.

სკოლაში ყოველ სასწავლო დისციპლინას 5 – 25-მდე პროფესიის გაცნობის საშუალება გააჩნია. საგნის

მასწავლებლების მიერ ამ შესაძლებლობათა ოპტიმიზაცია თეორიითა და პრაქტიკით უზრუნველყოფს პროფესიის სწორად შერჩევას. ფრაზეოლოგიური გამოთქმა: მასწავლებლად უნდა დაიბადო, ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებები უნდა გააჩნდეს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მასწავლებლის პროფესიის არჩევისას.

რაც შეეხება განსწავლულობასა და ერუდიციას, ეს არის მასწავლებლის პროფესიონალიზმის გული და სული. მან ღრმად და ყოველმხრივ უნდა იცოდეს ის საგან, რომელსაც ასწავლის, იცნობდეს უნდა მის უკანასკნელ მიღწევებს. ადოლფ დისტერფეგმა მარტივი და პოეტური დეფინიცია გაუკეთა მასწავლებლისათვის ცოდნის მნიშვნელობას. “შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არა გაქვს”-ო. მასწავლებელი, როგორც ცოდნის გამცემი, თავად რომ უხვად უნდა ფლობდეს მას, აქ ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა აგრეთვე მოსაზღვრე მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლების ცოდნა. ამაზე პირველ თავში უკვე ვილაპარაკეთ.

მასწავლებელი რა ცოდნა-გამოცდილების მარაგსაც არ უნდა ფლობდეს, თუ მას აკლია ცოდნის გადაცემის უნარი და მეტყველების კულტურა, ვერასოდეს გახდება მასწავლებელი ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით. ცოდნის გადაცემის უნარი დაკავშირებულია მისაწვდომობის დადაქტიკურ პრინციპთან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ – მეტყველების კულტურას თან, რაც გულისხმობს ასათვისებელი მასალა გახადოს მოსწავლეთათვის მისაწვდომი, ადვილად გასაგები, საინტერესო, პიროვნულად და საზოგადოებრივად სასარგებლო და ღირებული.

მეტყველების კულტურა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ინფორმაციულობა ანუ სათქმელის შინაარსის ცოდნა, ლოგიკური აზროვნება, ენის ზედმიწევნით ცოდნა გამოსახვის ლიტერატურული ატრიბუტების გამოყენებით მჭერმეტყველების გარკვეულ დონემდე. მეტყველების უნარი თანდაყოლილი ღვთიური ძღვენია, ხოლო მეტყველების კულტურა – ამ უნარზე დაყრდნობით სწავლისა და სწავლების შედეგი.



პედაგოგიური შრომისადმი შემოქმედებითი მიდგომა ნიშნავს მასწავლებელის უნარს, მოახდინოს პედაგოგიკური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების სინთეზი, თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება არა სუბიექტურ მოსაზრებებზე და შიშველ პრაქტიციზმზე, არამედ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით.

პედაგოგიური ოპტიმიზმის გარეშე აღსაზრდელის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირება ძალიან ძნელია. მასწავლებელს უნდა სწამდეს ბავშვის უსაზღვრო პოტენციური შესაძლებლობების. უნდა ახსოვდეს მაგალითები არც ისე გამორჩეული ბავშვებისა, რომელნიც შემდეგში გახდნენ გამორჩენილი ადამიანები. ასევე პედაგოგიკის ფუძემდებლის მარკუს ფაბიუს კვინტილინეს სიტყვები, რომ უნიჭოები საერთოდ არ იბადებიან ანომალიური შემთხვევის გარდა. “თითქმის ვერ ნახავთ ისეთს, თავისი სიბუჯით ვერ დაძლიოს სიძნელე”.

მთელი სამყარო და რაც მასშია მუდმივ მოძრაობაშია; ცვლილება, განახლება, უარყოფის უარყოფა განვითარების კანონია. და, ცხადია, არც პედაგოგიკაა გამონაკლისი. მაგრამ ეს ცვლილებები მისსავე გვარის წიაღში მიმდინარეობს და არა ძველზე ხელალებით. ძირითადი გენოკოდი, მაგისტრალური ხაზი უცვლელად გადადის, მუდმივად მეორდება მომდევნო ცვლაში, რითაც ინარჩუნებს თავის სახეობას, თავის გვარს. როცა სიახლეზეა ლაპარაკი, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ყოველი ახალი ყოველთვის არ არის პროგრესული და ყოველი ძველი – რეაქციული. სიახლის პროგრესულობა მის შედეგებში ვლინდება. პიროვნების ფორმირებაში გარდა აღზრდისა, სხვა ფაქტორებიც ახდენენ გავლენას, რაც ბუნებრივად დეგრაბირება, რაღაც პედაგოგიური მიდგომების, პედაგოგიური ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ხერხების გადასინჯვისა. სიახლის ჯანსაღი შეგრძნება მასწავლებელსაც სულიერად აჯანსაღებს და აახალგაზრდავებს. მოძველებულსა და არქაულს ჩაჭიდებული მასწავლებელი უმაღვე კარგავს პედაგოგიურ ფუნქციას და ცხოვრებას ჩამორჩენილი “უკან მიდევნებული ლამპარი“-ვით იქნება.

მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პედაგოგიურ ტექნიკას, რომელიც თავისთავში მოიცავს პედაგოგიურ ოსტატობას, პედაგოგიურ ხელოვნებას, რომლის შესახებ გაკვირით ვისაუბრეთ ზემოთ, პედაგოგიურ ტაქტს, ავტორიტეტს, პედაგოგიურ სინდისს, ინტუიციას და აღლოს, გარეგნულ იერ-სახეს, ჩაცმულობისა და ვარცხნილობის კულტურას, ექსტიკულაციას და ა. შ. პედაგოგიური ტაქტი ნიშნავს ზომიერების შეგრძნებას. სოკრატე პედაგოგიურ ტაქტს გადამწვევტ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდაში. მისი აზრით, მოსწავლის შეფასებაში გადაჭარბება ან არა ობიექტურობა შეიძლება ზოგჯერ საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომ მასწავლებლისგან მოითხოვდა ზომიერებას, ნებისმიერ სიტუაციაში წონასწორობის შენარჩუნებას, პრობლემის ცივი გონებით გაანალიზებას, რადგან ცხელ გულზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება არ იყოს ობიექტური და ზიანი მაიაყენოს ბავშვის ნორჩ ფსიქიკას. XIX საუკუნის 60-იან წლებში თაობათა შორის გაჩაღებული იდეური ბრძოლა უფრო გაამწვავა გრიგოლ ორბელიანის ლექსმა “პასუხი შეილთა”, რომელშიც ცხელ გულზე გამოტანილი განაჩენი გადაჭარბებული აღმოჩნდა და როცა რისხვა დაუცხრა, თავადვე შეარბილა ტექსტის ის ადგილი, სადაც ეწერა: “კოლო-ბუხებო, კატის კნუტებო, საიდან კნავით?”

ავტორიტეტი გერმანული სიტყვაა და გავლენიანობას ნიშნავს. ავტორიტეტული ადამიანის სიტყვას კანონის ძალა აქვს. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის მთავრი იარაღი სიტყვაა და თუ მასწავლებელი უავტორიტეტოა, მისი სიტყვაც ძალას კარგავს. არავის, არც სიმდიდრეს, არც განათლებას, არც თანამდებობას, არც სოციალურ წარმომავლობას არ შეუძლია ადამიანს ავტორიტეტი შეუქმნას, თუ სუბიექტი თავისი პიროვნული თვისებებით არ იმსახურებს მას. მასწავლებელს ავტორიტეტს უქმნის პროფესიონალიზმი, ზნეობა, კერძოდ, სამართლიანობა, პატიოსნება, საქმისადმი ერთგულება, ჯანსაღი პრინციპულობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, კომუნიკაბელურობა, მესაიდუმლოება. ასევე ესთეტიკური გემოვნება. მასწავლებლის ავტორიტეტი კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეებზე და მის მოთხოვნებს ნებაყოფლობით ემორჩილებიან. ყველას შეუძლია გაიხსენოს

ამ ნიშნებით გამორჩეული მისი საყვარელი და დაუვიწყარი მასწავლებელი.

პედაგოგიური სინდისი ის დამცავი მექანიზმია, რომელიც აკონტროლებს მასწავლებლის აზროვნებას, სიტყვას, ქცევასა და მოქმედებას და რაიმე გადახვევის შემთხვევაში სინდისის ქეჯნა შეაწუხებს. სინდისს ფიგურალურად ღმერთიც კი უწოდა დიდმა ილიამ.

მოსწავლის განწყობასთან იდენტიფიცირების უნარი ქმნის კარგ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რომ მასწავლებელმა კლასში მოიპოვოს ნდობა და სწორად ააგოს პედაგოგიური ურთიერთობა. ალლო და ინტუიცია კარნახობს მასწავლებელს იდენტიფიცირების დროულობასა და ზომიერებას, ხოლო შედეგი კი – მის ეფექტურობას.

ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის გარეგნული იერსახე, ჩაცმულობისა და ვარცხნილობის კულტურა. გუნა კვარაცხელიამ დაწერა, გახანგრძლივებული ყვავილობა არა ესთეტიკურიანო. ამ განზოგადოებულ დებულებებს გათვალისწინება მასწავლებელს დაიცავს ერთგვარ უხეხულობისაგან გარეგნულ იერსახესთან დაკავშირებით. სიბერე ყველასათვის არასასურველი მდგომარეობაა და ხანდისხან ვცდილობთ მის დაფარვას ჩაცმავარცხნილობისა და მაკიაჟის საშუალებით, რომ ხელოვნურად გავიხანგრძლივოთ ახალგაზრდული იერი. სასაცილო მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ასაკი, ფიზიონომიური აგებულება, სოციალური მდგომარეობა, ეთნიკური მენტალიტეტი, საზოგადოებრივი აზრი. ყოველივე ამას არეგულირებს ესთეტიკური გემოვნება, რაც მასწავლებელს სძენს მომხიბლველობას, სიფაქიზეს, უქმნის სასურველ იმიჯს.

მასწავლებლის პროფესიული მომზადება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ფრაზეოლოგიური გამოთქმა, მასწავლებლად დაბადების შესახებ. ამას მთლიანად ვერ ვუარვეყოფთ, რამდენადაც თანდაყოლილი უნარების ფაქტორსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია პიროვნების ფორმირებაში. აკაკი წერეთელი “გამზრდელში” ამბობს: “მარტო წრთვნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა”. მართალია პროფესია სწავლების გზით შეიძინება, მაგრამ მას ბუნებრივი წინამძღვრები, პიროვნული თვისებები

სჭირდება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია მასწავლებლისთვის. ამიტომ ნებისმიერი ვერ იქნება წარმატებული მასწავლებელი. პედაგოგიური კადრის მომზადება მოითხოვს სპეციალურ პირობებს, სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორების თანხვედრას, რაც გულისხმობს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის, განათლების მართვის ორგანოების, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების, პედაგოგიური მოწოდების კონტიგენტის, მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრების აქტიურ კავშირს და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სიტყვითა და საქმით.

პედაგოგიური კადრების მომზადება ხდება მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად ინსტიტუტებში, უნივერსიტეტსა და აკადემიაში სახელმწიფოს მიერ დადგენილი აღზრდის მიზნის შესაბამისი მასწავლების პროფესიული სტანდარტების მიხედვით, რომელიც აისახება სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული და საერთაშორისო მიღწევები და მეცნიერებათა გენეტიკური კოდი. პროფესიული სტანდარტის მიხედვით მასწავლებელს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი:

1. პედაგოგიური მიზანი და მისი მისაღწევი ამოცანები, შინაარსი, პრინციპები, მეთოდები, ფორმები სწავლების ტექნიკური საშუალებანი, ცოდნის შემოწმება – შეფასების სახეები და კრიტერიუმები, და ა. შ. ამ ცოდნით მას უზრუნველყოფს პედაგოგიკური ციკლის საგნები: პედაგოგიკის თეორია და ისტორია, სოციალური და კორექციული პედაგოგიკა, კერძო ანუ საგნობრივი მეთოდოლოგია;
2. მასწავლებელმა უნდა იცოდეს ზოგადი და ასაკობრივი ფსიქოლოგია, რომ განსაზღვროს მოსწავლის ასაკობრივი და ივდივიდუალური თავისებურებები, ფსიქიკური-ინტელექტუალური უნარები, რაც მას საშუალებას მისცემს, დაიცვას მოსწავლის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონი;
3. მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს ზნეკეთილობა,

ჰუმანიზმი, პედაგოგიური ოპტიმიზმი, კომუნიკაბელობა, ურთიერთობის კულტურა, რაშიც მას დაეხმარება ეთიკის მეცნიერება;

4. მასწავლებელი უნდა იყოს გემოვნებიანი, არ უნდა უჭირდეს სილამაზისა და მშვენიერების, ამაღლებულის, კომიკურისა და ტრაგიკულის შეგრძნება, აღქმა და გაგება არც ხელოვნებაში და არც რეალურ სინამდვილეში. ეს შესაძლებელია ესთეტიკის ცოდნით;

5. პედაგოგიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლის ლოგიკური აზროვნების, ინტუიციისა და ალღოს უნარი, რათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში განიხილოს მოვლენები და გააკეთოს სწორი დასკვნები. ამ უნარს იგი ლოგიკის ცოდნით შეიძენს;

6. მასწავლებლის მთავარი სამუშაო იარაღი არის სიტყვა, ამიტომ იგი უნდა ფლობდეს მეტყველების კულტურას, ორატორულ ხელოვნებას, რასაც გრამატიკის, მხატვრული ლიტერატურის და რიტორიკის საფუძვლიანი ცოდნით განივითარებს;

7. ღვთისმოსაობა და ღვთისმოშიშობა ესმარება მასწავლებელს სულიერობის ამაღლებაში, ცოდვათა და ბოროტებათგან თავშეკავებაში. ჭეშმარიტი ღვთიური რწმენის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტების შემეცნების საფუძველზე, რომლის შეუცვლელ წყაროს ღვთისსულიერ წიგნთა კრებული – ბიბლია წარმოადგენს;

8. მასწავლებელი ვალდებულია კარგად ერკვეოდეს სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებში, რადგან ამ პირობების დაცვა აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და საჭირო ფსიქოლოგიური, ასევე ესთეტიკურ და რომანტიკული ატმოსფეროს შესაქმნელად.

9. მასწავლებელი კარგად უნდა იცოდეს მართვისა და ხელმძღვანელობის პრინციპები, მენეჯმენტის საფუძვლები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მასწავლებლის მომზადების სასწავლო საგანთა

ნუსხაში აღვნიშნავთ უნდა ჰქონდეს შემდეგმა მეცნიერებებმა:

1. ზოგადი პედაგოგიკა;
2. ასაკობრივი პედაგოგიკა;
3. სოციალური პედაგოგიკა;
4. დეფექტოლოგია ყველა თავისი ქვედარგებით;
5. კორექციული პედაგოგიკა;
6. პედაგოგიკის ისტორია;
7. ფაკულტეტის პროფილური საგანი, რომელიც უნდა ასწავლოს სკოლაში, თავისი მეთოდით;
8. ზოგადი ფსიქოლოგია;
9. ასაკობრივი ფსიქოლოგია;
10. ეთიკა;
11. ესთეტიკა;
12. ლოგიკა;
13. რიტორიკა;
14. ბიბლიისმცოდნეობა;
15. სკოლის ჰიგიენა;
16. იმ ენის გრამატიკა, რომელზედაც სწავლობს;
17. პედაგოგიური პრაქტიკა;
18. უცხო ენა;
19. ინფორმატიკა.

მასწავლებლის პროფესიონალიზმი და პატიოსნება გაზომვადია შედეგების მიხედვით. ქრისტემ თქვა: “ხე ნაყოფით შეიცნობა”-ო (მათე 12:33). მასწავლებლის შრომის ნაყოფი მისი მოსწავლის გონებრივი, სულიერობის, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების დონით განისაზღვრება, რომლის დადგენა ხდება პედაგოგიური გამოკვლევებითა და მოსწავლის ქცევისა და მოქმედების, განათლებულობის, გარემომცველი სინამდვილისადმი დამოკიდებულების, მსოფლმხედველობის, პოზიციისა და მრწამსის მიხედვით. ის უმაღლეს სასწავლებელი უნდა იყოს მასწავლებლის კვალიფიკაციის მიმნიჭებელიც და პასუხისმგებელიც, სადაც მიიღო პედაგოგიური განათლება.

მასწავლებელმა თავისი პროფესიული და მოქალაქეობრივი

მოვალეობა წარმატებით რომ შეასრულოს, ამისთვის საჭიროა აგრეთვე თავისუფლება, ზედმეტი ინსპექტირება თრგუნავს მის ძალებს, უქრობს ენთუზიაზმს; მატერიალური, სოციალური, ფსიქოლოგიური, მორალური სტიმულები, როგორც ეს იყო ანტიკურ ხანის საბერძნეთსა და რომში.

მასწავლებლობა დვითური პროფესიაა. სხვისი სწავლება და დამოძღვრა დიდი პატივია და ამის მორალური, ინტელექტუალური და პროფესიული უფლება უნდა ჰქონდეს მას მოპოვებული თავისი განათლებით, პატიოსნებით, კეთილზნობითა, შრომისმოყვარეობით და სხვა საუკეთესო პიროვნული და პროფესიული თვისებებით.

ასევე მასწავლებელი, მისი სახეო შრომა სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მშობლების მიერ.

### თამა III. პიროვნე ბის ფორმირება

საკითხები:

1. პიროვნების ცნება;
2. თეორიები პიროვნების ფორმირების შესახებ;
3. ბიოლოგიური მემკვიდრეობითობის როლი პიროვნების ფორმირებაში;
4. სოციალური გარემოს ფაქტორი და პიროვნების ფორმირება;
5. აღზრდის ფაქტორი პიროვნების ფორმირებაში;
6. ასაკობრივი პერიოდიზაცია.

პიროვნება არის სამყაროს უნიკალური ქმნილება, რომელიც ჩამოყალიბებულია გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად, გარკვეული ადგილი უკავია საზოგადოებაში და ასრულებს თავის პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობას. პიროვნების საწყის ფორმას ბავშვი წარმოადგენს, რომელსაც თანდაყოლილი აქვს სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების პოტენციური შესაძლებლობა. პედაგოგიკის დანიშნულებაა ამ უნარების რეალურ ფაქტად გადაქცევა, პრაქტიკულ მოქმედებაში მოყვანა; იმ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიური და სოციალური ფაქტორების კოორდინირება ერთიან პედაგოგიურ სისტემაში საბოლოო, გენერალური პედაგოგიური მიზნის მისაღწევად.

პიროვნების ფორმირების პრობლემა არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან. ყოველთვის იყო საზოგადოებისა და მეცნიერთა მსჯელობის საგანი. ამ პრობლემით დაინტერესებული იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ-პედაგოგები, ფილოსოფოსები, ორატორები, მოგვიანებით ჩაერთნენ ფსიქოლოგები. ამ პრობლემის კვლევასა და ფართოდ გაშუქებაში დიდი წვლილი მიუძღვით ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს (დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) რომაელ



ორატორებს (სენეკა, ციცერონი, კატონ უფროსი, კატონ უმცროსი), პედაგოგიკის კლასიკოსებს ( მ.ფ. კვინტილიანე, იან ამოს კომენსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ადოლფ დისტერვეგი, კონსტანტინე უშინსკი, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ მაკარენკო, ვასილ სუხომლინსკი და სხვები.

მეცნიერთა ამ კვლევა-ძიებაში, პიროვნების ფორმირების პრობლემასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდა უამრავი თეორიები, რომელთა შორის გამოიკვეთა სამი ძირითადი თეორია, რომელთა ჩარჩოებში თავსდება დანარჩენი სხვა. ესენია: ბიოლოგიზატორული, სოციოლოგიზატორული და კონვერგენციული.

ბიოლოგიზატორული თეორია სათავეს შორეული წარსულიდან იღებს. პლატონი და არისტოტელე თვლიდნენ, რომ ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულება ბუნებით წინასწარ განისაზღვრება, რომ მონები და მონათფლობელები, ხელისუფალნი და ხექვეითნი დაბადებიდან არიან ამ მდგომარეობისათვის გამიზნულნი. XVI საუკუნეში აღმოცენდა ბიოლოგიზატორული თეორიის ახალი განშტოება – პრეფორიზმი, რომლის მიხედვით ადამიანს თითქოს ჩანასახშივე გააჩნია მომავალი პიროვნების ყველა თვისება, წინასწარ ჩადებულია მასში პროგრამა და მისი განვითარება ხდება სპონტანურად რაოდენობრივ და თვისობრივი ზრდით, (გადიდებით). პრეფორისტების მიხედვით, პიროვნების განვითარებაში გადამწყვეტი როლი მხოლოდ ბიოლოგიურ ფაქტორს ენიჭება და გამორიცხავს სოციალურ გარემოსა და აღზრდის ფაქტორს.

ბიოლოგიზატორული თეორია კიდევ უფრო განამტკიცა XX საუკუნის ფსიქოლოგიურმა მიმდინარეობამ, რომელიც ბიოჰეორიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ თეორიის ტიპური წარმომადგენელი ე. თორდაიკი ამტკიცებს, რომ ადამიანის ნიჭი და შეგნება განისაზღვრება მხოლოდ მემკვიდრეობით. ეს თვისებები ისე ეძლევა ადამიანს, როგორც ანატომიურ-ფიზოლოგიური მონაცემები, როგორც მაგალითად, თვალი, ხელები და სხვა. თორდაიკმა ადამიანი გენების ანუ “ბატარეის” კოლექციად გამოაცხადა და აღზრდისა და სხვა ფაქტორების როლი ნულამდე დაიყვანა.

პრაგმატისტული პედაგოგიკის მიმდევრები: ჯონ დიუ, ა. კობსი მხარს უჭერენ ბიოჰვიორისტებს იმის მტკიცებით, რომ თითქოს ადამიანის შინაგანი ბუნება არ ემორჩილება გარეგან ზემოქმედებას. მათი დასკვნების მიხედვით, საერთოდ არ რჩება ადგილი პიროვნების ფორმირების სხვა ფაქტორებს.

სოციოლოგიზატორული თეორია, კიდევ სხვა უკიდურესობაში ვარდება. ის რადიკალურად დაუპირისპირდა ბიოლოგიზატორულს. მას სოციალური გარემოს როლი აბსოლუტში აჰყავს და, საერთოდ უგუფვებლყოფს ბიოლოგიურ და აღზრდის ფაქტორს და პიროვნებას სოციალური გარემოს პროდუქტად აცხადებს. ამ თეორიის მახეში გაება პედაგოგიკის კლასიკოსი ჯონ ლოკი კეთილი მოტივებით. მან თავისი “სუფთა დაფის” თეორია გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში ბიოლოგიზატორების წინააღმდეგ იარაღად გამოიყენა. სინამდვილეში მას ძალიან კარგად ესმოდა პიროვნების ფორმირების პრობლემა, მისი სირთულე და სწორად განსაზღვრა კიდევაც საამისო გზები და საშუალებები, რასაც მოწმობს მისი უკვლავი პედაგოგიკური მემკვიდრეობა, განსაკუთრებით “ფიქრები აღზრდაზე”.

ორივე თეორიას ახლავს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ სრულფასოვან პიროვნების ფორმირებაში ერთიც აუცილებელია და მეორეც, ოღონდ ურთიერთ მჭიდრო კავშირში და არა ცალ-ცალკე ან ერთი, ან მეორე. ორივე ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელია აღზრდა. ამ ცალმხრივობისა და სხვა ფაქტორებიდან იზოლირების გამო მცდარია აღნიშნული თეორიები – ერთიც და მეორეც. ორივე თეორია ემსახურება საზოგადოებაში გაბატონებული კლასების ინტერესებს, სოციალური უთანასწორობის, ექსპლუატატორული წყობილების გამართლება-განმტკიცებასა და გახანგრძლივებას.

ბილოგიზატორული თეორია უდევს საფუძვლად რასიზმის სამარცხვინო თეორიას.

არანაკლებ ზიანი მიაყენა ევოლუციურმა თეორიამ პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებას. ხელი შეუშალა პიროვნების ფორმირების შესახებ სწორი ობიექტური თვალსაზრისის ჩამოყალიბებას. დარვინის მაიმუნის

გაადამიანების ევოლუციური თეორიის განმტკიცებას ხელი შეუწყვეს მისმა მიმდევრებმა. სტივენ ჯეი გოულდენმა თქვა: “ადამიანები განვითარდნენ მაიმუნისმაგვარი წინაპრებისაგან”. ამასვე ამტკიცებს ჯორჯ გეილორდი: “ადამიანთა წინაპარი იყო ადამიანისმაგვარი მაიმუნი.” სამწუხაროდ, ჩვენს გვერდითაც არიან ადამიანები, რომლებიც დღესაც ამავე შეხედულებას იზიარებენ. მაშინ ისმის კითხვა: სად არის დღეს ის ადამიანისმაგვარი მაიმუნი? ნუთუ მხოლოდ ისინი ამოწყდნენ?

ადამიანის წარმომავლობის ისტორიას თვითონ ყოვლისშემოქმედი ღმერთი გვატყობინებს ბიბლიის მეშვეობით. ბიბლიის პირველი წიგნიდანვე ვიგებთ ჭეშმარიტ ინფორმაციას, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანთა პირველი წყვილი: ადამი და ევა თავის ძესთან – იესო ქრისტესთან ერთად თავის მსგავსად და ხატად შემეცნების, სიყვარულისა და გამრავლების უნარით: “და თქვა ღმერთმა: “ შექმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და მსგავსად” (დაბადება 1:26) და “ შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი” (დაბადება 1:17). უწოდა მათ სახელად ადამი და ევა. ედემის ბაღში ანუ სამოთხეში დაასახლა ისინი, აკურთხა და ასეთი დაგალება მისცა: “ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ცაში ფრინველს, ზღვაში თევზს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დადის” (დაბადება 1:28). ამ დაგალების შესრულება ნამდვილად არ შეეძლო მაიმუნს. უფრო მეტიც, ადამი და ევა რომ აზროვნებისა და მეტყველების უნარით იყვნენ აღჭურვილი, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ღმერთმა ადამს დაავალა ცხოველებისა და ფრინველებისათვის სახელების შერქმევა: “ და უფალმა ღმერთმა მიწისგან გამოსახა ყველა ცხოველი მინდვრისა და ყველა ფრინველი ცისა და მიიყვანა ადამთან, რათა ეხილა, რას უწოდებდა მათ: და რასაც უწოდებდა ადამი ყოველ ცოცხალ არსებას, იგი იქნებოდა სახელი მისი.” “და უწოდა ადამმა სახელები ყველა პირუტყვს, ციურ ფრინველთ და მინდვრის ყველა ცხოველს” (დაბადება 2:19,20).

ადამიანთა პირველი წყვილის გონიერებისა და მეტყველების უნარზე მიუთითებს აგრეთვე დიალოგი ღმერთსა და მათ შორის. მაგალითად: “გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და

ბორორტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები;” “დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ სადა ხარ?

მიუგო: “შენი ხმა მომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ და დავიმაღლე.

უთხრა: ვინ გითხრა შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?

უთხრა ადამმა: “შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე.

უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე?

თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე” (დაბადება3:9-14).

ადამს ასევე სიტყვიერი ურთიერთობა ჰქონდა ევასთან.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ადამი მეტყველებდა, სხვის მეტყველებასაც იგებდა და თავადაც აწარმოებდა სიტყვებს. აქ პირდაპირ ნათელია, რომ მეტყველება ევოლუციის ნაყოფი არ არის. იგი მზად მიეცა ღვთისგან კაცობრიობას. იაკობის 1:17-ში წერია: “ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისგან.”

ღმერთი გვიცხადებს, რომ ყველაფერი თავის გვარისდამისხედვით წარმოიშვა. “და შექმნა ღმერთმა ცხოველნი მიწისა მათი გავარისამებრ, და პირუტყვი – მისი გვარისამებრ, და ყოველი ქვეწარმავალი მიწისა – მისი გვარისამებრ” (დაბადება1:26). და, თუ ჭიანჭველა ჭიანჭველისგან, ირემი ირმისგან, არწივი არწივისგან, ხახვი ხახვისაგან და ა. შ. წარმოიშვა, მაშინ რაღა ადამიანი, ეს უნიკალური და უმშვენიერესი, გონიერი, მოაზროვნე, მეტყველი, შემოქმედი არსება წარმოიშვა ყველაზე უსახური და მდაბიო ცხოველის – მაიმუნისაგან.

ცნობილია, რომ სოლომონ ბრძენზე უფრო დიდი კაცობრიობას არ ჰყოლია არც მანამდე და არც მის შემდეგ. ევოლუციის თეორიის მიხედვით კი სამი ათასი წლის შემდგომი ადამიანები სამი პროცენტით მაინც უფრო უკეთესნი არ უნდა ვყოფილვიყავით?!

მაშ,ახლა მივეყვით ლოგიკას. ღმერთმა ადამიანთა პირველი წყვილი – ადამი და ევა შექმნა სრულყოფილი, სოლომონიც

ჯერ კიდევ ძვ/ად XI-X საუკუნეებში საკმაოდ სრულყოფილად გამოიყურება მისი დროის კვალობაზე, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენს დროში, XXI საუკუნეში მცხოვრებზე. ამის თქმის საფუძველს იძლევა მსოფლიოში გამძვინვარებული ბოროტება, ძალადობა, უსამართლობა, სიძულვილი, უფრო მოკლედ, ეგოცენტრიზმი, მატერიალიზმი, კორუფცია და ასეულ ათასობით მეტასთახებივით მოღებული ცრუ რელიგია და ა.შ. ადამიანი თავისი უნიკალური ანატომიურ-მორფოლოგიური სტრუქტურით, სხეულის ნაწილთა განლაგებითა და ფუნქციონალური კავშირებით, ინტელექტუალური შესაძლებლობითა და სხვადასხვა სასწაულებით ცხადყოფს, რომ ის უდიდესი საყვარულით, სიბრძნითა და გონიერებით არის შექმნილი და ასეთი შემოქმედი ღვთის გარდა ვინ უნდა ყოფილიყო. სწორედ, ადამიანის შექმნის შესახებ მცდარმა შეხედულებამ მიიყვანა კაცობრიობა სულიერ, ზნეობრივ და ფიზიკურ დეგრადაციამდე. ევოლუციის თეორიამ ადამიანს აფიქრებინა, რომ თუ მაიმუნისგან ვარ, ახლა მასზე ბევრად მაღლა ვდგევარო და მიეცა თვითკმაყოფილებას, მაგრამ, მერე იფიქრა, ვაი, თუ ღვთისგან ვარ მის ხატად და მსგავსად შექმნილი, მაშინ მას ხომ ბევრად ჩამოვრჩებიო. ცოტა დაფაცურდა და აღზრდას, განათლებას უფრო სერიოზულად მიუდგა, მაგრამ ერთეულთა მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც ღღეს ცხადზე უცხადესია.

ახლა განვიხილოთ პიროვნების ფორმირების კონვერგენციული თეორია. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, კონვერგენცია ლათინური სიტყვაა, რაც ნიშნავს მსგავსებას, დაახლოებას, მეცნიერული გაგებით, გარკვეულ სისტემათა კომბინაციას, ერთ მთლიანობად შეკავშირებას. ამ შემთხვევაში კონვერგენციის თეორია გულისხმობს პიროვნების ფორმირების ბიოლოგიურ, სოციალურ და აღზრდის ფაქტორთა ურთიერთგანპირებულობის კანონზომიერებას, რომელიც თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გამართლებულია.

პიროვნება ბიო-სოციალური არსებაა. ბიოლოგიურია მასში ის ცხოველური დეტერმინანტი, რომლის შექმნაში სუბიექტი ვერ იღებს მონაწილეობას. იგი მას ეძლევა მემკვიდრეობით, როგორც ბუნებრივი ფონდი. რა იგულისხმება ბიოლოგიურ

დეტერმინანტში? ის, რაც საერთოა ადამიანსა და ცხოველს შორის? ეს არის ანატომიურ-მორფოლოგიური სტრუქტურა, სხეულის ნაწილები, ფიზიკური და ზოგიერთი ფსიქიკურ უნარები: მოძრაობა, კვება, გამრავლება, ძილი, შეგრძნებები, ინსტიქტები და სხვა. ადამიანს არ შეუძლია ამ დეტერმინანტში რაიმე ცვლილებების შეტანა. თუნდაც ერთი ღერი თმის, ან კბილის ამოყვანა, მესამე თვალის ან ხელის დამატება, გადაადგილება ცი. აბა, წარმოიდგინეთ ერთი წუთით და სხეულის რომელიმე ნაწილი, მაგალითად, თვალი ან ცხვირი წარმოსახვაში გადაადგილეთ. რას იგრძნობთ? სიმახინჯეს, ტკივილს, უფუნქციობას ან შეიძლება, საერთოდ საბედისწერო აღმოჩნდეს. მოკლედ, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენი სხეულის თითოეული ნაწილის, აი, თუნდაც თვალის შესაძლებლობა. მხედველობისა და სილამაზის ეს უნიკალური ორგანო ხედავს ყველაფერს, რაც მის ირგვლივაა; შეიგრძნობს ფორმას, ზომას, ფერს, რაოდენობას, მოცულობას, სიმაღლეს, სიდაბლეს, სისუსტეს, სიგამხდრეს, სიმსუქნეს, მოძრაობას, მიმიკას, უესტიკულაციას, შესაბამისობას, შეფარდებას, მსგავსებას, განსხვავებას, პროპორციას, სიმეტრიას და ა. შ. თვალი 80%-მდე ინფორმაციას აწვდის ტვინს მხედველობითი ანალიზატორების საშუალებით.

ტვინი, რომელიც მაქსიმუმ 1500 გრამს იწონის, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობა განუსაზღვრელია. იგი ყოველთვის მზად არის, ძილის გარდა, განუწყვეტლივ მიიღოს, გადაამუშაოს და საიმედოდ შეინახოს განუსაზღვრელი რაოდენობისა და შინაარსის ინფორმაციები და საჭიროების მიხედვით მიაწოდოს მის ფლობელს.

ნერვული სისტემის მოქმედება ხომ გამოგნებელია. გული?! ეს პატარა სხეული, რომელიც 4 ტონა სისხლს ტუმბავს დღე-ღამის განმავლობაში, სამედიცინო მეცნიერებაც კი უძღურია, ჩაწვდეს მის საკვირველებას.

სხეულის ნებისმიერი ნაწილის, თუნდაც პატარა თითის გაჭრასაც კი შეიგრძნობს მთელი სხეული, ტკივილი და უძღურება შეაწუხებს, რაც სხეულის ნაწილთა ურთიერთკავშირს, ურთიერთგანპირებულობასა და ურთიერთდამოკიდებას

გვამცნობს, მის ერთმთლიანობაზე, სისტემატურობაზე მეტყველებს. ასეთი უზუსტესი და მტკიცედ მოწესრიგებული, გონიერი და შემეცნებელი სისტემა შეუძლებელია გონიერი და ბრძენი შემოქმედის გარეშე, მექანიკურად და ევოლუციის გზით შექმნილიყო.

შემეცნების, აზროვნებისა და მეტყველების თანდაყოლილი უნარი წარმოადგენს ადამიანში სოციალურობის ჩანასახს, მის სრულ ფასოვან პიროვნებად აღზრდის პოტენციურ შესაძლებლობას, რითაც იგი განსხვავდება ცხოველისაგან, დანარჩენი სამყაროსაგან.

ამრიგად, ის რაც მოიაზრება ბიოლოგიურ დეტერმინანტში, წარმოადგენს პიროვნების აღზრდისა და ფორმირების ბიოლოგიურ ფაქტორს.

სოციალური დეტერმინანტი, ბიოლოგიურისგან განსხვავებით, აღზრდის საშუალებით შეიძინება მემკვიდრეობით მიღებულ უნარებზე დაყრდნობით. ამიტომ, გარკვეული მოსაზრებით შეიძლება ითქვას, რომ თავისი სოციალური დეტერმინანტის შემოქმედი თვით ადამიანია. მას შეუძლია გახდეს ღირსეული ან უღირსი პიროვნება. ამაშია ადამიანის ღვთითობობებული არჩევანის თავისუფლება.

სოციალურ დეტერმინანტში იგულისხმება ის, რაც შეიძინება სწავლა-აღზრდისა და გამოცდილების გზით. ეს არის განათლება, შეგნება, მეტყველების კულტურა, პროფესია, ზნეობა, ესთეტიკა, სულიერობა, ურთიერთობის კულტურა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება, შრომითი უნარ-ჩვევები და ა.შ.

მაგრამ ეს ავტომატურად არ მოხდება. სოციალური დეტერმინანტის შექმნა არის ურთულესი, ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი. აღსაზრდელზე ბიოლოგიური, სოციალური და პედაგოგიური ფაქტორების ერთიანი, კომპლექსური და მიზანმიმართული ზემოქმედების შედეგი, რომელიც პედაგოგიკაში კონვერგენციული თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი.

მაშასადამე, ჭეშმარიტია კონვერგენციის თეორია, რომელიც აღიარებს სამივე – ბიოლოგიურ, სოციალური გარემოსა და აღზრდის ფაქტორების ერთიანობის, ურთიერთგანპირებულობის ობიექტურ კანონზომიერებას.

იან ამოს კომენსკიმ ახალშობილი მცენარის თესვს შეადარა, რომელიც თავისთავში შეიცავს უხილავ ნაწილებს: ფესვს, ტანს, ტოტებს, ფოთლებს, ყვავილებს, ნაყოფს, რომელნიც გარკვეული გარეგანი პირობების გავლენით თანდათანობით გამოვლინდებიან უზარმაზარი ხის სახით, რომელიც იმდენჯერ იმდენ ნაყოფს მოისხამს, რომლის დათვლა კაცს არ ძალუძს. ამის თვალსაჩინო მაგალითად ვაშლის ხეც საკმარისია. აქედან ნათელია, რომ თესლი თავისთავად, შესაბამისი ბუნებრივი პირობებისა და მზრუნველობის გარეშე, მხოლოდ თესლად დარჩება და მისი მემკვიდრეობით მიღებული პოტენციური შესაძლებლობა უკვალოდ გაქრება.

ასევეა აღსაზრდელიც. მასში ღვთისგან ჩადებულია სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების ინტელექტუალური უნარები, რომელსაც სათანადო პირობებში მის განვითარებას საზღვარი არა აქვს. ადამიანი მემკვიდრეობით მიღებული გრძნობის ორგანოებით უკავშირდება გარსამყაროს და არაფერია მასში, რომლის შემეცნება არ შეეძლოს მას ამ შეგონების ანალიზატორების წყალობით. მართალია, შემეცნების უნარი ინდივიდუალურია, რომლის გათვალისწინებას გულისხმობს სწორედ, ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონი.

ამრიგად, ბიოლოგიური ფაქტორი იძლევა საშუალებას, პედაგოგიკამ სწორად განსაზღვროს აღსაზრდელის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები და მის შესაბამისად შეიმუშაოს სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებათა სისტემა.

სოციალური გარემო თავისი მრავალფეროვანი: მეგა, მაკრო, მეზო თუ მიკრო სფეროებით ერთერთი (და არა ერთადერთი, როგორც ეს სოციოლოგიზატორებს მიაჩნიათ) მძლავრი ფაქტორია პიროვნების განვითარებასა და ფორმირებაში. მიწიერი და ზეციერი ფაქტორების პედაგოგიური ასპექტების მეცნიერული გააზრება და მისი სასკოლო პრაქტიკაში გამოყენება, მასწავლებლისგან მოითხოვს პედაგოგიურ მეცნიერებათა თეორიულ ცოდნასა და პედაგოგიურ ხელოვნებას, ღრმა ლოგიკურ აზროვნებას და აუცილებლად დიდ სულიერობას.

სოციალურ გარემოს მიწიერ ფაქტორებში იგულისხმება ის გარემომცველი სინამდვილე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი.



მაგალითად: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური წყობა, ეროვნული კულტურა, რელიგია, იდეოლოგია, წესჩვეულებები, ტრადიციები, გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო, მიგრაციული და ემიგრაციული პროცესები, დემოგრაფიული პრობლემები, სოციალური ინსტიტუტები: განათლების სისტემა, ოჯახი, საკომუნიკაციო საშუალებანი, მულტმედია და ა. შ. ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მეგაფაქტორები: კოსმოსი, პლანეტა, სამყარო, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მიზიდულობის კანონი პიროვნების ფორმირებაზე.

მოწესრიგებული სოციალური გარემო, მაღალ კულტურული დონე ქმნის ხელსაყრელ პირობებს ყოველმხრივ ჰამონიულად, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად განვითარებული სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამ პირობებს, მოწესრიგებულ სოციალურ და ბუნებრივ გარემოს, სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს ქმნიან, სწორედ ეს სრულყოფილი პიროვნებები. მსოფლიოს შვიდი ხელთქმნილი საოცრება, უდიდესი მიღწევები მეცნიერებაში, ტექნიკაში, კულტურაში, ხელოვნებაში დვთის ნებით ადამიანის თავით, გულითა და ხელით შეიქმნა, რაც ადამიანის დვთისნიერებაზე მიუთითებს. ეს არის გაცემა-მიღების ეკონომიური კანონი. რაც უფრო მეტი დაიხარჯება განათლებაში, მით უფრო მაღალი იქნება საზოგადოების განვითარების დონე.

პიროვნების ფორმირების მესამე და გადამწყვეტი ფაქტორია აღზრდა, პედაგოგიური ფაქტორი. აღზრდა პედაგოგიური გაგებით ნიშნავს მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ პედაგოგიურ ზემოქმედებას აღსაზრდელზე მისი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით. პედაგოგიკა ახდენს აღსაზრდელზე ზემოქმედების ფაქტორების, გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი, სტიქიური და ბუნებრივი პროცესების პედაგოგიურ სისტემაში მოყვანას და აღზრდის სამსახურში ჩაყენებას, ხოლო პრაქტიკოსი მასწავლებელი კი – მის პრაქტიკულ რეალიზაციას, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ლოგიკურ თანხვედრას სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებისათვის საჭირო პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პირობების შესაქმნელად. აღზრდის უდიდეს მნიშვნელობასთან

დაკავშირებით რუსი ფიზიოლოგი და ფსიქოლოგი ი. სეჩენოვი წერდა: “1000-დან 999 შემთხვევაში ფსიქოლოგიური შინაარსის ხასიათი ადამიანს ეძლევა აღზრდის საშუალებით, . . . ხოლო 1000-დან 1 შემთხვევა დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ თავისებურებაზე” (სეჩენოვი. მ. რჩ. ფილ. და ფსიქ. თხზ. მ., 1974, გვ.176); ი. ხარლამოვი წერს: “აღზრდა ასრულებს გადამწყვეტ როლს პიროვნების განვითარებასა და ფორმირებაში. მხოლოდ აღზრდის საშუალებით ხორციელდება ადამიანის განვითარებისა და პიროვნული თვისებების ფორმირების სოციალური პროგრამა”(ი. ფ. ხარლამოვი. პედაგოგიკა. მ. 1999, გვ.78). ახლა ვნახოთ აღზრდისა და ბიოლოგიური ფაქტორის შესახებ I საუკუნის მეცნიერ-პედაგოგისა და ორატორის მ. ფ. კვინტილიანეს მოსაზრება. თავის წიგნში “ორატორის დარიგებანი” იგი სვამს ასეთ კითხვას: რა არის მთავარი ორატორის აღზრდაში – ნიჭი თუ აღზრდა? და თვითონვე იძლევა პასუხს: ნიჭიც და აღზრდაც და იქვე განაგრძობს: “თუ ამ ორ მომენტს ერთმანეთისაგან განვაცალკევებთ, ნიჭს შეუძლია ბევრი რამის გაკეთება, მაგრამ მხოლოდ სწავლება ნიჭის გარეშე ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ხოლო მათი ერთად მოქმედების შემთხვევაში მჭევრმტყველური უნარის გამოვლინებას ბუნების დამსახურებად მივიჩნევ და, თუ ორატორული ხელოვნების უმაღლეს მიღწევებთან გვაქვს საქმე, აღზრდას მივანიჭებ უპირატესობას”. ასე მაგალითად, “უნაყოფო მიწა – წერს კვინტილიანე – ვერაფერს მისცემს საუკეთესო მიწათმოქმედსაც კი, ხოლო ნაყოფიერ მიწაზე რაიმე სასარგებლო მაინც გაიზრდება მისი დამუშავების გარეშეც . . . მაშასადამე, თუ მიწაც ნაყოფიერია და მიწათმოქმედიც იზრუნებს მის კარგად დამუშავებაზე, მოსავალიც ბევრად მეტი და ხარისხიანი იქნება”. ბიოლოგიური ფაქტორის ხარისხი რომ განსაზღვრავს აღზრდის შედეგის ხარისხსაც, ამის დასადასტურებლად სხვა მაგალითიც მოჰყავს მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს არგუმენტად: “თუ მოქანდაკე პრაქსიტელმა სტატუეტკა უხეში ქვისგან გამოთაღა, ის დაბალი ხარისხის იქნება, მაგრამ თუ ის მარმარილოს ქვისგან გამოთაღა, იგი ძვირფასი გამოვა. მაშასადამე, – ასაკენის ავტორი – “ბუნება არის მასალა, ხოლო მეცნიერება მხატვარი. ეს უკანასკნელი

აძლევს მას სახეს, ფორმას, ხოლო ის პირველი მას ღებულობს.” როგორც ვხედავთ, კვინტილიანეს მიხედვით, ბუნებრივი, მემკვიდრეობით მიღებული მონაცემები და შესაბამისი აღზრდა განაპირობებს პიროვნების ფორმირებას.

არც თანამედროვე პედაგოგიკა პიროვნების განვითარებასა და ფორმირებას არ განიხილავს როგორც სოციალური გარემოსა და აღზრდის ზემოქმედების რაღაც პასიურ ობიექტს. პირიქით, ცნობს თვით პიროვნების აქტიურობის, მის ზემოქმედებით-გარდამქმნელი მოქმედების როლს მისსავე სოციალიზაციაში. მოსწავლის შინაგან დამოკიდებულებას მასზე გარეგანი ზემოქმედების ძალისადმი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდის ობიექტის გასუბიექტებაში. განვითარების მამოძრავებელი შინაგანი და გარეგანი ძალების ურთიერთჭიდილი, მათ შორის არსებული წინააღმდეგობა გვევლინება მოსწავლის აქტივიზაციის წყაროდ. მოსწავლეს გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთობაში უჩნდება სოციოგენური მოთხოვნები: სწრაფვა დიდობისაკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისაკენ, სურვილი იმისა, რომ ენდობოდნენ, ანგარიშს უწევდნენ, აფასებნენ, აწინაურებდნენ, ყურადღებას აქცევდნენ და ა. შ. მაგრამ მას მოცემულ მომენტში არ შეუძლია ამ მოთხოვნების ერთბაშად დაკმაყოფილება თავისი ასაკობრივი მდგომარეობისა და მომზადების დონის, საამისო ინფორმაციული დეფიციტის გამო. მაშასადამე, უკვე სახეზეა ორი დაპირისპირებული მხარე, განვითარების მამოძრავებელი ძალები: შინაგანი წინააღმდეგობა და გარეგანი წინააღმდეგობა, რომელთა დაძლევა მოითხოვს გარკვეულ დროსა და ძალისხმევას, შესაბამისი ჭეშმარიტი ინფორმაციების მიღებას სწავლა-აღზრდის საშუალებით და, რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია შემეცნების პროცესი, მით უფრო დროულად დაიძლევა ეს წინააღმდეგობა, რომლის შედეგად მიიღწევა სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილება, მისი რაოდენობრივი ცვლილების ხარჯზე თვისობრივი ცვლილება, განვითარების დონის ამაღლება და ახალი ინტელექტუალური მოთხოვნების გამოწვევა და ისევ აქტიურობა მის დასაკმაყოფილებლად.

პედაგოგიკის დანიშნულებაა ნდომა-სურვილსა და მის დაკმაყოფილებას შორის შექმნილი წინააღმდეგობის დასაძლევად შესატყვისი პედაგოგიურ და ფსიქოლოგიური პირობების შექმნა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისეთი მეცნიერული ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქციების რეალიზაცია, პედაგოგიური პროცესის სისტემების: საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ალგორითმული კოორდინაცია-ინტეგრაციის გზით. მეცნიერებათა საფუძვლებისა და საგანთაშორისი კავშირების გაგება-ათვისება, დიდაქტიკური თამაშობები, შრომითი საქმიანობა, სპორტი, ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, საგნობრივი და მხატვრულ-შემოქმედებითი – პოეზიის, მუსიკის, მხატვრობის, ქორქეოგრაფიის წრეები, პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები და სხვა პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემები მიზნობრივად, გააზრებულად და შემოქმედებითად უნდა იქნეს გამოყენებული. ამ ურთულესი და აუცილებელი პროცესების სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, კოორდინატორი, კ. უშინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, “მთავარი ფიგურა” არის მასწავლებელი. ამ ჭაპანის გასაწვევად მასწავლებელს სჭირდება მძლავრი მუხტი, დაუშრეტელი ენერჯია, ეკონომიური, ფსიქოლოგიური, მორალური სტიმულები. სამაგიერო კურთხევები იქნება ღირსეული ახალი თაობა – ნათელი, მშვიდობიანი და ბედნიერი მომავალი ერისა და ქვეყნისა.

ასაკობრივი პერიოდიზაცია. პიროვნების ფორმირების ურთულესი გზა არ არის სწორსაზოვანი. იგი მოიცავს ბუნებრივად განსაზღვრულ ეტაპებს, რომელსაც ასაკობრივ პერიოდიზაციას უწოდებენ. ამ პრობლემას ყურადღება მიაქცია ძვ/ად. XI-X საუკუნეში სოლომონ ბრძენმა. მან დაწერა: “ყმაწვილი თავის გზის დასაწყისში გაწვრთვენი და იგი სიბერეშიც არ გადაუხვევს მას” (სოლომონის იგავები 22:6). შემდეგ ეს დებულება განავითრა არისტოტელემ და სრულყვეს პედაგოგიკის კლასიკოსებმა (მ.ფ. კვინტილიანე, იან ამოს კომენსკი, ჯ.ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ა. დისტერვეგი კ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი და

სხვ.). XX საუკუნეში მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია გარკვეული ცვლილებები, გაფართოვდა საინფორმაციო კომუნიკაციური საშუალებები, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში ჩართვამ დაახარა აქსელერაციის პროცესი, რაც ასაკობრივ პერიოდიზაციაზეც აისახა. ამ ცვლილებების დადგენის სრულ სურათს იძლევა მის ისტორიულ ასპექტში შესწავლა. მაგალითად, არისტოტელემ აღსაზრდელის განვითარება სამ პერიოდად დაყო 7 წლიანი ინტერვალებით, მათთვის დამახასიათებელი განვითარების ნიშნებით: 0-7 წლამდე – ინტენსიური ფიზიკური და ფსიქიკური ზრდა; 7-14-მდე – ჭაბუკობა; 14-21 წლები – სქესობრივი მომწიფება ასაკის შესაბამისი ზნეობის, ესთეტიკის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ელემენტების გათვალისწინებით.

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელმა მ.ფ. კვინტილიანემ ბავშვის განვითარების ასაკობრივი პერიოდი განსაზღვრა მისი გონებრივ-ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით. ამ შესაძლებლობების განსხვავებული დონეების გამო მთლად ზუსტ ასაკობრივ ზღვარს არ ავლებს. სკოლამდელ ასაკს დაბადებიდან 6-7 წლამდე შეუფარდა ოჯახური აღზრდა; 6,7-დან 11,12 წლებს – ელემენტარული ანუ დაწყებითი სკოლა; 11,12–15,16 წლებს – გრამატიკული სკოლა; 15,16 წლიდან ახალგაზრდა სურვილისამებრ უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებდა სწავლას. ვისაც მჭევრმეტყველების ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ის შედიოდა კვინტილიანეს მიერ დაარსებულ რიტორიკულ სასწავლებელში, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 5 წლით განისაზღვრებოდა. მაშასადამე, მეოთხე პერიოდი 16,17-20,21 წლით შემოიფარგლებოდა. კვინტილიანეს ყველა ასაკობრივი პერიოდისათვის განსაზღვრული აქვს შესატყვისი პედაგოგიური მიდგომა თავის უნიკალურ პედაგოგიკურ თხზულების 12 ტომიან წიგნში “ორატორის დარიგებანი”. კვინტილიანეს მიხედვით, სასკოლო ასაკი ბავშვის სწავლისათვის მომზადების დონით განისაზღვრებოდა და არა წლებით. ეს წელი შეიძლება ყოფილიყო 6 ან 7.

საინტერესოა კომენსკისეული ფიგურალური ასაკობრივი პერიოდიზაცია. მან აღამიანის ასაკი შეადარა წელიწადის

დროებს: ბავშვობა – გაზაფხულს, ახალგაზრდობა – ზაფხულს, ზრდასრულობა ანუ მოწიფულობა – შემოდგომას, სიბერე – ზამთარს. აღსაზრდელის ასაკობრივ პერიოდიზაციას კომენსკიმ 6 წლიანი ციკლი დაუდო საფუძვლად და დაბადებიდან 24 წლამდე მოაქცია 4 პერიოდში და შეუფარდა სკოლის 4 საფხური: დედობრივი სკოლა, ყრმობას – მშობლიური ენის სკოლა, სიტაბუკეს – გიმნაზია და მოწიფულობას – აკადემია (უმადლესი სასწავლებელი).

არც ქან-ჟაკ რუსოს დაუტოვებია ეს პრობლემა უყურადღებოდ. აღსაზრდელის განვითარების მისეული ასაკობრივი პერიოდიზაციის მთლიანი გაზიარება დღეს არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, მაგრამ მასში მთავარია პრინციპი ბავშვის განვითარების ბიოლოგიურ და სოციალურ საფუძველზე ასაკობრივ პერიოდად დაყოფისა, რომელიც ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. ეს პერიოდებია: 0-2 წელი, ინტენსიური ფიზიკური ზრდა; 2-12 წლები – გონებრივი ზრდა; 12-15 წლები – ფსიქიკური ძალების განვითარება და, ბოლოს 15-18 წლებს “ქარიშხლისა და ვნებათა” წლებს უწოდებს და თვლის ზნეობრივი და სქესობრივი მომწიფების პერიოდად.

ქართული პედაგოგიკის სინამდვილეშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბავშვის განვითარების ასაკობრივ პერიოდიზაციას. მაგალითად, სულხან საბა ორბელიანსაც ჰქონდა გარკვეული მცდელობა ამ პრობლემის გაშუქებისა, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აღზრდაში ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების პრინციპს. სწორედ ამ პედაგოგიურ პრინციპზე ააგო მან თავისი უკვდავი სასკოლო სახელმძღვანელოები და კლასგარეშე საკითხავი საბავშვო ლიტერატურა.

თანამედროვე პედაგოგიკაში, რომელიც ეყრდნობა კლასიკურ და თანამედროვე პედაგოგიურ მიღწევებს, მიღებულია შემდეგი ასაკობრივი პერიოდიზაცია: სკოლამდელი, დაბადებიდან 6 წლამდე თავისი ეტაპებით: ჩვილობა, სკოლამდელის წინა და სკოლამდელი ასაკი; სასკოლო ასაკი: უმცროსი სასკოლო – 6-10; საშუალო სასკოლო ასაკი – 10-15; უფროსი სასკოლო ასაკი – 15-18 წლები.

ასაკობრივი თავისებურება ძირითადად საერთოა ერთნაირი ასაკის ბავშვებისათვის ერთნაირ პირობებში, უმეტესად გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკური განვითარების სფეროში და ეს მსგავსება განპირობებულია ერთიანი სასწავლო გეგმებითა და თემატური პროგრამებით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ერთიანი ორგანიზაციული ფორმებით, ერთიანი ცოდნის წყაროებით ა. შ. მიუხედავად ამ ერთიანი მოთხოვნებისა და პედაგოგიური პირობებისა, თვით კლასელებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან განვითარების დონით. სწორედ ამ სხვაობაში გამოიხატება მათი ინდივიდუალური თავისებურებები, როგორც ბუნებრივი ფსიქიკური თვისებების სპეციფიკურობა. მაგალითად: ცენტრალურ ნერვული სისტემის ტიპი, ხასიათი, ტემპი, რიტმი, ტვინის ამღვზნები და შემკავებელი პუნქტების ჰარმონიულობა, ნიჭიერება, ათვისების ხარისხი, მეხსიერება, ნებისყოფა, ყურადღება და ა. შ. ეს ღვთით ბოძებული უნარები ყველას განსხვავებული ხარისხით აქვს. განსხვავებული ოჯახური და სხვა სოციალური, ეკონომიური პირობებიც აღრმავებს ბიოლოგიურ და სოციალური დეტერმინანტის სხვაობას.

ასაკობრივი სხვაობა ძირითადად მკაფიოდ გამოიხატება ასაკობრივ მონაკვეთებში. სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარების დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია ინტენსიური ფიზიკური ზრდა, მეტყველების უნარის გამოვლინება, მოჭარბებული ცნობისმოყვარეობა, მიმბაძველობა, კონკრეტული აზროვნება, მინდობა და ა. შ. გარესამყაროსადმი ბავშვის ინტერესი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული პედაგოგიური მიზნისათვის. მრავალმხრივი შეგროვნებით შთაბეჭდილებების მოხდენა, ლექსიკური მარაგის, წარმოდგენებისა და წარმოსახვების გამდიდრება ახდენს ფსიქიკურ ცვლილებებს, კონკრეტული, სახიერი აზროვნების წიაღში აბსტრაქტულ და ლოგიკური აზროვნების ელემენტების განვითარებას. ამ ასაკში მასწავლებელი ბავშვისთვის წარმოადგენს ავტორიტეტს, მის სიტყვას კანონის ძალა აქვს. ის ბაძავს საყვარელ მასწავლებელს, ამიტომ მიბაძვის ობიექტი ყოველმხრივ უზადო უნდა იყოს. ლექსები, ზღაპრები, საბავშვო მოთხრობები, გამოცანები, რებუსები, სურათები, გასაფერადებელი

ნახატები, პარკები, ცირკი, ზოოპარკები, მულტიფიკაციური ფილმები პლასტელინით ძერწვა და ა. შ. ეს არის აღზრდის უნიკლური საშუალებები.

სკოლამდელი ასაკის ბავშვის საქმიანობის მთავარი სახეა თამაში. დიდაქტიკური თამაშები ბავშვს უნვითარებს შრომით უნარ-ჩვევებს, აზროვნებას, ურთიერთობის ელემენტარულ კულტურას, სისხარტესა და მოქნილობას, ხელს უწყობს სკოლისათვის მომზადებას.

დასაბამიდანვე ცნობილია შრომის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. შრომა თამაშისგან თავისი შედეგით განსხვავდება. შრომა, თუ ბავშვის ასაკის, სქესის და ფიზიკური შესაძლებლობის შესატყვისად და მიზანმიმართულად არის ორგანიზებული, იგი საფუძვლად ედება გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდასაც. ამ ასაკში უფრო მეტად მშობლები და ოჯახური კულტურა ახდენს დიდ გავლენას. სკოლამდელ ასაკში ეყრება საფუძველი აღზრდის ყველა ელემენტებს. ამ საფუძვლის სიმტკიცე და ხარისხი განაპირობებს მის შემდგომ განვითარებას.

უმცროს სასკლო ასაკში იცვლება ბავშვის სოციალური მდგომარეობა. მას აქ ენიჭება მოსწავლის სტატუსი, რაც მისთვის საზოგადოებრივად ღირებული მოვლენაა. მთელი 6 წელი ემზადებოდა ის ამისათვის. და, აჰა, დადგა მისთვის ეს სანატრელი დღე – პირველი სექტემბერი! ახალი გარემო, უცნობი პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლეთა წრე, უცნობი გარემოცვა – ადვილი არ არის ადაპტაცია. სკოლა ისე უნდა დახვდეს ახალბედებს, რომ მინიმალური პრობლემებით მოახერხონ მათ ახალ მდგომარეობასთან შეგუება, პირველი აღტაცებისა და სიხარულის შენარჩუნება. სკოლამ იმედები არ უნდა გაუცრუოს ბავშვს. სკოლაში რომ შემოდის ბავშვი, მას თან მოაქვს გარკვეული ცოდნა-გამოცდილება, “მორალური კოდექსი,” ერკვევა ბუნებასა და ადამიანებთან ურთიერთობის ნორმებსა და წესებში. იმთავითვე უნდა დაადგინოს მასწავლებელმა მოსწავლის განვითარების ფაქტიური დონე, მისი შესაძლებლობები, მიდრეკილებები და ინტერესები, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები და მდგომარეობის შესატყვისად განსაზღვროს პედაგოგიური



ამოცანები და მეთოდები. მოსწავლემ სკოლაში ახალ ამბლუაში უნდა იგრძნოს თავი აუცილებლად, რომ არ გაუქრეს წინანდელი მგზნებარება. ყოველ გაკვეთილზე, ყოველ პედაგოგიურ ღონისძიებებში უნდა გრძნობდეს ზრდას, აღმავლობას, თვისობრივ ცვლილებებს, თავისი სოციალური რეიტინგის ამადლებას; მასწავლებელი მარჯვედ უნდა ახდენდეს აღსაზრდელის მიბაძვისა და ცნობისმოყვარეობის, ღირებულებების მოთხოვნების პროვოცირებასა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო პედაგოგიურ პროცესებში მის აქტიურ ჩართვას. სკოლაში მიღებული ცოდნა-გამოცდილების პიროვნული და საზოგადოებრივი ღირებულება განაპირობებს შემეცნებითი ინტერესს, მოსწავლის აქტივობას, ინტელექტუალური მოტივის შექმნას., სკოლისა და მასწავლებლის მიმართ დადებით დამოკიდებულებას.

საშუალო სასკოლო ასაკში მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. მას სამართლიანად უწოდებენ გარდატეხის რთულ პერიოდს. მოსწავლე იწყებს კრიტიკულ აზროვნებას, ღირებულებათა გადაფასებას, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის ბრძოლას. უჩნდება სოციოგენური მოთხოვნები და ის არ ელოდება იმ მომავალს, რასაც მასწავლებელი უქადის. ის ცხოვრობს დღევანდელი დღით და სურს დაპირებულის ახლავე მიღება. ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენის ქვეშ ექცევა და სუსტდება პედაგოგიური ფაქტორის ძალა. სქესობრივი მომწიფება, რომანტიკული გრძნობების მოჭარბება, არაპროპორციული ფიზიკური ზრდა თვითდარეალიზაციისა და თვითდამკვიდრების მოძალებული სურვილი ერთგავარ დისკომფორტს, არასრულფასოვნების შეგრძნებას უქმნის მოსწავლეს. აღნიშნული მდგომარეობისადმი მოზარდის დამოკიდებულების ხასიათი მისი ინდივიდუალური თავისებურებებით არის განპირობებული. ამიტომ ყველა განსხვავებულად უდგება სიტუაციას. ერთნი შედარებით უმტკივნეულოდ გამოდიან მდგომარეობიდან, ზოგი გამოსავალს ხიფათების ძიებაში პოულობს და შეიძლება ასოციალურობაში ან ანტისოციალურობაში გადაიზარდოს. პროსოციალური ჯგუფის

აღსაზრდელები უფრო დელიკატურად უმკლავდებიან ბუნებრივ, მაგრამ მათთვის უჩვეულო მდგომარეობას. რადგან ისინი უფრო ინფორმირებულნი, ინტელექტუალურად მოტივირებულნი არიან და სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას სკოლის პირობებში, შემეცნებით საქმიანობაში ასერხებენ.

პრობლემურ ასაკობრივ პერიოდში მოზარდებს სჭირდებათ საგანგებო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური პირობები, დადებით თვისებებზე დაყრდნობის, ნდობისა და პატივისცემის პედაგოგიურ პრინციპებზე აგებული დელიკატური ურთიერთობები, ჭეშმარიტი, სოციალურად და პიროვნულად ღირებული ინფორმაციები, ჩართვა ისეთ შემეცნებით, კულტურულ, სახალისო ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც მიანიჭებს მას ესთეტიკურ და მორალურ კმაყოფილებას, თავს აგრძნობინებს პიროვნებად. თუ სათანადოდ მოვახერხებინეთ მოზარდებს ამ რთული პერიოდის გადალახვა, მომდევნო პერიოდში მათთან პედაგოგიური თანამშრომლობა ნაკლებად პრობლემური იქნება. თუ პირიქით მოხდა და მოსწავლეს სკოლის პირობებში, კლასში არ მიეცა მისი სოციოგენური მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება, იგი ამას შეეცდება მის ფარგლებს გარეთ სტიქიურ პირობებში. განაწყენებული მოსწავლე ყოველთვის იპოვის მისნაირ მდგომარეობაში მყოფ თანამოაზრეს და თუ მათმა რიცხვმა სამს მიაღწია, მერე, ერიპა, ზღვა მუხლებამდე ეჩვენებათ და ყველანაირი გზით ცდილობენ იმის კომპენსაციას, რაც პედაგოგიურ პროცესებში ვერ მიიღეს. სკოლაში მისულები სკოლის გარეთ ერთობიან, მოწვევა, სმა, ძალების დემონსტრირება, უპირატესობის დამტკიცება და სკოლა, გაკვეთილები გადადის უკანა პლანზე. ირღვევა სწავლების თანმიმდევრობისა და სისტემტურობის დიდაქტიკური პრინციპი და შედეგად სახეზეა აკადემიური და პედაგოგიური ჩამორჩენილობა, რაც შემდეგ საფუძვლად ედება ხელმიშვებულ მოსწავლეთა ასოციალურობასა და ანტისოციალურობას. ეს არის სკოლისა და ოჯახის უმძიმესი პრობლემა, რომელსაც იკვლევს დეფექტოლოგია და პროცესი გადადის კორექციულ პედაგოგიაში.

უფროს სასკოლო ასაკში უკვე დაძლეულია ბიოლოგიურ-ფიზიკური და ფსიქოლოგიურ-მორალური პრობლემები.

მოსწავლე გადასულია ახალ თვისობრივ მდგომარეობაში. განვითარებული აქვს აბსტრაქტული აზროვნება, უკვე იწყებს ფიქრს, ოცნებას მომავალზე, უნდა ინტელექტუალური, სოციალურ და პროფესიული მოტივები, ხდება მისი აზროვნების დეველოპმენტი. იგი გრძნობს უფროსების, მასწავლებლის, მშობლების დახმარების, ინფორმაციული დეფიციტის შევსების აუცილებლობას. მოსწავლის ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აღზრდის იდეალური მომენტია, რომელიც მარჯვედ უნდა იქნეს გამოყენებული აღზრდის სუბიექტების მიერ. თვალსაჩინო პირადი მაგალითები, ოცნების იდეალი, პროფორიენტაციული მუშაობა, თეორიის ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან დაკავშირება, ისეთი ეფექტური პედაგოგიური საშუალებებია, რომელიც უადვილებს მოსწავლეებს სწორ არჩევანს, საზოგადოებრივად ღირებულ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებზე ორიენტირებას.

თუ ამ კრიტერიუმებს არ პასუხობს უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის განვითარების დონე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალიზაციის პროცესი შეჩერებულია და ჯერ კიდევ ინსტიტუტების დონეზე ვართ, ბიოლოგიურ მდგომარეობაში და ამის მიზეზი მარტო მოსწავლეში არ არის. თავთავისი წილი პასუხისმგებლობა ამ პროცესში მონაწილე მხარეებს: სკოლას, ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს ეკისრება.

მაგრამ აღზრდა როგორც პედაგოგიური პროცესი, მასზე უშუალო პასუხისმგებელი უფრო მეტად მასწავლებელია, რადგან დასახელებული მხარეებიდან სპეციალური პედაგოგიური და ზოგადი ფსიქოლოგიური განათლება, პედაგოგის თანამდებობა მხოლოდ მასწავლებელს აქვს. ამიტომ, როგორც კომენსკი ამბობდა, აღზრდის საქმე მასზეა მინდობილი. მასწავლებელია სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის “ცენტრალური ფიგურა”. ამიტომ ყოველად დაუშვებელია მასწავლებლის როლის, მისი პედაგოგიური ფაქტორის დამდაბლება, რომლის გამაღებელი მცდელობაა XXI საუკუნეში კაცთმოძულე პროგრამისტების მალთუსისა და ალენ დალესის მიმდევრების მხრიდან სოროსის ფინანსური მხარდაჭერით. მასწავლებელი უნდა იყოს

საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უდიდესი ყურადღებით, ზრუნვითა და პატივისცემით განებივრებული, დიას, განებივრებული, თავისუფალი არა პასუხისმგებლობიდან, არამედ აღზრდისადმი პედაგოგიურ მიდგომაში.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე ვღებულობთ პედაგოგიურ დასკვნას, რომ პიროვნების განვითარება, აღზრდა და ფორმირება არის ურთულესი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ოჯახური და პედაგოგიური პრობლემა. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და პედაგოგიურ ოსტატობაზე, რომ მან უზრუნველყოს პიროვნების ფორმირების ბიოლოგიური, სოციალური და პედაგოგიური ფაქტორების აღზრდის სამსახურში ჩაყენება, პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე, რომ წარმატებით იქნეს მიღწეული აღზრდის გენერალური მიზანი – ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად ჩამოყალიბებული, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირება.

## თემა IV. პედაგოგიური პროცესი და მისი სისტემები

საკითხები:

1. პედაგოგიური პროცესი და მისი სისტემური შემადგენლობა;
2. პედაგოგიური პროცესის ძირითადი კომპონენტები;
3. პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი;
4. პედაგოგიური პროცესის ძირითადი ფუნქციები და ეტაპები.

პედაგოგიური პროცესი ჰქვია ურთიერთგანპირობებულ პედაგოგიურ სისტემათა ერთობლიობას, რომელშიც მიმდინარეობს აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირება.

პედაგოგიური პროცესების მთავარი სისტემებია:

1. სკოლის სასწავლო-მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სანიტარულ-ჰიგიენური, მორალურ- ფსიქოლოგიური და ესთეტიკურ-რომანტიკული პირობები;
2. პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივი ანუ შემადგენლობა, მშობელთა აქტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ა. შ. ;
3. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საკლასო-საგაკვეთილო სისტემა;
4. კლასგარეშე პედაგოგიური ღონისძიებათა სისტემა;
5. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა სისტემა.

ამ სისტემებს შორის ურთიერთკავშირს განსაზღვრავს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. პედაგოგიურ სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფო, სკოლის ხელმძღვანელობა, პედაგოგიური კოლექტივი, მშობელთა აქტივი, აღზრდის საქმით დაკავებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ობიექტის როლში კი წარმოგვდგებიან ისინი, რომლებზედაც ხორციელდება მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური ზემოქმედება. ესენი არიან: სკოლამდელი აღსაზრდელები, მოსწავლეთა კოლექტივი, კლასი, ჯგუფი, კონკრეტული მოსწავლე. მაგრამ განვითარების ობიექტური კანონიდან გამომდინარე, სუბიექტისა და ობიექტის თავთავისთვის არსებობა არ ნიშნავს პედაგოგიურ პროცესს მანამ, სანამ სუბიექტის მიერ არ მოხდება პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტის ანუ აღსაზრდელების გასუბიექტება.

პედაგოგიური პროცესის სტრატეგიულ ხაზს მასწავლებლისა და მოსწავლეთა ურთიერთმიმართული მიზნობრივი აქტივობა წარმოადგენს, რაც გულისხმობს პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად აღსაზრდელის შემეცნებით აქტივობას გამოხატულს სწავლებისა და სწავლის, განათლებისა და თვითგანათლების, აღზრდისა და თვითაღზრდის სტიმულში. სწორედ, ამიტომ ითვლება “პედაგოგიური ურთიერთგავლენა” ანუ “ურთიერთზემოქმედება” მეთაურ, წინამძღოლ, ხოლო “პედაგოგიური ზემოქმედება,” “პედაგოგიური გავლენა”, “პედაგოგიური დამოკიდებულება” თანმხლებ ცნებებად.

პედაგოგიური ურთიერთზემოქმედების პროცესში აღზრდის სუბიექტსა და ობიექტს შორის მრავალნაირი კავშირები იჩენს თავს. როგორცაა: ინფორმაციულ-საგანმანათლებლო, ორგანიზაციული, კომუნიკატორული და სხვა საურთიერთო კავშირები.

მართვაც და თვითმართვაც პედაგოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილია. მართვა ეყრდნობა ზემოთ ჩამოთვლილ კავშირებს.

პედაგოგიური პროცესის ანალიზისას, ასევე აუცილებელია ლოგიკური, კერძოდ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვალისწინება. რადგან აღზრდის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზთა გამოკვლევას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პრევენცია-კორექციისათვის. ე. ი. მაკორექტირებელი ზემოქმედების პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემის ზუსტ და ეფექტურ პროექტირებისა და ხარვეზის დროულად აცილებისათვის.

როგორც ი. ბაბანსკი, ი. ხარლამოვი და სხვები მიუთითებენ, პედაგოგიური პროცესის მართვის სტრატეგიული ხაზის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობითობის პრინციპის, სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის ისტორიული ტენდენციების შესწავლას, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი მხრივ, შეცდომებისა და ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერულად, პრაქტიკულად ღირებულ პედაგოგიურ საშუალებათა გამოყენებისა, ასევე აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენის თავიდან აცილებისა.

პედაგოგიურ პროცესს პედაგოგიური სისტემების გარდა, გააჩნია პედაგოგიური კომპონენტები, რომელნიც სპეციალურ პროცესუალური ხასიათით გამოირჩევიან. პედაგოგიური პროცესის ისეთი მსხვილი სისტემა, როგორცაა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, იგი თავის მხრივ მოიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ურთიერთგანპირობებულ კავშირებს, რომელნიც კომპონენტებში აისახებიან, რომელთა ურთიერთმიმართებებში ხორციელდება სწავლების საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ამოცანები. აქედან გამომდინარე, პროცესუალურ კომპონენტებს წარმოადგენენ არა თვით მასწავლებელი და მოსწავლე, არც აღზრდის პედაგოგიური პირობები, არამედ აღზრდის მიზანი, ამოცანები, შინაარსი, კანონები, პრინციპები, ფორმები, მეთოდები და საშუალებები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კომპონენტთა ერთიანობა და ურთიერთგანპირობებულობა, ერთმთლიანობა წარმოადგენს მის სტრუქტურულ წყობას. ასე და ამრიგად, “სისტემის” ცნება რომელშიც მიმდინარეობს პროცესი და “პროცესი როგორც სისტემა” იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენენ, მაგრამ არც იზოლირებულად განიხილებიან.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით განპირობებული გარკვეული მიმართულება და გენერალური მიზანი გააჩნია. სწორედ, ეს მიმართულება განსაზღვრავს აღზრდის კონკრეტულ მიზანსა და შინაარსს. მიზანი ეს არის მოქმედების წინასწარ გაცნობიერებული საბოლოო შედეგი. მიზნის სიცხადე და მისი მიღწევის რეალური შესაძლებლობა განსაზღვრავს ფსიქიკურ-

ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზებასა და კონცენტრაციას სასურველი შედეგის მისაღწევად. მიზნის გარეშე ადამიანის ქცევა და მოქმედება ქაოსურია და უნაყოფო, ძალა, დრო და ენერგია ფუჭად იხარჯება. ბიბლია გვიხსნის, რომ რწმენის გარეშე ადამიანი ჰგავს მესაჭის გარეშე ქართაგან ატაცებულ ხომალდს, რომელიც აქეთ-იქით ტალღებს ეხეთქება. ასევე ადამიანი მიზნის გარეშე. ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანია მიზნის გარკვევა-დასახვის, მიზნობრივი ქცევა-მოქმედებისა და სწავლების საკითხი პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში. პედაგოგიკის არც ერთ კლასიკოსს (და არა მარტო პედაგოგიკის) არასოდეს გამორჩენია მხედველობიდან აღზრდის მიზნის გარკვევის აუცილებლობა. მაგალითად, იდეალური პიროვნების უზუსტესი მოდელის წარმოსახვის საფუძველზე კვინტილიანე აღზრდის მიზნად სახავს “ბრძენი რომაელის” ჩამოყალიბებას. “ბრძენ რომაელში” კომპენდიუმშია მოცემული გონიერი, განსწავლული, ბრძენი და პატრიოტის გაგება; არისტოტელემ აღზრდის მიზანი ასე ნათლად ჩამოყალიბა: “ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება” და დააკონკრეტა: ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და ესთეტიკურად განვითარებული, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. უფრო მეტიც, მას ბევრი არაფერი მომატებია, იმდენად უნივერსალური აღმოჩნდა. კომენსკიმ სულიერობის პრიმატში განსაზღვრა აღზრდის მიზანი: “ღვთის მოშიში”, “ღვთისმოსავი”; პესტალოცმა – “ჭეშმარიტად ადამიანური”; ი. გოგებაშვილმა – “ახალი ტიპის ქართველი” “ახალი კაცი”; ი. ჭავჭავაძემ არჩევანი გააკეთა “კაცურ კაცზე” და ა. შ.

აღზრდის მიზანი გარკვეულ კანონს ექვემდებარება. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი ყოველთვის საზოგადოებრივი მოთხოვნებით არის განპირობებული და ამ უკანასკნელის ცვლილება იწვევს მისი შინაარსის ცვლილებას, მაგრამ “ბრძენი ქართველის”, “ბრძენი რუსის”, “ბრძენი ფრანგის” და ა. შ. პედაგოგიური ფორმულა იმდენად უნივერსალურია და ზოგადკაცობრიული, რომ მსოფლიოს არც ერთ ერს არ აწყენდა არც ერთ დროში. ცვლილებაში ვგულისხმობთ მის დაკონკრეტებას დროისა და



სივრცის დიმენსიონებში განათლების შინაარსის თვალსაზრისით.

პედაგოგიური პროცესის იმავე სისტემის მეორე კოპონენტია აღზრდის ამოცანები, რომლის ქვესისტემებია: გონებრივი აღზრდა და განათლება, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, ზნეობრივი აღზრდა, სულიერობის აღზრდა, ეკოლოგიური და შრომითი აღზრდა, პროფორიენტაციული მუშაობა, ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა.

აქ ჯერ-ჯერობით შემოვიფარგლებით ამ ამოცანების მოკლე ანოტაციებით, რადგან ქვემოთ თითოეული მათგანი ცალცალკე ვრცლად იქნება განხილული.

გონებრივ აღზრდაში იგულისხმება განათლების შინაარსის, განსაზღვრული ცოდნის ფონდის ათვისება, სააზროვნო ოპერაციების, ფსიქიკური და ინტელექტუალური უნარების განვითარება, მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება და ა. შ.

ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებაა პიროვნების მორალური სახის ფორმირება, მოცემულ საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმებისა და წესების დაუფლება, ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი გრძნობებისა და ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება. კვინტილანემ აღზრდაში ზნეობა დააყენა პირველ ადგილზე, “შეუძლებელია – ამბობს ის – უზნეო კაცისგან ორატორი გამოვიდეს”-ო. ეს დებულება შეიძლება ნებისმიერი პროფესიის ადამიანზე განზოგადდეს.

სულიერობის აღზრდის პრობლემამ, საერთოდ ვერ ჰპოვა ასახვა თანამედროვე პედაგოგიკაში. სწორედ, ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის უგულვებელყოფას მოჰყვა ის უღმერთობა, ზნეობრივი და სულიერი დეგრადაცია, რომელიც რისხვად ატყდება თავზე დღეს მთელ მსოფლიოს.

ესთეტიკური აღზრდა გულისხმობს სილამაზისა და მშვენიერების, დიადისა და ამაღლებულის აღქმის და გაგების, ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების განვითარებას.

ფიზიკური რეალობა ბიოლოგიური დეტერმინანტია და მის შექმნაში სუბიექტი ვერ იღებს მონაწილეობას, ეს მხოლოდ ღვთის პრეროგატივაა. აღზრდას ისღა შეუძლია, რომ ხელი

შეუწყოს ჯანმრთელობის, შრომისა და თავდაცვის უნარიანობისა, ფუნქციონალური მოძრაობებისა და მოქნილობის გაუმჯობესებას.

აღზრდის მიზანი განსაზღვრავს პედაგოგიური პროცესის მომდევნო კომპონენტს – განათლების შინაარსი. მასში იგულისხმება სამყაროს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რომელიც ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო, საზიგადოებრივ-ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიურ-ლოგიკური, ეთიკურ-ესთეტიკური, რელიგიური და სახელოვნებო ცოდნის ციკლის სასწავლო საგნებშია გადმოცემული. ეს შინაარსი ასახულია სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში და გაშუქებულია ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოებში.

პედაგოგიური პროცესის სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მესამე კომპონენტია პედაგოგიური პრინციპები, რაც ნიშნავს იმ ამოსავალ დებულებას, იმ საფუძველს, რომლითაც ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. იგი მათრიენტირებელ ფუნქციას ასრულებს მასწავლებლისათვის და ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას. ეს პრინციპებია: მიზანსწრაფულობა, მეცნიერულობა, შეგნებულობა და აქტიურობა, მისაწვდომობა, სისტემატურობა და თანმიმდევრობა, სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, თვალსაჩინოება, ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისება, ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობა, აღსაზრდელის პიროვნებისადმი პატივისცემა, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა, არჩევანის თავისუფლება და სხვა.

პედაგოგიური პროცესის ამავე სისტემის შემდეგი კომპონენტია პედაგოგიური მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევას. პედაგოგიური მეთოდები მისაწვდომს, გასაგებს, დასაძლევსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. პედაგოგიკასა და სასკოლო პრაქტიკაში მიღებულია შემდეგი პედაგოგიური მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, რომლის შემადგენლობაში

შედის აკრომატიკული – მონოლოგიური, ეროთემატიკური ანუ დიალოგიური; წიგნზე მუშაობის მეთოდები; პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდები; დარწმუნების, ინფორმაციის, 13.8

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში იჩენს თავს აღსაზრდელზე გარეგანი ზემოქმედებისა და შინაგანი რეაქციის, მიღებისა და მასზე უკუკავშირის ერთიანობა; ასევე იწყება თვითგავლენა საკუთარ თავზე, რომელიც პრაქტიკულად თვითსწავლების, თვითგანათლების, თვითაღზრდის, თვითკონტროლისა და თვითრეგულაციაში გამოიხატება.

როგორც გ. ა. დანილოვი აღნიშნავს, პედაგოგიური პროცესი – ეს არის შინაგანად ურთიერთდაკავშირებული პროცესებისა და სისტემების ერთობლიობა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური ცოდნ-გამოცდილება თავისი მრავალფეროვნებითა და სირთულით გარდაიქმნება მზარდი ადამიანის პიროვნულ ნიშან-თვისებად, მის იდეალად და უყალიბებს აზროვნებას, იდეურობას, ზნეობას, ესთეტიკურ გემოვნებას, მტკიცე ხასიათს, შეგნებასა და მოქმედების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. პედაგოგიურ პროცესში ცოდნა-გამოცდილება და უნარ-ჩვევები, ობიექტურ-სოციალური გადადის სუბიექტურში, ადამიანის ინდივიდუალურ-ფსიქიკურ მონაპოვარში, მის ინტელექტუალურ საკუთრებაში.

ეს პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების ურთიერთქმედება სტიქიურად როდი მიმდინარეობს. ის მოძრაობაში მოჰყავს მართვისა და თვითმართველობის მექანიზმს. სუბიექტისა და ობიექტის მიზანმიმართულად მართული ურთიერთზემოქმედების ლოგიკური შედეგია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციები.

მაშასადამე, სასწავლო პედაგოგიური პროცესი წარმოადგენს სწავლების, აღზრდის, განვითარების, ასევე თვითგანათლებისა და თვითაღზრდის ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ ერთიან პროცესს, სადაც მიმდინარეობს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების მიზანმიმართულ, გეგმაზომიერი გადაცემა მოსწავლეათვის და ამ უკანასკნელის მიერ მისი ათვისება,

გააზრება, დამახსოვრება და საჭიროებისამებრ შემოქმედებითად გამოყენება, შემდეგში საჭირო ცოდნა-გამოცდილების დამოუკიდებლად მოპოვების უნარ-ჩვევებით.

პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებისა და სკოლის ხელმძღვანელთა, ადმინისტრაციული და პედაგოგიურ-მეთოდური კორპუსს შორის მოქმედებს უღთიერთობის სასკოლო სისტემა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ურთიერთობა მოიცავს მათგანნიხებულ, მაკორდინირებულ, ადმინისტრაციულ, მეთოდურ და მაკონტროლებულ ფუნქციებს, რომელიც მიმართულია სკოლის მოშაობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლებისკენ, რაც გულისხმობს მასწავლებელთა ცოდნა-გამოცდილების მუდმივად განახლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას მეცნიერებაში მოპოვებული მიღწევების კვალდაკვალ, რომ არ ჩამორჩეს უახლეს პედაგოგიურ სტანდარტებს; მოახდინოს მთელი პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების კოორდინაცია-ინტეგრაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება, სკოლის, ოჯახისა და სკოლისგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგიური პოტენციალის გამოყენება.

პედაგოგიური პროცესი ექვემდებარება განვითარების ობიექტურ კანონებსა და პრინციპებს, განვითარების მამოძრავებელ ძალებს. მაგალითად, წინააღმდეგობა შემეცნებით და სხვა სოციოგენურ მოთხოვნებსა და მოსწავლეთა მიერ მისი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობათა შორის წარმოშობილი დაპირისპირებული მხარეთა შეჯახება მოითხოვს ინტენსიურ შემეცნებით-ინტელექტუალურ აქტივობას მიღწეულსა და მისადწევს შორის არსებული პრობლემის გადასაჭრელად. ამ აქტივობაში მოიაზრება ფაქტობრივ მდგომარეობის კვლევის საფუძველზე სწორი დიაგნოსტიკა, თითოეული მოსწავლის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, მიზნის მისადწევ პედაგოგიურ საშუალებათა კონკრეტული განსაზღვრა და მის შესაბამისად მიმდინარე, ახლო, შუალედური და შორეული განვითარების პერსპექტივების პროექტირება და მისი პრაქტიკულად ამოქმედებისათვის საჭირო სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების, პრინციპებისა და მეთოდების დაკონკრეტება, ისეთი პრობლემური პედაგოგიური სიტუაციების

შექმნა, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მოსწავლეებში თვისობრივ ცვლილებას, როგორც ზანკოვი წერს, განვითარების უახლოეს ზონაში გადაყვანას.

ამრიგად, პედაგოგიური პროცესი – ეს არ არის სწავლება-აღზრდის, განათლებისა და განვითარების უბრალო, მექანიკურ-სტიქიური პროცესი, არამედ ეს არის პედაგოგიური სისტემების, პროცესების, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთულესი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებული ურთიერთმიმართებები ობიექტურ კანონებსა და მკაცრ ლოგიკაზე დამყარებული.

პედაგოგიური პროცესის, როგორც ერთმთლიანობის კანონზომიერებანი დგინდება ამ პროცესის არსებითი, მტკიცე, უცვლელი და განმეორებადი შინაგანი და გარეგანი, ფართო და ვიწრო კანონზომიერი კავშირების კვლევის საფუძველზე.

ეს კავშირებია: პედაგოგიური პროცესების კავშირი საზოგადოებრივ პროცესებთან და პირობებთან; პედაგოგიური პროცესების შინაგანი კავშირები; კავშირი სწავლების, განათლების, აღზრდისა და განვითარების პროცესებს, ასევე აღზრდისა და თვითაღზრდის, თვითგანათლების პროცესებს შორის; პედაგოგიური მართვა-ხელმძღვანელობასა და აღსაზრდელის დამოუკიდებლობა- თავისუფლების პროცესებს შორის; აღზრდის სუბიექტებს: სკოლის, მასწავლებლის, ოჯახის, საზოგადოებრიობის მოსწავლეზე აღმზრდელობით გავლენებს შორის; კავშირი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კომპონენტებს: პედაგოგიურ მიზანს, ამოცანებს, განათლების შინაარსსა და მიმართულებებს, პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს – შორის.

აღნიშნული კავშირების არსიდან გამომდინარე, პედაგოგიური პროცესების კანონზომიერებათა შესახებ ი. ბაბანსკი ვრცელ და მნიშვნელოვან კონკრტიზაციას აკეთებს. როგორცაა:

1. პედაგოგიური პროცესის შესაძლებლობის ზღვარი აღზრდაში საზოგადოების განვითარების მოთხოვნებსა და მის შესაძლებლობებს არასოდეს არ აღემატება;
2. პედაგოგიურ სისტემების ეფექტურობა განპირობებულია მის ქვესისტემების: მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და მორალურ-ესთეტიკური პირობებით, რომელშიც მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესი;

3. ედაგოგიურ სისტამასთან ლოგიკურ

ურთიერთკავშირშია სწავლების, განათლების, აღზრდის, განვითარების, ასევე სწავლის, თვითგანათლების, თვითაღზრდის, მართვისა და თვითმმართველობის პროცესები;

4. პედაგოგიური პროცესების ეფექტურობას აგრეთვე აღზრდის სუბიექტთა მოქმედების ერთიანობა განაპირობებს;

5. საზგადოებრივად განპირობებული პედაგოგიური ამოცანების განხორციელება დაკავშირებულია აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან;

6. პედაგოგიური პროცესი ასევე ორგანულად არის დაკავშირებული აღზრდის კონკრეტული შინაარსისა და ამოცანების ურთიერთკავშირთან;

7. პედაგოგიური მეთოდები და საშუალებები ყოველთვის განპირობებულია პედაგოგიური მიზნებით, ამოცანებითა და განათლების შინაარსით;

8. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციული ფორმები აღზრდის მიზნებით, ამოცანებით, შინაარსით, შესატყვისი მეთოდებითა და საშუალებებით არის განპირობებული;

9. პედაგოგიური პროცესის ყველა, შინაგანი და გარეგანი სისტემების ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგანპირობებულობების გლობალური გააზრება და გათვალისწინება უზრუნველყოფს მაქსიმალური პედაგოგიური შედეგების მიღწევას განსაზღვრულ დროში;

10. ჩვენი მხრიდან, სათანადო კვლევის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასწავლებლის მიერ მთელისა და ნაწილის, ზოგადისა და კერძოს შორის არსებული ობიექტური კავშირების პედაგოგიურ ასპექტში დანახვა და

პრაქტიკაში გათვალისწინება.

სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობა იმ ობიექტური კავშირებითაა განპირობებული, რომელიც მათ შორის არსებობს. სწავლება აღზრდის საშუალებაა. აღზრდა წარმოუდგენელია სწავლების, ცოდნა-გამოცდილების, საჭირო ინფორმაციებს გადაცემისა და მოსწავლის მიერ მისი მიღებისა და ათვისების გარეშე. თუმცა სწავლებასაც და აღზრდასაც ახასიათებთ განსხვავებული, სპეციფიკური ნიშნები. სწავლების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის წინ უსწრებს აღზრდას, ქმნის ცოდნის ფონდს, რეგლამენტით განსაზღვრულია, შეგრძნებებზეა უშუალოდ დამყარებული და მისი შედეგი მაღევე გაზომვადია. აღზრდა სწავლების ფუნქციაც არის და შედეგიც, ის რეგლამენტებში არ ჯდება, იგი ძირითადად ადამიანის ფსიქოლოგიური, სულიერი, მორალურ-ემოციური, მსოფლმხედველური მდგომარეობაა. აღზრდის შედეგი უფრო მოგვიანებით, შესატყვის სიტუაციაში გამოჩნდება ხოლმე.

სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის წარმატებით განხორციელების მაჩვენებელია მოსწავლის გონებრივი ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების, მისი შეგნების, გრძნობებისა და მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონე.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ძირითად და დამხმარე ორგანიზაციულ ფორმებს მოიცავს. ძირითადი ფორმაა გაკვეთილი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებებით., როგორცაა: ერთნაირი ასაკისა და მომზადების მოსწავლეთა მტკიცე, უცვლელი შემადგენლობა, ანუ კლასი, რეგლამენტურობა, სტაბილური ცხრილისადმი დაქვემდებარებულობა, მონაცვლეობა, სასწავლო საგნის, პროგრამის, სახელმძღვანელოების ერთიანობა, მასწავლებლის წამყვანი როლი, პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გადაცემა და ათვისება, ცოდნის შემოწმება-შეფასება და ა. შ.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე ორგანიზაციულ ფორმებად ითვლება ის პედაგოგიური დონისძიებები, რაც არასაგაკვეთილო დროს მიმდინარეობს და კლასგარეშე მუშაობა ჰქვია. ის ნებაყოფლობითობის პრინციპზეა

აგებული. აქ მოსწავლეს ეძლევა არჩევანისა და ინიციატივის თავისუფლება, რადგან იგი გაკვეთილისაგან განსხვავებით, უფრო თვითშემოქმედებითობის, იმპროვიზაციების, ტრენინგების, დიდაქტიკური თამაშების, იმიტაციებისა და რომანტიკის სფეროა. გაკვეთილზე თუ მასწავლებელია მთავარი წამყვანი, კლასგარეშე მუშაობაში კი მასწავლებელი უფრო ზედამხედველის, კონსულტანტის როლში გვევლინება.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია პედაგოგიური მეთოდები, რომელთა კომბინაციანტიგერაცია ამ პროცესის ორგანიზაციული ფორმებითაც არის განპირობებული.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოიცავს თანმიმდევრულ ეტაპებს, როგორცაა: მოსამზადებელი, განმახორციელებელი და შედეგების ანალიზი. მოსამზადებელ ეტაპზე დგინდება სასწავლო თემატური გეგმა, კლასგარეშე მუშაობის გეგმა, რომელშიც განისაზღვრება პედაგოგიური მიზნები, ამოცანები, შინაარსი, ფორმები, მეთოდები და სხვა პედაგოგიური საშუალებები.

მომდევნო ანუ მეორე ეტაპზე ხდება შემუშავებულ, განხილულ და დამტკიცებული სამუშაო გეგმებისა და პროგრამების რეალიზაცია, დასახული მიზნისა და ამოცანების განხორციელება.

მესამე ეტაპი ეთმობა ანალიზს გაწეული მუშაობის შედეგების ეფექტურობის დასადგენად, წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზების დადგენასა და საჭირო შესწორებების შეტანას.

ამრიგად, პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების შესახებ მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულ-შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევები განსაზღვრავს სკოლის გენერალური მიზნის – ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული: გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად ჩამოყალიბებული, “ბრძენი ქართველის” აღზრდის წარმატებას.



## თემა V. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციული ფორმები

აკითხები:

1. ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპი;
2. გაკვეთილი, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა
3. გაკვეთილთა ტიპები და მათი დახასიათება;
4. გაკვეთილის სტრუქტურული აგებულება;
5. მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის;
6. კომბინირებული გაკვეთილის გეგმის საორიენტაციო ნიმუში.

ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ფილოსოფიური კანონის თანახმად არ არსებობს ფორმა შინაარსის გარეშე და, პირიქით, შინაარსი ფორმის გარეშე. ფორმა შინაარსის გარკვეული ფიზიკური გამოვლინებაა. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ორგანიზაციული ფარმაა გაკვეთილი, ხოლო მისი შინაარსია ის, რაც ამ გაკვეთილზე ისწავლება. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში, როგორც კი შედგა სწავლების პროცესი, მას ჰქონდა თავისი ფორმაც და შინაარსიც. დღემდე საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ საკლასო-საგაკვეთილო სისტემას საფუძველი ჩაუყარა XVII საუკუნის ჩეხმა პედაგოგმა იან ამოს კომენსკიმ. და ეს აზრია გატარებული პედაგოგიკის ისტორიისა და პედაგოგიკის თეორიის დღემდე მოქმედ ყველა სახელმძღვანელოში. პედაგოგიკის წყაროებში კი სულ სხვა ვითარებაა. სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სწავლების პროცესის აღმნიშვნელად წყაროებში მოხსენიებულია ცნება “მეცადინეობა”. სწავლების

ფორმის ფაქტზე მიანიშნებს I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე თავის პედაგოგიურ თხზულებაში “ორატორის დარიგებანი”. მასში ავტორი განაზოგადებს იმ რიტორიკული სკოლის პედაგოგიურ გამოცდილებას, რომელშიც თავად სწავლობდა. მეცნიერი ივონებს შეჯიბრების პროცესში თუ როგორ ცდილობდნენ ბავშვები ერთი მეორეს არ ჩამორჩენოდნენ, თავი ღირსეულად სჭეროდათ. ავტორი არაერთგზის მიუთითებს ჯგუფურ და კოლექტიურ მეცადინეობაზე, მოსწავლეთა შორის შეჯიბრებაზე მასწავლებლის ხელმძღვანელობით. “მათ შორის – წერდა კვინტილიანე – იმართებოდა შეჯიბრება პირველი ადგილისა და უმაღლესი თანრიგის მოსაპოვებლად. აქ ვლინდებოდა მათი მომზადების დონე, წარმატება და წარუმატებლობა . . . გამარჯვებული შექებასა და მოწონებას იმსახურებდა და პრივილეგირებულ მდგომარეობას იკავებდა. პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა, ამასთანავე გამარჯვებისათვის როგორც სიტყვიერ, ისე რაიმე ნივთიერ ჯილდოსაც იღებდა”( მ.ფ. კვინტილიანე. “ორატორის დარიგებანი”, წგ-ნი I, გვ. 22-23, სანკტ-პეტერბურგი, 1834).

შეჯიბრებაზე, კი როგორც პედაგოგიური მეთოდზე, თანამედროვე გაგებით ვიმსჯელებთ, ის მოითხოვს თანაბარ მხარეებს, შეჯიბრების ერთ კონკრეტულ სახეს თუ საქმეს, წინამძღოლს, ორგანიზატორს, შემფასებელსა და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვინტილიანეს მიერ ნახსენები შეჯიბრება ამავე კომპონენტებს უნდა მოიცავდეს. მითუმეტეს, რომ თავის წიგნში ბევრგან ახსენებს სიტყვას “ტოლებთან” შეჯიბრებას. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ სიტყვა “გაკვეთილს ახსენებს: “რამდენადაც მახსოვს, ეს (შეჯიბრება – გ. ხ.) უფრო გვიღვივებდა წყურვილს მჭევრმეტყველების გაკვეთილისადმი, ვიდრე მასწავლებლის შეგონებები, ძიძა-ადმწრდელის ზრუნვა და მშობლების დაპირებები” (იქვე). აქ უკვე სახეზეა მეცადინეობის ანუ სწავლების ფორმაც, შინაარსიც და ამ პროცესის მონაწილეები: მასწავლებელი და მოწაფეები. სკოლაში შესვლის ასაკიც

განსაზღვრულია 6-7 წლით სკოლისათვის მომზადების დონისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თანატოლთა მტკიცე, უცვლელი შემადგენლობის ჯგუფი ანუ კლასი უკვე არსებობდა. აქვე მინდა აღინიშნოს, რომ სიტყვა "მეცნიერება" ნახსენებია ამავე წიგნში ზოგიერთ მეცნიერთა გასაკვირად. ამ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით იკვეთება დასკვნა, რომ საკლასო-საგაკვეთილო სისტემა XVII საუკუნემდე და პედაგოგიკის კლასიკოსის იან ამოს კომენსკამდე დიდი ხნით ადრე, I საუკუნეში უკვე არსებობდა.

მაშასადამე, გაკვეთილი დროითა და სასკოლო პრაქტიკით აპრობირებული უნივერსალური პედაგოგიური ფორმაა, რომელიც ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. XX საუკუნის დასასრულს მეცნიერთა დიდი ნაწილი, გაკვეთილს თვლიდა რა უკვე მოძველებულ ფორმად, შეეცადა მის შეცვლას, მაგრამ მისი უნიკალურობის გამო ვერავინ მახერხა რაიმე უკეთესი ფორმის შემოთავაზება. ჯერ იყო და, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისში გაგრძელდა ე. წ. ბელანკასტერის სისტემა ა. ბელლას და დ. ლანკასტერის ერთობლივი ავტორობით (სახელწოდებაც აქედან არის), რომელიც ერთდროულად 600 მასწავლებელსთან მასწავლებლის მუშაობას ითვალისწინებდა, სადაც მასწავლებლის როლი ნულამდე იყო დაყვანილი. მათთან მეცადინეობას ფაქტიურად მასწავლებლის თანაშემწე, დეკურიონებად წოდებული უფროსკლასელები ატარებდნენ. ამგვარი მეცადინეობა ნ. კრუპსკაიამ შეაფასა ყველაზე ობიექტურად: "მოსწავლე, რომელმაც იცოდა სამი ასო, ასწავლიდა მას, ვინაც ერთიც არ იცოდა, ხოლო ხუთი ასოს მცოდნე ასწავლიდა იმას, ვინაც სამიოდე ასო იცოდა."

ამერიკელი ფსიქოლოგის ე. პარკხერსტის მიერ შემოთავაზებული იყო ე. წ. დალტონ-გეგმა, რომელიც უკიდურესად ინდივიდუალიზებული იყო და გამორიცხავდა ჯგუფურ და, მით უმეტეს, კოლექტიურ სწავლებას. იგი ეფუძნებოდა დებულებას გონებრივი შესაძლებლობების

უთანასწორობის შესახებ, რომელიც თითქოს მემკვიდრეობით იყო განპირობებული. მართალია, ყველა ერთნაირი გონებრივი შესაძლებლობის არ არის, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ რამდენიმეს ერთად თავმოყრა არ შეიძლებოდეს. აქაც მასწავლებლის როლი უბრალო კონსულტანტის დონეზეა დაყვანილი.

რაც შეეხება “ტრამპ-გეგმას”, რომელიც გაკვეთილის ნაცვლად შემოიღო ამერიკელმა პედაგოგმა ლლოიდა ტრამპმა, როგორც სწავლების ახალი ორგანიზაციული ფორმა, ისიც უკიდურესად ინდივიდუალიზებული იყო. იგი 100-150 მოსწავლეთან ერთდროულად მეცადინეობას ითვალისწინებდა სულ სხვადასხვა თემაზე სწავლების ტექნიკური საშუალებათა გამოყენებით. ეს ფორმაც, როგორც სხვა ზემოთ დასახელებული ფორმები არა პედაგოგიური, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეებს სრულიად გამიჯნული იყო და აღიარება ვერ ჰპოვა.

გაკვეთილის უნივერსალურობა დღესაც არ არის დაცული. პედაგოგიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში გაკვეთილის, როგორც პედაგოგიკური ცნების, დეფინიცია ცალმხრივია. იგი პედაგოგიკის ყველა სახელმძღვანელოში მოიხსენიება როგორც სწავლების ძირითად ორგანიზაციულ ფორმად და აღზრდა, როგორც სწავლების ძირითადი ფუნქცია და შედეგი, მთლიანად უგულვებელყოფილია. სწავლება დიდაქტიკის განყოფილებაშია მოქცეული, აღზრდა კიდევ აღზრდის თეორიის განყოფილებაში და მხოლოდ კლასგარეშე პედაგოგიურ პროცესში აქვს ადგილი მიჩენილი, რამაც ერთგვარი დაბნეულობა შემოიტანა სასკოლო პრაქტიკაში. საგნის მასწავლებელი თავის კომპეტენციად მხოლოდ პროგრამული მასალების სწავლებას თვლის და მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით იფარგლება, აღზრდა კი კლასის დამრიგებლის პეროვატივად მიაჩნია. სწავლებისა და აღზრდის ამ ერთმთლიანობის ხელოვნურად გახლეჩვამ დიდი ზიანი მიაყენა აღზრდის, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების საქმეს. არც ერთ პედაგოგიკის კლსიკოსს ეს არ გაუკეთებია. მ. კვინტილიანე სწავლების შედეგს მოსწავლის აღზრდის დონით განსაზღვრავდა. კომენსკიმ სწავლებისა და

აღზრდის ორგანული ერთიანობა დიდი დიდაქტიკით გამოხატა და ერთ სიბრტყეში რომანივით იკითხება. სწავლების თეორიად და აღზრდის თეორიად არ განუცალკევებია.

ამოვდივართ რა სწავლების ბუნებიდან, ვითვალისწინებთ კლასიკოს პედაგოგთა პედაგოგიურ კონცეფციებს და პრაქტიკოს მასწავლებელთა მოსაზრებებს, ვთვლით, რომ სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა გაკვეთილის განსაზღვრებაშივე უნდა იყოს ჩადებული. მაგალითად ასე: გაკვეთილი არის სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა და არა როგორც არის, “გაკვეთილი არის სწავლების ძირითადი ორგანიზაციული ფორმა.”

მიუხედავად ყოველგვარი კრიტიკისა და დამახინჯებისა, გაკვეთილი იყო, არის და იქნება უნივერსალური ფორმა სასწავლო-აღზრდელობითი პროცესისა, მისივე ბუნებიდან გამომდინარე. ტყუილად შფოთავენ ფსევდომეცნიერები გაკვეთილის, სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის, ამ უნიკალური ორგანიზაციული ფორმის სიძველის გამო. არის კატეგორიები, ფორმები, მეთოდები, ურთიერთობები, რომელნიც ჟამთაგულას, დროისა და სივრცის დიმენსიონებს არ ემორჩილებიან. მაგალითად: სიყვარული, მშვიდობა, პატიოსნება, სამართლიანობა, მშვენიერება, სწავლება, აღზრდა და ა. შ.

მაშ ასე, გაკვეთილი არის სასწავლო-აღზრდელობითი პროცესის უნივერსალური ორგანიზაციული ფორმა, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები:

1. ერთდამიჯვე ასაკისა და მომზადების მოსწავლეთა მტკიცე, უცვლელი შემადგენლობა ანუ კლასი;
2. განსაზღვრული რეგლამენტი;
3. სტაბილური საგაკვეთილო ცხრილისადმი დაქვემდებარებულობა;
4. გაკვეთილთა მონაცვლეობა;
5. სასწავლო გეგმის, პროგრამისა და სახელმძღვანელოების ერთიანობა;
6. კოლექტიური და ინდივიდუალური მეცადინეობის

შერწყმა;

7. სწავლებისა და სწავლის, აღზრდისა და თვითაღზრდის ერთიანობა;

8. მასწავლებელი – მეთაური და წინამძღოლი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისა;

9. ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემა, ათვისება, შემოწმება- შეფასება;

10. გაკვეთილი როგორც სავალდებულო და საყოველთაო ფორმა.

ერთდამიპვე ასაკის მოსწავლეთა შემადგენლობა ანუ კლასი იძლევა საშუალებას ერთიანი გეგმით, პროგრამითა და სახელმძღვანელოებით მეცადინეობისა და ერთიანი ამბლებული იდეებისკენ სწრაფვისა. თანასწორი მდგომარეობა მოსწავლეებს უქმნის სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის შეგრძნებას, მოყვასობისა და მოყვრობისადმი დადებით დამოკიდებულებას. რაც შეეხება კლასში კოლექტიურ და ინდივიდუალურ მუშაობას, ეს არც ისე ადვილი, მაგრამ აუცილებელი პროცესია, რამეთუ აღზრდაში მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება ერთერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრინციპია. რომლის პრაქტიკულ რეალიზაციას ემსახურება პედაგოგიური მეთოდები და ხერხები. სწავლების ტექნიკური და მულტმედიაური საშუალებები, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების ოპტიმალური გამოყენების პედაგოგიური ხელოვნება. არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ პედაგოგიურად ძლიერი ბავშვები კარგ გავლენას ახდენენ სუსტებსა და საშუალოებზე ბუნებრივად მიმდინარე ურთიერთსწავლებისა და ურთიერთგანათლების მეოხებით.

გაკვეთილის რეგლამენტურობას, რომელიც დაქვემდებარებულია საგაკვეთილო ცხრილს, წესრიგის, სიფხიზლის, ფსიქიკური და ინტელექტუალური ძალების კონცენტრაცია-მობილიზაციის რეჟიმში გადაჰყავს პროცესი და

მისი მონაწილეები. გაკვეთილების ცხრილი და ზარი არაჩვეულებრივი პედაგოგიური ინსტრუმენტებია, რომელიც აწესრიგებს ამ მთელ პროცესს.

გაკვეთილთა მონაცვლეობას დროისა და საგნის მიხედვით ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძველები უდევს. როგორც ცნობილია, გახანგრძლივებული ერთდაგივე ზემოქმედება ტვინის დაკავებული უჯრედის გადაღლას და მთლიან დაძაბულობას იწვევს. მაგალითად, კოდალა ერთდაგივე ადგილზე კაკუნით უზარმაზარ ხეს ახმობს; ან კიდევ ავილოთ წყლის მაგალითი. თითო წვეთ წყალს შეუძლია ქვა გახვრიტოს, თუ ის ერთდაგივე ადგილზე ხშირად ეცემა. ამიტომ პედაგოგიკა იცავს მოსწავლეს ანალოგიური საფრთხისგან შემეცნებითი საქმიანობის მონაცვლეობით. გაკვეთილებს შორის შესვენება, გაკვეთილთა მონაცვლეობა საგანთა მიხედვით, ქმნის ოპტიმალურ პირობებს ახალ პროცესში უკვე სხვა უჯრედების ჩართვისა და დაღლილი უჯრედების დასვენების, ძალების აღდგენა- განახლებისათვის.

ასე საათივითაა აწყობილი საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, რომელსაც ეფექტურად შეუძლია იმუშავოს თავისი ობიექტური კანონებისა და კანონზომიერების საფუძველზე, თუ მას ხელოვნური, არაკომპეტენტური, უხეში ჩარევებით არ დავაზიანებთ.

გაკვეთილისადმი მოთხოვნები განპირობებულია სკოლის მიზნებითა და ამოცანებით, სწავლებისა და აღზრდის კანონებითა და პრინციპებით. გაკვეთილზე ხორციელდება სწავლების ძირითადი ფუნქციები; საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი, რომელსაც ჩვენ უკვე შევხეთ პირველ თავში, როცა სწავლების ცნებას ვიხილავდით. აქ უბრალოდ შეგახსენებთ მოკლედ.

საგანმანათლებლო მოთხოვნებს მიეკუთვნება პროგრამისა და თემატური გეგმის მიხედვით შედგენილი გაკვეთილის გეგმაში თემის შინაარსის ზუსტი განსაზღვრა-კონკრეტიზაცია, მთავარი ინფორმაციების აზრობრივ მონაკვეთებად ანუ საკითხებად გამოკვეთა, ცნებების, ცნობების, ფაქტების, მოვლენების სახელების,

სახელწოდებების, თარიღების, წესების, გასაზღვრებების და ა. შ. შესწავლა;

განმავითარებელმა ფუნქციამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე, ფსიქიკურ-ინტელექტუალური უნარების პროვოცირება და განვითარება მოცემულ ფარგლებში;

გაკვეთილის აღმზრდელობით ფუნქციაში შედის სააღმზრდელ ამოცანების კონკრეტული განსაზღვრა თემის შინაარსის მიხედვით გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ, ესთეტიკურ და ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით;

გაკვეთილზე გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე შრომითი აღზრდის ელემენტები ისევე სასწავლო მასალის შინაარსის ფარგლებში, გონებრივი და ფიზიკური შრომის კულტურის განვითარება თანმიმდევრულობისა და სისტემატურობის პრინციპის საფუძველზე.

რაც შეეხება გაკვეთილისადმი ორგანიზაციულ მოთხოვნებს, მასში იგულისხმება გაკვეთილის გეგმის შედგენა თემატურ-კალენდარული გეგმის მიხედვით; გათვალისწინება ყველა იმ ტექნიკურ და დიდქტიკური თვალსაჩინო მასალებისა და საშუალებებისა, რომელიც უზრუნველყოფს გაკვეთილის მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას.

გაკვეთილთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძველად უდევს მისი თვისობრივი თავისებურებები. ამის მიხედვით პედაგოგიკაში ცნობილია გაკვეთილთა შემდეგი ტიპები:

1. ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემისა და ათვისების ტიპის გაკვეთილი;
2. ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცების გაკვეთილი;
3. განზოგადოებისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი;
4. განმეორების გაკვეთილი;
5. პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის გაკვეთილი;
6. კომბინირებული ტიპის გაკვეთილი;
7. ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების გაკვეთილი.



ახალი მასალისა და უნარ-ჩვევების გადაცემა-ათვისების ტიპის გაკვეთილი, როგორც წესი, ტარდება საშუალო და უფროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან სასწავლო წლის, სემესტრის, საგნის სწავლების ან ახალ განყოფილების დასაწყისში. ამ ტიპის გაკვეთილზე მთელი საგაკვეთილო დრო ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევებზე მუშაობას ეთმობა. იგი სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, ძირითადი და დასკვნა.

I. შესავალი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ორგანიზაციული – დასწრება-დაგვიანების აღრიცხვა და საგაკვეთილო ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა;
2. საყრდენი ცოდნის მოკლე კითხვებით პროვოცირება და ნიდაგის მომზადება ახალი ცოდნის მისაღებად;
3. ახალი მასალის პრეზენტაცია – ძირითადი პრობლემების დასმა;

II. ძირითადი ნაწილი:

1. ახალი მასალის თემატურად, ლოგიკური თანმიმდევრობით გადაცემა, სათანადო კომენტარებში მოსწავლეთა აქტიური მონაწილობით;
2. ახალახსნილი მასალის განმტკიცება ანუ კატეხიზაცია;
3. სავარჯიშოებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა.

III. დასკვნითი ნაწილი:

1. რეზიუმე;
2. საშინაო დავალების მიცემა სათანადო ნიმუშითა და ინსტრუქტაჟით;
3. საკლასო ჟურნალის გაფორმება ან კომპიუტერში დაფიქსირება.

ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცების ტიპის გაკვეთილის დანიშნულებაა უკვე მიღებული ცოდნა-გამოცდილების გაღრმავება-განმტკიცება ზეპირი, წერილობითი ან პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობით. აქ სწავლების მთავარი მეთოდია ვარჯიში. ამ ტიპის გაკვეთილი ტარდება ყველა კლასში ცალკეული პროგრამული თემის ან

განყოფილების შესწავლის შემდეგ ცოდნისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდრმაგება-განმტკიცების და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების მიზნით.

პრაქტიკულად ყველა სახელმძღვანელოში მოცემულია სპეციალური კითხვები, სავარჯიშოები, დავალებები. ასევე მასწავლებელი თავისი შეხედულებისამებრ აძლევს დამატებით სამუშაოს კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენების მიზნით. მოსწავლეები წინასწარ უნდა იყონ ინფორმირებული როდის, სად და როგორ ჩატარდება ეს გაკვეთილი; თუ რა სასწავლო ნივთები, ტექნიკური და დიდაქტიკური საშუალებები დასჭირდებათ, რა საკითხებზე იქნება ყურადღება გამახვილებული. გაკვეთილის ეფექტურობას ძირითადად განსაზღვრავს მეცნიერული ორგანიზებულობა, პრობლემის სიზუსტე და სიცხადე. ასევე მისი საზოგადოებრივი და პრაქტიკული ღირებულება.

განზოგადოებისა და სისტემატიზაციის გაკვეთილი ემყარება აბსტრაქტულ აზროვნებას და შესაბამისად, ტარდება ძირითადად უფროს და ნაწილობრივ საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან. პროგრამული მასალების გარკვეული თავის ან განყოფილების გავლის შემდეგ. ამ ტიპის გაკვეთილის დანიშნულებაა ძირითადი, საყრდენი აზრის ფორმულირება დასკვნების, კანონზომიერების, პრინციპების, წესების, განსაზღვრებების, დებულებების, კონცეფციების, თეორიების სახით იმისდამიხედვით, თუ რის საშუალებას იძლევა მოცემული მასალის შინაარსი. ანალიტიკურ-ლოგიკური მსჯელობის გზით ჭეშმარიტების პოვნა, მნიშვნელოვანი აზრების თუ შეხედულებების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება, ტერმინოლოგიის ზუსტი დეფინიცია, სახელების, სახელწოდებების, თარიღების დამახსოვრება, ფაქტების კონსტანტაცია და ა. შ. ამ ტიპის გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-გამოცდილების სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

განმეორების ტიპის გაკვეთილი თითქმის იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც განმტკიცების გაკვეთილი, განსხვავება იმაშია,

რომ ერთხელ უკვე განმტკიცებული ცოდნა-გამოცდილების ხელახლა გახსენება, აღდგენა-განახლება, შიგა და გარე კავშირების, ურთიერთდამოკიდებულებების, ურთიერთგანპირობებულობის, ურთიერთმიმართებების დაგენა და უკვე განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება კორექცია, შევსება-გამოკლება და დახვეწა. განმეორებას ფრაზეოლოგიურად “ცოდნის დედას” უწოდებენ და, მართლაც ასეა. განმეორების ტიპის გაკვეთილი ტარდება ყველა კლასში განსაზღვრული პროგრამის ათვისების შემდეგ, თავის, განყოფილების ან საგნის დასასრულს, ასევე სემესტრებისა და სასწავლო წლის ბოლოს.

პრაქტიკულ-ლაბორატორიული ტიპის გაკვეთილები სხვა ტიპის გაკვეთილებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალური სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სასწავლო კაბინეტებში, ან სხვადასხვა ვითარებაში, მიწის ნაკვეთზე, ცხოველთა და ფრინველთა ფერმებში, ან კიდევ სხვადასხვა პროდუქტის მწარმოებელ ფაბრიკა-ქარხნებსა და კომბინატებში. იგი ძირითადად ტარდება უფროს კლასებში უფრო საბუნებისმეტყველო – მათემატიკური ციკლის საგანების სწავლების პროცესში. ამ ტიპის გაკვეთილი ემყარება სიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პედაგოგიურ პრინციპს. მისი დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ასპექტის შესწავლა, ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარების, თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული კავშირების შეცნობა.

ცოდნის შემოწმება შეფასების გაკვეთილიც ყველა კლასში და ყველა სასწავლო დისციპლინაში ტარდება. მას მაკონტროლებელი და საკორექციო ფუნქცია აკისრია. ამ გაკვეთილზე დგინდება ცოდნა-გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების ათვისების მოცულობა და ხარისხი, მოსწავლის თვისობრივი ცვლილება-განვითარების, გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, შრომითი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის დონე, პიროვნების

საერთო განვითარების ასაკთან და სასწავლო პროგრამასთან შესაბამისობა.

ამ ტიპის გაკვეთილზე ყველაზე მნიშვნელოვანია შემოწმება-შეფასების ობიექტურობა. არაობიექტური შეფასება არასწორ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს თავის თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე. გადაჭარბებული ან დაკლებული შეფასება – ორივე ერთნაირად საზიანოა. პირველ შემთხვევაში უსაფუძვლო სიამაყისა და თვითდაჯერებულობის საფუძველი ხდება, მეორე შემთხვევაში – პროტესტის, უნდობლობის, სიძულვილის. მასწავლებლისადმი უნდობლობა კი ურთიერთობის დამანგრეველი, პედაგოგიური გავლენის დამაქვეითებელი აქტია. მასწავლებლის ავტორიტეტს არაფერი ამცირებს ისე, როგორც არაობიექტურობა, მიკერძოება.

ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების ტიპის გაკვეთილს საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი ზეგავლენა აქვს აღსაზრდელზე. შეფასების პროცესში იცნობიერებს მოსწავლე თავის შესაძლებლობებს, მიღწეულსა და მისაღწევს, იდეალურსა და რეალურს შორის სხვაობას, აღმასვლისა და წარმატების პერსპექტივებს და შესაბამის ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ პირობებში იმუხტება შემეცნებითი აქტივობისათვის.

დასახელებულ გაკვეთილთა ტიპებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კომბინირებული ტიპის გაკვეთილს. თვით მისი სახელწოდება “კომბინირებული” მიგვანიშნებს მის მრავალმხრივობაზე. მართლაც, კომბინირებული გაკვეთილი მოიცავს ყველა სხვა ტიპის გაკვეთილთა ელემენტებს. როგორცაა: ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემა, განმტკიცება, წინა მასალის ცოდნის შემოწმება-შეფასება, განმეორება, განზოგადოება და სისტემატიზაცია, პრაქტიკული მეცადინეობა და ა. შ. ის ყველა კლასში ტარდება, დაწყებული I –დან XI ჩათვლით. მას ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ყველაზე მაღალი დოზით, კომპლექსურად აქ სრულდება სწავლების

საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქცია. ამ გაკვეთილის გეგმაზე უბრალო თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს მის მაშტაბურობასა და გრანდიოზულობას. მასწავლებლის პედაგოგიური კომპეტენტურობა ვლინდება და რეალიზდება განსაკუთრებით ამ ტიპის გაკვეთილზე. კონტროლის თვალსაზრისითაც, არაფრით არ ჩამოუვარდება შემოწმება-შეფასების ტიპის სპეციალურ გაკვეთილს. უფრო მეტიც. აქ შემოწმება-შეფასების მიმდინარე, თითქმის ყოველდღიური სახეობა იძლევა საშუალებას, რომ არ გაიპაროს და დროულად იქნეს გამოვლენილი და ლიკვიდირებული ხარვეზების დიდი ნაწილი.

მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის იწყება წინასწარ გაკვეთილის გეგმის შედგენით. გაკვეთილის გეგმა თავისი სახეობის მიხედვით ორგვარია: მარტივი და რთული ანუ გეგმა-კონსპექტი. მარტივ გეგმას ადგენენ უკვე გამოცდილი პრაქტიკოს-მასწავლებლები, რომელნიც დახელოვნებულნი არიან გაკვეთილის ჩატარებაში. მარტივ და რთულ გეგმებში განსხვავება იმაშია, რომ პირველში მოკლედ აისახება გაკვეთილის ძირითადი ეტაპები პუნქტების მიხედვით. რთულში კი სტენოგრაფიულად აისახება გაკვეთილის მთელი მსვლელობა. გაკვეთილის გეგმის შედგენა ხდება სასწავლო საგნის პროგრამიდან წინასწარ, სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე შედგენილ თემატურ-კალენდარულ გეგმის მიხედვით, რომლის შინაარსს წარმოადგენს ცალკეული გაკვეთილის გეგმები. გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელი კონკრეტულად განსაზღვრავს კლასს, საგაკვეთილო თემას, მიზანს, ამოცანებს, მეთოდებს, სწავლების ტექნიკურ და მულტმედიურ საშუალებებს, დიდაქტიკურ თვალსაჩინო მასალებს და, რაც მთავარია, ამუშავებს სასწავლო მასალას და შინაარსიდან გამომდინარე აკონკრეტებს სწავლების (ისევ გავიმეორებ მტკიცედ დამახსოვრების მიზნით) საგანმანათლებლო, განმავითარებელ, აღმზრდელობით და შრომით ფუნქციებს მოცემული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით.

თვალსაჩინოების მიზნით წარმოგიდგენთ ერთერთი გაკვეთილის, კერძოდ, კომბინირებული ტიპის გაკვეთილის გეგმის საორიენტაციო ნიმუშს.

კომბინირებული გაკვეთილის გეგმის საორიენტაციო  
ნიმუში

---

კლასი – IX.

- I. გაკვეთილის თემა: “მეზავრის წერილები”
- II. გაკვეთილის მიზანი და ამოცანები: საგანმანათლებლო განმავითარებელი აღმზრდელობითი და შრომითი.
  1. საგანმანათლებლო: თემა, დაწერის დრო, პერსონაჟები, იდეა, მიზანდასახულობა, მწერლის ენა, გამოსახვის მხატვრული ხერხები: სტილი, ფიგურა, ტერმინოლოგია.
  2. განმავითარებელი: ფსიქიკურ-ინტელექტუალური უნარების განვითარება: წარმოსახვა, ლოგიკური აზროვნება, ანალიზი, შედარება- პერაღელები, დასკვნის გამოტანა.
  3. აღმზრდელობითი: პატრიოტიზმის, იდეურობის, მეცნიერული მსოფლმხედველობის ელემენტები, მრწამსის, პოზიციის, დამოკიდებულების, შეფასების, სამართლიანობის, მშვენიერების შეგრძნება-აღქმის უნარ-ჩვევების გამომუშავება.
  4. შრომითი: წიგნის კითხვის, დაგეგმარების, ციტატების მოძებნის, ამოწერა და დამახსოვრების, თხზულების წერის, სიტუაციის ილუსტრირების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოიმუშავება
- III. მეთოდები, ხერხები: სასკოლო ლექციური, ტექსტზე მუშაობის, კომენტირების, კითხვა-პასუხების, ინსტრუქტაჟის.
- IV. თვალსაჩინოება: ილუსტრაციები, რუკა.
- V. საშინაო დავალების ნიმუში.
- VI. სათანადო ლიტერატურის მითითება.
- VI. დასკვნა.

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა

I. შესავალი: ა) ორგანიზაციული ნაწილი – დასწრება-დაგვიანების აღრიცხვა-დაფიქსირება, საგაკვეთილო ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა; ბ) საშინაო დავალების შემოწმება-შეფასება; გ) წინა მასალის “ყვარლის მთებს” ინდივიდუალური და ფრონტალური გამოკითხვა და შეფასება; კლასის ცოდნის შემოწმება ფრონტალური კითხვებით:

დასკვნა: საყრდენი ცოდნის, მთავარი აზრის  
კონსტანტაცია.

II. ძირითადი ნაწილი: ა) ახლი მასალის ახსნა – შესავალი სიტყვა, ბ) ტექსტიდან ძირითადი ადგილების ამოკითხვა, ერთობლივი კომენტარი.

III. ახალახსნილი მასალის განმტკიცება – კატეხიზაცია. ფრონტალური კითხვები:

1. რა მოტივისა და ჟანრის ნაწარმოებია “მგზავრის წერილები”? – “მგზავრის წერილები” პატრიოტულ-ეროვნულ მოტივზე აგებული პუბლიცისტურ-პროზაული ნაწარმოებია.

2. რა მიზნით იმყოფებოდა ნაწარმოების ლირიკული გმირი სანკტ-პეტერბურგში და როგორ აფასებს ის იქ გატარებულ წლებს? ამოკითხეთ ციტატა. – ნაწარმოების ლირიკული გმირი ანუ თავად ავტორი ილია ჭავჭავაძე უმაღლესი განათლებისა და რევოლუციური ცოდნა-გამოცდილების მისაღებად იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში და იქ გატარებულ წლებს ნაყოფიერს და სასარგებლოს უწოდებდა. ციტატას ამოკითხვა.

3. რა ფიქრები აღეძრა პოეტს, როცა ის უკვე უმაღლეს განათლება მიღებული სამშობლოში ბრუნდებოდა? – თუ როგორ შეხვდებოდა მას თავისი ქვეყანა და როგორ შეძლებდა

მისი ტკივილების მოშუშებას? ამოვიკითხოთ სათანადო ადგილები და კომენტარი გავუკეთოთ.

4. რა ტკივილები აწუხებდა საქართველოს? – საქართველო განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას: სოციალურს ექსპლუატატორული წყობილებიდან გამომდინარე და ეროვნულ უსამართლობას რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის გამო.

5. რუს გენერალთან დიალოგით რისი ჩვენება სურს ავტორს? – მისი უწიგნურობის, სიბეცის, სულიერი და ზნეობრივი დეფიციტის.

6. რა იდეაა ჩადებული მოხვევ ლელთ ღუნისა სიტყვებში: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნესო”? – ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის.

(კლასის გააქტიურებისათვის დასმულ კითხვებზე პასუხებს ვამეორებინებთ საშუალო და სუსტ მოსწავლეებს კარგად გაგებისა და დამახსოვრების მიზნით).

IV. დასკვნა: ა) ძირითადი აზრების კონსტანტაცია.

ბ) საშინაო დავალების მიცემა: დაწერეთ თემა: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს”.

გ) სათანადო ლიტერატურის მითითება.

ამრიგად, ნათლად ჩანს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ფორმის გაკვეთილის უნიკალურობა პედაგოგიკის გენერალური მიზნის – ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად სრულფასოვანი პირვნების ფორმირების – მისაღწევად. გაკვეთილის უნივერსალურობა და უნიკალურობა იმით არის განპირობებული, რომ აქ ხდება მთელი პედაგოგიური პროცესების, სისტემებისა და კომპონენტების ფუნქციონალური ინტეგრაცია და კონსტრუქცია აღზრდისათვის ოპტიმალური პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პირობების შესაქმნელად.



## **თემა VI. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე ორგანიზაციული ფორმები**

საკითხები:

1. კლასგარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი — პედაგოგიური პროცესის მეორე პედაგოგიური სისტემა;
2. არასაგაკვეთილო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსი, მიზანი, ამოცანები და პრინციპები;
3. კლასგარეშე მუშაობის ფორმები და შინაარსი;
4. სკოლისგარეშე სასწავლო- სააღმზრდელო დაწესებულებები, მათი მუშაობის მიზანი და ამოცანები.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უწყვეტობას, სისტემატურობასა და თანმიმდევრობას უზრუნველყოფს ამ პროცესის დამხმარე მეორე პედაგოგიური სისტემა – კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა. ჩვენ უკვე გავეცანით პედაგოგიური პროცესის პირველი და მთავარი სისტემის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას – გაკვეთილს, მის ტიპებს, სტრუქტურას, და შინაარსს. ახლა კი განვიხილავთ მეორე სისტემას თავისი კომპონენტებით: მიზნით, ამოცანებითა შინაარსითა და ფორმებით.

კლასგარეშე სასწავლო- აღმზრდელობითი პროცესი მოიცავს პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-გამოცდილების გადრმაგება-განმტკიცება, პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევების განვითარება. ეს პროცესი გაკვეთილისაგან განსხვავებით, ემყარება ნებაყოფლობითობის პრინციპს, რაც გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას იმ პედაგოგიური სისტემის შიგნით, რომელიც ოფიციალურად დადგენილია, მოსწავლეთა ნიჭის, მიდრეკილებისა და შემეცნებითი ინტერესის შესაბამისად.

გაკვეთილისგან განსხვავებით, აქ მასწავლებელი თავად ადგენს მოქმედების სტრატეგიულ და ალტერნატიულ გეგმას მოსწავლეთა ინიციატივის უფლებით. აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, პედაგოგიურ ჩარჩოში წინასწარ განსჭვრეტილია ღონისძიებათა ვარიანტები, მათი პედაგოგიურ-მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება და რომელიც არ უნდა აირჩიოს მოსწავლემ, მისი ნებისმიერი არჩევანი ღირებულია და სასურველი. არჩევანის თავისუფლების ელემენტი მოსწავლეს უქმნის ემოციურ კომფორტს, სრულფასოვნების შეგრძნებას და განაწყობს მოქმედებისათვის.

კლასგარეშე პედაგოგიური პროცესის დამხმარე ორგანიზაციული ფორმებია: პრაქტიკუმები და სემინარები, ფაკულტატივები, საგნობრივი წრეები, ექსკუსიები, ტურისტული ლაშქრობები, ოლიმპიადები, კონკურსები, ფესტივალები, ტურნირები, მოსწავლეთა ნაკეთობების გამოფენები, თემატური დილა-საღამოები, შეხვედრები გამომჩნილ ადამიანებთან, სპორტული ღონისძიებები, თვითშემოქმედებითი ლიტერატურული, მუსიკალური, სამხატვრო და ქორეოგრაფიული სექციები, სასკოლო ჟურნალ-გაზეთების გამოშვება და ა. შ.

პრაქტიკუმი და სემინარი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე, შემავსებელი ორგანიზაციული ფორმებია. იგი ტარდება უფროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან, რომელშიც მოსწავლე ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოთა ციკლს პროგრამის შესატყვისად. პრაქტიკუმები ტარდება ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში, საცდელ ნაკვეთზე, საწარმოო კომბინატებში. გაკვეთილისგან განსხვავებით, ეს პროცესი მოსწავლის დამოუკიდებლობითა და შემოქმედებითი მიდგომით ხასიათდება. მასწავლებელი წინასწარ ადგენს პრაქტიკუმის გეგმას, იმარაგებს საჭირო ნივთებს თუ აღჭურვილობას, ტექნიკურ საშუალებებს, ადგენს მოქმედების ინსტრუქციას, იღებს უსაფრთხოების პრევენციულ ზომებს. აქ მეცადინეობა შეიძლება იყოს კოლექტიური, ჯგუფური, ინდივიდუალური. ამას განსაზღვრავს დავალების შინაარსი და

სასწავლო ტექნიკური შეასაძლებლობები. მასწავლებელი ფხიზლად ადევნებს თვალყურს პრაქტიკუმის მსვლელობას, საჭირო შემთხვევაში ერთვება საქმეში და ახდენს კორექციას მანამ, სანამ მოსწავლეები ზუსტად არ აითვისებენ მოქმედების ინსტრუქციას, პრაქტიკული მოქმედების უნარ-ჩვევებს.

სემინარები უფრო მეტად ჰუმანიტარული ციკლის საგნებში ტარდება უფროს კლასებში პროგრამის გარკვეული თავის ან განყოფილების გავლის შემდეგ. იგი ემსახურება უკვე გავლილი მასალების განზოგადობას და სისტმატიზაციას, სიტყვის დამოუკიდებლად მომზადებისა და საჯაროდ გამოსვლის, აზრის სწორად გადმოცემის, საკუთარი შეხედულებების დაცვის თეორიულ და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. აქაც მასწავლებელს წინასწარ განსაზღვრული აქვს სემინარის ჩატრების ალტერნატიული გეგმა: თემა, ფორმატი: რეფერატი, მოხსენება, თეზისი და ა. შ. მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებას, იღებენ სათანადო ინსტრუქციას, წყაროების დასახელებას. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მზადების პროცესს და უწევს საჭირო კონსულტაციას, ეხმარება დავალების საბოლოო გაფორმებაში. ასევე წინასწარ განსაზღვრულია სემინარის ჩატრების დრო, ადგილი, შემსრულებელი, ოპონენტები და სხვა ატრიბუტები.

სემინარზე შესავალ სიტყვას ამბობს მასწავლებელი. ის ხაზს უსვამს სემინარის მიზანსა და ამოცანებს, ძირითად მიმართულებას. შემდეგ გამოდიან მსურველები, ისმება კითხვები, ეპაექრებიან ოპონენტები. მსჯელობენ, აანალიზებენ მოსმენილს, ეტყებენ ჭეშმარიტებას. შემეცნებითი აქტივობა, კომუნიკაბელურობა, სხვისი აზრისადმი პატივისცემა, რეგლამენტის შეგრძნება, დასკვნის ფორმულირება და არგუმენტირება სემინარისთვის დამახასიათებელი ელემენტებია.

დასასრულს, ისევ მასწავლებელი აჯამებს სემინარის მუშაობას და აძლევს სათანადო შეფასებას. აკონკრეტებს სემინარის დადებით და ნაკლოვან მხარეებს და იძლევა რჩევებს მის გამოსასწორებლად.

ფაკულტატიური მეცადინეობა ეწოდება ისეთ ჯგუფურ

დიფერენციალურ სწავლებას, სადაც მოსწავლეები თავიანთი სურვილისა და მიდრეკილების მიხედვით ირჩევენ ამა თუ იმ სასწავლო საგანს, რომელშიც იღრმავებენ მეცნიერულ-თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ფაკულტატიური მეცადინეობა IX კლასიდან სკოლის დამთავრებამდე. ის ემსახურება პროფორიენტაციული პრობლემის უფრო ეფექტურად გადაწყვეტას.

ფაკულტატიური მეცადინეობა მიმდინარეობს ლექციური და პრაქტიკული მეთოდებით.

პედაგოგიური პროცესის პირველი პედაგოგიური სისტემის დამხმარე ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს საგნობრივი წრეები, რომელსაც უშუალოდ საგნის მასწავლებელი ხელმძღვანელობს. მასში ერთიანდებიან მოხალისე მოსწავლეები თავიანთი ნიჭისა და ინტერესის მიხედვით. სკოლაში იმდენი წრე არსებობს, რამდენი სასწავლო საგანიცაა, რადგან არც ერთი სასწავლო დისციპლინა მხოლოდ გაკვეთილზე ვერ ამოწურავს თავის შესაძლებლობებს დამხმარე, შემავსებელი ღონისძიებების გარეშე. წრის მუშაობა სტიქიურად, მექანიკურად როდი მიმდინარეობს. მართალია, იგი ნებაყოფლობითობის პრინციპზე იგება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მოსწავლე, თუ არ უნდა, არც ერთ წრეში არ გაერთიანდება. ცხადია, ეს ასე არ არის. საგნობრივ წრეების მუშაობის პრინციპია არჩევანის თავისუფლება, რაც ნიშნავს სასურველ წრეში გაერთიანებას. არ არსებობს მოსწავლე, რომელსაც 20-ზე მეტი სასწავლო დისციპლინიდან ერთიც არ იზიდავდეს, რომელიდაცის ნიჭი არ ჰქონდეს. როგორც მ. ფ. კვინტილიანე ამბობს, უნიჭოები საერთოდ არ იბადებიან უმცირესი გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით.

ექვეურსია კლასგარეშე პედაგოგიური სისტემის კომპონენტია, რომელსაც დამხმარე ფუნქცია აკისრია. სიტყვა ექსკურსია ლათინური წრმომავლობისაა და ქართულად ნიშნავს “გამოსვლას”, რომელიმე ადგილის ან ობიექტის დათვალიერებას

მისი შესწავლის მიზნით. ამ ძირეული აზრიდან გამომდინარე, ექსკურსია ნიშნავს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე ფორმას, მოსწავლეთა გაყვანას ბუნებაში, საწარმოებში, ღირსშესანიშნავ ადგილებზე, ობიექტის უშუალოდ გაცნობის მიზნით. ექსკურსიის პედაგოგიური ფუნქციები საინტერესოდ აქვს გაშუქებული ი. ფ. ხარლამოვს 1999 წელს გამოცემულ პედაგოგიკის სახელმძღვანელოში. სადაც ვკითხულობთ:

1. ექსკურსია, ობიექტზე ან მოვლენაზე უშუალო დაკვირვების გზით, ახდენს თვალსაჩინოების პედაგოგიური პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას;
2. ექსკურსია ამადლებს სწავლებისა და აღზრდის მეცნიერულ დონეს და განამტკიცებს კავშირს თეორიას, პრაქტიკასა და ცხოვრებას შორის;
3. ექსკურსია უზრუნველყოფს აგრეთვე პოლიტექნიკური განათლების დონის ამადლებას საწარმოთა დათვალიერებით;
4. ექსკურსია, საწარმოო და სოფლის მეურნეობის დარგის პროცესებზე დაკვირვებით, ხელს უწყობს სწორ პროფორიენტაციას.

შინაარსისა და მიზნის მიხედვით ექსკურსია სხვადასხვა სახისაა: საწარმოო ექსკურსია, საბუნებისმეტყველო სამცნიერო ექსკურსია, ოსტორიულ-ფილოლოგიური ექსკურსია, სამხარეო-გეოგრაფიული ექსკურსია, კობლექსური ექსკურსია და სხვა.

საწარმოო ექსკურსია ეწყობა სახალხო მეურნეობის მწარმოებლურ სფეროში: ფაბრიკა-ქარხნებსა და კომბინატებში. ასეთ ექსკურსიებს გეგმავენ ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის მასწავლებლები. ასეთი ექსკურსიების დანიშნულებაა პოლიტექნიკური, პროფორიენტაცილული თვალსაწიერის გაფართოება და შრომითი აღზრდა.

საბუნებისმეტყველო-სამცნიერო ექსკურსიები მიმართულია ბუნების გაცნობის, ეკოლოგიური და ესთეტიკური კულტურის ამადლებისკენ. ასეთ ექსკურსიებს ატარებენ ძირითადად ფიზიკური გეოგრაფიის და ბიოლოგიის მასწავლებლები ტყეში, მთებში, მდინარეებზე და ტბებზე, ბოტანიკურ ბაღში, ზოოპარკში და ა. შ.

ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსიები ემსახურებიან ისტორიისა და ლიტერატურის სფეროში გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიურ ცოდნას, ისტორიზმის, მემკვიდრეობითობის პრინციპის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში, პატრიოტულ-ეროვნული გრძნობის გაღვივებას, მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნებისა და ესთეტიკური კულტურის განვითარებას. ამ სახის ექსკურსიებს ატარებენ საერთოდ, საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ძირითადად ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

სამხარეთმცოდნეო ექსკურსია ტარდება მშობლიური მხარის ბუნებრივი პირობებისა და ისტორიული მნიშვნელობის ადგილების, ასევე მატერიალურ და სულიერ ღირსშესანიშნაობათა გაცნობის მიზნით.

ცნობილია აგრეთვე კომპლექსური ექსკურსია, რომელიც ერთდროულად ასრულებს, როგორც შემეცნებით, ასევე აღმზრდელობით და ესთეტიკურ ფუნქციებს. რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ ექსკურსიათა სახეებს, ცხადია, ისინი მოიცავენ ამ სამივე ფუნქციას, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ აქედან მათში ერთი რომელიმე ფუნქცია არის წინა პლანზე წამოწეული ექსკურსიის მიზნის შესაბამისად. გაკვეთილის მთლიანად გადატანა შეიძლება თემის შესაბამის ექსკურსიაზე. ექსკურსია ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულიყოს ახალი მასალის შესწავლის საშუალებად, ან უკვე შესწავლილის გასამტკიცებლად. მაგალითად, VI კლასში გეოგრაფიის გაკვეთილი თემაზე: “მდინარეები” შეიძლება ჩატარებულიქნეს მდინარეზე უშუალო დაკვირვებით, ან პირიქით, თემა “მდინარეებზე” შესწავლილიქნეს ჯერ გაკვეთილზე თეორიულად სურათების დახმარებით და შემდეგ ჩატარდეს ექსკურსია.

კლასგარეშე პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციული ფორმების ურთიერთ შემავსებელი, ურთიერთ გამაღრმავებელი და განმამტკიცებელი კავშირები ნათლად იკვეთება მის პედაგოგიურ შედეგებზე. ასევე ცალკეული ექსკურსიების

მაველმხრივი შესაძლებლობები იძლევა საშუალებას მისი კომპლექსურ რეჟიმში გამოყენებისა.

გეოგრაფიის გაკვეთილზე წყლის სასიცოცხლო მნიშვნელობის შესახებ ვერბალური ინფორმაციების მიღების შემდეგ მოსწავლეების მიერ პირადი გამოცდილების შექმნის მიზნით გამოიყენება მრავალი დამხმარე ფორმები. მოვლენებზე უშუალო დაკვირვებებით თავადვე აღმოაჩენენ ბუნებაში არსებულ კანონზომიერებებს. ამაში მათ დაეხმარებათ მარტივი ექსპერიმენტებიც. მაგალითად, თუ ბავშვის ყურადღებას მივაპყროთ უწყლოობით მინავლებული ყვავილების გამოცოცხლებას წყლის მისხურების შემდეგ, ის უეჭველად მოექცევა ემოციებქვეშ და წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს მის ცნობიერებაზე. შემდგომ თუ ცნებებში მოვაქცევთ ამ პროცესებს და სიტყვებით დავუფიქსირებთ მეხსიერებაში, ეს ცოდნა-გამოცდილება მის ინტელექტუალურ საკუთრებაში გადავა, რომელსაც ვერავინ ვერასოდეს ვერ წაართმევს.

კონკრეტული შეგრძნებების შემდეგ მასზე მსჯელობით აზროვნების მაპროვოცირებელი კითხვების საშუალებით შევქმნით პირობებს მოსწავლის აზროვნების უფრო მაღალ ეტაპზე გადასასვლელად.

მაგალითად:

- რა მნიშვნელობა აქვს წყალს პირადად შენთვის?
- ვსავამ, ვიბან, ვრეცხავ, ვაუთავებ, საჭმელს ვამზადებ, ყვავილებს ვუსხამ, ბოსტანს ვრწყავ და ა. შ.
- კიდევ რა გამოყენება აქვს წყალს?
- დენს გვაძლევს, მის გარეშე ცხოვრება ძნელია.
- წყლით წარმოქმნილ ელექტროენერჯით მუშაობს ფაბრიკა-ქარხნები, მეტრო, მატარებელი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, ტელევიზორი, პურის ცხობა, განათება და კიდევ უამრავი რამე კეთდება დენით.

ამის შემდეგ ჰესებზე ვაწყობთ ექსკურსიას. იმის უშუალო ნახვა, თუ როგორ გამოიმუშავენს წყალი დენს, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მოსწავლეებზე.

წყლის ქაღალდთან მიმართების შესახებ აზროვნების მაპროვოცირებელი კითხვების დასმა მოსწავლეებში იწვევს ინტელექტუალურ აქტივობას, წყალთან ქაღალდის კავშირის ძიებას. მასწავლებლის დახმარებით მსჯელობენ ბავშვები და ეძებენ პასუხს: ქაღალდს ხე იძლევა. ხე რომ გაიზარდოს, წყალი სჭირდება. ქაღალდის კომბინატმა რომ იმუშავოს დენია საჭირო. დენს კი წყალი გამოიმუშავებს! აჰა, პასუხიც! სათანადო ინფორმაციებსა და ლოგიკურ მსჯელობას თავად მიჰყავს მოსწავლე ჭეშმარიტებამდე. შემეცნებაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს. შემეცნების მნიშვნელობაზე ყველაზე მოხდენილად სოლომონმა თქვა: “შემეცნებაა გონების სრულქმნა, სრულქმნილება კი – ღმერთთან მიახლოება” ( სოლომონის სიბრძნე 6:24)

ამ მიზნობრივი ექსკურსიდან ბოლომდე რომ ამოვიღოთ სარგებელი, მოსწავლეებმა კიდევ ერთი დავალება უნდა შეასრულონ. აქ მიღებული შთაბეჭდილებები წერილობით უნდა გადმოსცენ და მისი ანალიზის საფუძველზე გააკეთონ სილაბური დასკვნები, რაც უფრო ნათლად დაგვანახებს ჩატარებული ექსკურსიის ეფექტურობას.

ყოველი პედაგოგიური ღონისძიების წარმატება განპირობებულია მისი ორგანიზაციის შესატყვისი მეთოდით.

დისკუტი ან კითხვა-პასუხის სადამოებიც კლასგარეშე მუშაობის სისტემაში შედის, როგორც დახმარე ორგანიზაციული ფორმები, რომელიც ძირითადად ეძღვნება მორალურ-ეთიკურ საკითხებს. რაც შეეხება შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსწავლეთათვის როგორც თვალსაჩინო მაგალითი. რადგან კარგ საზოგადოებასთან ურთიერთობა, საერთოდ, დადებით გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ აღსაზრდელები მოვარიდოთ ცუდ საზოგადოებას, რადგან “ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან კარგ ჩვევებს” (Iკორინთელები 15:33).

ცოდნაში შეჯიბრების სულისკვეთების ამადლების მიზნით სკოლაში ტარდება საგნობრივი კონკურსები, ოლიმპიადები,



ტურნირები, ფესტივალები და ასპარეზობის მრავალი სხვა ფორმები.

საგნობრივი ოლიმპიადები ემსახურება შემეცნებითი ინტერესის გაღვივებას, საკუთარი შესაძლებლობების კონცენტრირებას, თავისთავში პიროვნების პოვნას.

აღნიშნული ფორმები სცილდება სკოლის ფარგლებს. ადგლობრივიდან გადადის საქალაქო, რაიონულ, რეგიონალურ და რესპუბლიკურ დონეზე, რაც მოსწავლისგან მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას, დიდ ძალისხმევას, მთელი ინტელექტუალური შესაძლებლობების ამოქმედებას. ასევე ხელს უწყობს მის სოციალიზაციას.

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას დიდი რომანტიკა და ენთუზიაზმი ახლავს. გამოფენა უფრო მეტად შემოქმედებით პროდუქციას ეძღვნება. ეს შეიძლება იყოს ნახატები, ნაძერწები, სუვენირები და ა. შ. ასეთი გამოფენების მოწყობა მოსწავლეთა სპეციფიკური ნიჭის გამოვლინებასა და განვითარებას უწყობს ხელს.

ხელოვნების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა თუ გამარჯვება არ იქნება მიზანში. ყოველი შემოქმედი და დამთვალეირებელიც თავისებურად უყურებს და აღიქვამს სამყაროს და ყოველივეს, რაც მასშია. ამიტომ შეფასება ზოგჯერ უნებლიედ შეიძლება აღმოჩნდეს არა ობიექტური. ეს კი დამწყებ და, მით უფრო ნორჩ ხელოვანს ჩაუქრობს სტიმულს.

მხარეთმცოდნეობისა და ტურისტული ლაშქრობები სკოლაში აღიარებული პედაგოგიური ფორმებია, რომელთა დანიშნულებაა გმირთა მოძიება, ფოლკლორული ნიმუშების შეკრება, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ საქმიანობაში მონაწილეობა და მოძიებულ მასალებზე სასკოლო მინი მუზეუმის მოწყობა, ინფორმაციების გამოშვება, ალბომების შედგენა და ა. შ. ამგვარი პედაგოგიური ღონისძიებები სახალისო, ფიზიკური წრთვნის, გამბედაობის, მოხეხებულობის, გონებაამახვილობის, ურთიერთ გატანისა და დახმარების, ზნეობრივი შეგნებისა და გრძნობების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე ფორმათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპორტულ ღონისძიებებს. განუსაზღვრელი წვლილი შეაქვს მას მოსწავლეთა ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის საქმეში, სულისა და სხეულის გაჯანსაღებაში. სკოლაში ამ მიმართულებით ტარდება გარკვეული მუშაობა, მაგრამ იგი სრულად ვერ უზრუნველყოფს სპორტულ მოთხოვნებს და ამ სფეროში გამორჩეულ მოსწავლეებს სკოლა აძლევს რეკომენდაციას სკოლისგარეშე სპორტულ დაწესებულებებში ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის, ცურვის, თუ ფარიკაობის სექციებში.

ცხადია, რომ პედაგოგიური პროცესი მხოლოდ სკოლის კედლებში არ წყდება. იგი გრძელდება საკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებში, რომლებსაც ქმნიან და მართავენ არა მარტო სახალხო განათლების ორგანოები, არამედ, მასში მონაწილეობენ პროფკავშირები, კულტურისა და სხვა სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. პირველი, სკოლის გარეშე ბავშვთა კლუბი, იყო “მურავეინიკი”, რომელიც დაარსდა 1918 წელს ქ. პერმში. შემდეგ ანალოგიურად გაფართოვდა სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ქსელი და დღეს ის თავის პიკს აღწევს.

მუსიკალური და ქორეოგრაფიული სექციები, მხატვართა ასოციაციები, სპორტული კლუბები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საბავშვო თეატრები და ა. შ. ის სკოლის გარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებია, სადაც მოსწავლეთა შერჩევა ხდება ნიჭის, ინტერესის მიხედვით და საფუძველი ეყრება მომავალ მეცნიერთა, ხელოვანთა და სპორტსმენთა მომზადებას.

ამრიგად, პედაგოგიური პროცესის ძირითად და დამხმარე: საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემები ურთიერთ მჭიდრო კავშირში უზრუნველყოფენ სკოლის გენერალური მიზნის — ყოველმხრივ ჰარმონიულად გონებრივად, სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად განვითარებულ, სრილფასოვანი პიროვნების ფორმირებას.

## თემა VII. პედაგოგიური კანონები და პრინციპები

საკითხები:

1. პედაგოგიური კანონის და პრინციპის ცნება და ურთიერთმიმართება;
2. პედაგოგიურ პრინციპთა სისტემა და მათი დახასიათება;
3. პედაგოგიურ პრინციპთა ურთიერთკავშირი და მათი პრაქტიკული რეალიზაცია.

კანონის ცნება ფილოსოფიურ ლექსიკონში ასეა განმარტებული. კანონი არის მოვლენათა შინაგანი, არსებითი და მყარი კავშირი, რომელიც განაპირობებს მათს მოწესრიგებულ ცვალებადობას. კანონის ცნება ახლოა კანონზომიერების ცნებასთან, რომელიც წარმოადგენს შინაარსით ურთიერთდაკავშირებულ კანონთა ერთობლიობას, რომელნიც უზრუნველყოფენ სისტემის ცვლილებებში მდგრად ტენდენციას, ანუ მიმართულებას. სამყაროში ყველა მოვლენა ემორჩილება გარკვეულ კანონებს. ე. ი. ყველაფერი დეტერმინებული და განპირობებულია ობიექტური კანონებით. კანონები არსებობენ ობიექტურად, ადამიანთა ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, როგორც საგანთა თვისებებს შორის, ან განვითარების სხვადასხვა ტენდენციას შორის აუცილებელ, არსებით, შინაგან მიმართებათა გამოხატულება.

პედაგოგიური კანონი არის ზოგადი კანონის დაკონკრეტება კონკრეტულ პედაგოგიურ სფეროში პედაგოგიკის კვლევის ობიექტისა და მიზნის შესატყვისად.

პედაგოგიური კანონზომიერება ეწოდება პედაგოგიურ პროცესებს, სისტემებსა და პროცესუალურ მოვლენებს შორის მდგრად, უცვლელ, განმეორებად და სიდრმისეულ კავშირებს, რომელზედაც იგება პედაგოგიური მიზანი, ამოცანები, შინაარსი, პრინციპები, მეთოდები, ფორმები და ა. შ. პიროვნების

ფორმირების კანონზომიერებებისა და განვითარების მამოძრავებელი ძალების შეცნობის გარეშე რომ შეუძლებელია აღზრდისა და ამ პროცესის ორგანიზება და მართვა, ეს პედაგოგიური აქსიომაა.

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საწყისს, საფუძველს, იმ ამოსავალ დებულებას, რითაც ხელმძღვანელობენ ურთიერთმიმართებებში. პედაგოგიური პრინციპი არის პედაგოგიური ურთიერთობის, პედაგოგიური მიდგომის ის საწყისი, საფუძველი, ამოსავალი დებულება, რომლითაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი. ე. ი. პედაგოგიური პრინციპი მასწავლებლისთვის მორიენტირებელ ფუნქციას ასრულებს და ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეცნიერულ დონეზე გამართვასა და წარმართვას, პედაგოგიური კანონების პრაქტიკულ რეალიზაციას. მაგალითად, ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის პედაგოგიური კანონის პედაგოგიურ აქტში გადმოყავს აღსაზრდელის ასაკობრივ და ფსიქიკურ-ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინების პრინციპს.

განვითარების უზოგადესი ობიექტური კანონების: რაოდენობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებაში გადასავლის კანონი, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი და უარყოფის უარყოფის კანონი, ერთად ქმნიან იმ კანონზომიერებას, რომელიც იწვევს ცვალებადობას, განვითარებას, თვისობრივად ახალ მდგომარეობაში გადასვლას თავისი გვარისა და გენოკიდის მთლიანად გადმოტანით.

აღზრდის საზოგადოებრივი მიზნის საზოგადოებრივი მოთხოვნებით განპირებულობა – ეს ზოგადი კანონია, მაგრამ აღზრდის კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოცემული საზოგადოებრივი მოთხოვნებით განპირებულობა კი კანონზომიერებაა.

აღზრდის ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობა ზოგადი ობიექტური კანონია, მაგრამ აღზრდის კონკრეტულ დროსა და სივრცეში, კონკრეტული შინაარსის კონკრეტული ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობაში მოყვანა კონკრეტული პედაგოგიური მეთოდებითა და საშუალებებით, ეს კანონზომიერებაა.

სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა ზოგადი კანონია, მაგრამ

აღზრდის კონკრეტული მიზნისადმი სწავლების კონკრეტული შინაარსის შესატყვისობა მისი კანონზომიერებაა.

ასევე სწავლება აღზრდის მიზნის, შინაარსის, პრინციპებისა და მეთოდების ურთიერთკავშირი ზოგადი კანონია, მაგრამ ამ პედაგოგიური კომპონენტების კონკრეტიზაცია დროისა და ადგილის მიხედვით, კანონზომიერებაში გადადის.

რაც უფრო გარკვეულია განვითარების ობიექტური კანონების არსი და შეწონასწორებულია პედაგოგიკის სფეროში კონკრეტულ სიტუაციებთან, მით უფრო მაღალია პედაგოგიურ პრინციპთა ეფექტურობა. პედაგოგიური პრინციპები ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული პედაგოგიურ მიზანთან და მეთოდებთან. მათი ურთიერთ ინტეგრირებით წარმოიშვება ერთიანი პედაგოგიური სისტემა, რასაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი პედაგოგიური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პედაგოგიური მიზნის მიღწევადობას.

ამ რთულ პროცესებში გარკვევისა და გამოყენებისათვის მხოლოდ ზოგადი პედაგოგიკის შესწავლა საკმარისი არ არის. ამისთვის საჭიროა მთელი პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემის ანუ მის დარგების, მოსაზღვრე მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება და სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკების მიღება. ეს სამი სფერო ურთიერთ მჭიდრო კავშირში ქმნის ოპტიმალურ პირობებს მასწავლებლის პედაგოგიური დაოსტატებისათვის. ეს კარგად ესმოდათ პედაგოგიკის კლასიკოსებს: მ. ფ. კვინტილიანეს, ი. ა. კომენსკის, ა. დისტერვეგს, კ. უშინსკის, ი. გოგებაშვილს და სხვებს, რომლებმაც შექმნეს უნიკალური, ზოგადკაცობრიული პედაგოგიკური თეორია, დროითა და სივრცით შეუზღუდავი ფუნდამენტალური საფუძველი შემდგომი თაობებისათვის.

პედაგოგიკურ მეცნიერებაში დადგენილია ადამიანის ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებული პედაგოგიური პრინციპები, რომელნიც ამ ბუნების გამო არიან ნაკლებად ცვალებადი და მარადიული. მის ამ უნიკალურობას ისიც ადასტურებს, რომ დღესაც მოქმედი პრინციპები ზუსტად იმავე სახით გვხვდება კვინტილიანეს პედაგოგიკურ მოძღვრებაში “ორატორის დარიგებანი”, კომენსკის ”დიდ დიდაქტიკაში”, გოგებაშვილის პედაგოგიკურ თხზულებებში და ა. შ.

ეს პრინციპებია:

1. სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობა;
2. სწავლებისა და აღზრდის მეცნიერულობა;
3. სწავლებისა და აღზრდის, როგორც ერთიანი პედაგოგიური პროცესის მიზანსწრაფულობა;
4. შეგნებულობა და აქტიურობა;
5. სისტემატურობა და თანმიმდევრობა;
6. მისაწვდომობა;
7. თვალსაჩინოება;
8. მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურება;
9. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა;
10. ცოდნა-გამოცდილების ღრმად და მტკიცედ შეთვისება;
11. შეგნებისა და ქცევის ერთიანობა;
12. მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემა;
13. აღზრდაში დადებითზე დაყრდნობა;
14. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა;
15. სკოლის, ოჯახისა და სზოგადოების პედაგოგიური მოთხოვნების ერთიანობა.

სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პედაგოგიური პრინციპი ამ ორ მხარეს წარმოგვიდგენს თავის ბუნებრივ, რეალურ მდგომარეობაში, როგორც ერთიან განუყოფელ პედაგოგიურ პროცესს, როგორც მიზეზსა და შედეგს, როგორც სწავლების ფუნქციას. ამ ობიექტური რეალობის ხელოვნური გათიშვა და აღზრდის თეორიად და დადაქტიკურ თეორიად გამოცხადება და ფიზიკურად სხვადასხვა განყოფილებაში განთავსება და ამ ვითარების შესაბამისად პედაგოგიური პრინციპებისა და მეთოდების გახლეჩვა სწავლების პრინციპებად და მეთოდებად და აღზრდის პრინციპებად და მეთოდებად და ასევე ცალ-ცალკე მიბმა სწავლებასა და აღზრდასთან, პედაგოგიკას თავის ძალასა და დანიშნულებას უკარგავს, როგორც ეს არის გაკეთებული თანამედროვე მოქმედ პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში, რაც ყოველად დაუშვებელია. სახელმძღვანელოს მასწავლებელი შეცდომაში კი არ უნდა შეყავდეს, არამედ ის გზას უნდა უნათებდეს სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების ამ ურთულეს პროცესში.

მეცნიერულობის პედაგოგიური პრინციპი უზრუნველყოფს მთელი პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების თავის ბუნებრივ, ობიექტური კანონების საფუძველზე მოწესრიგებას და რეალურ რელსებზე დაყენებას. რადგან სწორედ წესრიგია სამყაროს მოძრაობის მთავარი ძალა. როგორც კომენსკიმ თქვა: “წესრიგია საგანთა სული.” და, აი, აქ არის სწორედ, პედაგოგიკასა და ფილოსოფიას შორის შეხების წერტილი. პედაგოგიკა ფილოსოფიიდან იღებს განვითარების უზოგადეს ობიექტურ კანონებს, აკონკრეტებს და იყენებს თავისი მიზნების შესაბამისად. სწორედ მეცნიერულობის პრინციპზეა აგებული სასწავლო გეგმები, პროგრამები სახელმძღვანელოები, თავლსაჩინო დიდაქტიკური მასალები. მასწავლებელს არავინ ავალებს ამ კანონებისა და პრინციპების აღმოჩენას, მაგრამ იგი ვალდებულია, აღმოჩენილი კარგად გაიგოს, აითვისოს და გამოიყენოს თავისი პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად.

მიზანსწრაფულობის პედაგოგიური პრინციპი გულისხმობს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გენერალურ პედაგოგიური მიზნისადმი დაქვემდებარებულობას. ამ მიზანს ერთხელ კიდევ შეგახსენებთ – “ყოველმხრივ ჰარმონიულად, გონებრივად, სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და ფიზიკურად განვითარებულ სრულფასოვანი პიროვნების ფორმირება.” მიზნის გარკვეულობასა და დასახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ საქმიანობაში, მაგრამ მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელია აღზრდის სფეროში.

მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის მოქმედების წინასწარ განსაზღვრული შედეგი. მიზანი ეხმარება ადამიანს მთელი ფსიქიკურ-ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების მიზანმიმართულად მობილიზება-კონცენტრაციაში, მიზნის მისაღწევად საჭირო პირობების განსაზღვრაში. ამიტომ მიზანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ერთერთი უმთავრესი კოპონენტია, რომელიც მარიენტირებელ როლს ასრულებს პედაგოგიურ საქმიანობაში. იგი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად წარმართავს ამ პროცესს, განსაზღვრავს აღზრდის ამოცანებს, შინაარსს, პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს.

იდეალური პიროვნების უზუსტესი მოდელის წარმოსახვის საფუძველზე მ. ფ. კვინტილიანემ აღზრდის მიზნად დასახა “ბრძენი რომაელის აღზრდა”. ასეთი საოცარი მიგნება აღზრდის მიზნის ლაკონურად ფორმულირებისა, არც კვინტილიანემდე და არც მის შემდგომ არავის არ მოუცია. მაგალითისათვის მოვიყავან რამდენიმე ნიმუშს: “ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება” (არისტოტელე), “ღვთისმოშიში,” “ღვთისმოსავი”(კომენსკი), “ჰუმმარტად ადამიანი” (პესტალოცი), “ახალი ტიპის ქართველი”, “ახალი კაცი” (გოგებაშვილი), “კაცური კაცი” ( ი. ჭავჭავაძე) და მრავალი სხვა ფორმულები ვერაფრით ვერ უპირატესობენ კვინტილიანესეულ ფორმით მარტივ, აზრით უღრმეს და მოსამენადად სასიამოვნო ფორმულაზე.

“ბრძენ რომაელში” კომპენდიუმის სახით არის მოცემული ჭკვიანი, გონიერი, ზნეობრივი, სულიერი, თავისი ქვეყნის პატრიოტის სრულყოფილი სახე. “ბრძენი რომაელი” დროითა და სივრცით, რასობრივი თუ ეროვნული ნიშნით შეუზღუდავი ფორმულაა. ცნება – “ბრძენი” არა მარტო რომაელს, არამედ ნებისმიერს იგუებს. მაგალითად: ბრძენი ქართველი, ბრძენი რუსი, ბრძენი ინგლისელი, ბრძენი გერმანელი და ა.შ. ნეტავ, ყველა რომ ბრძენი იყოს, მთელ მსოფლიოში არაფერი პრობლემა არ იქნებოდა ამ უმშვენიერეს დედამიწაზე. სიბრძნესთან დაკავშირებით ბიბლიაში წერია: “ბრძენი ილაპარაკებს გონიერულად და მისი საქმეები სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის . . . მის სიბრძნეს განადიდებენ ერები და მის ქებას გამოაცხადებს ერი” (სიბრძნე ზირაქისა 39: 10). აღზრდის მიზნად მეც დიდი სიამოვნებით ავირჩევდი კვინტილიანესეულ ფორმულას – “ბრძენი ქართველი”.

შეგნებულობისა და აქტიურობის პედაგოგიური პრინციპის შემოქმედებითად გამოყენება დიდად განაპირობებს სწავლებისა და აღზრდის ეფექტურობას. შეგნებულობა ნიშნავს ყოფიერების გაცნობიერებას. სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის მოსწავლის მიერ გაცნობიერებისა და აქტიურობის გარეშე წარმოუდგენელია სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტა. მოსწავლეს შეგნებული უნდა ჰქონდეს საერთოდ და მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში სასწავლო საგნის თუ კონკრეტული მასალის



შესწავლის პიროვნული და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა. კვინტილიანე ამბობს: “არაფერში არ შეიძლება სრულყოფილების მიღწევა, საქმის არსის, მისი საფუძვლის ცოდნის გარეშე”. სასწავლო-შემეცნებითი მოქმედების აუცილებლობის შეგნება ავტომატურად გამოიწვევს მის აქტივობას. ხოლო რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია სუბიექტის შემეცნებითი აქტვობა, მით უფრო ადვილად, დროულად და სრულყოფილად მიმდინარეობს მისი განვითარება და სოციალიზაცია, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება.

შეგნებულობისა და აქტივობის პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციას ხელს უწყობს მისაწვდომობის პედაგოგიური პრინციპი, რომელიც თავის მხრივ უშუალოდ დაკავშირებულია მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებების გათვალისწინების პრინციპთან, რომელიც ბავშვის ბუნებასთან აღზრდის შესაბამისობის კანონიდან გამომდინარეობს. ამასთან დაკავშირებით კვინტილიანე წერს: “ბავშვი ჰგავს ვიწრო ყელიან ჭურჭელს, რომელშიც სითხე ნელ-ნელა, წვეთწვეთებად უნდა ჩავასხათ, თორემ თუ ერთბაშად გადმოვაპირქვავეთ, უფრო მეტი გარეთ გადაიღვრება და უმცირესი ნაწილი მოხვდება ჭურჭელში”-ო (მ.ფ. კვინტილიანე, “ორატორის დარიგებანი. სანკტ-პეტერბურგი, 1834, გვ. 83).

მისაწვდომობის პრინციპი დაკავშირებულია მასწავლებლის გადაცემის უნართან, ხოლო ეს უკანასკნელი კი – მეტყველების კულტურასთან. როგორც ცნობილია, მეტყველების უნარი თანდაყოლილი დვითური ძღვენია, ხოლო მეტყველების კულტურა სწავლა-განათლებით, უდიდესი ძალისხმევით შექმნილი საგანძურია. სიტყვას კვინტილიანე თაფლს ადარებდა, როგორც ფუტკარი უამრავი სხვადასხვა ყვავილის წველებისგან ქმნის ერთ უნიკალურ ნაერთს – თაფლს, ასევეა სიტყვა, რომელიც უამრავ მეცნიერებათა ცოდნის საფუძველზე მიიღება.

მეტყველების კულტურა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ინფორმაციას – სათქმელის შინაარსის ცოდნას, ლოგიკურ აზროვნებას, ენის ზედმიწევნით ფლობას, ინტონაცია-მიმიკას და სხვა.

მისაწვდომობის პრინციპი მოითხოვს მოსწავლის ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით სასწავლო შინაარსის, მისი საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ამოცანების, მეთოდების და სხვა პედაგოგიური საშუალებების ზუსტ განსაზღვრას. რომ უზრუნველყოს არცოდნიდან ცოდნისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, თეორიიდან პრაქტიკისაკენ, აზროვნებისა და მოქმედების სწორი მოძრაობა; მასალის სირთულისა და მოცულობის, დროისა და მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანა; პედაგოგიური და კომუნიკატორული ამოცანების ურთიერთდამთხვევა; პედაგოგიური მიზნის, შინაარსის, პრინციპების, მეთოდების, ფორმებისა და საშუალებების ოპტიმალური ინტეგრაცია.

თვალსაჩინოების პრინციპი, რომელიც პედაგოგიკაში “ოქროს წესად” არის ცნობილი, სწავლებას ხდის მისაწვდომს. დასაძლევს, საინტრესოსა და ადვილად დასამახსოვრებელს. თვალსაჩინოების ეს ეფექტურობა თავისი კანონზომიერებით არის განპირობებული, რადგან, რაც უფრო მეტი გრძნობის ორგანოები მონაწილეობენ ობიექტის შერქმევა-აღქმაში, მით უფრო ადვილად აითვისება იგი. კომენსკიმ დაწერა: თუ ჩვენ გვსურს მოსწავლეები მივაჩვიოთ ჭეშმარიტ და მტკიცე ცოდნის მოპოვებას, მაშინ ყველაფერი უნდა ვასწავლოთ დაკვირვებისა და შეგრძნების საფუძველზე” (კომენსკი. რჩ. პედ. თხზ. თბ., 1949). უფრო მოგვიანებით კ. უშინსკიმ დაწერა: “ რაც უფრო მეტი გრძნობის ორგანოები მონაწილეობენ რომელიმე შთაბეჭდილების, ან შთაბეჭდილებათა ჯგუფის აღქმაში, მით უფრო მტკიცედ ინახება იგი ჩვენს მექანიკურ და ნერვულ მეხსიერებაში და შემდეგ უფრო ადვილად გავხსენდება იგი” (კ. უშინსკი. თხზ. კრ. ტ. 8).

თვალსაჩინოება ძირითადად უმცროს სასკოლო ასაკში გამოიყენება თავიანთი ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების თავისებურების გამო. ამ ასაკის ბავშვები ჯერ კიდევ კონკრეტული აზროვნების დონეზე იმყოფებიან. თვალსაჩინოება კი კონკრეტული შეგრძნებებითა და შთაბეჭდილებებით ამდიდრებს მათ ცნობიერებას, რომლის

წიადში ეყრება საფუძველი აბსტრაქტული აზროვნების ელემენტებს.

თვალსაჩინოება სხვადასხვა სახისაა: რეალური საგნები და მოვლენები ნატურალური სახით; მოდელი, მულაჟი, სურათი, ილუსტრაციები, ნახატები, ფიტოსურათები; გრაფიკული თვალსაჩინოება: დიაგრამები, სქემები, ტაბლიცები; ტექნიკური საშუალებები: სასწავლო კინოფილმები, ტელევიზორი, კომპიუტერი, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, კომპიუტერი ინტერნეტით და მრავალი სხვა. თვალსაჩინოების ეფექტურობა მასწავლებლის ოსტატობაზე დამოკიდებულია.

სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პედაგოგიური პრინციპი გულისხმობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ისეთ ორგანიზაციას, რომლის დროსაც ესა თუ ის სასწავლო მასალა ან სხვა პედაგოგიური ღონისძიება წარმოადგენს ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას ადრე ათვისებული ცოდნა-გამოცდილებისა, განამტკიცებს და აღრმავებს მიღწეულს და აღსაზრდელი აჰყავს განვითარების თვისობრივად ახალ საფეხურზე.

სისტემა ნიშნავს შიგა ლოგიკურ კავშირში მყოფ ცალკეულ ელემენტთა ერთობლიობას. სისტემასთან დაკავშირებით კ. უშინსკი წერდა: უსისტემო ცოდნა ჰგავს გათოშილ ბედურებს, რომელნიც ერთი მეორის გვერდით აწყვია და ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი იციან. ეს აზრი შემდეგში მ. კრუპსკაიამ ასე განავითარა: მხოლოდ გონივრული და საგნის არსიდან გამომდინარე სისტემა ცოდნისა, იძლევა თავისუფლებას, ხოლო უსისტემო, ფრაგმენტული ცოდნით ავსებული თავი ჰგავს არეულ საკუჭნაოს, სადაც თვით პატრონიც კი ვერაფერს აგნებს საჭირო დროს.”

რაც შეეხება თანმიმდევრობის პრინციპს, იგი გულისხმობს არცოდნიდან ცოდნისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, თეორიიდან პრაქტიკისაკენ თანდათანობით ბუნებრივ გადასავლას ისე, რომ ყოველი მომდენო გამოდიოდეს წინა მასალისგან და განამტკიცებდეს მას. როგორც კომენსკი მიუთითებდა, ყველაფერი უნდა ისწავლებოდეს თანმიმდევრობით “დაწყებული თავიდან სრულ დამთავრებამდე;

საფუძველი უნდა იყოს ღრმა, ყველაფერი შემდგომი უნდა ემყარებოდეს წინამავალს; ყველაფერი უნდა მიმდინარებდეს განუწყვეტელი თანმიმდევრობით, რომ დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს”( ი.ა. კომენსკი. “დიდი დიდაქტიკა” თბ., 1949).

ცოდნა-გამოცდილების მტკიცედ და ღრმად შეთვისების პრინციპი გულისხმობს პროგრამით გათავალისწინებული ინფორმაციების, მსოფლმხედველობის, ზნეობრივ და ესთეტიკური იდეების საფუძვლიან გააზრებას, ინტელექტუალურ საკუთრებად გადაქცევას. ეს მიიღწევა ჭეშმარიტი ინფორმაციების შესატყვისი პედაგოგიური საშუალებების ოპტიმალური ინტეგრაციის გზით შემეცნების შეგრძნება-აღქმა, წარმოსახვა-გააზრება, დამახსოვრება – გამოყენების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ეტაპების გავლით. შემეცნების პროცესში, რომელიც სენსუალიზმის თეორიას ემყარება, მოსწავლეები მთლიანად უნდა იყონ პედაგოგიურ პროცესში ჩართულნი, სასწავლო-აღმზრდელობითი ციკლის აქტიური მონაწილეონი. ამასთან დაკავშირებით ი. ფ. ხარლამოვი საინტერესო პედაგოგიურ კონცეფციას აყალიბებს: “სასწავლო მასალის პირველადი შეგრძნება-აღქმა, მისი შემდგომი ღრმა გააზრება, გარკვეული მუშაობის ჩატარება მის დასამახსოვრებლად, ათვისებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, ასევე მისი განმეორება და სისტმატიზაცია” უზრუნველყოფს ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისებას.

ფრაზეოლოგიური გამოთქმა: “განმეორება ცოდნის დედააო”, უმნიშვნლოვანესი საშუალებაა ცოდნა-გამოცდილების დასამახსოვრებლად. კვინტილიანე წერს, რომ ერთდამავე მოქმედების მრალგზის გამეორება, ვარჯიში მანამ, სანამ არ იქნება ცოდნა-გამოცდილებისა და მისი შესაბამისი მოქმედების უნარ-ჩვევები მტკიცედ ათვისებული და დამახსოვრებული, ახალ მასალაზე გადასვლა არ შეიძლება. კ. უშინსკიც განმეორებაში ხედავდა ცოდნის სიმტკიცის უზრუნველყოფას. ის წერდა, რომ განმეორება უნდა ემსახურებოდეს არა დავიწყებულის აღდგენას, არამედ დავიწყების თავიდან აცილებას. ამიტომ “მასწავლებელი

განმეორებას უნდა იყენებდეს არა იმისათვის, დანგრეული შენობა შეარემონტოს, არამედ დანგრევამდე უნდა გაამაგროს ახალი სართულის დასაშენებლად” (უშინსკი, რჩ. თხზ. ტ. X, გვ. 425).

მაშასადამე, ცოდნის მტკიცედ ათვისებისათვის საჭიროა მისი სისტემატური შემოწმება და შეფასება თუ რა ხარისხითა და დოზით არის ათვისებული წინა მასალა. ყოველ ახალ, მომდევნო სასწავლო თემაზე გადასვლამდე წინა, უკვე გავლილი მასალიდან უნდა დაისვას კითხვები და პასუხების მიხედვით დადგინდეს ათვისების სიღრმე და სიმტკიცე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა “დაშენდეს მასზე ახალი სართული”.

ბავშვს, ამ უნიკალურ ღვთიურ ქმნილებას თანდაყოლილი აქვს ფსიქიკურ-ინტელექტუალური და ფიზიკური უნარები, შექმნილია არჩევანის თავისუფლებით და ყოველგვარ გარეშე ზემოქმედებას, პედაგოგიური მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, აღიქვამს გარკვეულ “ძალადობად”, თავისუფლების შეზღუდვად. ამიტომ პედაგოგიური მეცნიერება შერწყმული თუ არ არის პედაგოგიურ ხელოვნებასთან, პედაგოგიური მოთხოვნებისადმი მოსწავლეს არ ექნება ადეკვატური რეაქცია. ასეთ შემთხვევაში პედაგოგიური პროცესი კარგავს თავის ძალას. ეს კი გამოიწვევს აღსაზრდელის პიროვნების განვითარების, მისი სოციალიზაციის პროცესის შეფერხებას. ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა მასწავლებელი საკმაოდ დაუფლებულია პედაგოგიკის მეცნიერებას, მოსწავლესთან ურთიერთობაში, პედაგოგიურ პროცესზე ხშირად წარუმატებელია. ამას ბევრი ახსნა აქვს, მაგრამ ერთერთ და საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზი, რითაც შეიძლება ეს იყოს განპირობებული, პედაგოგიური ხელოვნების დაბალი დონით აიხსნება.

მოსწავლეს, თავისი ასაკობრივი მდგომარეობისა და ინფორმაციული დეფიციტის გამო წინასწარ არა აქვს გაცნობიერებული თავისი ქცევის, სწავლისადმი დამოკიდებულების საბოლოო შედეგი. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე, ვიდრე ის ბუნდოვანი მომავალი, რომელსაც მასწავლებელი თავაზობს. ამის

გათვალისწინებით მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველი დღე, ყოველი პედაგოგიური პროცესი მოსწავლეთათვის იყოს მნიშვნელოვანი, პიროვნულად და საზოგადოებრივად ღირებული.

რა პედაგოგიური საშუალებები არსებობს ამისთვის?

– აქვე გიპასუხებთ, ძალიან ბევრი. პედაგოგიური კანონების, პრინციპების, მეთოდების ღრმად და მტკიცედ ცოდნა და მათი გამოყენების ხელოვნება, პედაგოგიური ოსტატობა.

მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის პედაგოგიურ პრინციპს ჯადოსნური ძალა აქვს. მოსწავლეს, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის მტკივნეულ გზაზე სჭირდება სიყვარული, ყურადღება, პატივისცემა საკუთარი სრულფასოვნებისა და ძალებისადმი რწმენის გასამტკიცებლად. როცა მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მის პიროვნებას აფასებს, ანგარიშს უწევს და პატივისცემს, პედაგოგიური მოთხოვნებისადმი მორჩილი, მომსმენი და დამჯერი ხდება. “პიროვნების პრობლემა – წერს ა. ს. მაკარენკო – მოხსნილია, თუ ადამიანში ვხედავთ პიროვნებას” (ა. ს. მაკარენკო. პიროვნების შესახებ საზოგადოებაში. თხზ. ტ. VII, გვ. 13).

მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის პრინციპს საფუძვლად უდევს ჰუმანიზმი, მოყვასის სიყვარული. იესო ქრისტემ თქვა: “ყველაფერში როგორც თქვენ გინდათ, რომ მოგექცნენ სხვები, თქვენც ისევე მოექცით მათ, რადგან ეს არის კანონისა და წინასწარმეტყველთა წიგნების (ბიბლიის – გ. ხ.) არსი” (მათეს 7: 12).

რაც შეეხება აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის პედაგოგიურ პრინციპს, ესეც ჰუმანიზმის გამოვლინების მაღალი ფორმაა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად დადებითი იყოს, ან აბსოლუტურად – უარყოფითი, აბსოლუტურად კეთილი, ან აბსოლუტურად ბოროტი. სიკეთისა და ბოროტების მარცვალი ერთად დევს ადამიანის ბუნებაში. რომელსაც მიეცემა განვითარების მეტი შესაძლებლობა, ის დაიკავებს მთავარ ადგილს. ამის ცოდნა აძლევს მასწავლებელს საშუალებას, შექმნას

ისეთი პედაგოგიური პირობები, რომ კეთილ საწყისებს მიეცეს განვითარების საუკეთესო შესაძლებლობა, რაც ავტომატურად მოახდენს ბოროტი საწყისის ლიკვიდაციას. ვ. სუხომილინისკის აზრით, თითოეულ ბავშვში მონიშნული უნდა იქნეს მისი დადებითი მხარეები და აღზრდა უნდა წარიმართოს იქითკენ, რომ “პაწიას” მიეცეს საშუალება მისი განვითარებისა, რომ მასში გამოვლინდეს პიროვნული ინდივიდუალობა. მასწავლებლის ოსტატობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეს აგემოს წარმატება შემეცნებით საქმიანობაში, შეაგრძნობინოს თავისი სრულფასოვნება და პიროვნებად აგრძნობინოს თავი, რომელსაც აქვს უფლებები და მოვალეობები; დაასაქმოს იმ სფეროში, რომელსაც აუცილებლად გაართმევს თავს და მოიპოვებს წარმატებას. წარმატება კი აღმაფრთოვანებელ და მასტიმულირებელ გავლენას ახდენს წარმატებულზე.

დადებითზე დაყრდნობის პრინციპი უშუალო კავშირშია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების პრინციპთან. “მასწავლებლის – წერს ა. ს. მაკარენკო – ერუდიცია, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, პირობების მიგნება და განსაზღვრა, არც მეტი, არც ნაკლები, თუ ესოდენ საჭირო თვისებები მასწავლებლისათვის ვლინდებიან შეუწყვეტილ, იგი სოლიდურ საფუძველს უყრის აღსაზრდელის შემეცნებით აქტივობას.

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნელობის პრინციპის ეფექტურობას განაპირობებს მოსწავლისადმი გონივრული და სამართლიანი მოთხოვნა. მოთხოვნის გონივრულობა და სამართლიანობა გულისხმობს, მისი პიროვნული და საზოგადოებრივი ღირებულებისა და შესრულების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებას. მოთხოვნა არ უდა აღემატებოდეს ბავშვის შესაძლებლობებს. პედაგოგიური მოთხოვნა მასწავლებლის მთავარი იარაღია და მის ეფექტურობას განაპირობებს მისი გამოყენების ხელოვნება.

პედაგოგიური მოთხოვნის ნაირსახეობას განაპირობებს პედაგოგიური სიტუაცია, დისციპლინა, ორგანიზებულობა,

შემეცნებითი ინტერსი, შრომისმოყვარობის ხარისხი, მოსწავლეთა კულტურული დონე, მასწავლებლის ავტორიტეტი და სხვა. პედაგოგიური მოთხოვნები: თხოვნა, მოთხოვნა, კატეგორიული მოთხოვნა, განკარგულება, ბრძანება, მოწოდება, აკრძალვა და ა. შ.

სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პედაგოგიური მოთხოვნების ერთიანობის პრინციპი განასახიერებს მთელი პედაგოგიური პროცესების, პედაგოგიური სისტემების, პედაგოგიური, მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივების ურთიერთ მჭიდრო კავშირს. აღზრდის ეს კავშირები ავითარებენ აღზრდის ერთიან გენერალურ ხაზს, რითაც ხელს უწყობენ გენერალურ პედაგოგიური მიზნისკენ სვლას. ოჯახისა და საზოგადოების პედაგოგიურ კავშირის, მათი ერთიან მიზანმიმართული აქტივობის მეცნიერულ უზრუნველყოფას თავის თავზე იღებს სკოლა, როგორც უშუალო პასუხისმგებელი სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

იდეალზე სწორების პედაგოგიური პრინციპი, ზემოთ ღვთისკენ, ნათელისა და დიადისკენ აღაპყრობინებს თვალს აღსაზრდელს. სრულყოფილების კრიტერიუმში იდეალური პიროვნების მოდელი მოსწავლისათვის მათრიენტირებულ ფუნქციას ასრულებს. ბავშვი ბუნებით მიმბაძველია, ამიტომ მიბაძვის ობიექტი უზადო, სრულყოფილი და მისაწვდომი უნდა იყოს მიმბაძველისთვის. ასეთი იდეალი შეიძლება იყოს მხატვრული გმირი, რეალური ადამიანი, სიბრძნით, სიტყვითა და საქმით გამორჩეული, ღვთის მორჩილი ბიბლიური პერსონაჟები: ნოე, აბრამი, მოსე, ფსალმუნმომღერალი მეფე დავითი, მისი ძე იუდეას მეფე სოლომონ ბრძენი და ა. შ.

მაგრამ უპირველესი, უზადლო და შეუცვლელი, სრულყოფილი და მარადიული, ღვთის მხოლოდშობილი ძე, მთელი კაცობრიობის მხსნელი და მომავალი ახალი ქვეყნიერების მეფე, იესო ქრისტე უნდა იყოს ჩვენი და ჩვენ შთამომავალთა იდეალი. თვით ღმერთმა, ყოვლის შემოქმედმა დაგვარიგა, უსმინეთ და მიყევით ქრისტეს კვალსო: “ეს არის ჩემი ძე, რჩეული, მას უსმინეთ” (ლუკას 9:35).



იდალზე სწორება მიზანმიმართულს, გარკვეულსა და აქტიურს ხდის მოსწავლეს. იწვევს მისი ფსიქო-ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების კონცენტრაცია-მობილიზაციას განსაზღვრული მიმართულებით. ღვთის ძისა და სხვა მნიშვნელოვანი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა კეთილმყოფელ, აღმაფრთოვანებელ და მასტიმულირებელ გავლენას ახდენს მასზე. იმის შეგნება, რომ ღვთის ძემ – იესო ქრისტემ კაცობრიობისთვის და კონკრეტულად თითოეულად, ყოველი ჩვენთაგანის არმაგედონში გადასარჩენად რომ თავი გასწირა, აწესრიგებს აღსაზრდელის აზროვნებას, მსოფლმხედველობას, მის ქცევასა და მოქმედებას და სატანას არ ეძლევა საშუალება მასზე ზემოქმედებისა.

სასწავლების მოხდენა შეუძლია პედაგოგიკას და მასწავლებელს, როცა საგანმანათლებლო პოლიტიკური ნება არსებობს სახელმწიფოში.

მაშასადამე, პედაგოგიური კანონები და პრინციპები ბიბლიურ კანონებთან და პრინციპებთან შეთანხმებულად “ჯადოსნურ ჯოხად” იქცევა ჭეშმარიტი მასწავლებლის ხელში სრულფასოვანი პიროვნების ფორმირების მიზნის მისაღწევად.

## თემა VIII. გონებრივი აღზრდა

საკითხები:

1. გონებრივი აღზრდის არსი მიზანი და ამოცანები;
2. აზროვნების სახეები და მათი ურთიერთკავშირი;
3. გონებრივი აღზრდის კავშირი აღზრდის სხვა კომპონენტებთან;
4. გონებრივი აღზრდის პედაგოგიური საშუალებები.

ყველაზე უნიკალური ღირსება, რითაც ღმერთმა დააჯილდოვა ადამიანი, ეს არის გონება. უზენაესის გონმა შექმნა მთელი სამყარო, ცა და მიწა და, რაც მასშია, ხოლო ადამიანის გონება შეიმეცნებს და იყენებს მას. რადგან ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ისინი (ადამი და ევა – გ.ხ.), “მისცა მათ აზრი, ენა და თვალები, ყურები და გული, რათა შეეცნოთ ყოველივე” (სიბრძნე ზირაქისა 17:1,6), რაც ცაშია და დედამიწაზე, რომ ჭეშმარიტების შემეცნებით მიეღოთ სრულყოფილება, “თვით იღუმალის შეცნობით აღძრა გონება კაცთა” (ეკლესიასტეს 3:11), ვინაიდან “შემეცნება გონების სრულქმნაა, სრულქმნილება კი – ღმერთთან მიახლოება” (სოლომონის სიბრძნე 6:24). გონებასთან დაკავშირებით სენეკამ თქვა: ყველაზე ღიდი ღირსება, რითაც ღმერთმა ადამიანი დააჯილდოვა, ეს არის გონება, ამიტომ ადამიანი მუდამ მის გამდიდრებაზე და გაჯანსაღებაზე უნდა ზრუნავდესო.

ბიბლია გვასწავლის, რომ სიბრძნისა და გონების წყალობით შეიცნობა სიკეთე და ბოროტება, რომ ბრძენი კაცი გონებით ჭვრეტს, უგუნური კი ბნელში დავაღს: (ეკლესიასტეს 2:14); “ღამედ შეიცვლება ნათელი, სიბრძნეს კი ვერ ძლევეს ბოროტება” (სიბრძნე სოლომონისა 7:30). შეიცნო რა, სიბრძნისა და გონიერების ფასი, კაცობრიობის ისტორიაში უჭკვიანესმა და უმდიდრესმა ადამიანმა, ისრაელის გონიერმა მეფე-მსაჯულმა

სოლომონ ბრძენმა, გადაწყვიტა ამ უნიკალური განძის ფლობელი გამხდარიყო. ამის შესახებ იგი წერს: “სიბრძნე და გონიერება ვამჯობინე კვერთხსა და ტახტს, ყოველგვარ სიმდიდრეს, ოქროსა და ვერცხლს, ჯანსა და სილამაზეს”. “ვიწყე კვლევა გულმოდგინებით, გონებით განსჯა ყოველივესი, რაც მომხდარა ცისქვეშეთში”. ღმერთს შევედრე და “მან მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული, შუახანი, მხებულობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განაღობება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი დაფარულიც და გაცხდებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა” (სოლომონის სიბრძნე 7:17-21). სოლომონის სიტყვებიდან გამომდინარე, იგი ფლობდა საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიურ, ისტორიულ, ასტროლოგიურ, საზოგადოებრივ, ფსიქოლოგიურ, გეოგრაფიულ, თეოლოგიურ და სხვა დარგებში საფუძვლიან ცოდნას, ამიტომ გახდა ის ყველაზე ბრძენი.

ადამიანის გონების შეუზღუდაობაზე მიუთითებს ის უდიდესი მიღწევები, რასაც ხელთქმნილი მატერიალური და სულიერი საგანძური ადასტურებს. სამყაროს შეიდი საოცრება: ეგვიპტის პირამიდები, ზევსის ოქროს ქანდაკება, სემირამიდას ბალები, ალექსანდრიის შუქურა, არტემიდეს ტაძარი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლოსი და სხვა, არნახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ასტროლოგიურ-კოსმოლოგიური მიღწევები და ა.შ. მაგრამ ამ წინსვლამ კაცობრიობას ვერ მოუტანა მშვიდობა და ბედნიერება. გამართლდა სოლომონ ბრძენის სიტყვები, ღვთიური სიბრძნის გარეშე ქვეყნიური სიბრძნის ამოვების შესახებ. ღვთიური სიბრძნე რომ ღმერთის გაცნობით მიიღება, ამის შესახებ ქრისტემ თქვა: “ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გეცნობოდნენ შენ, ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც შენ მოავლინე – იესო ქრისტეს” (იოანეს 17:3).

პავლე მოციქულმა დაწერა: “ნიჭი სიყვარულის გარეშე

არაფერია. . . . წინასწარმეტყველება ც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი. . . . რადგან სიყვარული “არ ჩადის უწყესობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება, და არ განიზრახავს ბოროტს” (კორინთელთა 13:2,5). უმეცრება და სიყვარულის დეფიციტი უდევს საფუძვლად ბოროტებას.

გონებრივ აღზრდის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე, როცა განათლების აუცილებლობაზე საუბრობდა. თანადროული განათლება, მეცნიერებათა საფუძვლების ზედმიწევნით დაუფლება, მშობლიური ენის კარგი ცოდნა გონების გამსხნელ საშუალებად ესახებოდა ერის კაცს. ხოლო რაც უფრო გონებაგახსნილია ადამიანი, მწერლის აზრით, უფრო მაღალია ეროვნული შეგნება. და, სწორედ, ასეთ ადამიანებს ძალუძთ მამულის აყვავება, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება და შენარჩუნება.

ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული თაობის აღზრდის უმთავრეს საშუალებად აკაკი წერეთელიც გონებრივ აღზრდას აღიარებს. მისი აზრით, ერის ბედნიერება დამოკიდებულია შეგნებაზე, შეგნება კი გონების სიდიადის გამოვლინებაა. საზოგადოების პროგრესული გარდაქმნა გონების ხარისხზეა დამოკიდებული. გონების ხარისხს კი, მისი აზრით, ჭეშმარიტი განათლების, წიგნიერების, ყოველმხრივი განსწავლულობის დონე განაპირობებს. რადგან “დღეს კი სწავლა-მეცნიერებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. მკლავის ძალა გრძნობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ხმლის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდისრისა – საწერ კალამმა. თქვენც დღესვე, ამთავითვე უნდა ავარჯიშოთ ჭკუა-გონება. . . . მოერიოთ სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდეთ ქვეყანაში სავარჯიშოდ, საგმიროდ” (აკ. წერეთელი. რჩეული, ტ. III გვ. 373).

ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების

ფორმირების უმთავრეს საშუალებად გონებრივ აღზრდას აცხადებს ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ერის წამატება დამოკიდებულია ახალი თაობის ცოდნით შეიარაღებაზე, ქართველი ახალგაზრდობის მეცნიერულ აღზრდაზე. “სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი უდგება, ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდვით, თუ მაგაში წინ წავდებით, ჩვენი ეხლა დაუძღურებული ღონე ამოხეთქავს მაგარ ფესვებს” (ი. გოგებაშვილი. რჩ. ნაწერები. ტ. II, 1940, გვ. 53). გოგებაშვილის აზრით, მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდა ნიშნავს მათი ცნობიერების გამდიდრებას რეალური და კლასიკური განათლებით, მეცნიერების უახლოესი მიღწევებით. გოგებაშვილს მიაჩნია, რომ რეალური განათლების სისტემა გონებას ადავსებს ცხოველი და ნაყოფიერი სწავლით. იგი მხოლოდ მეცნიერების დაუფლებით არ საზღვრავს სკოლის დანიშნულებას და ფუნქციას. სკოლა ვალდებულია, ახალგაზრდობას გამოუმუშავოს ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარი. იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობის სპეციალურ განათლებას. მას “უკავშირებს იგი საქართველოს მომავალ აღორძინებას, მეურნეობის უკეთესად მოწყობას, სამშობლოს მიწა-წყლის დაცვას, . . . დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასაც კი” (ვ. ასათიანი, მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების პრობლემა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. თბ., 1993, გვ. 184).

გონებრივი აღზრდის მიზანია გონიერებისა და აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება მოსწავლეებში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები: ცოდნის ფონდის დაუფლება, სააზროვნო ოპერაციების, ინტელექტუალური უნარების განვითარება, მეცნიერული მსოფლმხედველობის

ფორმირება. ცოდნის ფონდის დაუფლება სწავლების საგანმანათლებლო ფუნქციაა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციების მიღებას სამყაროს შესახებ. კერძოდ: ცნობების, ცნებების, ფაქტების, მოვლენების, კანონების, კანონზომიერებების, პრინციპების, დებულებების, განსაზღვრებების, თეორიების, სახელების, სახელწოდებების, თარიღების და ა. შ. ამ ცოდნაში შედის საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური, თეოლოგიური, ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური, იურიდიული, ეთიკური, ესთეტიკური, სახელოვნებო და სხვა ცოდნათა საფუძვლები.

გონებრივი აღზრდის პირველი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა განპირობებულია ზოგადი განათლების შინაარსის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულებებით, საერო და თეოლოგიური ცოდნის ურთიერთშეხამებით. ზოგადასაგანმანათლებლო სკოლამ ახალგაზრდობა უნდა უზრუნველყოს მეცნიერებათა საფუძვლების მრავალმხრივი და მტკიცე ცოდნით, რეალურ-მატერიალურ, კლასიკურ და თეოლოგიური განათლებით. მეცნიერებას, პედაგოგიკის ფუძემდებელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ მხატვარი უწოდა, რადგან მისი აზრით, ის აძლევს გონებას სახეს, ფორმას, ეს უკანასკნელი კი დებულობს მას.

განათლების შინაარსი ასახულია ისეთ ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორცაა: სასწავლო გეგმები, საგნობრივი პროგრამები, რომელიც დარგობრივად და თემატურად გაშუქებულია სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაში. სასწავლო გეგმებში მოცემულია სასწავლო საგანთა ნუსხა განათლების სისტემის შესაბამისად. რაც შეეხება საგნობრივ პროგრამებს, მასში ასახულია თემატიკა იმ საკითხებისა, რომელიც ისწავლება სკოლაში კლასების მიხედვით.

სკოლაში ისწავლება სხვადასხვა ციკლის ოცზე მეტი საგანი. საბუნებისმეტყველო-ფილოსოფიური ციკლს მიეკუთვნება: ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა, ფიზიკა, ფიზიკური გეოგრაფია, ასტრონომია. სოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ამ

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების დანიშნულებაა ბუნების განვითარების ობიექტური კანონების შემეცნება. თითოეული ცალცალკე იკვლევს ბუნების ცალკეულ მხარეებს, ხოლო ყველა ერთად იძლევა მთლიან ცოდნათა სისტემას, საერთოდ, ბუნების განვითარების კანონებსა და კანონზომიერებათა შესახებ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლი მოიცავს ცოდნას საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებსა და კანონზომიერებათა შესახებ. ამ ციკლის შემადგენლობაში შედის ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიური გეოგრაფია, სამართალი, რელიგია და სხვა.

თეოლოგია, რომელიც ყველაზე უძვირფასეს და უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის სამყაროს შემოქმედის, უზენაესი ღმერთის შესახებ, უმცირესი ადგილი, ან საერთოდ არ უკავია ადგილი სკოლის სასწავლო გეგმაში. ამას იმით ხსნიან, რომ ეს სასულერო სკოლის პრეროგატივაა და საერო სკოლის ფუნქციებში არ შედისო. ქრისტემ განურჩევლად, ყველასათვის გასწირა თავი და ყველა ვალდებულია სწამდეს პატივი მიაგოს მას თავისივე საკეთილდღეოდ. რწმენის საგუძველი კი საუძვლიანი ცოდნაა. ამიტომ როგორც ქრისტემ თქვა, უნდა ვეცნობოდეთ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც მან მოაველინა – იესო ქრისტეს” ბიბლიისა და ქმნილებათა მეშვეობით.

ხელოვნება, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვა, ემსახურება მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას, მხატვრული ნააზრევის აღქმა-გაგებას; ხელოვნების დარგების: მხატვრული ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, მოქანდაკეობის, ქორეოგრაფიის და სხვათა შესახებ ზოგადი ცოდნის მიღებას.

გონებრივი აღზრდის მეორე ამოცანაა სააზროვნო ოპერაციების განვითარება, რომელიც სწავლების განმავითარებელ ფუნქციაში მოიაზრება. რაც გულისხმობს ანალიზის, სინთეზის, შედარების, კლასიფიკაციის, განჭვრეტის, შეფასების, დასკვნების გაკეთების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეგროვებებისა და აღქმის საფუძველზე.

ანალიზი კვლევის მეთოდია, რომლის დროს ხდება წარმოსახვით ან გარკვეული სიტუაციაში რეალურად მთელის შემადგენელ ნაწილებად თუ ელემენტებად დაშლა და ცალცალკე შესწავლა, სინთეზი კი – ამ დაშლილი ელემენტების ისევ გამთლიანებას. ანალიზი კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, ცალკეულიდან მთელისაკენ წარმოსახვით, ან ფაქტობრივად აზრობრივ მოძრაობას ნიშნავს. ანალიტიკური აზროვნება ეხმარება სუბიექტს ლოგიკური კავშირების, ურთიერთმიმართებების, ურთიერთდამოკიდებულებებისა და განპირობებულობების დადგენაში, დიაგნოსტიკასა და პროგნოზირებაში, პრევენციასა და კორექციაში.

შედარება ტვინის ისეთი ფუნქციაა, რომელიც ურთიერთშეპირისპირების გზით ადგენს საგნებსა თუ მოვლენებს შორის არსებულ სხვაობებს, პარალელებს, ანალოგიებს, ტიპოლოგიას და ა. შ. მაგალითად, შედარების გზით არჩევს სიკეთესა და ბოროტებას, ჭეშმარიტსა და მცდარს, ღამაზსა და მახინჯს, ფორმებს, ფერებს, მოცულობას, უკეთესს, უარესს და ა. შ. რაც უფრო ინფორმირებულია ადამიანი, მით უფრო ზუსტი და ჭეშმარიტია მისი არჩევანი.

კლასიფიკაცია ისეთი სააზროვნო ოპერაციაა, რომლის მიხედვით ხდება საგანთა და მვლენათა მსგავსი ნიშნების, სახეობის, გვარის, ოჯახის, ფერის, ფორმის, მოცულობის, გემოს, სუნის, სიმაღლის, სიგრძის და მრავალი სხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფება და განზოგადოება. მაგალითად: ხილი, ბოსტნეული, ცხოველები, ფრინველები, შინაური ცხოველები, გარეული ცხოველები, მწერები, ნიჭიერები, უნიჭოები, წითლები, ყვითლები და ა. შ.

გონებრივი აღზრდის მესამე ამოცანას წარმოადგენს ინტელექტუალური ანუ სასწავლო-შემეცნებითი უნრ-ჩვევების განვითარება, სწავლის სწავლა. წერა, კითხვა, ანგარიში, წაკითხულის გადმოცემა, ამოცანების ამოხსნა, თეორემის დამტკიცება, წინადადების გარჩევა, წიგნზე მუშაობა, ციტატების მორგება, დამხმარე სახელმძღვანელოების, ლექსიკონების,



ენციკლოპედიის გამოყენება, დაგეგმვა, რეცენზირება, რეფერატის, მოხსენების მომზადება და ა. შ. ის ინტელექტუალური უნარებია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სწავლა და სწავლება.

მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება გონებრივი აღზრდის ურთულესი ამოცანაა. იგი სწავლების აღზრდელობით ფუნქციაში შედის. მეცნიერული მსოფლმხედველობა გულისხმობს მეცნიერულ შეხედულებათა მწყობრ სისტემას. მას საფუძვლად უდევს მეცნიერული ცოდნა ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან, ცხოვრების სხვადასხვა სფეროებიდან. შესაბამისად არჩევენ მსოფლმხედველობის სახეობებს. მაგალითად: ფილოსოფიური, პოლიტიკური, რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური მსოფლმხედველობა და სხვა. მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ადამიანის შეგნებას, ქცევასა და მოქმედებას, პოზიციას, დამოკიდებულებას, შეფასებას და ა. შ. მსოფლმხედველობის ძირითადი შინაარსია ყოფიერებასა და ცნობიერებას შორის მიმართებების, განვითარების ობიექტური კანონების, კანონზომიერების, პრინციპების, სამყაროში არსებული ლოგიკური და დიალექტიკური კავშირების, განპირებულობებისა და დამოკიდებულებების გაცნობიერება.

მაშასადამე, გონებრივი აღზრდის მიზნის მიღწევას გონებრივი აღზრდის ამოცანების სწორი, თანმიმდევრული და სისტემური გადაწყვეტა განაპირობებს. გონებრივი სიჯანსაღის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჟან-ჟაკ რუსომ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: “სადი გონება დანარჩენ გრძნობათა კარგად მოწესრიგებული ხმარების შედეგია და გვაძლევს ცოდნას საგანთა ბუნების შესახებ. ამიტომ ამ მეექვსე გრძნობას საკუთარი ორგანო არ გააჩნია”.

გონებრივი აღზრდის ამოცანათა შორის პრიორიტეტულად გილხევა განსწავლულობა და აზროვნების განვითარება, რაც სიტყვისა და საქმის ერთიანობაში პოულობს ასახვას. აზროვნება ფსიქოლოგიისა და ლოგიკის სფეროშია და მისი არსი, სახეები, დინამიკა კარგად დამუშავებული პრობლემაა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პედაგოგიკა აზროვნების განვითარების

საშუალებებს განიხილავს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით აზროვნების სახეებს და შემოვიფარგლებით მოკლე კომენტარებით, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზროვნებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ინტელექტუალური ოპერაციების, როგორც ტვინის უნიკალური ფუნქციების კვლევა პედაგოგიკის საგანი არ არის. პედაგოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მასწავლებელმა იცოდეს აზროვნების სახეები და სწორი ორიენტირება გააკეთოს იმაზე, თუ როგორ განუვითაროს მოსწავლეებს მისი ესა თუ ის სახე აზროვნებისა.

ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში დადგენილია აზროვნების შემდეგი სახეები. ესენია: კონკრეტული, აბსტრაქტული, დიალექტიკური, ლოგიკური, ინდუქციური, დედუქციური, სისტემური, თეორიული, სიმბოლური, ანალიტიკური, მეცნიერული აზროვნება, მხატვრულ-შემოქმედებითი, რეპროდუქტიული, პროდუქტიული და ა. შ.

კონკრეტული აზროვნება ცოცხალ განჭვრეტას, უშუალო შეგრძნებებს ეყრდნობა და ის შემეცნების პირველ ეტაპს წარმოადგენს, რომლის გარეშე არ არსებობს აზროვნების სხვა სახე. რაც უფრო მდიდარია ეს ცოცხალი განჭვრეტა, მით უფრო მაღალია შთაბეჭდილებები, წარმოდგენა-წარმოსახვები.

აბსტრაქტული აზროვნება, როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმა, სწორედ, ამ წარმოდგენა-წარმოსახვებს ეყრდნობა. იგი ფსიქოლოგიაში განიხილება როგორც დედააზრის გაგება. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება ზედმიწევნით გაიგოს იგავ-არაკის, ანდაზის, ლექსის და ა. შ. თითოეული სიტყვა, სიტყვათა შორის მიმართებები, მაგრამ მისი ზოგადი დედააზრი მიუწვდომელი, გაუგებარი დარჩეს. რადგან დედააზრის მატარებელი არ შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვები, ან ზოგჯერ მთელი წინადადება. იგი სიტყვათა კონტექსტში ზის, ან ქვეტექსტებშია მოქცეული. ამიტომ არის კულტურულ ადამიანთა ერთი ნაწილი ძნელად გებულობს მახვილგონიერი გამოთქმების დედააზრს, მასში ნაგულისხმებ ირონიას ან იუმორს. აბსტრაქტული აზრი აზროვნების პროცესში ეძებს თვალსაჩინო

დასაყრდენს. “თვით უზოგადესი აბსტრაქტული აზრის “ფესვები” კონკრეტულ საგნებშია ჩამალული. აზროვნება კონკრეტულ საგანთა თვალსაჩინო ასხვიდან ამოდის” (რ. ნათაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1956, გვ. 347).

ლოგიკური ანუ ცნებითი აზროვნება რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ თვით ცნების დეფინიცია. ცნება ობიექტური სინამდვილის განზოგადოებულ ასახვას წარმოადგენს. ცნებაში იგულისხმება არა თვალსაჩინო, გარეგანი თვისებები საგნისა, არამედ მხოლოდ ის ნიშნები, რომელიც საგანთა მთელი კლასისთვის საერთოა. ზოგადი ნიშნები, რომელიც იმავე დროს არსებითია საგანთა ამ კატეგორიისთვის. ასე მაგალითად, ადამიანის ცნებაში შედის შემდეგი არსებითი ნიშნები, როგორცაა: ადამიანი არის გონიერი, მეტყველი, იარაღის მკეთებელი, შრომისუნარიანი, შემოქმედი ცოცხალი არსება. ეს ნიშნები ადამიანის ზოგად არსს გამოხატავენ. მაშასადამე, ცნების შინაარსი არათვალსაჩინო, არააღქმადი ხასიათისაა. იგი აზრია, ცოდნა საგანთა თუ მოვლენათა კლასის არსებითი ნიშნების შესახებ.

ამრიგად, ცნება უშუალოდ, პირდაპირ კი არ ასახავს რეალურ საგანს, არამედ შემეცნების ანუ მეცნიერების მეშვეობით, ე. ი. შემეცნებით გაშუალებული ასახვაა სინამდვილისა.

ლოგიკური აზროვნება მიზეზ-შედეგობრიობის კატეგორიაშია მოქცეული და შესაბამისად საგნები და მოვლენები ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირებულობაში იმყოფებიან. საგანთა ეს ობიექტური კავშირი აისახება ცნობიერებაში ცნებათა სისტემების სახით. პედაგოგიკური თვალსაზრისით ლოგიკურ აზროვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღზრდაში. როგორც ცნობილია, უმიზეზოდ არაფერი ხდება სამყაროში. ყოველ მიზეზს თავისი შედეგი მოსდევს. შედეგის ანალიზი აუცილებლად მიგვიყვანს მის გამომწვევ მიზეზამდე. მხოლოდ მიზეზის გაგების შემდეგ დგება კორექციის რეჟიმი. მაგალითად მოსწავლე პედაგოგიურად ან აკადემიურად ჩამორჩენილია, მაშინათვე ივარაუდება, რომ მას აქვს გამომწვევი მიზეზი.

მიზეზების დასაშვები ვერსიების ფორმულირება და მათზე მუშაობა იძლევა საშუალებას ნამდვილი მიზეზის დაგენისა. აღნიშნულ პრობლემათა დასაშვები მიზეზები შეიძლება იყოს სკოლისთვის მოუმწიფებლობა, ავადმყოფობა, ფიზიკური და გონებრივი ნაკლი, შეგერძებათა ანალიზატორების დაზიანება, ოჯახური ან ეკონომიკური მდგომარეობა, სიზარმაცე, შემთხვევითობა, გაუგებრობა, ჰობი, სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა. შ.

როგორც ცნობილია, გამოყოფენ ლოგიკური აზროვნების სამ ძირითად ფორმას: ცნება, მსჯელობა და დასკვნა. ინგლისელი მეცნიერები: ტიმ კიმელი, ფოსტერ კლაინი, ჯიმ ფეი, სესილ ბენუა შესანიშნავი წიგნის “აღზრდა სიყვარულითა და ლოგიკით” თანაავტორები ლოგიკას აღზრდის ერთერთ მნიშვნელოვან პრინციპად აღიარებენ. და მოჰყავთ საინტერესი მაგალითები. მაგალითად: ტომმა დედის რჩევა არ გაითავალისწინა, ქუდი არ დაიხურა. შინ სველი და გაცივებული დაბრუნდა. სიცხემ აუწია, საჭმელს პირი არ დააკარა, თავს ცუდად გრძნობდა. ლოგიკა: ქუდი რომ არ დაიხურა, ტომი იმიტომ გახდა ავად. მიზეზი დაგენილია. ტომი შემდეგში ითვალისწინებდა დედის რჩევას; ან კიდევ: თვითდაჯერებული ჯიმი ვარჯიშებს ხშირად აცდენდა. შედეგი: შეჯიბრებაზე დამარცხდა. ლოგიკა: დამარცხდა იმიტომ, რომ მეცადინეობას აცდენდა.

დიალექტიკა არის ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადოესი ობიექტური კანონების, შინაგანი წყაროების, შეცნობისა და გარდაქმნის თეორია და მეთოდი. შესაბამისად დიალექტური აზროვნება ემსახურება ამ დიალექტიკურის შეცნობასა და გამოყენებას, ხოლო ეს პროცესი თავის მხრივ ხელს უწყობს თვით დიალექტიკური აზროვნების განვითარებას. ამიტომ დიალექტიკურ აზროვნებას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია.

დიალექტიკური აზროვნება მასწავლებლის წარმატების საწინდარია, იგი აძლევს საშუალებას სწორად განსაზღვროს ყველა ის შიგა და გარე კავშირები, დამოკიდებულებები და

მოახდინოს პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე. და, რაც მთავარია, მოსწავლეებს უნდა ხელი შეუწყოს დიალექტიკური აზროვნების განვითარებაში.

ინდუქციური და დედუქციური აზროვნება ნიშნავს კერძოდან ზოგადისაკენ და ზოგადიდან კერძოსაკენ აზრობრივ მოძრაობას. მაგალითად, ცხელი ჩაით სავსე ჭიქაში ჩადებული კოვზი, წესით, იქამდე უნდა გაცხელდეს, სანამდეც წყალი წვდება. სინამდვილეში კოვზი მთლიანად ცხელია. ხის კოვზი კი მხოლოდ იქამდე გაცხელდა სანამდის წყალი წვდებოდა. მსჯელობა: რისგანაა გაკეთებული კოვზი? – ლითონისგან. ე. ი. დასკვნა: ლითონი სითბოს მატარებელია, ხე კი – არა. კერძო შემთხვევიდან მივიღეთ განზოგადოებული დასკვნა. ახლა ვცადოთ პირიქით: ლითონი სითბოს მატარებელია. მაშასადამე ლითონისგან დამზადებული ნივთებიც სითბოს მატარებელია. ლითონში სითბოს მატარებელი მუხტები ერთანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, ხეში კი – არა.

ახლა ეს მაგალითები განვაზოგადოთ პედაგოგიურ სფეროში. მაგალითად, თუ ზედმეტი სენტენციები ნიკას აღიზიანებს, მაშასადამე ზედმეტი სენტენციები სხვებსაც გააღიზიანებს. თუ ზედმეტი სენტენციები ყველას აღიზიანებს, ის ნიკასაც გააღიზიანებს. დასკვნა: მოსწავლეებთან სენტენციები ფრთხილად და ზომიერად უნდა გამოვიყენოთ.

თეორიული აზროვნება თეორიის ცნებასთან არის დაკავშირებული. თეორია, როგორც ფილოსოფიურ ლექსიკონშია განმარტებული, ბერძნული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით ნიშნავს დაკვირვებას, განხილვას, გამოკვლევას. თეორია ფართო გაგებით, არის სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს შესახებ განზოგადოებული ცოდნის სისტემა, რომელიც აღწერს, ახსნის და წინასწარმეტყველებს მის შენმადგენელ ელემენტთა გარკვეული ჯგუფის ფუნქციონირებას. თეორია განსხვავდება პრაქტიკისაგან, ვინაიდან წარმოადგენს სულიერ, აზრობრივ “ასლს”, ასხვას რეალური სინამდვილისა. თეორია წარმოიშობა

როგორც შემეცნებითი მოღვაწეობისა და პრაქტიკის შედეგების განზოგადოება და ხელს უწყობს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას.

მასწავლებლისთვის თეორიული აზროვნება ნიშნავს პედაგოგიკის თეორიის ცოდნასა და პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოყენებას. პედაგოგიური პროცესების, სისტემების, კომპონენტების ფუნქციონალურ კონსტრუირებას პედაგოგიური მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

პროდუქტიული აზროვნება არის ახლის აღმოჩენა, მივიწყებულის გახსენება ან მიძინებულის გაღვიძება ან კიდევ რაიმე ახალი დეტალის მიმატება და ახალ სიტუაციასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამიტომ პროდუქტიული აზროვნების განვითარება გონებრივი აღზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რისთვისაც მასწავლებელი იყენებს შემეცნებით და პრაქტიკულ პროცესებს. იგი ეყრდნობა თეორიულ აზროვნებას.

რეპროდუქტიული აზროვნება ემსახურება უკვე ცნობილის, აღმოჩენილის შესწავლა-ათვისებას.

როცა სტუდენტები იგებენ აზროვნების ამ სახეობათა შესახებ, თვითკრიტიკული განწყობა ეუფლებათ და სინანულს გამოთქვამენ მიღწეულსა და მისაღწევს, რეალურსა და იდეალურს შორის აღმოჩენილი სხვაობის გამო და უმალვე უქრებათ თავდაჯერებულობისა და თვითკმაყოფილების მედიდური განცდა. ეს კი განვითარების შემფერხებელი გრძნობა.

გონებრივი აღზრდა მჭიდრო კავშირშია აღზრდის სხვა კომპონენტებთან. პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარების, მის ზნეობრივ, სულიერ, ესთეტიკურ და ფიზიკური ჩამოყალიბების საყრდენ საფუძველს წარმოადგენს გონებრივი აღზრდა. აღზრდის ნებისმიერი კომპონენტი წარმოუდგენელია მისი ცნების, არსის, მნიშვნელობის შესახებ თეორიული ცოდნისა და შესაბამისი შეგნების გარეშე. ეს უკანასკნელი კი გონებრივი აღზრდის საქმეა. რამდენადაც შეგნება არეგულირებს ადამიანის ქცევასა და მოქმედებას, პოზიციასა და დამოკიდებულებას და, საერთოდ გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთობას,

ამდენად აღზრდის უპირველესი ამოცანაა ადამიანის შეგნების ამადლება, მისი ყოველმხრივი და მრავალფეროვანი ცოდნა-გამოცდილებით გამდიდრება, რაც გონებრივი აღზრდის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს. აქვე იკვეთება სწავლებისა და აღზრდის განუყოფლობა, ორგანული კავშირი.

ამიტომ გონებრივი აღზრდის ასეთი ორგანული კავშირი აღზრდის სხვა კომპონენტებთან ობიექტური კანონზომიერებაა. სწორედ ამ კავშირის საფუძველზე უნდა წარიმართოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ეს კი დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიონალიზმზე, მის პედაგოგიურ ხელოვნებაზე. აი, ყველა პედაგოგიური გზა მაინც მასწავლებლისაკენ მიდის.

ზნეობრივი აღზრდის მიზანი პიროვნების მორალური სახის ფორმირებაა, რომელიც მოითხოვს სამი ამოცანის გადაწყვეტას. ესენია: ზნეობრივი შეგნება, ზნეობრივი გრძნობები, ნება და ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევები. ზნეობრივი შეგნების განვითარების მთავარი პირობაა ზნეობის შინაარსის, ზნეობრივი კატეგორიების შესახებ ჭეშმარიტი ინფორმაციების ათვისება. კრძოდ, მოცემულ საზოგადოებაში დაგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმებისა და წესების სწავლების გზით დაუფლება, სულიერი გამდიდრება.

გონებრივი და ზნეობრივი ამოცანების თანხვედრის საერთო საფუძველშივე იწყება ზნეობრივი აღზრდის მიზნის შესაბამისი ეთიკური ცოდნის შინაარსის კონკრეტოზაცია და თეორიულად და პრაქტიკულად ათვისება. ცნობილი ბიბლიური პრინციპი “რასაც დასთეს, იმას მოიმკი” კარგად ესადაგება აღზრდას. რის თესლსაც ჩავდებთ ბავშვის ცნობიერებაში, მხოლოდ იმის ნაყოფს მივიღებთ და არავითარ შემთხვევაში სხვას. “თესლის” სახეობას აღზრდის მიზანი განაპირობებს. თუ ზნეობრივი აღზრდაა მიზანში, ზნეობის თესლი უნდა დაითესოს, თუ ესთეტიკური — მაშინ ესთეტიკის თესლი.

გონებრივ აღზრდასთან არის აგრეთვე დაკავშირებული სულიერობის აღზრდა. სულიერობა მხოლოდ და მხოლოდ

ღვთისგან მიიღება. ამისთვის საჭიროა სათანადო ცოდნა. ხოლო ღვთის შესახებ უტყუარი, ჭეშმარიტი ცოდნის მიღება შესაძლებელია ბიბლიის შესწავლის გზით. ამიტომ მოგვიწოდებს ღვთის ძე, იესო ქრისტე: “ესაა საუკუნო სიცოცხლე ეცნობოდეთ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც მან გამოგზავნა იესო ქრისტეს” (იოანე 17:3).

ესთეტიკური აღზრდაც იმავე პრინციპითაა დაკავშირებული გონებრივ აღზრდასთან. ესთეტიკური აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, მის პირველ ამოცანას წარმოადგენს ესთეტიკისა და ესთეტიკურის რაობის შესახებ თეორიული ინფორმაციის მიღება, სილამაზისა და მშვენიერების, ამაღლებულის, ჰარმონიის, წესრიგის, პროპორციის, სიმეტრიის, თანხმობის, წონასწორობის, რიტმის, რითმის და ა. შ. აღქმის, გაგების ტკობის, და, საერთოდ, ესთეტიკის კანონებით, ესთეტიკური იდეალებით ცხოვრების მოთხოვნილებების, ესთეტიკური კულტურის გამომუშავება მოსწავლეებში.

რაც შეეხება გონებრივი აღზრდის კავშირს ფიზიკურ აღზრდასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური დეტერმინანტის შექმნაში სუბიექტი ვერ იღებს მონაწილეობას, რადგან ის მემკვიდრეობით ეძლევა მას, მაინც საღ აზროვნებაზე, ბილოგიურ-ფიზიკური აგებულების, მიმართებების ფუნქციების ცოდნაზეა დამოკიდებული მისი ფიზიკური სიჯანსაღე, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა, ამტანიანობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა. სწორედ ამ ცოდნისა და შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის აუცილებლობის შეგნება ემყარება გონებრივ აღზრდას. რაც უფრო მეტ სწორ ონფორმაციებს ფლობს ადამიანი, მით უფრო მაღალია მისი აზროვნების, გონიერების დონე; მდიდარი, განსწავლული გონება კი უზრუნველყოფს ბედნიერ, მშვიდობიან და ლამაზ ცხოვრებას.

ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება გონებრივი აღზრდის აღზრდის სხვა კომპონენტებთან კავშირით არ ამოიწურება. აღზრდის ყველა კომპონენტს როგორც ერთიერთ ასევე ერთიერთკავშირი აქვს



სხვა პედაგოგიურ პროცესებთან და სისტემებთან. პედაგოგიური ცოდნაც და ხელოვნებაც სწორედ ამ კავშირების ამოქმედებაში მდგომარეობს. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ის გენერალური პედაგოგიური მიზანი — ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება.

სენეკამ გვითხრა, ადამიანი ღვთის ამ უდიდესი ძღვენის — გონების გამდიდრებისათვის მუდმივად უნდა ზრუნავდესო. სოლომონ ბრძენმა კი გვიჩვენა გზა ზრუნვისა ღვთის ამ უდიდესი ძღვენის გასამდიდრებლად: “ყური უნდა ჰქონდეს სიბრძნისკენ მიპყრობილი და გული გონიერებისკენ გეწეოდეს, რომ მოუწოდებდე ჭკუას და გონებას გაადვილებდე, რომ ვერცხლივით მისი შოვნის წადილი გქონდეს და განძივით დაუწყებდე ძებნას. . . . მაშინ მიხვდები, რა არის სიმართლე, სამართალი და სამართლიანობა, ყოველი კეთილი საქმე” (სოლომონის იგავნი 2:2,3,4,9).

სოლომონ ბრძენის ამ დარიგებას: ცოდნის მიღების წყურვილი, მონდომება, და სისტემატური აქტიურობა — დღემდე, 3000 წლის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. თუმცა მეფე-მსაჯული არ მაღავეს იმ სირთულესაც, რაც განათლების მიღების პროცესს ახლავს და გვიზიარებს თავის პირად გამოცდილებას ამასთან დაკავშირებით: “ როცა გულს ვიდევ, შემეცნო სიბრძნე და მომეხილა ყოველი საქმე, რაც ქვეყნად ხდება, ჩემს თვალებს ძილი არ უნახავთ არც დღე და არც ღამე” (ეკლესიასტე 8:16). სოლომონ ბრძენი თავის წარმატებას პირველ რიგში ღმერთს მიაწერს, შემდეგ კი — მასწავლებელს და ბოლოს თავის თავდაუზოგავ შრომას.

გონებრივი აღზრდის პროცესი მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესების ყველა სისტემაში: საკლასო-საგაკვეთილო, კლასაგარეშე, სკოლის გარეშე სასწავლო-საადამზრდელო დაწესებულებებსა თუ ოჯახში. ამ მიმართულებით მაინც გადამწყვეტი სიტყვა საკლასო-საგაკვეთილო სისტემას ეკუთვნის.

გაკვეთილი, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა, წარმოადგენს მეცნიერებათა

საფუძვლების დაუფლების, თეორიული ცოდნა-გამოცდილების მიღების, სწავლების საგანმანათლებლო ფუნქციის განხორციელების საუკეთესო ადგილს. გაკვეთილზე ეუფლებიან მოსწავლეები საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივ, პოლიტექნიკურ და სხვა ცოდნას. სწავლების პროცესში მოსწავლეები ეცნობიან სააზროვნო ოპერაციებს და გონებას იმდიდრებენ სწორი და სასარგებლო ინფორმაციებით სამყაროს განვითარების ობიექტურ კანონებსა და კანონზომიერებათა შესახებ. გონების განვითარებასთან დაკავშირებით ლ. ბ. არეტინო წერდა: “კითხვა – ეს არის სულიერი საკვები, რომელიც ასმევს და აპურებს გონებას.”

კლასგარეშე პედაგოგიური პროცესი შეიცავს გონებრივი აღზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. აქ ხდება გაკვეთილზე მიღებული ცოდნა-გამოცდილების გაღრმავება-განმტკიცება მოსწავლეთა ნიჭისა და სურვილის შესაბამისად. მაგალითად, საგნობრივ წრეში მოცემული საგნის სხვადასხვა ასპექტში, სხვადასხვა კუთხით დანახვა, პრინციპულის, არსებითის წინა პლანზე წამოწევა და ჩაღრმავება, ინდივიდუალურად დამუშავება, პრეზენტაციები, დისკუსიები, ოლიმპიადები, ტურნირები და სხვა გონებრივი აღზრდის საუკეთესო საშუალებებია.

ოჯახი ის მიკრო სოციალური გარემოა, სადაც ბუნებრივად, მშობლებისა და პირადი გამოცდილებით, საგნებზე, მოვლენებზე, ფაქტებზე უშუალო, ემპირიული დაკვირვებებითა და ურთიერთობით ბავშვი იღებს გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას საოჯახო საგნებსა და ფუნქციაზე, ოჯახის წევრთა ურთიერთობებზე, შრომით საქმიანობებზე, ზნეობრივ და ესთეტიკურ საკითხებზე.

საკლასო, კლასგარეშე და ოჯახურ ვითარებაში ხდება ბავშვის პიროვნებად ფორმირება, ყველა იმ პედაგოგიური ამოცანების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მთავარი პედაგოგიური მიზნის მიღწევას. ამ პროცესებში ჩართულია მთელი პედაგოგიური მეთოდების არსენალი, რომელთა ოპტიმალური შერჩევა და

მოცემულ სიტუაციასთან შესატყვისობაში მოყვანა უზრუნველყოფს გონებრივ აღზრდას.

ამრიგად, გონებრივი აღზრდა პედაგოგიური პროცესის ის ქვესისტემაა, რომელიც ორგანულად უკავშირდება სხვა პედაგოგიურ სისტემებსა და ქვესისტემებს, კომპონენტებსა და პროცესებს.

## თემა IX. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება

საკითხები:

1. მეცნიერული მსოფლმხედველობის ცნება და მისი მნიშვნელობა;
2. მეცნიერული მსოფლმხედველობის შინაარსობრივი ასპექტები;
3. მცნიერული და თეოლოგიური მსოფლმხედველობის ურთიერთმიმართება;
4. მეცნიერული და თეოლოგიური მსოფლმხედველობის ფორმირების პეაგოგიური საფუძვლები.

მეცნიერული მსოფლმხედველობა აღზრდის ისეთი კომპონენტია, რომელიც პიროვნების სრულფასოვნებას განსაზღვრავს. მსოფლმხედველობის ცნება ფილოსოფიურ ლექსიკონში ასე განიმარტება: მსოფლმხედველობა არის პრინციპთა, შეხედულებათა და მრწამსის ერთობლიობა, რომელიც ადამიანის, ადამიანთა ჯგუფისა და საზოგადოების მოღვაწეობის მიმართულებას და სინამდვილესთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს. იგი ყალიბდება ელემენტებისაგან, რომელნიც საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ფორმას განეკუთვნებიან, ე. ი. ყველა მეცნიერებათა თეორიულ ფუნდამენტზე. მასში დიდ როლს ასრულებენ ფილოსოფიური, მეცნიერული, პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური შეხედულებები. მეცნიერული მსოფლმხედველობა მეცნიერულ ცოდნას ემყარება და მისი ძირი საერთოა, მაგრამ გამოხატვის ფორმა ინივიდუალურია, რადგან ცალკეული ინდივიდის სპეციფიკური ცხოვრებისეული გამოცდილება, ზნეობრივი და ემოციურ-ფსიქოლოგიური მომენტებიც ერთვებიან მასში. “პიროვნების – ვკითხულობთ ნ. ვასაძის პედაგოგიკაში, (2000წელი) – ყველა

თვისება და ღირსება ერთმთლიან სისტემაში იყრის თავს და ამ სისტემის ლოგიკური ცენტრი, მისი საყრდენი არის მსოფლმხედველობა.”

მეცნიერული მსოფლმხედველობის საწყის საფუძველს მაინც, თეორიულ განზოგადობამდე აყვანილი, რეალური ფაქტები წარმოადგენენ. მოვლენათა საერთო და არსებით მხარეების ასახვა და განზოგადობა ემსახურება მის ახსნასა და განჭვრეტას, იძლევა პრინციპებს არა მარტო იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რის საფუძველზეც მიიღება დასკვნა, არამედ სხვა მხარეებისათვისაც, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ ობიექტთან. მსოფლმხედველობრივ განზოგადობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც იძლევა გასაღებს — შემეცნების პრინციპებსა და მეთოდებს, სინამდვილის შინაგანი კავშირების, ობიექტური კანონებისა და კანონზომიერების შეცნობისა და გაგებისა.

მსოფლმხედველობა, როგორც მეცნიერულ შეხედულებათა მწყობრი სისტემა სამყაროს შესახებ, გულისხმობს ისეთ ცოდნას, როგორიცაა: დიალექტიკური კანონები და კატეგორიები; სამყაროს შეცნობადობა; მოძრაობა, როგორც სამყაროს არსებობის წესი; ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთმიმართება; დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი; მიზეზობრივი კავშირების უზოგადოესი კანონი; რაოდნობრივი ცვლილების თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი; განვითარების უწყვეტობა-წყვეტობადობისა და მიზეზ-შედგობრიობის დიალექტიკა; არსებისა და მოვლენის, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა; პრაქტიკა, როგორც შემეცნებისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმი; ისეთი ცნებები და იდეები, როგორიცაა: მატერიალური წარმოება — საზოგადოების განვითარების საფუძველი, საზოგადოებრივი ფორმაციების ცვალებადობის კანონზომიერება; ხალხათა მასების როლი ისტორიაში და, უმთავრესი, ყოვლის შემოქმედი ღმერთის უზენაესობის რწმენა.

მეცნიერული მსოფლმხედველობა წარმოადგენს ცნებების,

იდეებისა და თეორიების სამყაროს, პიროვნების შინაგან პოზიციაში გადასულს.

მოსწავლეებში მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება ნიშნავს ზემოთ დასახელებული ცოდნით, დიალექტიკური კანონებით, კატეგორიებითა და პრინციპებით მათ შეიარაღებას. მაგრამ ეს ერთ დღეს ერთბაშად არ ხდება. მსოფლმხედველობის ფორმირებას რომ ასაკობრივი პერიოდიზაცია და თანმიმდევრობისა და სისტემატურობის პრინციპი უდევს საფუძვლად, ეს პდაგოგიური აქსიომაა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ყველა სასაწავლო საგანი შეიცავს მოსწავლეებში მსოფლმხედველობრივი შეხედულებების ფორმირების შესაძლებლობას, მისი კვლევის ობიექტის შესაბამისად. მაგალითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რომელთა საფუძვლები ისწავლება სკოლაში, ასწავლის ცნებათა სისტემას ბუნების განვითარების ობიექტურ კანონებსა და კანონზომიერებათა შესახებ. ეკოსისტემების ურთიერთკავშირებს, ურთიერთდამოკიდებულებებსა და ურთიერთგანპირებულობებს. ეს შეიძლება მოსწავლეებს დავანახოთ სრულიად მარტივი ექსპერიმენტით. ავიღოთ სრულიად ერთნაირი გვარისა და ასაკის ქოთნის ყვავილები და ვთხოვოთ მოსწავლეებს ვიდეოზე დააფიქსირონ ორივე ქოთნის მდგომარეობა. შემდეგ ერთი ქოთანი მოვათავსოთ სათანადო პირობებში, ხოლო მეორე კი – ყოველგვარ პირობებს მოკლებულ ადგილას. გარკვეული დროის შემდეგ გამოვიტანოთ ორივე ქოთანი და ისევ ვთხოვოთ მოსწავლეებს კვლავ დააფიქსირონ ვიდეოზე. გააკეთონ შედარებითი ანალიზი და გამოიტანონ დასკვნები. დაუსვანთ კითხვები: რა განსხვავებას ხედავთ ამ ორ ქოთანს შორის? ცხადია, მოსწავლეთა პასუხები. ისინი იტყვიან, რომ ერთი ჭკნება და სიკვდილის პირას არის, ხოლო მეორე ძალიან კარგად გრძნობს თავს, გაზრდილია, ჯანსაღი ფერი აქვს და ყვავის. — სწორია. ახლა ვსვამთ მეორე კითხვას: რით შეიძლება იყოს გამოწვეული ასეთი განსხვავება? ამის პასუხში უნდა ამოიცნონ მოსწავლეებმა ის

განზოგადოებული კანონზომიერება, რომლითაც არის გამოწვეული ესოდენ დიდი განსხვავება ამ ორი ქოთნის ყვავილებს შორის. ჩვეულებრივი ანალიზის შემდეგ ერთად ვაკეთებთ დასკვნას. ყვავილი, რომელიც იღებდა ჰაერს, წყალს, სინათლეს, მზის სხივებს და არ აკლდა ადამიანის მზრუნველი ხელი, გაიხარა. მეორე იმიტომ დაჭკნა, რომ მოკლებული იყო ყველა ამ სიკეთეს. მესამე კითხვა: რა გავიგეთ ამ ექსპერიმენტით? — მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბუნებაში. კითხვაზე, თუ რაში სჭირდება ადამიანს ამის ცოდნა, პასუხი მოსწავლეებს მისცემს საშუალებას გაიგონ მისი პრაქტიკული ღირებულება. აქაც შეგვიძლია გამოვიყენოთ პრაქტიკული მაგალითი. ყველამ ვიცით, რომ პამიდორი ბუნებრივად შემოდგომაზე შემოდის. ჩვენ მისი განვითარების კანონზომიერების ცოდნა გვეხმარება იმაში, რომ პამიდორის მოსაყვანად საჭირო ბუნებრივი პირობების ხელოვნურად შექმნით, ეს მოსავალი მივიღოთ წელიწადის ნებისმიერ დროს. და, თუ ამ საოცრების სამედიცინო, ეკონომიკურ და ესთეტიკურ ასპექტებზეც გავამახვილებთ ყურადღებას, მას გაუჩნდება მადლიერებისა და კმაყოფილების გრძნობა ღვთისა და მისი მომყვანის მიმართ. ამგვარი სწავლებით პირნათლად აღვასრულებთ სწავლების როგორც საგანმანათლებლო, ისე განმავითარებლ, აღმზრდელობით და შრომით ფუნქციებს. მსოფლმხედველობის ფორმირების შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივი ციკლის საგნები. ამ ციკლის მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებით მოსწავლეები იცნობიერებენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებებს, სამყაროსადმი ეთიკურ და ესთეტიკურ დამოკიდებულებებს და ამის საჭიროებების საფუძვლებს, მის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რაც აყალიბებს ზნეობრივ და მორალურ იდეებს.

მართალია, არ არის მსოფლმხედველობის სწავლების სპეციალურ საგანი. ის გაბნეულია სხვადასხვა მეცნიერებებში და ინტეგრაცია-კონსტანტაცია მარტივი საქმე არ არის. ასეთ დროს პედაგოგიკას რეზერვში აქვს საგანთაშორისი კავშირები,

პარალელ-ანალოგიების დაძებნა და ერთმთლიან სისტემად გაერთიანება. საგანთაშორისი კონტაქტები იძლევა საშუალებას ერთდაიგივე მოვლენის სხვადასხვა ასპექტში დანახვისა და ერთიანი წარმოდგენის შექმნისა, აერთიანებს ყველა მეცნიერებას საერთო მიზნით, რაც ქმნის შინაგანი კავშირების უზარმაზარ ძალას. მაპროვოცირებელი კითხვებით, დაკვირვებებით, წიგნზე მუშაობით, სხვადასხვა სავარჯიშოების შესრულებით, ცნებებზე, კანონებსა და კატეგორიებზე სპეციალური მუშაობით, მოსწავლის ყურადღების ცენტრში მოვაქცევთ პრობლემას, ვავარჯიშებთ ჭეშმარიტების პოვნამდე და მოპოვებულ ცოდნას ვაქცევთ მათ ინტელექტუალურ საკუთრებად.

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ასაკობრივი შესაძლებლობები ისევე განსხვავებულია, როგორც თვით მსოფლმხედველობრივი განზოგადოებებია განსხვავებული თავისი სიღრმითა და სირთულით. ამიტომ საწყის ეტაპზე უმთავრესია ფაქტების დაგროვება და მსოფლმხედველობრივი ცოდნის ელემენტების საფუძვლის ჩაყრა. მაგალითად, უმცროს სასკოლო ასაკში ადვილად მისაწვდომია ბუნებას და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების მსოფლმხედველობრივი ხასიათის მატარებელი ურთიერთკავშირები და დამოკიდებულებები. ასეთ სფეროს მიეკუთვნება ელემენტარული წარმოდგენები ბუნების სეზონური ცვლილებების, ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ და ა. შ. ამ ასაკში კარგად ამჩნევენ მოსწავლეები საგნებსა და მოვლენებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას, ცვლილებებსა და განვითარებას, მიზეზებსა და შედეგებს.

მოზარდობის ასაკის მოსწავლეები უკვე ახერხებენ ბუნებაში მიმდინარე უფრო რთულ პროცესებს ჩაწვდენ, გაანალიზონ საგნებისა და მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებები და ურთიერთგანპირებულობები. ასევე უფრო ნათლად იცნობიერებენ ისტორიულ-საზოგადოებრივი პროცესების კანონზომიერებებსა და მამოძრავებელ ძალებს და თავად მიდიან



მსოფლმხედველობრივ დასკვნამდე. ამ ასაკში მოსწავლეებს გაცხოველებული სოციალური მოთხოვნები აქვთ. განსაკუთრებით აწუხებთ თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის პრობლემები. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აქტიურობა აფართოვებს მოქმედებისა და ურთიერთობის არეალს, რაც ბიძგს აძლევს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკური იდეალების ფორმირებას. მაგრამ ამავდროულად მოსწავლის მოუძნადებლობისა და ინფორმაციული დეფიციტის გამო შესაძლებელია წარმოიშვას საფრთხე შეცდომებისა, თვითდაჯერებულობისა, გაურკვეველობისა, არაადეკვატურობისა, რამაც შეიძლება გამოხატულება ჰპოვოს არასწორ შეხედულებებში, მცდარ პოზიციებში. პედაგოგიურ და აკადემიურ ჩამორჩენილობაში, ასოციალურობაში, უფრო მეტიც, ანტისოციალურობაშიც კი. ყველა შემთხვევაში სიტუაციას უნდა აკონტროლებდეს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება.

უფროს სასკოლო ასაკში სტაბილურობა ძირითადად განვლილი პერიოდის ეფექტურობით არის განპირობებული. იქ გაპარული ხარვეზები ძალიან მძიმედ აისახებიან მომდევნო პერიოდზე, რადგან გარდამავალი ასაკი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობის გამო, რთულ პერიოდად განიხილება და სამართლიანადაც. თუ სკოლამ მოახერხა იმ სირთულეების დაძლევა პედაგოგიური საშუალებებით, უკვე მომდევნო პერიოდის ბუნებრივი პრობლემების დაძლევა, ასევე ბუნებრივად იქნება შესაძლებელი. ამ ასაკში მოსწავლე აღწევს ფიზიკურ და სულიერ მომწიფებას და მზად არის მთელი სისრულით აითვისოს მსოფლმხედველობრივი ცოდნა, ცნებები, იდეები, თეორიები, შეხედულებათა მთელი სისტემები; ფილოსოფიური აზროვნება, შემეცნებითი დამოკიდებულება სამყაროსადმი, საგანთა და ცოდნათა სამყაროში შეღწევის მოთხოვნილება ქმნის ნოყიერ ნიადაგს მეთოდოლოგიური იდეებისა და განზოგადოების მაღალი დონის ფორმირების, მტკიცე შეხედულებებისა და მრწამსის, სწორი ორიენტირებისა და ქცევის პრინციპების საბოლოო ფორმირებისათვის.

ამავე ეტაპზე ჩნდება პროფესიული მოტივები, რომელიც ახალგაზრდას ადრავს სათანადო მოქმედებისათვის. მსოფლმხედველობის ფორმირებაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია სკოლაში პროფორიენტაციულ მუშაობასაც, რომ გარკვეული ინფორმაციების საფუძველზე მოსწავლემ სწორი არჩევანი გააკეთოს, განსაზღვროს თავისი ადგილი საზოგადოებაში და თავისი ნაყოფიერი შრომით გარკვეული წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლაში.

მსოფლმხედველობრივი აზროვნება რელიგიური ცნობიერების გარეშე არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, რადგან სამყაროს წარმოშობისა და დაბადების ახსნა მატერიალისტური გაგებიდან შეუძლებელია. ღვთის სიტყვიდან, ბიბლიიდან ვიგებთ, თუ როგორ შექმნა ღმერთმა მთელი სამყარო და რაც მასშია. სამყაროს ის განსაცვიფრებელი სიზუსტეები, ურთიერთკავშირები, ურთიერთდამოკიდებულებები და ურთიერთ განპირობებულობები, რომელნიც ემორჩილებიან არსებობის მუდმივად განვითარება – განახლებისა და თვითშენარჩუნების ობიექტურ კანონებს, კანონზომიერებებსა და პრინციპებს, მეტყველებს იმაზე, რომ ყოველივე ამას ჰყავს გონიერი და ბრძენი შემოქმედი. რელიგია და მეცნიერება არ გამორიცხავენ ერთმანეთს, რადგან მეცნიერებაც ღმერთისგან არის. ყოვლისშემოქმედმა შექმნა ყოველივე მეცნიერული სიზუსტით.

ათეისტურმა მიმდინარეობებმა: დარვინიზმი, მარქსიზმი, ლენინიზმი დიდი დარტყმა მიაყენა ჭეშმარიტ მსოფლმხედველობას და ადგილი არ დაუტოვა რწმენას, რამაც გამოიწვია სულიერობის დეფიციტი, უღმერთობა. რადგან რწმენა – ეს არის უხილავის დაჯერება და იმედი ხილულის შეცნობით. ღმერთი ორი გზით შეიცნობა: თავისი ქმნილებებით და თავისი სიტყვით – ბიბლიით. ამ რწმენის გარეშე მსოფლმხედველობა ცარიელია. მატერიალისტური ანუ მარქსისტული მსოფლმხედველობა დაუპირირისპირდა იდეალიზმს და მცდარ, ცრუ შეხედულებად გამოაცხადა იდეალისტური მსოფლმხედველობა, რელიგიას, ღვთის რწმენას კი უწოდა ოპიუმს.

ამ უზუსტობამ, ღვთის უარყოფამ მყარი ნიადაგი შეუქმნა ათეიზმს, მატერიალიზმს, ეგოცენტრიზმს, აღვირახსნილ კომერციას, უზნეო პოლიტიკას, ცრუ რელიგიებს, მორალურ დეგრადაციას, რომლის მწარე ნაყოფს იმკის დღეს მთელი მსოფლიო.

მსოფლმხედველობა უნდა გვესმოდეს როგორც ჭეშმარიტ შეხედულებათა მწყობრი სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ასევე ჭეშმარიტი ცოდნა ყოვლისშემოქმედის, სამყაროს, სიცოცხლის წარმოშობისა და განვითარების, ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ, უხილავის რწმენა ხილულთა შემეცნების მეშვეობით.

რწმენა მხოლოდ მეცნიერებათა საფუძვლებით და საგანთაშორისი კავშირებით არ მიიღება. რწმენის შეუცვლელი წყაროა ღვთივსულიერი წიგნი ბიბლია. იგი შეიცავს უტყუარ ცნობებს ღმერთისა და მისი ძის – იესო ქრისტეს და მათი შემოქმედების შესახებ. ამიტომ გვირჩია ღვთის ძემ მუდმივად გეცნობოდეთ ღმერთს და მას: “ესაა საუკუნო სიცოცხლე გეცნობოდნენ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც შენ მოავლინე – იესო ქრისტეს” (იოანეს 17:3).

## თემა X. ზნეობრივი აღზრდა

საკითხები:

1. ზნეობრივი აღზრდის მიზანი და ამოცანები;
2. ზნეობის კატეგორიები ანუ შინაარსი;
3. ზნეობრივი ქცევის მოტივები;
4. ზნეობრივი აღზრდის პედაგოგიური საშუალებები.

გონება და ზნეობა ადამიანის პიროვნული ღირსებისა და საზოგადოების კულტურის დონის კრიტერიუმად განიხილებოდა ყოველთვის, ყველა დროისა და ყველა ქვეყნის საზოგადოებაში. ამასვე მიანიშნებს დიდი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: “ადამიანის ღირსება განიზომება გონებრივი სიმადლით, ზნეობრივი სისპეტაკითა და სიკეთით, რომელსაც თესავს იგი თავისი მოღვაწეობით”.

ზნეობა ანუ მორალი არის საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნორმებისა და წესების ერთობლიობა, რომელსაც სწავლობს ეთიკური მეცნიერება. ზნეობრივი აღზრდა კი ემსახურება ამ ნორმებისა და წესების ათვისებასა და დაცვას. ზნეობა ქართული სიტყვაა და წარმოდგება “ზნე”- დან. ზნე, როგორც გ. ბანძელაძე მიუთითებს, ადამიანის ქცევის გარკვეულობაა, რაც სხვებთან ურთიერთობაში გამოიხატება. “ზნე”-ში წინა პლანზეა წამოწეული მოქმედების გარეგნული ფორმა და შედეგი, თვალთ დასანახი და ხელშესახები საგნობრივ-ობიექტური ვითარება, მოქმედება და ჩვევა”. . . “ზნეობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ხასიათის არსებითი ნიშანი” (გ. ბანძელაძე. ეთიკა. თბ., 1962,18) ადამიანური ცხოვრების – აქაც გ. ბანძელაძეს ვეყრდნობით – და თვით ადამიანობის სპეციფიკა ზნეობრიობაში მდგომარეობს, ხოლო ზნეობრიობის სპეციფიკა შეგნებული, თავისუფალი მოქმედების უნარია.

ზნეობრივი წესები და პრინციპები გამოხატავენ შეგნებული, თავისუფალი მოქმედების ფორმებს, მხარეებს, ასპექტებს. მაგრამ თავისუფლება იმას არ ნიშნავს, ეს მოქმედება რაიმე საზღვრების გარეშე არსებობს. ის განსაზღვრულია ღვთიური კანონებითა და პრინციპებით, რომელიც ბიბლიურ მცნებებშია კოდირებული, საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში.

ხშირად ერთმანეთთან ურევენ ზნეობასა და მორალს,

ზნეობრივსა და მორალურს. მაგალითად: “ზნეობრივად და მორალურად აღზრდილი ადამიანი”, “მორალურად და ეთიკურად”, ან კიდევ, “ზნეობრივად სუფთა, მორალურად მაღალი, ეთიკურად ჩამოყალიბებული ადამიანი” და ა. შ. რაც ზნეობრივი აღზრდის პროცესზე ერთგვარ გამაბუნდოვნებელ გავლენას ახდენს ხოლმე. საქმე იმაშია, რომ ზნეობა და მორალი იდენტური სიტყვებია ოღონდ პირველი ქართული სიტყვაა, ხოლო მეორე – ლათინური. ზნეობის შემსწავლელ მეცნიერებას ეწოდება ეთიკა.

პირველი ზნეობრივი კანონი, რომელიც ღმერთმა მისცა თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანებს ადამსა და ევას, ეს იყო აკრძალული ხის ხელშეუხებლობა ედემის ბაღში. ღმერთმა ადამიანთა ამ პირველ წყვილს თავის გამგებლობაში გადასცა მთელი სამყარო, უთხრა მათ: “ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ცაში ფრინველს, ზღვაში თევზს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დადის” (დაბადების 1:28) და გააფრთხილა ის (ადამი – გ. ხ.), რომ ამ უსასრულო სამყაროში მხოლოდ ერთი ხის ნაყოფი არ ეჭამათ: “ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდები”-ო (დაბადების 217,18).

ნაცვლად იმისა, რომ ღვთის ქმნილებებს, ადამსა და ევას მადლიერებით მიეღოთ ყოველივე და დამორჩილებოდნენ ღვთის ამ სამართლიან ზნეობრივ კანონს, ურჩობა გამოავლინეს და დედამიწაზე ცოდვა და ცოდვის საზღაური სიკვდილი დაამკვიდრეს, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცა მთელ მათ შთამომავლობას.

ზნეობისა და უზნეობის შედეგებიდან გამომდინარე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ყოველთვის იჩენდნენ ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალებისკენ სწრაფვას და ბედნიერებას, სიკეთეს ზნეობის სფეროში ეძებდნენ. ამ მიზნის ხორცშესხმას ზნეობრივ აღზრდაში ხედავდნენ. ანტიკური და შემდგომი ხანის უდიდესი ფილოსოფოსები: დემოკრიტე, ქსენოფონტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, რომაელი ორატორები: სენეკა, ციცერონი, პედაგოგიკის კლასიკოსები: მ. ფ. კვინტილიანე, იან ამოს კომენსკი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, ა. დისტერვეგი, კ. დ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი და სხვები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზნეობრივ აღზრდას პიროვნების ფორმირების საქმეში. დემოკრიტემ პირველმა გამოყო ეთიკა, როგორც ცოდნის ცალკეული დარგი. მას ზნეობრივი სრულყოფის საფუძვლად სრულყოფილი განათლება მიაჩნდა. სოკრატეს კი – ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებად სიკეთისა და ბოროტების არსში გარკვევა. მისი აზრით, ბავშვი უნდა “დარწმუნდეს სიკეთის მშვენიერებაში და ბოროტების სიმახინჯეში.” ქსენოფონტემ თავის პედაგოგიურ რომანში “კიროპედია” ანუ “კირის აღზრდა” ზნეობრივ აღზრდას მიუჩინა ცენტრალური ადგილი. ანტისტენე კი ზნეობრივი აღზრდის მთავარ ამოცანებად ზნეობრივ შეგნებასა და ზნეობრივ გრძნობებს თვლიდა. თუ პლატონი ზნეობრიობად იდეალურ სიკეთისკენ სწრაფვას თვლიდა, არისტოტელე – მასში ამქვეყნიურ ბედნიერებას ხედავდა. ეს კარგად ჩანს მის უკვდავ “ეთიკაში”. სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძვლად კანონები მიაჩნდა. ამიტომ, მისი აზრით, კანონის შემქმნელი და დამცველი უზადო, კეთილზნეობის, სამართლიანი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ადამიანურობის უმაღლეს კატეგორიად ციცერონი ჰუმანიზმს მიიჩნევდა, ზნეობის საფუძვლად კი – განათლებას: “ჯერ დაეუფლე კეთილზნეობას, ხოლო შემდეგ სიბრძნეს, რადგან პირველის გარეშე ძნელია ისწავლო ეს უკანასკნელი”- ბრძანებდა ციცერონი. კვინტილიანე კიდევ უფრო კატეგორიულად აყენებდა საკითხს: “ყველაფერზე წინ ზნეობა უნდა იდგესო” და იქვე განაგრძობდა:

“შეუძლებელია უპატიოსნო ადამიანი გახდეს ჭეშმარიტი ორატორი”-ო. “ბრძენი რომაელის აღზრდა” მას ვერ წარმოედგინა ზნეობრივი აღზრდის გარეშე.

აღორძინების ხანის ცნობილ იტალიელ მოღვაწეს პაოლო ვერჯერიოს თავის პედაგოგიურ თხზულებაში “კეთილშობილური ყოფაქცევებისა და მეცნიერებათა თავისუფალი შესწავლის შესახებ” მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზნეობრივ აღზრდაზე. მატეო ვეჯიოს აზრით, “ბავშვზე კეთილ ზემოქმედებას კეთილი გრძნობების განვითარება მოაქვს”. ფრანსუა რაბლემ თავის “გარგანტუა და პანტაგრუელში” აღზრდის მიზნად ბავშვის ზნეობრივი სრულყოფა და განათლება გამოაცხადა, ზნეობრივი აღზრდის სათავედ კი – რელიგიური აღზრდა. მიშელ მონტენმა თავის ცნობილ თხზულებაში “ცდები” ზნეობრივი აღზრდა გონებრივ აღზრდაზე მაღლა დააყენა.

იან ამოს კომენსკის ეთიკა მთლიანად ემყარება ქრისტიანულ მორალს. მისი აზრით, “ადამიანი შექმნილია საგანთა შეცნობისათვის, ზნეობრივი ჰარმონიისათვის და ღვთის უსაზღვრო სიყვარულისათვის” და იქვე განაგრძობს: “ადამიანი ვალდებულია იყოს არა მარტო გონიერი, არამედ ზნეობრივი და ღვთისმოშიში” (ი. ა. კომენსკი. რჩ. პედ. თხზ. თბ., 1949, გვ.46). ჯონ ლოკის იდეალი ზნეობრივი ადამიანია. მას ზნეობრივი აღზრდის საფუძველად გონებრივი აღზრდა, მრავალფეროვანი განათლება მიაჩნია. “მე სრულებითაც არ ვუარეყოფ, რომ მეცნიერებათა შესწავლა ხელს უწყობს ადამიანებში სათნოებისა და სიბრძნის განვითარებას, კარგი სულიერი მონაცემების საფუძველზე. მაგრამ უნდა დავეთანხმოთ იმასაც, რომ ვისაც არა აქვს ასეთი მონაცემები, მათ მიუყვართ მხოლოდ იქითკენ, რომ ისინი ხდებიან სულელი და ცუდი ადამიანები” (ჯონ ლოკი. “ფიქრები აღზრდაზე” თბ., 1947, გვ.18).

ჟან-ჟაკ რუსო ზნეობრივი აღზრდის მთავარ ამოცანებად თვლის შრომით და რელიგიურ აღზრდას. მისი თქმით, “ყოველი უსაქმური ადამიანი გაიძვერაა განურჩევლად იმისა, მდიდარია თუ ღარიბი, ძლიერია თუ სუსტი” (ჟან-ჟაკ რუსო. თხზ. ტ. III გვ.

620. რუსულ ენაზე). რელიგიური აღზრდა, ღვთისმოსაობა რუსოს მიხედვით, ხელს უწყობს აღსაზრდელში კეთილთვისებების განვითარებას, მისი მორალური სახის ჩამოყალიბებას. ამიტომ საჭიროდ მიაჩნია ისეთი ინფორმაციების სწავლება, რომელიც საფუძვლად დაედება ღვთის რწმენას.

უშინსკის მიაჩნდა, რომ ზნეობრივი აღზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონების ფართო ცოდნით გავსება. ზნეობრივი აღზრდის კონკრეტულ ამოცანად მას მიაჩნდა ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, დისციპლინის, სამართლიანობის, შრომისმოყვარობის, პასუხისმგებლობის გრძნობათა აღზრდა. კეთილ ჩვევებს ის ზნეობრივ კაპიტალს უწოდებდა, უზნეობას კი – ზნეობრივ გაკოტრებას.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი პიროვნების ღირსებას გონებრივი და ზნეობრივი ღირსებით განსაზღვრავდა. მაგრამ აღზრდის მთავარ ამოცანად მაინც ზნეობრივ აღზრდას აცხადებდა. ზნეკეთილ ადამიანს ქვეყნის სიმდიდრედ თვლიდა. მისი აზრით, “პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში უფრო მეტად საჭიროა და ძვირფასი, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა

ცოდნით” (ი. გოგებაშვილი. თხზ., ტ II, გვ.294).

ადამიანის ადამიანურობა, ილია ჭავჭავაძის აზრით, ზნეობით იზომება და ზნეობრივი აღზრდისადმი ყურადღების გამახვილება მთავარი ნიშანია ჰუმანურ-დემოკრატიული საზოგადოების აშენებისა. იგი გონებრივ აღზრდაზე უფრო მაღლა ზნეობრივ აღზრდას აყენებდა, რადგან მისი აზრით, “ისევე გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათით გაწოთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათით გაუწოთვნილი” (ი. ჭავჭავაძე. რჩ. ნაწ. ტ. IV, გვ. 209).

ზნეობრივი გმირის იდალური სახე შექმნ აკაკი წერეთელმა ბაში-აჩუკის სახით. მასში პოეტმა თავი მოუყარა ყველა იმ მაღალზნეობრივ თვისებებს, რომელიც უნდა ახასიათებდეს ზნეობრივ პიროვნებას, როგორცაა: პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი,



მეგობრობა, რაინდობა, მიჯნურობა, სილამაზისა და მშენიერების აღქმის უნარი და ა. შ.

საბჭოთა პედაგოგიკა, რომელიც მარქსისტულ მეთოდოლოგიას დაეფუძნა, სამყაროს ცალმხრივ, მატერიალისტურ გაგებას გულისხმობდა და იდეალისტურ პოზიციას აბსოლუტურად გამორიცხავდა; ზნეობრივ აღზრდას რელიგიური ცნობიერების, ყოვლისშემოქმედი ღმერთის აღიარების გარეშე, შიშველ, ადამიანის მიერ მოგონილ წესებსა და პრაქტიციზმზე დაყრდნობით წარმართავდა და შესაბამისად აღზრდის მიზანიც მიუღწეველი რჩებოდა, რასაც ადასტურებს თანამედროვე მსოფლიოში გამეფებული უზნეობა, გაუგონარი ბოროტება: ომები, ნგრევები, ძალადობა, კორუფცია, გარყვნილება, ცხოვრების აზრის თავაშევებულ სექსამდე დაყვანა, შური, სიხარბე, სიძულვილი და უამრავი სხვა სისაძაგლე. ბიბლიური წინასწარმეტყველება, რომ: “უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი. . . ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავმოყვარენნი, ვერცხლისმოყვარენნი, ამაყნნი, ამპარტავანნი, მგმობელნნი, მშობლების ურჩნნი, უმადურნნი, უწმინდურნნი, მოძულენნი, შეურიგებელნნი, ცილისმწამებელნნი, შეუკავებელნნი, მოღალატენნი, სასტიკნნი, კეთილის მოძულენნი, გამცემნნი, თავხედნნი, გაბღენძილნნი, უფრო სიამეთა მოყვარულნნი, ვიდრე ღვთისა” (II ტიმოთეს 3:1-4, 12). ხოლო მათეს 24-ე თავის 6,7,8 მუხლებში ჩაწერილი წინასწარმეტყველება კიდევ უფრო დამძიმებულ ვითარებაზე მიუთითებს: “მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს, . . . ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ და იქნება შიმშილი და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ . . . რაკი გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული”.

ყოველივე ამის გამოძვევევი მიზეზი ის სულიერი სიბნელეა, რაც უღმერთობას და ცრუ რელიგიებს მოჰყვა. კაცობრიობის მიერ გამოგონილი უთვალავი რელიგიებისა და მილიონობით ცრუ ღმერთების თავყანისმცემლობის პირობებში დაბნეულობამ მოიცვა მთელი ქვეყნიერება. ღვთის სიტყვა – ბიბლია, რომლის უტყუარობა მეცნიერულად დამტკიცებულია, პირდაპირ აცხადებს,

რომ “ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცს შორის შუამავალი – იესო ქრისტე, რომელმაც თავისი თავის შეწირვით შესაბამისი გამოსასყიდი გაიღო ყველასთვის” (I ტიმოთეს 2:5).

ეს მცირედი ისტორიული ექსკურსი, ვფქრობთ საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა სერიოზული ადგილი ეკავა ზნეობრივ აღზრდას კაცობრიობის ისტორიაში. ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს უფრო მეტი სიმწვავეით დგას ეს პრობლემა მთელ მსოფლიოში. კერპადქცეული ფულის შოვნა ნებისმიერი გზით, ნორმად არის ქცეული. მატერიალიზმმა სულიერობას ადგილი არ დაუტოვა.

ზნეობრივი აღზრდა პედაგოგიკის მეცნიერებაში წარმოდგენილია, როგორც აღზრდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. რომელიც გულისხმობს ეთიკური ნორმებისა და წესების ათვისებასა და დაცვას. ზნეობრივი ნორმები და წესები არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და სამშობლოსთან, საზოგადოებასთან, სხვა ქვეყნებსა და ხალხებთან, ბუნებასთან, შრომასთან, სულიერ და მატერიალურ ღირებულებებთან, ადამიანებთან, საკუთარ თავთან, ყოველივე მასთან, რასთანაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ რწმენის, ღვთისმოშიშობისა და ღვთისმოსაობის საფუძველზე.

ეს ურთიერთობანი განზოგადოებული სახით წარმოგვიდგება ზნეობრივ კატეგორიებში, როგორცაა: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, სიმართლე, სამართლიანობა, პატიოსნება, სიყვარული, მეგობრობა, თავმდაბლობა, თავაზიანობა, მოთმინება, მიმტევებლობა, გულწრფელობა, მიუკერძოებლობა, გულისხმიერება, და ა. შ., რაც სიკეთის ცნებაში თავსდება და ათ ბიბლიურ მცნებას ეხმიანება.

იმისათვის, რომ გავიგოთ ზნეობის სიკეთე, უნდა ვიცოდეთ მისი საპირისპირო, უზნეობის არსი. როგორც ცნობილია, ზნეობას უპირისპირდება უზნეობა, რომელიც ბოროტების სფეროში მოიაზრება და, რაც ბიბლიაში აკრძალულია. ესენია: კაცთმოძულეობა, დაღატი, სიძულვილი, სიხარბე, მკვლეობა,

ძალადობა, ქურდობა, მრუშობა, ცილისწამება, სიცრუე, შური, სიხარბე, ეგოიზმი, ჭორიკნობა, კორუფცია და მექრთამეობა, მლიქვნელობა, ბილწსიტყვაობა, სიზარმაცე, მათხოვრობა, ლოთობა, გარყვნილება და ა. შ.

ზნეობა სიკეთის, ბედნიერებისა და მშვიდობის წყაროა; უზნეობა კი ბოროტების, ყოველგვარი უბღურების, ომების, ნგრევის, სიძულვილის, ეკოლოგიური კატასტროფის, ავადმყოფობის, ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის მშობელი.

სწორი, შეუცდომელი არჩევანის საშუალება რომ ჰქონოდა ადამიანს, ამიტომ მისცა ღმერთმა მას ქცევისა და მოქმედების ზნეობრივი კანონები და პრინციპები. მაგრამ, სამწუხაროდ, ღვთის, ყოვლისშემოქმედის მორჩილება არ ისურვა მისმა ქმნილებამ, თავის ხატად და მსგავსად შექმნილმა ადამიანმა და სატანა-ეშმაკის, ამ წუთისოფლის მაცდუნებლის კერძად იქცია თავი. ამიტომ თქვა იოანე მოციქულმა, “მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევსო” (I იოანეს 5:19).

ზნეობა და სამართალი – ორივე ქცევისა და მოქმედების კანონებს არეგულირებს, მაგრამ მათ შორის სხვაობა იმაშია, რომ სამართლებრივ-ადმინისტრაციულ ნორმებსა და წესებს სავალდებულო ხასიათი აქვს და მათი დამრღვევის შემთხვევაში იურიდიულ-ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება და კანონით ისჯება. იურიდიული კანონების დარღვევას აკონტროლებს სპეციალური იურიდიული ორგანოები: სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, პატრული და სხვა.

იურიდიული ნორმები და კანონები ცოდვებისგან შემკავებელი გარეგანი ძალაა, რომელიც დასჯის შიშხეა დამყარებული.

ზნეობის სფეროში განსხვავებული ვითარებაა. ზნეობრივი ნორმებისა და წესების დაცვა იძულებით ხასიათს არ ატარებს, ის პიროვნების შინაგანი მოთხოვნობაა და შეგნებულობის პრინციპს ემყარება. ზნეობრივი ნორმებისა და წესების დამრღვევ პიროვნებაზე ზექმედების საშუალებაა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც გამოიხატება შემდეგ ფორმებში: საყვედური, გაკიცხვა, საჯარო განხილვა, ურთიერთობის დროებით შეწყვეტა და ა. შ.

მაგალითად, თუ ადამიანმა სამსახურში დააგვიანა, ან არასაპატიო მიზეზით გააცდინა, ის ადმინისტრაციულ სასჯელს დაექვემდებარება. ეს იქნება გამაფრთხილებელი საყვედური, ხელფასის დაქვითვა, სამსახურიდან მოხსნა. მაგრამ ადამიანს თუ ნაცნობთან შეხვედრაზე დააგვიანდა, ამისთვის არავითარი სანქციები არ არსებობს. უბრალოდ, მომლოდინეს შეუძლია უსაყვედუროს, ან მისცეს მეგობრული შენიშვნა, ეს არის და ეს. და ურთიერთობა ისევ ჩვეულ ყალიბში გრძელდება.

მარქსიზმის მიდევრები ზნეობას ცვალებად კატეგორიად განიხილავდნენ. ამის არგუმენტად კარლ მარქსს ასეთი მაგალითი მოჰყავდა: თვით ერთ საზოგადოებრივ ფორმაციაშიც კი, პირველყოფილ თემურ წყობილების განვითარების პირველ ნახევარში პოლიგამია (სქესობრივი თავისუფლება) ზნეობრივ ნორმად ითვლებოდა, მაგრამ მის მეორე ნახევარში მონოგამია (ერთცოლიანობა, ერთქმრიანობა) იქცა ეთიკურ ნორმად. ზნეობის კრიტერიუმში ღვთის კანონებია, რომლის მიხედვით პოლიგამია ბიბლიური მცნების: “არ იმრუშოს” საწინააღმდეგო ქცევა იყო. ღმერთმა იმთავითვე შექმნა ერთი მამაკაცი და ერთი ქალი სიყვარულისა და გამრავლების უნარით და დააწესა: “ყველას ცოლქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი შეუბილწავი, მეძავეებსა და მრუშებს კი ღმერთი განიკითხავს” (ებრაელთა 13:4). ამდენად პოლიგამია შეუძლებელია ოდესმე ყოფილიყო ეთიკური ნორმა.

ბიბლიური მცნებები: “არ მოკლა”, “არ იმრუშო”, “არ იქურდო”, “ცილი არ დასწამო”, “სხვისი ცოლი არ ინდომო”, “ისე მოექცე სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ” და სხვა დროითა და სივრცით შეუზღუდავი, მარადიული, უცვლელი და ზოგადკაცობრიული ზნეობრივი კატეგორიებია და თაობიდან თაობას გადაეცემა აღზრდის გზით და, აქედან გამომდინარე, ისტორიულ, მარადიულ, საზოგადოებრივ და მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს.

ზნეობრივი აღზრდა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ერთერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ზნეობრივი აღზრდის მიზანია ეთიკური ნირმებისა და წესების

მოსწავლის ინტელექტუალურ საკუთრებად, მის შეხედულებებად, რწმენად, და მოქმედების უნარ-ჩვევებად გარდაქმნა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა: ზნეობრივი შეგნება, ზნეობრივი გრძნობა და მოთხოვნილება, ზნეობრივი მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

შეგნების ცნება სამცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია როგორც ყოფიერების ცნობიერებაში ასახვა. ზნეობრივი შეგნება ნიშნავს ეთიკური ნორმებისა და წესების შესაბამისად ცხოვრების აუცილებლობის გაცნობიერებას. ზნეობრივ შეგნებას საფუძვლად უდევს ზნეობის შინაარსის ანუ ეთიკური ნორმებისა და წესების ცოდნა. ამიტომ ამ ცოდნის სრულფასოვნება და პრაქტიკული ღირებულება განაპირობებს შეგნების ხარისხსა და დონეს. ზნეობისა და ზნეობრიობის არსის, მისი თეორიულ-პრაქტიკული და პიროვნულ-საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ჭეშმარიტი ინფორმაციებით ცნობიერების გამდიდრება იწვევს ზნეობრივი შეგნების ამაღლებას, მისი გასაგნებისაკენ სწრაფვას, რაც თავის გამოსატყულებას პოულობს ეთიკურ მსოფლმხედველობასა, ქცევისა და მოქმედების კულტურაში.

რამდენადაც ზნეობრივი შეგნება არეგულირებს ზნეობრივ გრძნობებსა და ქცევებს, ამდენად აუცილებელია ზნეობრივი კატეგორიების შესახებ გარკვეული ინფორმაციების მიღება, რაც უნდა უზრუნველჰქყოს ეთიკურმა მეცნიერებამ, მაგრამ ამ კატეგორიებს ზოგადად მაინც მიმოვიხილავთ აქ, რომ მკითხველისთვის ადვილად გასაგები იყოს ზნეობრივი შეგნების არსი. მაგალითად ავიღოთ ჰუმანიზმი. ჰუმანიზმი არის ეთიკური კატეგორია, რომელიც კაცთმოყვარეობას გულისხმობს. იგი განასახიერებს ბიბლიურ პრინციპს: “გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი”. კაცთმოყვარეობა უპირისპირდება კაცთმოძულეობას. პირველი სიკეთეა, მეორე კი – ბოროტება. სიყვარული აშენებს, სიძულვილი ანგრევს. ამიტომ მღერიან ასე: “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”. სიყვარულის

გონებაში უწვდომელი მაგალითი მოგვცა თავად ყოვლისშემოქმედმა და იესო ქრისტემ: “ღმერთმა ქვეყნიერება ისე შეიყვარა, რომ თავისი მხოლოდშობილი ძე მისცა, რათა ვისაც ის სწამს არ დაიღუპოს, არამედ მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს. . . რომ მისი მეშვეობით გადარჩენილიყო ქვეყნიერება” (იოანე 3:16,17). ქრისტეც უსიტყვოდ დაემორჩილა მამის ნებას და საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო ყველასათვის დედამიწაზე, რათა განწმენდილიყვნენ და ეცხოვრათ ღვთისთვის მისაღები ზნეობრივი ნორმებით, რომ თავი დაეცვათ კაცობრიობის მაცდუნებელი სატანა-ეშმაკისაგან. ეცხოვრათ დედამიწაზე ღვთისმოსაობით და დამტკბარიყვნენ მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებით.

მაშასადამე, ზნეობრივი შეგნება ეყრდნობა თეოკრატიულ და ეთიკურ განათლებას. ამასთან დაკავშირებით კომენსკი წერდა. მოსწავლეებმა “უნდა შეითვისონ მოძღვრება ზნეობის შესახებ, რომელიც გამოხატულია წესებში და განმარტებულია მაგალითებით ასაკის შესაბამისად; მათ უნდა ესმოდეთ იგი და ცდილობდნენ საქმეში გამოყენებას” (იან ამოს კომენსკი. რჩ. პედ. თხზ. 1949, გვ.175).

რაც შეეხება ზნეობრივი აღზრდის მეორე ამოცანას – ზნეობრივი გრძნობებისა და მოთხოვნების გაღვივებას მოსწავლეებში, ეს წარმოადგენს ნებელობით-მოტივაციის სფეროს, რომელიც გულისხმობს ეთიკურ- შემეცნებით აქტივობას, სურვილს, ნდომას ზნეობრივი ნორმებისა და წესების დაუფლების, ზნეობრივი მსოფლმხედველობისა და მრწამსის, ასევე ზნეობრივი მოქმედების უარ-ჩვევების ათვისებისათვის მზადყოფნას. მარტო იმის ცოდნა, რომ ზნეობრივი მოქმედება სიკეთეა და, პირიქით, უზნეობა – ბოროტება, ეს საკმარისი არ არის. ამასთანავე აუცილებელია მორალურისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულება, შინაგანი მოთხოვნილება სიკეთის კეთებისა. ზნეობრივ გრძნობებზე კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს დადებითი თვალსაჩინო მაგალითები: ბიბლიური პერსონაჟები, ხელოვნების გმირები, რეალური სინამდვილის

ღირსეული, ზნეობით, გონიერებითა და სიბრძნით გამორჩეული ადამიანები. გრძნობებსაც ცოდნა უდევს საფუძვლად.

ზნეობრივი აღზრდის მესამე ამოცანის – ზნეობრივი მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით იკვრება ზნეობრივი აღზრდის წრე. სწორედ პრაქტიკა არის ის ასპარეზი, სადაც პიროვნება ახდენს თავისი ინტელექტუალური და პრაქტიკული შესაძლებლობების რეალიზაციას, რომლის მეშვეობით ხდება საზოგადოების წევრი. ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევები გულისხმობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობებს, პროფესიული, მოქალაქეობრივი, შრომითი, ოჯახური და სხვა მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას.

როგორც ცნობილია, ზნეობრივი ქცევა და მოქმედება ყოველთვის არ არის ზნეობრივობით ნაკარნახევი. ზნეობრიობას ზნეობრივი აქტივობის მოტივები განსაზღვრავს. მოტივები შეიძლება იყოს შემდეგი: ანგარება, გამორჩენა, გამოჩენა, პირველობისა და ლიდერობის სურვილი, დაწინაურება, ყურადღების ცენტრში მოქცევა, კარიერა, გამდიდრება, უპირატესობის დამტკიცება, ნდობის ბოროტად მოპოვება და ა.შ. ყველაფერი, რაც ყალბად კეთდება. ამ მოტივებით ჩადენილი ქცევა, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს, ის ზნეობრიობის კატეგორიაში არ ჯდება.

ზნეობრიობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია ღვთისა და მოყვასის სიყვარული, მადლიერება, სხვისი უანგარო დახმარება და სიხარულის მინიჭება, უბრალოდ, სიკეთის ქმნის შინაგანი მოთხოვნილება. რომ ასე უნდა და სხანაირად არ ძალუძს.

როგორც დავინახეთ, პედაგოგიკა ეთიკიდან, როგორც მისი მოსაზღვრე მეცნიერებიდან იღებს ზნეობისა და მისი კატეგორიების შესახებ ცოდნას და პედაგოგიური საშუალებებით მას აქცევს აღსაზრდელის ინტელექტუალურ საკუთრებად, მსოფლმხედველობად, მრწამსად, ეთიკური მოქმედების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებად. ახლა განვიხილოთ კონკრეტულად საამისოდ რა მექანიზმები აქვს პედაგოგიკას.

ზნეობრივი აღზრდა, როგორც აღზრდის შემადგენელი

ნაწილი და მისი განუყოფელი კომპონენტი კომპლექსური ხასიათისაა და ყველა პედაგოგიურ სისტემებსა და პროცესებს მოიცავს. ეს იქნება საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, კლასგარეშე და სკოლის გარეშე სისტემები და, რაც მთავარია, ოჯახი. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ძირითადად, ამ ოთხ ბორბალზე დგას. თითოეულ ამ სისტემას თავთავისი როლი აკისრია ამ პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ პირველი და უმთავრესი, მაინც სწავლებაა, რადგან აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, სწავლების ფუნქციაა. ყოველ კლასში ყოველ სასწავლო დისციპლინას გააჩნია მეტ-ნაკლებად ზნეობრივი აღზრდის შესაძლებლობა, რაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს თითოეულმა მასწავლებელმა ურთიერთ შეთანხმებულად, რომელიც უნდა აისახოს ყოველი გაკვეთილის გეგმაში. ეს კი საშუალებას მისცემს მასწავლებელს საგანთაშორისი კავშირების პრაქტიკული განხორციელებისა მოცემული საგნის სწავლების მეთოდის საფუძველზე. ზნეობრივი აღზრდის განსაკუთრებულ საშუალებას იძლევა ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივი მეცნიერებათა სასკოლო საფუძველები. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურა და ისტორია რეალური სახეებით ემსახურება ზნეობრივი იდეალების შექმნას, ვისაც უნდა მიბაძოს და ვისზედაც უნდა აიღოს სწორება. ამ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალურია თვალსაჩინო მაგალითის მეთოდი, ეთიკური საუბრები, დისპუტები და სხვა.

კლასგარეშე პედაგოგიური სისტემები ქმნის ხელსაყრელ პედაგოგიურ პირობებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უწყვეტობისა და უკვე მიღებული ინფორმაციების გაღრმავება-განმტკიცებისათვის. აქ მოსწავლეს ეძლევა საშუალება ინიციატივისა და დამატებითი ინფორმაციების მოპოვებისა და დამუშავებაში, სხვადასხვა მიზნობრივ პედაგოგიურ დონისძიებებში უშუალო მონაწილეობისა. აქ ძირითადად მოქმედებს დამატებით საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენების პედაგოგიური მეთოდი. მასწავლებელი თუ გაკვეთილზე წამყვანია, აქ უფრო კონსულტანტის როლს ასრულებს. ხელმძღვანელობას



უწევს პროცესის ოპტიმიზაციასა და ინტენსიფიკაციას. სპეციალური მუშაობა ზნეობრივი აღზრდის მიმართულებით, აუცილებლად იძლევა ადეკვატურ შედეგებს ზნეობრივი ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტაში.

სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის მიზნობრივი ორგანიზაციას კიდევ გარკვეული წვლილი შეაქვს ზნეობრივ აღზრდაშიც. სხვადასხვა გარემოში, სახვდასხვა კოლექტივებთან ადაპტაციის პროცესი მოსწავლეს მუდმივად აყენებს ეთიკური ქცევების რეჟიმში და ახდენს მთელი ეთიკური ცოდნა-გამოცდილების მობილიზება-კონცენტრაციას თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის, ასევე გარკვეული იმიჯის მოპოვების მიზნით.

ოჯახის როლი აღზრდაში განუზომელია. განსაკუთრებით ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. აქ იღებს აღსაზრდელი საწყის ელემენტებს იმ თვისებებისა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი პიროვნებისათვის. რაც უფრო მაღალია ოჯახში ზოგადი, და, კერძოდ, პედაგოგიური კულტურა, მით უფრო ნაკლებია აღზრდის პრობლემები ოჯახშიც და სკოლაშიც.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, გამოდის დასკვნა, რომ ზნეობრივი აღზრდა ადამიანის პიროვნებად ფორმირების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური პროცესია, სადაც ბიოლოგიური და სოციალური გარემოს ფაქტორების კოორდინაციის საფუძველზე, მასწავლებელი უზრუნველყოფს დიდი სიყვარულის, პატიოსნების, სამართლიანობის, თვინიერების, შრომისმოყვარეობის, მშვიდობისმყოფელობის, ყოველგვარი სიკეთისა და “კაცური კაცობის” ღირსეული თვისებებით აღჭურვილი, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებას. ზნეობრივი შეგნების, ზნეობრივი გრძნობებისა და ზნეობრივი ქცევის უნარ-ჩვევების აღზრდას.

## თემა XI. შრომითი აღზრდა

საკითხები:

1. შრომის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში;
2. შრომითი აღზრდის მიზანი და ამოცანები;
3. შრომის სახეები;
4. პროფორიენტაციული მუშაობის შინაარსი;
5. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის და პროფორიენტაციის პედაგოგიური საშუალებები.

შრომას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, განმსაზღვრელი როლი აკისრია ადამიანის შეგნებული ცხოვრებისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. ყოველივე ის მატერიალური და სულიერი ფასეულობები, რაც აუცილებელია ადამიანისა და საზოგადოების არსებობისა და შეგნებული ცხოვრებისათვის, იქმნება მხოლოდ და მხოლოდ შრომის საფუძველზე. სამყაროს შვიდი საოცრება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები შრომის გარეშე, მხოლოდ ოცნების საუფლოში დარჩებოდა. მიუხედავად შრომის უდიდესი მატერიალური და ზნეობრივი ღირებულებისა, იგი ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით კლასობრივ-ექსპლუატატორულ საზოგადოებაში დაბალი სოციალური ფენის ხვედრად იყო გამოცხადებული. ის საჯელადაც გამოიყენებოდა. უფრო მეტიც, მაღალი წრის გარდაცვლილს მონებს თან აკლავდნენ და იმქვეყნად ატანდნენ, რომ აწ უკვე იქ მომსახურებოდნენ. მშრომელის შრომა არასოდეს არ იყო სათანადოდ დაფასებული. ისტორიულ მეცნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხატვრული ლიტერატურაც საკმარისია, გავიგოთ მშრომელის მიძიმე ხვედრის შესახებ, რომ მას უბრალოდ, ადამიანადაც არ თვლიდნენ, მონათფლობელურ საზოგადოებაში

საბერძნეთში მონას მოლაპარაკე იარაღს უწოდებდნენ. მშრომელ ადამიანთა ჩივილებით, გოდებითა და ცრემლებითაა გააჟღენთილი მსოფლიო ლიტერატურა. გლეხის უუფლებობისა და მძიმე მდგომარეობის მოთქმაა გამოსატყუი ლექსში “გლეხის ჩივილი”:

“ ღარიბი გლეხი ვიყავი,  
მჭადითა გამოზრდილია,  
უქუდო ჩოხის ამარა,  
ქალამნებ გაცვეთილია.  
ვინ მომაცლიდა იმდენსა,  
გლეხსა მესწავლა ანბანი,  
ამედო წიგნი მეკითხა,  
გამეგო ქვეყნის ამბავი.”

დღესაც მსოფლიოში შრომის უფლება წართმეული მილიონობით ადამიანები სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ და შიმშილითა და უწამლობით იხოცებიან მაშინ, როცა უმცირესობის, ერთ მუჭა ადამიანების ფლობელობაშია მთელი ქვეყნისა და ხალხის სიმდიდრე. ამასაც არ ჯერდებიან და მსოფლიომპყრობელობის მანიით შეპყრობილი “ლიდერები” ომებს აჩაღებენ, ხელოვნურ ეპიდემიებს ავრცელებენ, იგონებენ ეკონომიურ კრიზისებს, თავად კი განცხრომაში არიან. დაღესისა და მალთუსის კაცთმოძულე გეგმის (რომელსაც ფინანსურად უზრუნველყოფს სოროსის ცნობილი ფონდი) მიხედვით მოქმედებენ, რომ მოსახლეობის რიცხვი დედამიწაზე ორ მესამედამდე დაიყვანონ. ამ და მისმაგვარ ცოდვებით დამძიმებული დედამიწა კატასტროფის პირამდეა მიყვანილი.

ჩვენი საოცარი დედამიწა თავისი უსასრულო მრავალფეროვნებით: მიწა, წყალი, ჰაერი, ფლორა, ფაუნა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები ღმერთმა შექმნა არა მარტო სიცოცხლისთვის, ამასთანავე ამ სიცოცხლით დატკობის, ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, მაგრამ ვინ გაცლის?!

შრომისადმი არასწორი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შრომითი აღზრდის პრობლემა სკოლაში დღემდე ფორმალურ

ხასიათს ატარებს. ამას გარკვეულწილად პროფესიონალიზმისა და პროფესიონალისადმი უპატივცემლო დამოკიდებულება, არასწორი საკადრო პოლიტიკა განაპირობებს. პედაგოგიკის ზოგიერთ სახელმძღვანელოში შრომით აღზრდის გრაფა არც არის. შრომითი აღზრდის აუცილებლობას ყველა დროისა და საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები ყოველთვის აღიარებდნენ. მათ იცოდნენ, რომ შრომას არა მარტო მატერიალური სიკეთე, არამედ შემეცნებითი, მორალურ-ესთეტიკური სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება მოაქვს. შრომის სიკეთესთან დაკავშირებით ეზოპე ამბობდა: “ადამიანთა ჭეშმარიტი საუნჯე შრომის უნარიაო”. დიდი აკაკი შრომას ბედნიერების საფუძვლად მიიჩნევდა: “ბედნიერება ამ ქვეყნად შეერთებული შრომაა”. ვაჟა, მთისა და ბარის სიამაყე, წერდა: “მორევნას სხვისა ნუ ფიქრობ, რომ იყოს მარტო სახელი, შენი შრომა და ღვაწლია საყურადღებო სათქმელი.” პროზის გიგანტმა კონსტანტინე გამსახურდიამ ასეთი ქება უძღვნა შრომას: “შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ვაჟკაცს ისე, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე” (“დიდოსტატის მარჯვენა”).

შრომისმოყვარეობა შემთხვევით არ არის ზნეობრივი კატეგორია. იგი ნამდვილად აკეთილშობილებს ადამიანს, დადებითად განაწყოებს შრომისა და მშრომელისადმი, აჩვენებს ყაირათიანობასა და მომჭირნეობას, შრომის იარაღისა და შრომის პროდუქტისადმი გაფრთხილებას. შრომის პროცესში ახდენს ადამიანი თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციას, შრომითი კოლექტივის მეშვეობით ხდება იგი საზოგადოების წევრი.

შრომითი აღზრდის მიზანია, სწორედ, შრომისმოყვარეობისა და შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავება მოსწავლეებში, მათი ფსიქოლოგიური და პრაქტიკული მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

1. კეთილსინდისიერი შრომის პირადი და

საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და აუცილებლობის შეგნება;

2. მშრომელი ადამიანის იდეალის შექმნა;

3. მოსწავლის შესაძლებლობასთან შესატყვისი შრომით საქმიანობაში ჩართვა;

4. შრომის კულტურის განვითარება;

5. შრომის საგნისა და ადგილის მოვლა – მოწესრიგება;

6. დროისა და მასალის ეკონომიური ხარჯვა;

7. შრომის დისციპლინა-აკურატულობა,ინიციატივა, პასუხისმგებლობა,

8. პროფორიენტაციული მიზნით მოეწავლეთათვის შრომის სხვადასხვა სხეობისა და სპეციალობებზე ადგილობრივი მოთხოვნის გაცნობა;

9. შრომის პროდუქტისადმი მომჭირნეობა და ყაირათიანობა;

10. კოლექტივიზმის, შეჯიბრებისა და ურთიერთდახმარების გრძნობის განვითარება.

შრომით აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღზრდის სისტემაში. იგი დაკავშირებულია პოლიტექნიკურ განათლებასთან, გონებრივ, ზნეობრივ, სულიერ, ეკოლოგიურ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდასთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ გონებრივი აღზრდა არის მეთაური საერთოდ აღზრდისა და განათლებისა. პოლიტექნიკური განათლება დაკავშირებულია მეცნიერებათა საფუძვლების, წარმოების პრინციპების ცოდნასთან. პროფესიულ მომზადებაში იგულისხმება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთიანობა. შრომით საქმიანობაში ხდება ამ ცოდნა-გამოცდილების გადრმავევა და განმტკიცება. შრომით პროცესში იცნობიერებს მოსწავლეს თეორიული ცოდნის მნიშვნელობასა და საჭიროებას, რადგან შრომითი საქმიანობა ეყრდნობა პოლიტექნიკის პრინციპს.

კეთილსინდისიერი და რენტაბელური შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, ხელს უწყობს მისი მორალური სახის ჩამოყალიბებას, ეთიკური ნორმებისა და წესების ათვისებას,

სოციალიზაციის პროცესის დაჩქარებას, მოქალაქეობრივი პროზიციის ჩამოყალიბებას, კოლექტივიზმისა და მეგობრობის განცდას, მოვალეობისა და ღირსების გრძნობას.

შრომითი აღზრდა ასევე მჭიდრო კავშირშია ესთეტიკურ აღზრდასთან. წესრიგი, ორგანიზებულობა, სისუფთავე, გაფორმება, ფერების, ფორმების ჰარმონია, შრომის რიტმი, შრომის შედეგის ხარისხი, შრომასთან დაკავშირებული საზეიმო რიტუალები, მოსავლის აღების დღესასწაულები და ა. შ. შრომასთან დაკავშირებული ესთეტიკური ღირებულებები იწვევს ესთეტიკურ დამოკიდებულებებს, სიამოვნებისა და სიხარულის განცდას. ასე თანდათანობით ეყრება საფუძველი ესთეტიკური კულტურის ელემენტებს აღსაზრდელებში.

შრომითი აღზრდა დაკავშირებულია აგრეთვე ფიზიკურ აღზრდასთან. შრომით პროცესში იწრთობა ადამიანი ფიზიკურად, უვითარდება ფუნქციონალური მოძრაობები, გამძლეობა, მოქნილობა, ამტანიანობა. შრომასაც თითქმის იგივე მოძრაობები სჭირდება, რაც სპორტს, შედეგშია მხოლოდ განსხვავება.

ნათელია, რომ აღზრდის სისტემის კომპონენტები: გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი, ეკოლოგიური, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა ორგანულ ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანაპირებულობის კანონზომიერებას ექვემდებარებიან.

შრომა თავისი შინაარსის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად იყოფა: გონებრივი და ფიზიკური. გონებრივში იგლისხმება ის, რაც ინტელექტთან და განათლებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად: სასწავლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და ა. შ. მაგრამ გონებრივ შრომაშიც აუცილებლად ადგილი აქვს ფიზიკურ შრომასაც, ოღონდ უფრო მცირე დოზით. ხოლო ფიზიკური შრომა ინტელექტს მოწყვეტილი როდია, მაგრამ არც მასზეა მთლიანად დამოკიდებული. ფიზიკურ შრომაში მოიაზრება ძირითადად მუშისა და გლეხის შრომა.

მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის ძირითადი სახეებია: სასწავლო შრომა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, თვითმომსახურება, ოჯახური და მწარმოებლური შრომა.

ყოველივე ეს ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული. მაგრამ მოსწავლეებს თავიანთი ასაკობრივი მდგომარეობის, მოუძწიფებლობისა და მოუძზადებლობის გამო ჯერ კიდევ არა აქვთ გაცნობიერებული სწავლისა და შრომის ობიექტური აუცილებლობა. ეს პრობლემაც გარკვეულწილად ართულებს აღზრდის პროცესს. ამიტომ სჭირდება მასწავლებელს პედაგოგიკური მეცნიერება და პროფესიული ხელოვნება, რომ ეს პრობლემა შედარებით უმტკივნეულოდ გადაიჭრას. დროისა და გარემოს ფაქტორებიც თავისებურ გავლენას ახდენენ ამ პროცესებზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს აუცილებლად.

სწავლა არის ყველაზე რთული, ხანგრძლივი და დამქანცველი შრომა, რომლის შედეგი მაშინათვე არ ჩანს. სწავლის პროცესის სირთულე დავით გურამიშვილმა ასე პოეტურად გამოთქვა: “სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების”-ო. ყოველდღე სკოლაში სიარული, გაკვეთილებზე ჯდომა, მოსმენა, მონაწილეობის მიღება, წიგნზე მუშაობა, კითხვა, წერა, საშინაო დავალებების მომზადება, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოსხნა, ცდების ჩატარება, ლაბორატორიული და პრაქტიკული, საველე და საცდელი სამუშაოების შესრულება და ა. შ. ასევე კლასგარეშე სხვადასხვა პედაგოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა, გამოსავლელად მომზადება, სხვისი გამოსვლების მოსმენა, დისკუსიებში ჩართვა, სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარება და ა. შ. მოსწავლისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ნებისყოფის სიმტკიცეს, დროსა და ენერგიას მოითხოვს. მაგრამ თუ მასწავლებელი ოპტიმალურად გამოიყენებს შეგნებულობისა და აქტიურობის პედაგოგიურ პრინციპს, კარგ შედეგსაც იმკის. როცა მოსწავლე შეიგნებს, რომ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში აქტიური ჩართვით მიიღებს ზოგად განათლებას, დაეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს, თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ეთიკურ ნორმებსა და წესებს, ესთეტიკურ კულტურას, ჩამოყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად და მზად იქნება განათლების სისტემის მომდევნო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, მის შემეცნებით აქტივობას არაფერი დაუდგება წინ.

მოსწავლე ასევე ჩართულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. აქ მოსწავლე კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს შრომის სიკეთეში. მან თავისი თავი უნდა წარმოიდგინოს ამ ქალაქის, ამ ქვეყნის, ამ ერის ნაწილად, მის სისხლ-ხორცეულ წარმომადგენლად, რომელიც ვალდებულია იზრუნოს საერთო სასარგებლო საქმეზე, მის წინსვლაზე, რომ უანგარო შრომის შედეგებში მასაც უდევს წილი. მოსწავლეებზე ძალიან ეფექტურად მოქმედებს წარსულის პატრიოტულ-ჰუმანური მაგალითები. იმის ჩვენება, თუ რამდენი რამე უანგაროდ გაუკეთებიათ ჩვენს წინაპრებს ჩვენ საკეთილდღეოდ, რის გამოც მათ სიამაყით ვიგონებთ.; რომ ყოველი თაობა იმით ფასდება, თუ რა შეუქმნია შთამომავლობისათვის. ამაშია მემკვიდრეობითობის პრინციპის მნიშვნელობა. საზოგადოებრივ შრომაში შედის შრომის ისეთი სახეები, როგორცაა: სკოლის, ქალაქის თუ სოფლის გამწვანება, სტიქიით, ომით ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებულთა მორალური, ფიზიკური, მატერიალური დახმარება, მშენებლობაში, მოსავლის აღებაში შეძლებისდაგვარად მონაწილეობის მიღება, ინვალიდების, მოხუცების, მარტოხელების დახმარება, ქველმოქმედების გაწევა, ბუნების დაცვა, კულტურულ-მატერიალური ღირსშესანიშნაობათა მოვლა და ა. შ. საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული და პედაგოგიურად გათვლილი, რომ მან აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს აღსაზრდელზე, შეუქმნას მოქალაქეობრიობის შეგრძნება და ჩვევად ექცეს ასეთი შრომის გაწევა, რაც მის ზნეობრივ სრულყოფილებას შეუწყობს ხელს.

თვითმომსახურებითი შრომა მიზნად ისახავს მოსწავლის მიერ პირადი საყოფაცხოვრებო, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასაკობრივი თავისებურების პრინციპის გათვალისწინებით, მოსწავლე უნდა მივაჩვიოთ დღის – დილის, შუადღისა და საღამოს რეჟიმს, რომ ყველაფერი თავის დროს და ადგილას აკეთოს. დილის პროცედურები: დროზე ადგომა, დილის ვარჯიში, დაბანვა, საუზმე, ოთახის დალაგება, ყვავილების მორწყვა, გაკეთილების



გადამეორება, სასწავლო ნივთების ჩანთაში ჩალაგება და სკოლაში წასვლა; სასკოლო, საკლასო-საგაკვეთილო პროცესებში აქტიური მონაწილეობა. შუადღეზე: გააკვეთილების შემდეგ პირდაპირ სახლში წასლა, ისევ ჰიგიენური პროცედურები, სადილი, დასვენება. შემდეგ გააკვეთილების მომზადება სიძნელე-სიაღვილის თანმიმდევრობით, პირველ რიგში წიგნზე ან სხვა ცოდნის წყაროზე მუშაობა, შემდეგ წერილობითი დავალების შესრულება. სამუშაო მაგიდისა და სასწავლო ნივთების დალაგება, ტანსაცმლის მოწესრიგება. საღამოზე სუფთა ჰაერზე გასეირნება, თამაში, შინ დაბრუნება, ისევ ჰიგიენური პროცედურები, ვახშამი, ტელევიზორის შესაფერისი გადაცემების ყურება და დროულად მეორე დღის გეგმებზე ფიქრში დაძინება. მსუბუქი დარიგებებით, წახალისებით, მუდმივად გვერდით ყოფნით – სკოლაში მასწავლებელი, ოჯახში მშობლები, მისი სიხარულის, წარმატების ან წარუმატებლობის გულწრფელად გაზიარება, მის სულიერ-ემოციურ მდგომარეობასთან იდენტიფიკაცია, გონივრულ-ზომიერი კომუნიკაცია – ის პედაგოგიური იარაღებია, რომელთა ოპტიმალურ-ოსტატური გამოყენებით მოსწავლეს დავებმარებით ზემოთ დასახელებული ქცევები და მოქმედებები, ორგანიზებულობა და წესრიგი მის საკუთარ უნარ-ჩვევებად იქცეს.

რაც შეეხება მწარმოებლურ შრომას, იგი ხასიათდება მატერიალური შედეგით და ეს საუკეთესო სტიმულია შრომითი აღზრდისათვის. ი. კ. პესტალოცი სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთებას აღზრდის ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტად თვლიდა. მან ამასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა პედაგოგიური კონცეფცია, რომელსაც გარკვეული მოსახრებით დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. “მიწათმოქმედება, ოჯახური მეურნეობა და ხელობა არ იყო ჩემი მიზანი. ადამიანობის განვითარება იყო ის მიზანი, რომლის მისაღწევადაც მიწათმოქმედებას, ოჯახურ მეურნეობას და ხელობას ვუყურებდი, როგორც მხოლოდ დამხმარე საშუალებას” (“ლინაპრდი და ჰერტრუდა”). ადამიანს ბუნებით აქვს მიდრეკილება ყველაფერში

სარგებელი ნახოს და ამაში არაბუნებრივი არაფერია, უბრალოდ საქმე იმაშია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ თუ რაში რა სარგებლის მიღებაა სასარგებლო და დასაშვები. მწარმოებლურ შრომას მოსწავლეთათვის ძირითადად სასწავლო დანიშნულება აქვს, მაგრამ გასამრჯელოც აუცილებელია. ვერასოდეს დავარწმუნებთ მოსწავლეებს იმაში, რომ შრომა ბედნიერების წყაროა, თუ ამას რეალურად პრაქტიკაში არ დავანახებთ და ვამუშავებთ ანაზღაურების გარეშე. სანამ თავად არ იგემებს შრომის სიკეთეს. შრომის ანაზღაურება ადაფრთოვანებთ მოსწავლეებს და საოცრად დადებითად იმუხტებიან შრომითი აქტივობისათვის და ამ დროს მაქსიმალურად მაღალია შრომის პროდუქტიულობა, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პოტენციალი რადგან, როგორც ცნობილია, რასაც ინტერესით აკეთებს ადამიანი, მით უფრო დიდია მისი ათვისების ალბათობა. მწარმოებლური შრომა იძლევა ფართო შესაძლებლობას სწავლება-აღზრდის ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან, თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებისა, ცნებებისა და კატეგორიების გაგებისა, პოლიტექნიზმის არსში წვდომისა. შრომითი სემესტრები, პრაქტიკული არდადეგები – მწარმოებლურ შრომაში ჩართვის, პრაქტიკული შრომითი უნარ-ჩვევების მიღების ორგანიზებული ფორმებია.

შრომითი აღზრდა სისტემატიზირებული პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საწავლეებისა და აღზრდის საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, შრომის გაკვეთილები, კლასგარეშე პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა და ოჯახური აღზრდის სისტემა.

განუზომელია მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია თვით შრომითი აღზრდის თვალსაზრისითაც, მაგრამ შრომითი აღზრდის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა მაინც შრომის გაკვეთილებია. ყველა სასწავლო დისციპლინა შეიცავს შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის ასპექტს, განსაკუთრებით ტექნიკურ-მათემატიკური ციკლის სასწავლო საგნები, რომელებიც

უზრუნველყოფენ თეორიულ პოლიტიკური ცოდნას ცნებების, კატეგორიების, პრინციპების, ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა მეთოდების სახით.

შრომითი აღზრდა და შრომის გაკვეთილები ურთიერთ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და ერთი მეორეს განაპირობებენ. აქ მიმდინარეობს ტექნიკური ცოდნის ათვისება, შრომის იარაღებთან, სხვადასხვა მანქანა-დანადგარებთან მუშაობის თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. მოსწავლეები შრომის გაკვეთილზე ამზადებენ პედაგოგიურად ღირებულ თვალსაჩინო მასალებს, რომელიც გაკვეთილზე გამოიყენება. შრომის პროდუქტიულობა, მოსწავლეს საკუთარ პიროვნულ სრულფასოვნების შეგრძნებაშიც ეხმარება და ეს განცდა ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგიური ზემოქმედების ეფექტურობისათვის.

შრომითი აღზრდის პროცესი გრძელდება აგრეთვე კლასგარეშე პედაგოგიურ ღონისძიებებში, რომელსაც გააჩნია უამრავი სახალისო- შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფორმები, როგორცაა: საგნობრივი წრეები: ტექნიკური საგნების, ქიმიის, ბიოლოგიის, ხელოსნობის, მეოჯახეობის და ა. შ. აქ მოსწავლეები ეცნობიან და ითვისებენ წარმოების საერთო პრინციპებს, ტექნოლოგიებს, შრომით უნარ-ჩვევებს.

წრეების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას ემსახურება ისეთი პედაგოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორცაა: მიზანმიმართულობა, პროდუქტიულობა და სზოგადოებრივი ღირებულება.

ოჯახს გააჩნია შრომითი აღზრდის მრავალმხრივი შესაძლებლობა. განსაკუთრებით რაიონებში. აქ მოსწავლეებს ახლო ურთიერთობა უხდებათ შინაურ ცხოველებთან, ფრინველებთან, ბოსტანი, ყანა, ყვავილები, აკვარიუმი და ა. შ. მოსწავლეები ეცნობიან მათ თვისებებს, გამრავლების კანონზომიერებებს, მოვლის, მოშენების წესებს, ეუფლებიან სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების: მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეფრინველეობის და მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ ცოდნის ელემენტებს.

შრომით აღზრდასთან პროფორიენტაციის კავშირი პედაგოგიური კანონზომიერებაა. შრომის გაკვეთილები, თვით შრომის პროცესი სხვადასხვა პროფესიათა გაცნობის, მათდამი სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნების, პირადი მიდრეკილებების, ამა თუ იმ პროფესიისთვის საჭირო ფსიქიკური და ფიზიკური ძალების გარკვევის ფართო შესაძლებლობას იძლევა. კლიმოვის მიხედვით, პროფორიენტაციული მუშაობა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: პროფგანათლება, პროფკონსულტაცია, პროფდიაგნოსტიკა და პროფადაპტაცია.

პროფესიული განათლების დანიშნულებაა მოსწავლეთა ინფორმირება ამა თუ იმ პროფესიის ადგილობრივი მოთხოვნების, მის შინაარსისა და პერსპექტივის, კადრების ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების შესატყვისობა მოცემულ პროფესიასთან და არჩეული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა.

პროფკონსულტაცია ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და მისი მიზანია მოსწავლეს დავეხმაროთ მის მიერ არჩეული პროფესიის თავისებურებისა და მისი შესაძლებლობების შესატყვისობის გარკვევაში. პროფკონსულტაცია მოითხოვს კომპეტენტურ პროფესიონალებს: მასწავლებელს, ფსიქოლოგს, ექიმს, დარგის სპეციალისტებს. მათ ერთობლივად უნდა გაუწიონ კვალიფიციური კონსულტაცია, რომ მოსწავლე არ შეცდეს არჩევანში. პროფკონსულტაციის პროცესში მოსწავლე ინფორმაციას იღებს არა მარტო პროფესიის თავისებურების შესახებ, არამედ საკუთარ თავზედაც. შეიცნობს თავის თავს, თავის ფსიქიკურ და ფიზიკურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს.

პროფკონსულტაციის პროცესი სამ ეტაპს მოიცავს: მოსამზადებელს, დამამთავრებელს და დამაზუსტებელს. პირველ ეტაპზე დგინდება მოსწავლის ფსიქო-ფიზიკური მონაცემების შესაბამისობა არჩეული პროფესიის თავისებურებებთან. მეორე ეტაპზე მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტული პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით და მესამე ეტაპზე ერთხელ კიდევ ზუსტება არჩევანის სისწორე.

პროფდიაგნოსტიკა სწავლობს მომავალ კადრს ყოველმხრივ: ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ თვისებებს და სოციალურ ორიენტირებს.

პროფადაპტაცია, როგორც ტერმინიდან ჩანს, გულისხმობს მოსწავლის შეჩვევას იმ საწარმოოსთან, სადაც გადის პრაქტიკას. პროფესიის, პროფესიული შრომის ობიექტისა და თვით სუბიექტის ურთიერთ შესაბამისობის აქტი უზრუნველყოფს პროფესიასთან ადაპტირებას.

სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთ დამთხვევის საფუძველზე არჩეული პროფესიის დაუფლება და ამ პროფესიით მუშაობა განაპირობებს შრომის ნაყოფიერებას და პროფესიულ წარმატებებს.

შრომის შემეცნებითი, ეკონომიური, ზნეობრივი და ესთეტიკური ასპექტების გათვალისწინება, პედაგოგიური პროცესების, სისტემებისა და კომპონენტების მიზანმიმართული ინტეგრირება უზრუნველყოფს შრომითი აღზრდის მიზნის მიღწევას, პროფორიენტაციის პრობლემის დადებითად გადაწყვეტას.

## თემა XII. ეკოლოგიური აღზრდა

საკითხები:

1. ეკოლოგიური აღზრდის არსი, მიზანი და ამოცანები;
2. ეკოლოგიური პრობლემები დედამიწაზე;
3. ბუნების სასიცოცხლო მნიშვნელობა;
4. ბუნების ეკონომიური, ეთიკურ-ესთეტიკური ასპექტი;
5. ეკოლოგიური აღზრდის პედაგოგიური საშუალებები;

ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ და გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულების კანონზომიერებებს. დღეს მთელი მსოფლიო შეშფოთებულია ეკოლოგიის კრიზისული მდგომარეობის გამო. ატმოსფეროს, წყლების, ნიადაგის დაბინძურების პროცესმა პრაქტიკულად მთელი სამყარო მოიცვა. სიცოცხლეს სააფრთხე ემუქრება. დარგის მეცნიერები ინტენსიურად იკვლევენ ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზებს და ეძებენ გამოსავალს, მაგრამ პრობლემა უკვე იმდენად რთულია, რომ კონტროლს ნაკლებად ექვემდებარება, უფრო მეტად, უბრალოდ, პროცესი უმართავი ხდება. სამეცნიერო ლიტერატურაში (ბერნადსკი, ვ. მილოშევიჩი, ე. გირუსოვა, რ. კორპინსკაია, ი. ლისეევა, ვ. შანდი, ვ. კაბო, ო. ანასიმოვა, ვ. ვერეშჩაგინა, ს. გლაზაჩევა, ნ. რეიმერსი, ვ. დანილჩუკი, ო. ალიევა, ვ. სენკევიჩი და უამრავი სხვა) საკმაოდ ღრმად და გლობალურად არის გაშუქებული აღნიშნული პრობლემა ყველა განზომილებაში: მიზეზი, შედეგი, გამოსავალი.

ეკოლოგიური კრიზისის მიზეზებად დასახელებულია შემდეგი გარემოებები:

1. ეკონომიკის ინტენსიური განვითარება, უზარმაზარი მოცულობის წიაღისეული სიმდიდრის მოპოვება და გადამუშავების არასწორი ტექნოლოგია, ნარჩენები;

2. სახალხო მეურნეობის დამახინჯებული სტრუქტურა;
3. ტექნიკის სისტემის ჩამორჩენილობა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
4. ბუნების დაცვის და ეკოლოგიური რეგულირების არასრულყოფილი სისტემა;
5. ეკოლოგიური განათლებისა და კულტურის დეფიციტი;
6. დემოგრაფიული სიჭარბე;
7. სოფლის მეურნეობის მოშლა;
8. ენერგეტიკული კრიზისი;
9. გარემოს დაბინძურება;
10. ბუნებრივი ლანდშაფტის რღვევა, ტყეების გაჩეხვა, ფლორისა და ფაუნის დაზიანება;
11. ანთროპოგენური ზემოქმედება ატმოსფეროზე, ჰიდროსფეროზე, ნიადაგზე და ა. შ;
12. თეოკრატიული განათლებისა და რწმენის დეფიციტი. “თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა” (დაბადების 1:1). და უზრუნველყო სასიცოცხლო პირობებით იდეალურად დარეგულირებული მექანიზმით. ეს მექანიზმებია:
  1. დედამიწის მდებარეობა “ირმის ნახტომსა” და მზის სისტემაში, მისი ორბიტა, დახრილობა, მოძრაობის სიჩქარე და მთვარე;
  2. მაგნიტური ველი და ატმოსფერო – დედამიწის ორმაგი დამცავი სისტემა;
  3. დედამიწაზე არსებული წყლის მარაგი;
  4. ბუნებრივი ციკლები, რომლებიც ბიოსფეროს რესურსების შევსებასა და გასუფთავებას ემსახურება.

აქ გავაკეთებთ მოკლე ანონსს ჩვენი საცხოვრისი პლანეტის, გასაოცარი დედამიწის შესახებ, რომლის საშუალებას იძლევა დარგის მეცნიერება. მზის სისტემა, რომელიც ირმის ნახტომის იმ ნაწილში მდებარეობს, სადაც სიცოცხლისათვის ხელსაყრელი ყველა პირობაა შექმნილი. ეს არე გალაქტიკის ცენტრიდან 28000 სინათლის წლით არის დაშორებული და მასში თავმოყრილია სიცოცხლისთვის აუცილებელი ყველა ქიმიური

ელემენტი. მზის სისტემა ცენტრიდან უფრო შორს რომ ყოფილიყო, ქიმიური ელემენტები არასაკმარისად იქნებოდა, უფრო ახლოს ყოფნა კი სახიფათო და მომაკვდინებელი, რადიაციისა და სხვა ფაქტორების გამო. ასევე დედამიწის ორბიტაც მზის სისტემაში იდეალურ ადგილას მდებარეობს. იგი მზისგან 150000 მილიონი მილომეტრით არის დაშორებული. დედამიწა ზუსტად იმ სარტყელშია მოქცეული, სადაც ტემპერატურა არც ძალიან მაღალია და არც ძალიან დაბალი. დედამიწა მზის ირგვლივ წრესაზე მოძრაობს, რის გამოც წლის განმავლობაში თითქმის არ იცვლება მისი დაშორება მზისგან. მზე უშრეტი ენერჯის წყაროა. ის ზუსტად იმდენ ენერჯიას გამოჰყოფს, რამდენიც აუცილებელია სიცოცხლისათვის.

მზის სისტემაში შემავალი, ჩვენი დედამიწის მუდმივი თანამგზავრი – მთვარე განსაკუთრებულ მისიას ასრულებს. იგი თავისი მიზიდულობის ძალით იწვევს დედამიწაზე ოკეანების მიმოქცევას, რაც აუცილებელია პლანეტის ეკოლოგიისათვის. მთვარის გრავიტაცია დედამიწის ღერძის უძრაობასაც განაპირობებს. მის გარეშე პლანეტა ბზრიალასავით დაიწყებდა რყევას, ან ამოტრიალებას, ან კიდევ გადახრას. ეს კი კატასტროფულ ცვლილებებს მოახდენდა დედამიწის კლიმატსა და წყლის მიქცევა-მოქცევაზე.

დედამიწის დახრილობა და ბრუნვის სიჩქარე ისეთი სიზუსტით არის დარეგულირებული, რომ ოდნავ ცდომილება კატასტროფას გამოიწვევს. დედამიწის დახრილობა 23,5 გრადუსით განისაზღვრება, რაც განაპირობებს წელიწადის დროების მონაცვლეობას, ზომიერ ტემპერატურას და მრავალფეროვანი კლიმატური ზონების არსებობას.

დედამიწის ბრუნვის ზომიერი სიჩქარის გამო დღე-ღამის ხანგრძლივობა და მონაცვლეობაც დაბალანსებულია. დედამიწა შემობრუნებას უფრო დიდ დროს ანდომებდეს, მზისკენ მიმართული მისი მხარე გადახურდებოდა, მეორე მხარე კი გაიყინებოდა. დღეების ხანგრძლივობა უფრო მოკლე რომ ყოფილიყო, დედამიწის სწრაფი ბრუნვა ქარიშხლებსა და სხვა



უბედურებებს გამოიწვევდა. ფიზიკოსი და ევოლუციონისტი პოლ დეივისი აღნიშნავს: “ათეისტ მეცნიერებსაც კი გულგრილს არ ტოვებს სამყაროს მასშტაბები, მისი დიდებულება, ჰარმონიულობა, დახვეწილობა და საოცარი სიზუსტე”.

დედამიწა კოსმიური მომაკვდინებელი საფრთხისგანაც საიმედოდ არის დაცული. ეს დამცავი სისტემებია: მძლავრი მაგნიტური ველი და ატმოსფერო.

მაგნიტური ველი დედამიწის გარშემო კილომეტრებზე ვრცელდება და უხილავ საფარს, მაგნიტოსფეროს ქმნის. ის გვიცავს მძლავრი კოსმოსური და მზის მიერ გამოსხივებული რადიაციისაგან. მზის გამოსხივებას იწვევს მზის ქარი, ანუ მაღალი ენერჯის მქონე ნაწილაკების მძლავრი გამოფრქვევა და მზის აფეთქებები, რომელთა შედეგადაც ერთ წუთში გამოთავისუფლებული ენერჯია მილიარდობით წყალბადის ბომბის მიერ გამოყოფილ ენერჯიას უტოლდება. აგრეთვე მზის გვირგვინიდან პლაზმის გამოფრქვევა, რის შედეგადაც კოსმოსში მილიარდობით ტონა მატერიის ნაწილაკი გამოიტყორცნება. მზის აფეთქებისა და პლაზმის გამოფრქვევის შედეგად წარმოიშობა პოლარული ციალი, ზედა ატმოსფეროს ნაირფეროვანი ნათება, რომელიც იმ მაგნიტურ პოლუსებთან ახლოს ჩნდება, რომელბიც გვიცავენ ამ საფრთხისაგან.

ატმოსფერო დედამიწის კიდევ ერთი დამცავი სისტემაა. მის ზედაფენაში, სტრატოსფეროში გვხვდება ჟანგბადის ნაირსახეობა – ოზონი, რომელიც ულტრაისფერი გამოსხივების 99% შთანთქავს. ოზონი, როგორც ფიგურალურად ამბობენ, დედამიწის საიმედო ჯაგშანია. მაშასადამე, მაგნიტური ველი და ატმოსფერო დედამიწის ფხიზელი გუშაგები არიან.

ჩვენი პლანეტის კიდევ ერთი საოცრებაა წყალი. წყალი ანუ მაცოცხლებელი სითხე, რომლის თითოეული მოლეკულა შედგება მხოლოდ სამი ატომისგან: ორი წყალბადისა და ერთი ჟანგბადისგან, მეცნიერთათვის დღემდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ის სიცოცხლისთვის აუცილებელია, რადგან ცოცხალი ორგანიზმების სხეულის 80% წყლისგან შედგება. დადგენილია წყლის ძირითადი თვისებები:

1. წყალს შეუძლია შეინარჩუნოს სითბო, რაც ხელს უწყობს ზომიერი კლიმატის შენარჩუნებას დედამიწაზე;
2. გაყინვისას წყლის სიმკვრივე მცირდება, შედეგად ყინული წყლის ზედაპირზე ექცევა და წარმოქმნის დამცავ ფენას. თუ სხვა ნივთიერების მსგავსად, გაყინვისას წყლის სიმკვრივე მოიმატებდა, ტბები, მდინარეები და ზღვები ფსკერიდან ზედაპირამდე გაიყინებოდა და ყველაფერი ყინულის საფარში მოექცეოდა;
3. წყალი გამჭვირვალეა, რაც ოკეანის სიღრმეში მობინადრე იმ ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებსაც მზის სინათლე სჭირდებათ, არსებობის საშუალებას აძლევს;
4. წყლის მოლეკულები განიცდიან ზედაპირულ დაჭიმულობას, რაც მის ზედაპირზე ელასტიკურ “კანს” ქმნის. ამ დაჭიმულობის შედეგად მწერებს შეუძლიათ წყლის ზედაპირზე გადაადგილება. მისი მეშვეობით წარმოიქმნება წყლის წვეთები და კაპილარული ეფექტი, რაც ხელს უწყობს მაღალ მცენარეებში წყლის აქაჩვას;
5. წყალი საუკეთესო გამხსნელია. მასში იხსნება ჟანგბადი, ნახშირორჟანგი, მინერალები და სხვა ნივთიერებები.

წყალს დედამიწის “კონდიციონერს” უწოდებენ. როგორც ცნობილია, დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 70% წყლით არის დაფარული, რაც დიდ გავლენას ახდენს მის კლიმატზე. ატმოსფეროსა და ოკეანეებს შორის უწყვეტად მიმდინარეობს სითბოს, ტენიისა და აირების ურთიერთგაცვლა. თავის მხრივ, ქარებსა და ღინებებს მზისგან მიღებული სითბო ტროპიკებიდან პოლუსებისკენ მიაქვთ, რაც არეგულირებს ტემპერატურას დედამიწაზე.

კიდევ ერთ იდეალურად დარეგულირებულ მექანიზმზე ვისაუბრებთ, რომელიც სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შექმნას უწყობს ხელს დედამიწაზე. ეს არის ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლები, რომელიც ჩვენი პლანეტის სისუფთავესა და სიჯანსაღეზე არიან პასუხისმგებელნი. დედამიწაზე ყველაფერი ისეა ორგანიზებული, რომ სუფთა წყალსა და ჰაერს ის კოსმოსიდან არ იღებს და არც ნარჩენებით

აბინძურებს მას. ამას ის ბუნებრივი ციკლების მეშვეობით ახერხებს. როგორცაა, მაგალითად, წყლის, ნახშირბადის, ჟანგბადისა და აზოტის წრებრუნვის ციკლები.

წყლის წრებრუნვა სამ ეტაპად მიმდინარეობს:

1. მზის ენერგიით ხდება წყლის აორთქლება ატმოსფეროში;
2. გასუფთავებული წყლის კონდენსაციის შედეგად წარმოიშვება ღრუბლები;
3. ღრუბლებიდან კი წყალი დედამიწაზე ბრუნდება წვიმის, სეტყვისა და თოვლის სახით.

ამგვარად იკვრება წრე. ყოველწლიურად იმ რაოდენობის წყალი ბრუნავს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა ყველა კონტინენტის 100 სანტიმეტრზე დასაფარად.

ნახშირბადისა და ჟანგბადის ციკლები ორ ძირითად პროცესს ეფუძნება: ფოტოსინთეზსა და სუნთქვას. ფოტოსინთეზის დროს მზის ენერგიის ნახშირორჟანგისა და წყლის გამოყენებით წარმოიქმნება ნახშირწყლები და ჟანგბადი. სუნთქვის შედეგად, რომელშიც ჩართულია ადამიანები და ცხოველები, ნახშირწყლებისა და ჟანგბადისაგან წარმოიქმნება ენერგია, ნახშირორჟანგი და წყალი. ამგვარად, ერთი ციკლის შედეგად მიღებული ნივთიერებები მეორე ციკლს ხმარდება. ეს ყველაფერი საათივით არის აწყობილი და ყოველგვარი დაბინძურებისა და დისკომფორტის გარეშე მიმდინარეობს.

აზოტის ციკლი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამინომჟავების, ცილებისა და სხვა ორგანული ნივთიერებების წარმოქმნაში. ატმოსფეროს 78% აზოტისგან შედგება. ელვისა და სხვადასხვა ბაქტერიის ზემოქმედებით ჰაერში არსებული აზოტი მცენარეებისათვის ადვილად ასათვისებელ ნაერთებად გარდაიქმნება. აზოტი ხვდება იმ ცხოველების ორგანიზმშიც, რომლებიც მცენარეებით იკვებებიან. მცენარეთა და ცხოველთა კვდომის შემდეგ ბაქტერიათა სხვა ჯგუფი შლის აზოტშემცველ ნაერთებს და აზოტს ნიადაგსა და ჰაერში გამოყოფს.

ასეთი სიბრძნითა და სიყვარულით შექმნა ღმერთმა სამყარო თავისი ყველაზე უნიკალური ქმნილების, ადამიანის საკეთილდღეოდ.

ახლა ისმის კითხვა: რატომ იქცა სიცოცხლისთვის საფრთხედ, ასე საოცრებით შექმნილი დედამიწა? რაში გამოიხატება ეს საფრთხე კონკრეტულად?

დღეს მსოფლიო შეშფოთებულია ისეთი აშკარა ეკოლოგიური პრობლემებით, როგორცაა: ოზონის ხვრელი; გლობალური დათბობა; წყლის მარაგის შემცირება, რაც იწვევს საშინელ ავადმყოფობას, სიკვდილიანობას, გაუგონარ სიღარიბეს, ცხოვრებისგან განაწყენებას, ზნეობრივ და სულიერ დეგრადაციას, ბუნების სამყაროს განადგურებას. ჯანდაცვის საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემებით ყოველწლიურად 19 მილიონი ადამიანი იღუპება, აქედან 75% ნაადრევად, გარემომცველი ბუნების დაზიანების შედეგად. აქედან 5 მილიონი – დაბინძურებული წყლისა და საკვების, ანტისანიტარიული მდგომარეობით, 3 მილიონი – ტუბერკულოზით, 3,5 მილიონი – დაბინძურებული ჰაერით. ყოველწლიურად 2,5 მილიარდზე მეტი ადამიანი იტანჯება ავადმყოფობით ან წყლის უკმარისობის, ან მისი დაბინძურებისა და ცუდი სანიტარული პირობებით. სახალხო მეურნეობის, მრეწველობის ნარჩენების, უზარმაზარი მასის მომწამვლელი ნივთიერებით ატმოსფეროს დაბინძურებით, მაგალითად, რუსეთის ერთერთ ქალაქში, კარაბაშში ქარხანა ყოველწლიურად 162 ათას ტონა მომწამვლელ ნივთიერებას ყრის. მსოფლიოში ორი დიდ ნიკელმწარმოებელი საწარმოო იმდენ მძიმე მეტალბესა და შხამებს უშვებს ატმოსფეროში, რამდენსაც მთელი რუსეთის მსგავსი საწარმოები ერთად (“ნიუ-იორკ ტაიმსი”). მექსიკაში უკვე სიცოცხლისთვის საშიშ ზღვარს მიაღწია ჰაერის დაბინძურების დონემ. ოზონის ხვრელი საფრთხედ იქცა მსოფლიოსთვის. ოზონის კონცენტრაციამ ნორმას ოთხჯერ გადააჭარბა უკვე ავსტრალიაში. აქ კანის კიბოთი დაავადება სამჯერ გაიზარდა. ავსტრალიელები “მზეს მეგობრად კი არა მტრად” თვლიან. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში უკვე სასმელი წყლის პრობლემაა. წყლის დეფიციტი ასევე მოუხავლიანობას და შიმშილობას იწვევს. ეს პრობლემა აშკარა უკვე აფრიკის რიგ ქვეყნებში. ტყის მასიური გაჩეხვაც თავის მხრივ ამძიმებს

ეკოლოგიურ კრიზს, როგორც ფლორის, ასევე ფაუნის დაზიანებით. ბუნებრივი რესურსების უმოწყალო, არამიზნობრივ მოხმარებას არანაკლებ ზიანი მოაქვს დედამიწისთვის. ყოველად უაზრო ვანდალური ომები გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ერთდროულად ყველაფერზე. ბუნებისადმი ადამიანის მხრიდან მტაცებლურ დამოკიდებულებას ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიჰყავს მსოფლიო.

ომები, ხანძრები, ინდუსტრია, ტრანსპორტი, დემოგრაფიული სიჭარბე და მსგავსი წვასთან დაკავშირებული მოვლენები იწვევს სითბური ბალანსის რღვევას, რაც გლობალური დათბობით ემუქრება დედამიწას. დედამიწის ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებში: ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, ანტარქტიდა – უკვე შემჩნეულია ტემპერატურის მომატებით გამოწვეული მარადიული ყინულების დნობის და ადგილიდან დაძვრის ფაქტები, წყალდიდობები, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ბუნებას, მოსახლეობას, ეკონომიკას. ამაზე მეტყველებს 2007 წლის სტიქიური უბედურებები, რომელთანაც დაკავშირებით “ადამიანთა საქმიანობის მაკოორდინებელმა გაეროს ოფისმა” გამოსცა 14 სასწრაფო დახმარების საჭიროების შესახებ თხოვნა, რაც 2005 წელთან შედარებით 4-ით მეტი იყო. როგორც ვხედავთ ტენდენცია არც ისე სახარბიელოა. აქ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ბრიტანეთში წყალდიდობამ 350000 ადამიანი დააზარალა, დასავლეთ აფრიკაში – 800000, თავსხმა წვიმებმა სუდანში 150000 ადამიანი თავშესაფრის გარეშე დატოვა, მადაგასკარს ციკლონმა და ძლიერმა ქვიშებმა გადაუარა, რის გამოც 330000 ადამიანი უსახლკაროდ და 260000 მოსავლის გარეშე დარჩა, ჩრდილოეთ კორეაში წყალდიდობამ და მეწყერმა 960000 ადამიანს უდიდეს ზარალი მიაყენა, ბანგლადეშში წყალდიდობამ დააზარალა 8,5 მილიონი ადამიანი და 3 ათაზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ინდოეთში წყალდიდობის შედეგად 3 მილიონი ადამიანი დაზარალდა, პაკისტანში გადაუღებელმა წვიმებმა 377000 ადამიანი უსახლკაროდ დატოვა, 296-ის სიცოცხლე ემსხვერპლა, ბოლივიაში წყალდიდობამ 350000 ადამიანს მიაყენა

ზიანი, მექსიკაში წყალდიდობამ და მეწყერმა ნახევარი მილიონი ადამიანი დატოვა უსახლკაროდ, დომინიკელთა რესპუბლიკაში ასევე წყალდიდობა და მეწყერმა აიძულა ათეულ ათასობით ადამიანი დაეტოვებინა სახლკარი და ლტოლვილად ქცეულიყო, სამხრეთ კალიფორნიაში ხანძარის გამო ასევე ნახევარმილიონზე მეტ ადამიანს მოუწია მშობლიური მხარის მიტოვება (ე. “გამოიღვიძეთ”, 2008, აგვისტო).

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ “თუ დღეს ჩვენ არ მივიღებთ სათანადო ზომებს, მაშინ ის კრიზისი, რომელშიც იმყოფება დედამიწა და მისი შემოგარენი, უმწვავეს ხასიათს მიიღებს და ეკოლოგიური საფრთხე კონტროლს არ დაექვემდებარება” (ე. “გამოიღვიძეთ!” 1996, 22 მარტი, გვ. 24).

ჯონ კრისტმა, ალაბამას უნივერსიტეტის დედამიწის ეკოსისტემების შემსწავლელი მეცნიერული ცენტრის თანამშრომელმა თქვა: “როცა ვცდილობთ საოცრად რთული კლიმატური პროცესების შეფასებასა და შესწავლას, ზოგს ჩვენგანს უმწეობის გრძნობა გვიჩნდება და ეჭვი გვეპარება იმაში, გვესმის თუ არა, რა ხდება და რატომ”.

გიგანტური ეკოსისტემების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირებულობის ობიექტური კანონზომიერების გამო ხდება, რომ ბუნებაში ერთი რომელიმე სისტემის დაზიანებას მოსდევს უცილობლად სხვა სისტემების დაზიანება. ეს კანონებია: ყოველივე ურთიერთკავშირშია და ერთი მეორეს განაპირობებს. თუ მაგალითად, ადამიანს სხეულის ერთი ნაწილი ასტკივდა, მას მთელი სხეული განიცდის. ასევეა ბუნებაშიც. თუ ერთ ბუნებრივ რესურსს მიაღდა რაიმე ზიანი, შეიძლება მას მოჰყვეს მთელი რიგი ეკოლოგიური პრობლემებისა. ამის უამრავი მაგალითია. ტყის გაჩეხვას მოსდევს მეწყერი, ფაუნის დაღუპვა, საცხოვრებლების, სავარგულების დაზიანება, კლიმატური საზიანო ცვლილებები და ა. შ.

მეორე ეკოლოგიური კანონი – უკვალოდ არაფერი ქრება ბუნებაში. ამის ასახსნელად საკმარისია დავასახელოთ

ნარჩენებისა და საშიშ ნივთიერებათა ჩამარხვა, ან კიდევ, აორთქლებადი ნივთიერებები, მეტეორიტები და ა. შ. შეერევა ან ატმოსფეროს, ან წყლებს: ზღვებს, მდინარეებს, ოკეანებს და იძენენ ახალ დამღუპველ ფუნქციებს. აკლდება ერთს, ემატება მეორეს ან საზიანოდ ან სასარგებლოდ.

ყველაზე დიდ ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნის რადიოაქტიური ნარჩენები, რომელიც ოკეანებში და სამარხებში იყრება. როგორც მეცნიერები ადასტურებენ, ათასწლეულებიც რომ გავიდეს, მისი უკვალოდ გაქრობა არავის არ ძალუძს. წყლიდან, ატმოსფეროდან, ნიადაგიდან, მცენარეებიდან ერთი მეორესთან გადადის და მთელ დედმიწას ზიანს აყენებს. ამიტომ ამბობენ მეცნიერები, რომ არავინ არ იცის, ეს შენელებული მოქმედების ეკოლოგიური მინა, როდის აფეთქდება.

მესამე ეკოლოგიური კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ბუნება არ აკეთებს ნახტომებს, არამედ წინ მიდის თანდათანობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას ბუნებაში არსებული წესრიგი. პედაგოგიკის კლასიკოსს იან ამოს კომენსკის ამ კანონის ასახსნელად მოჰყავს ასეთი მაგალითი: ჩიტის წარმოშობას აქვს თავისი საფეხურები. ჩვენ მას ვერანაირად ვერ დავაჩქარებთ. როცა მას დაუდგება დრო, კვერცხის ნატყუხს თვითონ გასტყეს და გარეთ გამოვა და, როცა ეს მოხდება დედა-ჩიტი არ აიძულებს მას მაშინათვე დაიწყოს ფრენა და საკვების ძებნა, არამედ თვითონ კვებავს, ავარჯიშებს და თანდათანობით ასწავლის ფრენას მანამ, სანამ თვითონ არ შეძლებს ამას თავისუფლად (“დიდი დიდაქტიკა”).

ბუნებაში არსებულ წესრიგსა და ჰარმონიას უმღერის დიდი ვაჟა და ნატრობს იხილოს ასეთი ჰარმონია ადამიანთა საზოგადოებაშიც. ნიმუშად მოვიყვანოთ ლექსიდან “ღამე მთაში” ნაწყვეტს: “ხევი მთას მონებს, მთა ხევსა, წყალნი ტყეს, ტყენი მდინარეთ, ყვაილი მიწას და მიწა თავის აღზრდილთა მცენარეთ და მე ხომ ყველას მონა ვარ შუბლზედ ოფლგადამდინარედ.”

ზემოთ აღნიშნული კანონების დარღვევამ განაპირობა

სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის შექმნილი ჩვენი უღამაზესი და უმდიდრესი პლანეტის – დედამიწის დაავადება.

ვინ დაარღვია ეს კანონები და რატომ?

– ამას ერთი მარტივი პასუხი აქვს: იმან, ვის საკეთილდღეოდაც იყო ის შექმნილი. ადამიანმა.

რატომ?

სამეცნიერო ლიტერატურა და რეალური სინამდვილე იძლევა ამის ზუსტ პასუხებს. მთავარი პასუხი და მიზეზთა მიზეზი არის ადამიანისა და საზოგადოების სულიერობისა და ეკოლოგიური განათლების დეფიციტი და ზნეობრივი დეგრადაცია, რაც გამოიხატება შემდეგ არაზნეობრივ თვისებებში: ეგოიზმი, ეგოცენტრიზმი, სიხარბე და გაუმაძღრობა, შური და უმეცრება, არაშორსმჭკრეტელობა და სხვა.

ეგოიზმი და ეგოცენტრიზმი –ორივე საზიანოა. ეგოიზმია, როცა ადამიანს არ ადარდებს პლანეტისა და მის ბუნებრივი სიმდიდრის ბედი, თაობათა მომავალი, ოღონდ აწმყო იყოს მისთვის უზრუნველი. ერთ ეკოლოგიის პრობლემებზე მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ფილიპე გონსალომ განაცხადა, თურმე: “პრობლემა გლობალურია და გადაწყვეტაც გლობალური უნდა იყოსო”, ამერიკელმა დელეგატმა განაცხადა: “ამერიკული ცხოვრების წესი განსჯას არ ექვემდებარებაო”. ინდოელმა ეკოლოგმა მანეიკ განდიმ, პირიქით, დაიხივლა: “დასავლეთში ერთი ბავშვი მოიხმარს იმდენს, რამდენსაც 125 კაცი აღმოსავლეთში”. “აღმოსავლეთში ბუნებრივი გარემოს დეგრადაცია, პრაქტიკულად, რესურსებზე დასავლეთის მოთხოვნილებებითაა განპირობებული”- ო. ეგოცენტრიზმია საკუთარ “მე”-ზე უზომოდ შეყვარება. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მთელი პლანეტის თავზე შემოვლება.

სიხარბე და გაუმაძღრობა ისეთი უზნეო თვისებებია, რომელიც ყველაფერს აკადრებინებს ადამიანს. ასეთი ადამიანებისთვის მიღებაა ნეტარება, მათ გაღება არ შეუძლიათ, ძირითადად მომხმარებელნი არიან, ეკოლოგიურ წესებს არაფრად დაგიდევვენ, თუნდაც ბუნება სულერთიანად მოისრას. თუ დასჭირდათ,



კანონსაც კი შეცვლიან ბუნების საზიანოდ, ოღონდ ფლობის მანია დაიკმაყოფილონ, ეკონომიური უპირატესობა მოიპოვონ.

კაცობრიობის ყველაზე დიდი მტერი – ეს არის უმეცრება, უფრო სწორად ჭეშმარიტი ცოდნის დეფიციტი, ყოვლისშემოქმედისა და მისი ქმნილებების, სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ცრუ წარმოდგენები. მსოფლმხედველობა ცოდნას ეფუძნება, თუ ცოდნა მცდარია, მცდარია მსოფლმხედველობაც და შესაბამისად მცდარია ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. უმეცრება არის მიზეზთა მიზეზი, რამაც ბუნება მიიყვანა ეკოლოგიურ კრიზისამდე.

შორსმჭვრეტელობის, წინდახედულობის უნარის დეფიციტი საზიანოა ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით დამდუპველია ბუნებასთან ურთიერთობაში. ადამიანის უმეცრებითა და უგულობით გამოწვეული სტიქიური უბედურებები თანდათანობით და შეუმჩნეველად მწიფდება და როცა დაატყდებათ თავს, ადამიანები უკვე უძლურები არიან მის წინაშე.

რა გამოსავალი არსებობს? დედამიწის თვითგანახლებისა და თვითდაცვის უნარიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არსებობს გამოსავალი, მაგრამ ამას მოინდომებენ ადამიანები?! ძალიან ძნელია ეს დაიჯერო მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში დაატრიალა. არანაირი საბრძოლო იარაღი და ვანდალური მეთოდი არ დაუშურებია ასეთ გიგანტ სახელმწიფოს ამ ციციქნა ქვეყნის გასანადგურებლად, მაგრამ ეროვნული ტყე-პარკების ცეხლის აღში გახვევა XXI საუკუნეში, ამას სოლომონ ბრძენიც ვერ ახსნიდა.

პედაგოგიური ოპტიმიზმი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გულხელდაკრეფილი ვუყუროთ იმას, თუ როგორ იღუპება ჩვენი დედამიწა, ღვთის მიერ სიცოცხლისთვის შექმნილი უნიკალური საცხოვრისი – პლანეტა. რამდენადაც ერთერთი მიზეზი ეკოლოგიური კრიზისა არის ეკოლოგიური კულტურის დაბალი დონე, აღზრდას შეუძლია ამ პრობლემის ნაწილობრივ მაინც შემსუბუქება. თუ ამაზე ვიზრუნებთ, ჩვენი გულწრფელი

მცდელობა შეუმჩნეველი არ დარჩება ყოვლისშემოქმედს და მცირე შანსს მაინც დავიტოვებთ განკითხვის დღისთვის. საერთაშორისო ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, პედაგოგიკა ეკოლოგიური აღზრდის მიზნად მოსწავლე-ახალგაზრდობაში ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას მიიჩნევს. ეკოლოგიური კულტურა პიროვნებისა და საზოგადოების ცივილიზირებულობის კრიტერიუმია, იგი წარმოადგენს ეკოლოგიური განათლების, ეკოლოგიური შეგნების, ეკოლოგიურ აზროვნებს, ეკოლოგიური ქცევისა და მოქმედების უნარჩვევათა ერთობლიობას.

ეკოლოგიური განათლება არის ბუნების შესახებ გარკვეული ცოდნა-გამოცდილების მარაგი, რომელიც შეიძინება, მიზანმიმართული პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად, როცა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ორიენტირებულია ბუნებრივი გარემოს ინტეგრაციული ცოდნის, ეკოსაქმიანობის უნარ-ჩვევების დაუფლებაზე, ზოგადი ეკოლოგიური კულტურის ფორმირებაზე. ეკოლოგიურ ცოდნაში შედის ჭეშმარიტი ინფორმაციები ჩვენი პლანეტისა და სიცოცხლის წარმოშობის, ეკოლოგიური ცნებებისა და კატეგორიების, ეკოლოგიური კანონების, ბუნების სასიცოცხლო, სამედიცინო, ეკონომიური, ეთიკური, და ესთეტიკური მნიშვნელობის შესახებ. აქვე მოიაზრება ცოდნა თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემების, მიზეზებისა და გამოსავლის, ანუ დაავადებული დედამიწის დიაგნოსტიკის, პროგნოზებისა და მკურნალობის შესახებ.

ეკოლოგიური შეგნება ეფუძნება ეკოლოგიურ განათლებას, სწავლებისა და პირადი გამოცდილების გზით მიღებული ეკოლოგიური ცოდნის შესაბამისი მსოფლმხედველობის, მრწამსის, იდეების, პოზიციის, დამოკიდებულებების გამომჟღავნებას. ეკოლოგიური კანონების, პრინციპებისა და წესების დაცვის, დედა ბუნებასთან ურთიერთობაში თავისი წილი პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობის გაცნობიერებას.

ეკოლოგიური აღზრდის არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა ბუნებისადმი სიყვარულის, მისი მოვლისა და დაცვის სურვილის,

შესაბამისი გრძნობების გამომუშავება მოსწავლე-ახლგაზრდობაში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საქმე. ეკოლოგიური ცოდნა არ გადასულა პრაქტიკული მოქმედების სფეროში. ის ისევ შეგნებისა და გრძნობების საუფლოშია. ეკოლოგიური შეგნება და ეკოლოგიური გრძნობები უნდა გარდაიქმნას ენერგიად, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური ქცევისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ეკოლოგიური აღზრდა სწავლების აღმზრდელობით ფუნქციაში მოიაზრება და შესაბამისად იგი პედაგოგიური პროცესის საკლასო-საგაკვეთილო სისტემის ერთერთ კომპონენტად განიხილება. ეკოლოგია სკოლის პირობებში ჯერჯერობით ცალკე საგნად არ ისწავლება. მაგრამ ყველა სასწავლო დისციპლინა და, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნები მოიცავენ ეკოლოგიური ცოდნის მნიშვნელოვან ელემენტებს. თუმცა ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული პედაგოგიური სირთულეები, მიუხედავად ამისა, მისი დაძლევა შესაძლებელია საგანთაშორისი კავშირების ოპტიმიზაციის საფუძველზე, მაგრამ უმჯობესია სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკეულ სასწავლო დისციპლინად “ეკოლოგიის ზოგადი საფუძვლების” სახით ჰპოვოს ადგილი.

მასწავლებელთა პედაგოგიური თანამშრომლობა, ეკოლოგიური აღზრდის ერთიანი პედაგოგიური ხაზის, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, საგანთაშორისი კავშირების ინტეგრაციისა და კონკრეტიზაციის გაკვეთილისა და კლასგარეშე სასწავლო-აღმზრდელობით გეგმებში ასახვა და პრაქტიკული განხორციელება, გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის პრობლემის გადაწყვეტას. ეკოლოგიური განათლების შინაარსი, ეკოლოგიური აღზრდისადმი მიდგომის პედაგოგიური პრინციპები, მეთოდები და ფორმები განსაზღვრავენ ეკოლოგიური აღზრდის წარმატებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლ. ტარასოვის “ეკოლოგიისა და დიელექტიკის” მოდელის ფილოსოფიური კონცეფცია: “ყველაფერი, რასაც სტუდენტი სწავლობს, მისთვის

პიროვნულად მნიშვნელოვანი უნდა გახდეს, რადგან ის არის არა დამკვირვებელი, არამედ დაინტერესებული პიროვნებაა. ამის შესაბამისად უნდა შეირჩეს და მოწესრიგდეს მასალის გადაცემის შინაარსი, ფორმა და მეთოდები.” ეს მნიშვნელოვანი კონცეფცია შეიძლება განვაზოგადოთ სკოლის პირობებშიც, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების პრინციპის დამატებით.

ეკოლოგიური აღზრდის ორგანიზაციულ ფორმებს შორის აღსანიშნავია მიზნობრივი ექსკურსიები ბუნებაში, თემატური დისკუსიები, მრგვალი მაგიდა, ეკოლოგიური შინაარსის იმიტაციური თამაშები, ტრენინგები, მხატვრული მონტაჟები და ა. შ.

ექსკურსიების ეკოლოგიური ასპექტების გამოყენება ეკოლოგიური აღზრდის მიზნით ეს სასკოლო პრაქტიკაში აპრობორებული ფორმაა. მისი დანიშნულებაა ბუნებისა და ბუნებრივ მოვლენების უშუალო გაცნობა და მათზე დაკვირვება, შთაბეჭდილებების წერილობითი ფორმით დაფიქსირება, ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა.

დისკუსია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განსჯას, გამოკვლევას, საკამათო საკითხების საჯარო განხილვას. მისი მთავარი ფუნქციაა ინტელექტუალური განვითარება, ეკოლოგიური მსოფლმხედველობის, შეფასებითი მსჯელობის უნარის ფორმირება. აზრთა ურთიერთგაცვლის პროცესში ვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, საკუთარი შეხედულებების დასაბუთება, დაცვა სარწმუნო არგუმენტებით, სხვისი აზრისადმი პატივისცემის, ურთიერთმოსმენისა და მეტყველების კულტურა. აქვე ხდება აზრის კორექტირება, ჭეშმარიტების პოვნა, შემეცნებითი ინტერესისა და სასწავლო მოტივაციის პროვოცირება, ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესება, თეორიული ცოდნის გაღრმავება.

ეკოლოგიური ტრენინგი – ეს არის ეკოლოგიური განათლების კომპლექსური ფორმა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის მიერ ეკოლოგიური აღზრდის ამოცანების: ეკოლოგიური ცოდნა-

გამოცდილების, ეკოლოგიური შეგნებისა და ეკოლოგიური ქცევის უნარ-ჩვევების ათვისებაზე. ტრენინგებისთვის დამახასიათებელია ძირითადად ჯგუფური მცადინეობა, კონკრეტული ამოცანის შესაფერისი მეთოდების გამოყენებით. აქ ძირითადად გამოიყენება ვარჯიშის მეთოდი.

ეკოლოგიურ აღზრდაში საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ვერბალური, პრაქტიკულ-ლაბორატორიული და იმიტაციური მეთოდები, თამაში და რეალურად ბუნებასთან უშუალო ურთიერთობა.

ვერბალური ანუ სიტყვიერი მეთოდები, როგორცაა: ინფორმაციული, ინსტრუქტაჟი, საუბარი, ინტერაქტიული, კითხვა-პასუხები, კომენტარი და ა. შ. ძირითადად ემსახურება ეკოლოგიის შესახებ თეორიული ცოდნის ათვისებასა და ამ ცოდნისადმი დამოკიდებულების, ეკოლოგიური მსოფლმხედველობის გამომუშავებას, ეკოლოგიური შეგნების ამღლებას.

პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდები ეკოლოგიურ აღზრდაში ემსახურება ბუნებასთან უშუალო კავშირის დამყარებას სასწავლო მიზნით. დაკვირვებების, ექსპერიმენტების მოწყობას კონკრეტული ეკოლოგიური ამოცანის გადასაწყვეტად. თეორიული ცოდნისა და რეალური სინამდვილის იდენტურობის დასადგენად, ესთეტიკური აღქმების მისაღებად.

იმიტაციური მეთოდი ეკოლოგიურ აღზრდაში თავისებურ ელფერს იძენს. ამ დროს ხდება ბუნებასთან რეალური ურთიერთობის სასწავლო პროცესში მოღველირება, რაც სწავლებას პრაქტიკულ ხასიათს აძლევს. იგი ეყრდნობა წარმოსახვებს და განამტკიცებს ეკოლოგიურ აზროვნებას, განზოგადობისა და სისტემატიზაციის უნარს.

თამაშები, თავისი ნაირსახეობით, აღზრდაში საუკუნეებით განმტკიცებული პედაგოგიური მეთოდია. თამაში ქცევის გარკვეული სახეა, რომელიც ფუნქციონალური მოძრაობების და ფსიქიკურ-ინტელექტუალური ძალების განვითარებას ემსახურება. თამაშის პროცესში მოსწავლეები ემოციურად ერთვებიან, იმპროვიზაციის, აღლოსა და ინტუიციის,

მიხვედრილობისა და სწრაფი რეაგირების უნარ-ჩვევებს იძენენ. თამაშის სახეებია: თავისუფალი, როლური, საქმიანი, იმიტაციური, შემეცნებით-დიდაქტიკური და სხვა.

როლურ თამაშში მოსწავლეები განასახიერებენ, სათამაშოდ არჩეული თემის მიხედვით, რომელიმე ცხოველებს, ფრინველებს, ხეებს, ყვავილებს, წელიწადის დროებს და ა. შ. და ამ თამაშებში ღრმად და ყოველმხრივ ეცნობიან მათ მიერ განსახიერებული ფლორის თუ ფაუნის წარმომადგენელს, უღვივდებათ ბუნებისადმი სიყვარული, მისი მოვლისა და დაცვის სურვილი.

პედაგოგიური პროცესების, სისტემებისა და კომპონენტების ეკოლოგიური აღზრდის შესატყვისად კოორდინაცია-ინტეგრაცია პედაგოგიკის მეცნიერებასა და მასწავლებლის პროფესიულ ხელოვნებასთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის აქტუალობა გლობალური ეკოლოგიური კრიზისით არის განპირობებული. რადგან ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზთა მიზეზად ადამიანის უმეცრება და ზნეობრივი დეგრადაცია არის მიჩნეული. სკოლის პირობებში ეკოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან, რეალურ სინამდვილესთან დაკავშირება, უკვე არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური კრიზისის მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერება, ამ პრობლემის სისტემატური განსჯის საგნად გადაქცევა შექმნის გარკვეულ თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს ახალგაზრდობამ შეიცვალოს უდიერი დამოკიდებულება ბუნებისადმი და იზრუნოს თავისი წვლილი შეიტანოს დაზიანებული დედამიწის მოვლასა და გაფრთხილებაში, მასებში ეკოლოგიური კულტურის ამაღლებაში.

## თემა XIII. სულიერი აღზრდა

საკითხები:

1. სულიერობის აღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში;
2. ქრისტე – სულიერობის სრულყოფილი მაგალითი;
3. სულიერობის წყარო – ღვთივსულიერი წიგნი ბიბლია;
4. სულიერობის აღზრდის პედაგოგიური საშუალებები.

სულიერობის აღზრდას განმსაზღვრელი როლი აკისრია ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებულ, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. სამყაროსა და მისი შემოქმედის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნისა და სწორი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. სულიერობა ყოვლის შემოქმედთან არის დაკავშირებული და მას მხოლოდ ღმერთი იძლევა. სულიერობის მაჩვენებელია ღვთის სიყვარული. ეს კი იმას ნიშნავს ვიცავდეთ მის მცნებებს. სულიერად მაღალ საზოგადოებაში ცხოვრება ნაკლებ პრობლემურია. მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება, როცა სულიერობის აღზრდას კუთვნილი ადგილი არ უკავია საზოგადოებაში, თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებასა და სასკოლო პრაქტიკაში, როცა ჯეროვნად არ არის გამოყენებული მისი უსაზღვრო გამაკეთილშობილებელი პოტენციალი. ეს ხარვეზი აშკარად ჩანს აღზრდის შედეგში. სულიერობას მოკლებული მოსწავლე-ახალგაზრდობა ნაკლებად ემორჩილება პედაგოგიურ მოთხოვნებს და ავტომატურად ეთიშება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, რასაც შედეგად მოსდევს პედაგოგიური და აკადემიური ჩამორჩენილობა, ასოციალურობა, ბოლოს კი – ანტისოციალურობა. თანამედროვე სოციალური გარემო: კომუნიკაციური საშუალებების არასწორად გამოყენება, ინტერნეტით გატაცება, პორნოგრაფიული ფილმები, სექსუალური

მუსიკები და ცეკვები, ნარკოტიკები, ალკოჰოლი, უკანონო სექსუალური ურთიერთობები გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლე-ახალგაზრდობის ფსიქიკაზე, გრძნობებსა და ემოციებზე, ზნეობრივ და სულიერ მდგომარეობაზე, მის მომავალზე. ამით არის განპირობებული სულიერი აღზრდის აუცილებლობა, რადგან სულიერობა არის ერთადერთი მექანიზმი, რომელიც აკავებს ცოდვისა და ბოროტებისაგან, სწორი გზით წარმართავს აღსაზრდელის აზროვნებას, ქცევასა და მოქმედებას, სვამს აღზრდის ყალიბში და იცავს მოსალოდნელი საფრთხეებისაგან.

სულიერობის ცნების, არსისა და მნიშვნელობის გაგებისა და მიღების ერთადერთი წყარო არის ღვთის სიტყვა – ბიბლია. ამიტომ სულიერობის აღზრდა უნდა ეფუძნებოდეს მას. ბიბლიის მიხედვით, სულიერობა წარმოადგენს სულის ნაყოფთა ერთობლიობას. “ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიკეთე, ყოველივე კარგი, რწმენა, რბილი ხასიათი, თავშეკავება” (გალატელების 5:22). სულიერობის აღზრდის მიზანი ამ თვისებების ფორმირება უნდა იყოს. რადგან ბიბლია გვიხსნის, რომ სულიერობა უბრალოდ ღამაზი თვისებები კი არა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. “ხორციელი ფიქრები სიკვდილია, სულიერი ფიქრები – სიცოცხლე და მშვიდობა” (რომაელები 8:6). აგრეთვე ბიბლიიდან ვიგებთ, რომ სული ღვთისგან მოდის და ხორციელზე მოფიქრალს ის არ ეძლევა. რადგან “ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო.” ვინც სულით დადის, გულისთქმების მახეში არ გაებმება. “ხორცის საქმეები აშკარაა. ეს არის: სიძვა, უწმინდურობა, განრისხება, თავაშეებულობა, კერპთაყვანისმცემლობა, სპირიტიზმი, მტრობა, დავა, ეჭვიანობა, შუღლი, განხეთქილება, სექტანტობა, შური” (გალატელები 5:16,17,19). ამიტომ მოგვიწოდებს ბიბლია: “იარეთ სულით და არ შეასრულებთ ხორცის სურვილებს” (იქვე). როცა აღსაზრდელი ბიბლიიდან იგებს ამ თვისებების შესახებ, იგი რიდითა და მოკრძალებით განეწყობა ღვთის მიმართ, მხოლოდ მასწავლებლისგან მოსმენილი კი მომაბეზრებელ სენტენციებად



აღიქმება და სათანადო აღმზრდელით ეფექტურობას მოკლებულია.

მოსწავლეებს უნდა დავანახოთ, რომ ‘სულით ანთებული’ ადამიანი ეძებს ჭეშმარიტებას, იღებს ღვთის სწავლებებს და ემორჩილება მის ხელმძღვანელობას, ღვთის მორჩილებს კი მოემართებათ გზა და არასოდეს წაბორძიკდებიან. რადგან “ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა; მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს” (იერემია 10:23), ღვთის წმინდა სულის ანუ მისი “მოქმედი ძალის” ხელმძღვანელობის გარეშე ადამიანს არ ძალუძს შეიცვალოს აზროვნება და მიჰყვეს ქრისტეს კვალს. რომაელების 12:2-ში ვკითხულობთ: “ნუღარ იცხოვრებთ ქვეყნიერების ყაიდაზე, არამედ განიხილეთ გონება და გარდაიქმენით, რათა დარწმუნდეთ, რა არის ღვთის ნება – კარგი, მოსაწონი და სრულყოფილი”. უხილავის რწმენა და სულიერობა ეფუძნება ჭეშმარიტების ცოდნას ღვთისა და მისი ქმნილებების შესახებ.

ყოველის შემოქმედი ღმერთი ორი გზით შეიცნობა: მისი მატერიალური ქმნილებებით და მისივე სიტყვით – ბიბლიით. “მისი უხილავი თვისებები – მარადიული ძლიერება და ღვთაებრიობა – ნათლად ჩანს ქვეყნიერების შექმნიდან, რადგან ყოველივე ეს შექმნილის მეშვეობით შეიცნობა.” (რომაელების მიმართ 1:20). შეგრძნებებისა და შემეცნების უსაზღვრო უნარით დაჯილდოებულ ადამიანს არ ეპატიება, სარგებლობდეს ყოველი მიწიერი და ზეციერი სიკეთით და არ იცნობდეს მის შემოქმედს, ჭეშმარიტ ღმერთს, არ აღაფრთოვანებდეს მისი უნიკალური შემოქმედება და მადლიერების გრძნობით არ განიმსჭვავლოს.

სულიერობის აღზრდის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღზრდის ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის პედაგოგიური კანონის საფუძველზე. როგორც ცნობილია, სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკის ბავშვებს ახასიათებთ მოჭარბებული ცნობისმოყვარეობა, მიბაძველობა და მასწავლებლისადმი უსაზღვრო ნდობა, რაც მაქსიმალურად უნდა

იქნეს გამოყენებული აღზრდაში. ბავშვს ბიოლოგიური, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილება აღძრავს გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთობისკენ, რაც შემეცნებასთან არის დაკავშირებული. ის უამრავ კითხვებს სვამს: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენი? რამდენჯერ? და ა. შ. ბავშვის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები უნდა შეიცავდეს ზუსტ ინფორმაციას იმ საგნებსა და მოვლენებზე და მათთან შემოქმედი ღმერთის კავშირის შესახებ. ასეთი მიდგომა აღზრდისადმი ხელს შეუწყობს სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებას, ჭეშმარიტი შემეცნების მიღებასა და სულიერობის ამაღლებას. უმცროს ასაკში, მათი სასკოლო პროგრამიდან გამომდინარე, მოსწავლეებს უკვე გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ბუნებასა და ბუნებრივ მოვლენებზე, დედამიწაზე, ფლორასა და ფაუნაზე, ჰერზე, წყალზე, წელიწადის დროებზე, თევზზე, კვირეებზე, დღე-ღამეზე, ციურ სხეულებზე: ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ასევე ცნებებზე, სახელებსა და სახელწოდებებზე, თარიღებზე და ყოვლისშემოქმედზე. ყოველივე ეს განაპირობებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და აზროვნების განვითარებას, სულიერობის გაგებას. ამავე ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი გარკვეულ წარმოდგენებს ადამიანსა და საზოგადოებაზე, ეთიკურ ნორმებსა და წესებზე, ესთეტიკის ელემენტებზე. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს სულიერობის ამაღლებაზე. მოსწავლის ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად უნდა განისაზღვროს ადამიანის, ამ უნიკალური ქმნილების ღვთიური წარმომავლობის დამადასტურებელი ბიბლიური და ფაქტობრივ-რეალური მტკიცებულებები. ადამიანის შეგრძნებათა ორგანოების: თვალის, ყურის, ცხვირის, პირის ღრუსა და კანის, ნივთიერებათა ცვლის პროცესის ან გულის ფუნქციების შესახებ მოკლე ხილული ინფორმაციების მარტივი ენით, გასაგებად, მისაწვდომად გადაცემა, აღსაზრდელს უხსნის “გულის თვალებს” ყოველივე ამის შემოქმედის, უხილავი

დმერთის დასანახად. უხილავის ხილულით დაჯერება წარმოშობს რწმენასა და სულიერობას.

სულიერობის აღზრდა უფრო მაღალ საფეხურზე ადის საშუალო სასკოლო ანუ მოზარდობის ასაკში. მოზარდები უკვე ფლობენ გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებათა მარაგს, სულიერობის დონეს, კონკრეტული აზროვნების წიაღში განვითარებულ აბსტაქტული აზროვნების ელემენტებს საგანთა და მოვლენათა უფრო სიღრმისეული გაგებისა და კრიტიკული შეფასების უნარებს, იწყება საკუთარი “მე”-თი დაინტერესება, თვითგარკვევისა და თვითდამკვიდრებისათვის ზრუნვა, იდეალის ძიება, მიბაძვა და ა. შ. ამ დროს მოსწავლეს სჭირდება განსაკუთრებული თანადგომა, სწორი და ღირებული ზნეობრივი, სულიერი და ესთეტიკური ორიენტირები, სწორი, ორთოდოქსალური, ჭეშმარიტი შემეცნება, რომელიც მის ბუნებრივ, კანონიერ და საზოგადოებრივად ღირებულ მოთხოვნებს დაუკმაყოფილებს, თავისთავში პიროვნებას აპოვნინებს.

უფროს სასკოლო ასაკში სულიერობის აღზრდა ნაკლებპრობლემურია, თუ მის წინარე ასაკში პედაგოგიური მოთხოვნები სწორად იყო რეალიზებული. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მსოფლმხედველობის ფორმირება, სოციალური და ინტელექტუალური მოტივების ჩამოყალიბება, ცხოვრების აზრზე და ადამიანის დანიშნულებაზე დაფიქრება, სამყაროს შექმნასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება. მოსწავლის ამგვარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ქმნის ნოყიერ საფუძველს პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარებისა და სოციალიზაციისთვის, ცხადია, აქვე მოიაზრება სულიერობის აღზრდაც.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პედაგოგიურ სისტემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე პედაგოგიურ მეთოდებს. მეთოდთა შერჩევა ხდება პედაგოგიური მიზნის შესაბამისად. სულიერობის აღზრდაში ეფექტურია ინფორმაციის, დარწმუნებისა და თვალსაჩინო მაგალითის მეთოდი, ბიბლიის კითხვა, თუმცა ეს არ ნიშნავს სხვა მეთოდების გამორიცხვას.

სულიერობის აღზრდა სხვა პედაგოგიური პროცესებისგან განსხვავებულია და, ცხადია, მიდგომაც გარკვეულწილად სპეციფიკური. სულიერობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიგიური ფასეულობების, ჭეშმარიტი ღმერთის სიყვარულია და მხოლოდ ღვთისგან მიიღება იგი. ამიტომ ყველა ინფორმაცია ამ მიმართებით ღმერთს უნდა უკავშირდებოდეს. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ ამ სახის ინფორმაციების წყაროს წარმოადგენს ბიბლია, მთელი სამყარო კი – თვალსაჩინოებას. სწორედ ბიბლიიდან ვიგებთ სულიერობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ და იმაზეც თუ ვისგან უნდა ვისწავლოთ ის. ფილიპელების 2:5-ში ვკითხულობთ: “ისეთივე აზროვნება გქონდეთ, როგორიც ქრისტე იესოს ჰქონდა.”

ღვთის ძე იესო ქრისტე იყო სულიერობის სრულყოფილი მაგალითი, ამიტომ არის ბიბლიაში რჩევა, მოეუსმინოთ და მიეყვებოდეთ მის კვალს, რომ არ გავებათ სატანის მახეში: “ესაა ჩემი საყვარელი ძე, უსმინეთ მას!” (მარკოზი 9:7). ხოლო I პეტრეს 2:21-ში წერია: “ერთგულად მიჰყევით მის ნაკვალევს.” ან კიდევ, “ისეთივე აზროვნება გქონდეთ, როგორიც ქრისტე იესოს ჰქონდა” (ფილიპელები 2:5).

საიდან უნდა გავიგოთ, თუ როგორი აზროვნება ჰქონდა ქრისტეს, რომ მოეუსმინოთ და მიეყვებოდეთ მის ნაკვალევს? ბიბლიიდან. რადგან “მთელი წმინდა წერილი ღვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმაართლეში აღსაზრდელად, რათა ღვთის კაცი ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მომზადებული იყოს ნებისმიერი კარგი საქმისთვის” (2 ტიმოთე 3:16). იესო ქრისტეს ისეთივე აზროვნება ჰქონდა, როგორიც ყოველისშემოქმედ ღმერთს, რადგან მამისაგან იყო განსწავლული. ადამიანიც, რაც უფრო მეტად განისწავლება ქრისტეს სწავლებებით, მით უფრო აირეკლავს მის აზროვნებას. ქრისტეს გონების შესაცნობად საჭიროა მის შესახებ დაწერილი ცნობების წაკითხვა. ძირითადად ბიბლიის ოთხი წიგნი – მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები და “გამოცხადება” შეიცავს უტყუარ ცნობებს ჩვენი

მხსნელის იესო ქრისტეს შესახებ, რომელთა შესწავლით შეგვიძლია გავიგოთ იესოს აზროვნება და გრძნობები.

იესო ღვთის სულით აღძრული მოქმედებდა. განურჩევლად, ყველას აცნობდა ზეციერი მამის ნებას ღვთის სამეფოს შესახებ, დაუღალავად ასწავლიდა ჭეშმარიტებას, ეხმარებოდა დაზარალებულს, კურნავდა ავადმყოფებს, აღადგენდა მკვდრებს, (ამის რამდენიმე მაგალითიც დაგვიტოვა). იესო მსახურებისას ყოველთვის ავლენდა სულის ნაყოფებს: “სიყვარულს, სიკეთეს, ყოველივე კარგს” და მსგავს თვისებებს. იოანეს სახარების 9:1-8 მუხლებში ვკითხულობთ: “მიდიოდა იესო და დაინახა კაცი, რომელიც დაბადებიდან უსინათლო იყო”. იესოს მოწაფეებმაც შენიშნეს ის კაცი, მაგრამ მასში მხოლოდ ცოდვილი დაინახეს. “ვინ შესცოდა, ამ კაცმა თუ მისმა მშობლებმა?” – იკითხეს მათ. მეზობლებისთვის ეს კაცი მათხოვარი იყო. “ეს ის კაცი არ არის, რომ იჯდა და მათხოვრობდა?” – თქვეს მათ. იესოსთვის კი ის ბრმა იყო, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა. იესო დაეღაპარაკა მას და განკურნა.

ეს და მრავალი სხვა შემთხვევა ნათლად გვიჩვენებს იესოს აზროვნებასა და გრძნობებს ადამიანების მიმართ, რომ ღვთის ძე ღვთის მსგავსად მიუკერძოებელია და ყველაფერს კარგს სიყვარულით აკეთებს. იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: “ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთშორის” (იოანე 13:34,35).

ქრისტემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მტრის სიყვარულზე. “მე კი გეუბნებით, გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს, და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით, რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კათილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს. ვინაიდან, თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებთ, რა იქნება საზღაური? განა მებაჟებოც

ასე არ იქცევით? თუ მხოლოდ თქვენს ძმებს მოიკითხავთ, განსაკუთრებულს რას გააკეთებთ? განა წარმართებიც ასე არ იქცევით? მაშ, იყავით სრულყოფილი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი” (მათე 6:44-48).

უმწეო ადამიანებს გამახსენებელი სიტყვებით მიმართავს ღვთის ძე: “მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე მოგასვენებთ თქვენ. იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს, ვინაიდან ჩემი უღელი საამურია და ჩემი ტვირთი – მსუბუქი” (მათე 11:28,29,30). იესოს მიერ შემოთავაზებული უღელი და ტვირთი გულისხმობს ღვთის სამეფოს შესახებ ჭეშმარიტების სწავლას, რომელიც სულიერ შვებას მოუტანს და ბედნიერი მომავლის იმედს ჩაუსახავს ადამიანს. ღვთის ძე თავადვე აცხადებს, რომ ის მშვიდია და თავმდაბალი. მის ამ სულიერებას ადასტურებს მისივე ურთიერთობა ადამიანებთან. მან თავმდაბლობის შთამაგონებელი ნიმუში აჩვენა, როცა ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს და უთხრა: “იცით რა გიყავით? . . . მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექცით, თქვენც ისე მოიქცეთ” (იოანე 13:12,15).

მათეს სახარება იტყობინება, რომ მამის მორჩილი იესო ქრისტე თვითნებურად არასოდეს მოქმედებდა. ის სულ ღოცულობდა და ყოვლის შემოქმედს თხოვდა წმინდა სულით ხელმძღვანელობას მისივე ნების შესასრულებლად. თუ ქრისტეს სჭირდებოდა ღვთის ხელმძღვანელობა, ეს უფრო მეტად სჭირდება მათივე ქმნილებას – ადამიანს.

სულიერობის განვითარება სულიერ საზრდოს მოითხოვს სულიერობის წყაროდან, რომელიც ასე უხვად მოგვიმზადა ყოვლის შემოქმედმა თავისი სიბრძნის წიგნის – ბიბლიის და მისი ამსხნელი პუბლიკაციების სახით და დაგვიყენა უანგარო, მოსიყვარულე და ბრძენი მწყემსი და მასწავლებელი იესო ქრისტე. ის ყველას ასმევს სიცოცხლის წყალს, ვისაც წყურია. გარკვევით მიუთითებს ბიბლია სულიერი ზრდისთვის ჭეშმარიტი შემეცნების უწყვეტად მიღების აუცილებლობაზე. კოლოსელების

1:9,10 მუხლებში ვკითხულობთ: “განუწყვეტლივ ვლოცულობ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი (ღვთის – გ. ხ.) ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით, რათა მოიქცეთ უფლის ღირსად და ყველაფერში აამოთ მას ყოველ კეთილ საქმეში ნაყოფის გამოღებით და ღვთის შემეცნებაში ზრდით.” პავლე მოციქულმა პირადად ტიმოთეს მისწერა: “. . . ნიმუში იყავი სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულიერობაში, რწმენაში, სიწმინდეში. ვიდრე მოვიდოდე, მიჰყევი კითხვას, შეგონებას და სწავლებას” (1 ტიმითე 4:12,13). ტიმოთესადმი პავლეს მიერ მიწერილი დარიგებები დღესაც ღირებულია სულიერობის აღზრდის თვალსაზრისითაც.

ყოველისშემოქმედმა სწორედ შემეცნების უნარით განასხვავა და ყველაფერზე მაღლა დააყენა ადამიანი გონებით და უფლებით და დაარიგა, რომ ყოველ მოსახვეჭელთა შორის ცოდნისა და სიბრძნის მოხვეჭაა მთავარი: “მთავარი სიბრძნე სიბრძნის მოხვეჭაა, ყოველ მოსახვეჭელთაგან ცოდნა მოიხვეჭე” (იგავები 4:7). რა ცოდნასა და სიბრძნეზეა აქ ლაპარაკი? — ჭეშმარიტ შემეცნებაზე: სამყაროზე, ადამიანსა და მათ შემოქმედ ღმერთზე. ბიბლიის პირველი წიგნი “დაბადება” მარტივად, ლაკონურად და გასაგებად გვამცნობს თუ როგორ შექმნა ღმერთმა ცა და დედამიწა, ბუნება – ფლორა, ფაუნა და სხვა ეკოლოგიურ – კოსმიური სისტემები, თუ რა მდიდრულად და ულამაზესად მორთო და მოკაზმა დედამიწა ადამიანთა საცხოვრისად, რომ მარადიულად და ბედნიერად ეცხოვრათ ადამიანებს მშვიდლობიან და მომხიბლავ გარემოში. პირველი ოჯახი დაასახლა ედემის ბაღში, რომელიც გაშენებული იყო სავარაუდოდ, ერაყის ტერიტორიაზე ორ მდინარეს – ეფრატსა და ტიგროს შორის: “გააშენა იჰსოვა ღმერთმა ბაღი ედემში, აღმოსავლეთით, და იქ დაასახლა ადამიანი, რომელიც შექმნა” (დაბადება 2:8). მისცა სასიამოვნო დავალება, “აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა მათ ღმერთმა: ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას და თქვენ გემორჩილებოდნენ ზღვის თევზები, ცის ფრინველები და ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე” (დაბადება 1:28). ასე განსაზღვრა

ღმერთმა ცხოვრების აზრი და ადამიანის დანიშნულება დედამიწაზე. ამ დავალებაში ჩადებულია გამრავლება, შრომა, მთელ დედამიწის და რაც მასშია დაპატრონება, მოვლა, დაცვა და განვითარება და ყველა ამ სიკეთით სარგებლობა.

ბიბლიის მიხედვით, სულიერობის მთავარი კრიტერიუმი სიყვარულია. როცა ქრისტეს ჰკითხეს, მოძღვარო, რომელია უდიდესი მცნება კანონში? მან უთხრა: “გიყვარდეს იეჰოვა, შენი ღმერთი მთელი გულით, მთელი სულით, მთელი გონებით და მთელი ძალით.” “მეორე კი: “მოყვასი საკუთარი თავივით გიყვარდეს. ამ მცნებებზე დიდი მცნება არ არსებობს” (მარკოზი 12:30,31). რა არის ღმერთის სიყვარული? ამაზე ბიბლია მარტივად და გასაგებად გვპასუხობს: “ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს” და იქვე გვამშვიდებს, რომ “მისი მცნებები კი დამამძიმებელი არ არის” (1 იოანე 5:3). როგორც ცნობილია, ვინმე რომ შეიყვარო და მისი სიტყვა კანონად მიიღო, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაიცნო ის და გაიგო მისი მოთხოვნები. მით უმეტეს, როცა ღმერთზეა საუბარი, ასმაგად გვმართებს ჭეშმარიტების გაგება. როგორ გავიგოთ ჭეშმარიტება? ბიბლიის მეშვეობით. ეს წმინდა წიგნი შეიცავს უტყუარ ინფორმაციებს: ვინ არის ღმერთი და რას მოითხოვს ჩვენგან? ვინ არის იესო ქრისტე? ვინ არის სატანა-ეშმაკი? რა მომავალი ელის დედამიწას? რა არის ღვთის სამეფო? და ა. შ.

ბიბლია გვამცნობს რომ ჭეშმარიტი ღმერთი მხოლოდ ერთია. “ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლობა. ერთია ყველას ღმერთი და მამა” (ეფესოელები 4:5,6). ზეცაში თუ დედამიწაზე, ყველაფერი მისი შექმნილია. მან მოგვცა სიცოცხლე. ასევე პირველმა მან შეგვიყვარა და შემოგვწირა თავისი მხოლოდშობილი ძე იესო ქრისტე (იოანე 3:16) და ამიტომ მხოლოდ მას უნდა ვცეთ თავყვანი.

იესო ქრისტე სულიერობის კლასიკური მაგალითია. ამიტომ ღმერთი გვიჩვენებს: ‘ვუსმინოთ მას’, ‘მივეყვით მის კვალს’. ამისთვის უნდა ვფლობდეთ ზუსტ ცნობებს მისი ვინაობის შესახებ. რომ ის არის ღვთის პირმო, მისი ოსტატი, მისი სიტყვა. პირმოლობა



ნიშნავს იმას, რომ ის არის პირველი და ერთადერთი ძე, რომელიც უშუალოდ თვითონ შექმნა, ხოლო სიტყვა “ოსტატი” კი მიუთითებს, რომ დანარჩენი ყველაფერი, ზეცაში თუ დედამიწაზე, ღმერთმა მასთან ერთად შექმნა. ამასთან დაკავშირებით იგავების 8:22-31 მუხლებში წერია: (აქ ნაწევრებს მოვიყვანოთ) “იეჰოვამ შექმნა. მე ვარ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი . . . როცა დედამიწას საფუძველს უყრიდა, მაშინ მე მის გვერდით ვიყავი, როგორც ოსტატი.” ქრისტე იყო ღვთის წარმომადგენელი, მისი სიტყვის გადამცემი. ამიტომ ეწოდა მას “სიტყვა.” იოანეს 1:4-ში წერია: “დასაწყისში იყო სიტყვა . . . სიტყვა იყო ღმერთი. ის (ქრისტე – გ. ხ.) დასაწყისში ღმერთთან იყო. ყველაფერი მისი მონაწილეობით გაჩნდა, მის გარეშე არაფერი გაჩენილა. მისი მონაწილეობით გაჩნდა სიცოცხლე.” გამოცხადების 19:11-13-ში წერია: “ვიხილე გახსნილი ცა და აი, თეთრი ცხენი. მასზე მჯდომს ერთგული და ჭეშმარიტი ეწოდება . . . მისი სახელია ღვთის სიტყვა.” იესო ქრისტე ღმერთმა მარიამის მეშვეობით მოავლინე დედამიწაზე, (მარიამი ღვთის მშობელი კი არაა, ღვთის ძის იესო ქრისტეს მშობელია!), რათა ღვთის სიტყვა ესწავლებინა და სიცოცხლე გაეღო ცოდვებისგან კაცობრიობის განთავისუფლების მიზნით. სიკვდილის შემდეგ ღმერთმა იესო სულიერ ქმნილებად აღადგინა და ზეცაში დააბრუნა. დღეს კი მეფობს ქრისტე. როგორც გამოცხადების მე-7 თავშია ჩაწერილი, მან ზეცა უკვე გაწმინდა სატანა-ეშმაკისგან და მალე, ყოველგვარ უბედურებასა და ბოროტებას და მის ავტორს, ზეციდან გადმოგდებულ სატანას და მის დემონებს, მოსპობს დედამიწაზე, “იმ მეფეების დროს ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც არასოდეს დაიქცევა. ეს სამეფო სხვა ხალხს არ გადაეცემა. ის დააქცევს და ბოლოს მოუღებს ყველა ამ სამეფოს, თავად კი მარადიულად იდგება” (დანიელი 2:44). ასეთი ინფორმაციები მომავლის იმედს უსახავს მსმენელს და უადვილებს აწმყოს ქვეყნიურ პრობლემებს.

იმის ცოდნა, თუ ვინ არის სატანა-ეშმაკი, რა უბედურება მოუტანა მან კაცობრიობას და რა მოელის მას, ყველაფერს

ჰვენს ნათელს და დიდი სიყვარულით, რწმენითა და იმედით განაწყობს ადამიანს ღვთისა და მისი ძისადმი, ასევე

მომავლისადმი. ბიბლიაში დეტალურად არის ჩაწერილი სატანასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, რაც იძლევა საშუალებას ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ობიექტური შეფასებებისა და სწორი დასკვნების გაკეთებისა.

სიტყვა ეშმაკი ნიშნავს ცილისმწამებელს, სატანა კი – მტერს ან მოწინააღმდეგეს. ეშმაკი და სატანა ღვთისა და კაცობრიობის უბოროტესი მტრის სახელია. თავდაპირველად ის ღვთის ანგელოზი იყო, მაგრამ ყოვლისშემოქმედის შეშურდა და პირველობა მოინდომა, რომ მისთვის ეცათ თაყვანი. მან ადამიანთა პირველი წყვილის შესაცდენად ღმერთს ცილი დასწამა, თითქოს ის მათ ატყუებდა და უფრო ძვირფასს უმაღლავდა, ვიდრე რაც ჰქონდათ და ამით დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგა. მიზანსაც მიაღწია. მან ქრისტეს შეცდენაც ცცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სატანა უამრავ ხერხებს იყენებს ადამიანთა შესაცდენად. სიცრუე, ცრუ რელიგიები, სპირიტუზმი, პოლიტიკური ორგანიზაციები, ხორციელი სურვილები, სიმდიდრე, ხარბი კომერცია — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ვერაგული საშუალებებისა, რომელსაც მიმართავს “წუთისოფლის მამამთავარი.” სატანის მახეში რომ არ გავებათ, ბიბლია გვაფრთხილებს: “იფხიზლეთ და გედვიძოთ! თქვენი მოწინააღმდეგე ეშმაკი, დაძრწის როგორც ბრდღვინავი ღომი და ეძებს ვინ გადაყლაპოს. წინ აღუდექით მას მტკიცე რწმენით” (1 პეტრე 5:8,9). ამ და სხვა ინფორმაციების თვით ღვთის სიტყვიდან, ბიბლიიდან ამოკითხვა, ერთობლივი განხილვა და კომენტარები, სულიერობის გაღრმავების პედაგოგიური საშუალებებია.

სულიერობის ამადლებას ხელს უწყობს აგრეთვე იმის ცოდნა, თუ რა მომავალი ელის დღამიწას ღვთის განზრახვის თანახმად. უზენაესი გვპირდება, რომ უნიკალური პლანეტა, ჩვენს საცხოვრებლად შექმნილი დედამიწა არასოდეს მოისპობა, ის მარადიულად იარსებებს, რადგან მის მომსპობთ მანამდე მოსპობს

სამართლიანი ღმერთი. ფსალმუნების 104:5-ში ვკითხულობთ: “მყარ საფუძველზე აფუძნებ დედამიწას, არ მოირყევა მარადიულად”. ღვთის თავდაპირველი განზრახვა, რომ ადამიანებს დედამიწა სამოთხედ ექციათ და ბედნიერად ეცხოვრათ მასზე მარადიულად, სატანა-ეშმაკმა ბოროტად დაარღვია. მაგრამ მოსიყვარულე ღმერთს თავისი კეთილშობილური განზრახვა ადამიანების მიმართ არ შეუცვლია, უბრალოდ დრო მისცა გონს მოსაგებად. I საუკუნეში ღმერთმა გრანდიოზული ღონისძიება გაატარა. მან თავისი ძის სიცოცხლე გაიღო კაცობრიობის გადასარჩენად, სულიერობის ასამაღლებლად. ამჯერადაც ღმერთი ქრისტესთან ერთად მალე მიიღებს გადამჭრელ ზომებს და არმაგედონში სამუდამოდ მოუღებს ბოლოს ყოველგვარ ბოროტებასა და უსამართლობას. “ვინაიდან ღმერთი სამართლიანობის მოყვარულია და არ მიატოვებს თავის ერთგულებს, ისინი მარადიულად იქნებიან დაცულნი, ბოროტთა შთამომავლობა კი მოისპობა. მართლები დაიმკვიდრებენ დედამიწას და მარადიულად იცხოვრებენ მასზე. . . . შემცოდველები ერთიანად მოისპობიან და ბოროტ ხალხს მომავალი არ ექნება” (ფსალმუნები 37:28,29,38). ხოლო მათი “ღმერთი” სატანა-ეშმაკი შებორკილი 1000 წლით უფსკრულში ჩაიგდება. ქრისტეს 1000-წლიანი მეფობის დროს ადამიანები თანდათანობით გასრულყოფილდებიან და გახდებიან ისეთები, როგორც ადამი და ევა იყვნენ შეცოდებამდე და მთელ დედამიწას სამოთხედ გადააქცევენ. ასეთი ბიბლიური ინფორმაციები შთამაგონებელ ზემოქმედებას ახდენს აღსაზრდელებზე, ადავსებს ღვთისადმი უღრმესი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით, რწმენითა და იმედით და წინ აღუდგება სატანას, ღვთისა და კაცობრიობის უბოროტეს მტერს, მსოფლიოს მაცდუნებელს.

ღმერთთან მიახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ლოცვა. ამიტომ ქრისტემ ნიმუში მოგვცა ლოცვის. “ასე ილოცეთ: ჩვენო ზეციერო მამა, განიწმინდოს შენი სახელი, მოვიდეს შენი სამეფო და იყოს შენი ნება როგორც ზეცაში, ისე დედამიწაზე . . . “ (მათე 6:9,10). ეს ლოცვა ბევრმა იცის, მაგრამ

მისი მნიშვნელობა კი – ცოტამ. ბიბლიის მიხედვით, ღვთის სამეფო არის მისმიერვე ჩამოყალიბებული მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ასევე მის მიერ არჩეული მეფე იესო ქრისტე, რომელსაც ბიბლიაში “ბედნიერი და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი” (1 ტიმოთე 6:15) ეწოდება. ეს მთავრობა ზეცაშია, მაგრამ მთელ დედამიწას გაუწევს მმართველობას. ამის შესახებ იტყობინება გამოცხადების 11:15-ში ჩაწერილი ცნობა: “ქვეყნიერების სამეფო ჩვენი უფლისა და მისი ქრისტეს სამეფო გახდა და ის იმეფებს მარადიულად.” და შესრულდება წინასწარმეტყველებები ბედნიერ მომავალზე: “ის სამართლიან განაჩენს გამოიტანს ერებს შორის და საქმეებს მოაგვარებს მრავალი ხალხისთვის. ისინი თავიანთი მახვილებისაგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან – სასხლავებს. ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარ ისწავლიან ომს” (ესაია 2:4). “მოსწმენდს მათ ყოველ ცრემლს თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, აღარც გლოვა და ტკივილი, რადგან წინანდელი ყველაფერი მოისპო” (გამოცხადება 21:4).

თეოკრატიული განათლება არის ერთადერთი ბაზა სულიერი აღზრდისა, რომელიც არანაირად არ ზღუდავს საერო განათლებას. პირიქით, საერო განათლება სულიერი ადამიანის ხელში სიკეთედ, ნამდვილ განძად იქცევა. ჩვენი უბადრუკი სინამდვილე სწორედ, განათლებულ, მაგრამ სულიერობას მოკლებულ ადამიანთა “ნაოსტატარი” გახლავთ, სამწუხაროდ.

სიბრძნის წიგნი ბიბლია გვარიგებს, რომ სულიერობაზე ზრუნვა ადრეული ასაკიდანვე ოჯახში უნდა იქნეს დაწყებული, რადგან ოჯახი ის კერაა, სადაც საფუძველი ეყრება ბავშვის სულიერი სამყაროს შექმნას, მის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკური აღზრდის ელემენტებს. აქ მშობლებთან ურთიერთობაში, საოჯახო საქმეებში უშუალო მონაწილეობით და პრაქტიკული გამოცდილებით, მშობელთა დარიგებებითა და რჩევებით იზრდება და თანდათანობით ყალიბდება პიროვნება. ამიტომ მოგვიწოდებს ბიბლია, შეიღებოს “მეცი კარგი მაგალითი”.

აქ გათვალისწინებულია ბავშვის მიმბაძველობითი ბუნება, რომ იგი ნიმუშზე აგებს თავის ქცევასა და მოქმედებას. ამიტომ ნიმუში უნდა იყოს უზადო, წუნდაუდებელი. ღვთის კანონის 6:6,7 მუხლებში პირდაპირ ბრძანებაა მოცემული მშობლების მიმართ, რომ ღვთის სიტყვით აღზარდონ თავიანთი ძე: “გულში ჩაიბუკდე სიტყვები, რომლებსაც დღეს გიბრძანებ: ჩააგონე შენს ვაჟს და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისა და ადგომისას.” შვილები რომ სულიერად აღზარდონ, მშობლები თავად უნდა იყვნენ აღზრდილი ღვთის შემეცნებით, ღვთის ნების აღმსრულებლები და სიყვარულით ასრულებდნენ მშობლის მოვალეობას. “შენს გულში გქონდეს ეს სიტყვები, რომლებიც დღეს გამოგიცხადე” (იქვე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღვთის კანონები ჯერ მშობლების გულში უნდა იყოს ჩაწერილი, რომ შვილების გულში ჩაიწეროს. აქ ნათლად იკვეთება აღზრდაში მემკვიდრეობითობის პრინციპი, ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაში გადაცემის უწყვეტობა. სოლომონ ბრძენმა, რომელიც ღვთის შემეცნებაში ხედავდა ცხოვრების აზრს, თქვა: “დაეწაფეთ ღვთის სიტყვებს, შეიყვარეთ და განისწავლენით” (სიბრძნე სოლომონისა 6:11). რადგან “შემეცნებაა გონების სრულქმნა, სრულქმნილება კი ღმერთთან მიახლოება” (სიბრძნე სოლომონისა 6:24).

სულიერობა და ზნეობრიობა აღზრდის ის უმთავრესი კომპონენტებია, რომელიც ემსახურება სრულფასოვანი, ‘ყოველი კეთილი საქმისთვის გამზადებული ღვთის კაცის’ ფორმირებას. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი მიიღება ღვთისგან და ზეციერია, მეორეს კი ქმნიან და აყალიბებენ ადამიანები და მიწიერია. ზეციერისა და მიწიერის ლოგიკური კავშირი ქმნის პარმონიას.

ამრიგად, სულიერ აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღვთისწიერ, სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში, საზოგადოების სულიერ გამოჯანსაღებაში. სულიერობის აღზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი მოითხოვს შემდეგი პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტას. პირველი, თეოკრატიული

განათლების მიღება, ბიბლიის კითხვა მუდმივად; მეორე, შესაბამისი გრძნობებისა და ემოციების – ღვთისა და მისი ძის იესო ქრისტესადმი რწმენის, იმედისა და სიყვარულის – განვითარება, მესამე, ღვთის კანონებისა და პრინციპების შესაბამისად ქცევისა და მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება; მეოთხე, საერო და თეოკრატიული განათლების ჰარმონიულ თანხმობაში მოყვანა; მეხუთე, მასწავლებლისა და მშობლების მომზადება ამ სფეროში, მოსწავლეებში სულიერი აღზრდის მიზნისა და ამოცანების გადასაწყვეტად.

## თემა XIV. ესთეტიკური აღზრდა

საკითხები:

1. ესთეტიკური აღზრდის არსი, მიზანი და ამოცანები;
2. ესთეტიკური აღზრდის კავშირი აღზრდის სახვა კომპონენტებთან;
3. ესთეტიკური აღზრდის სისტემები სასკოლო პრაქტიკაში;
4. ესთეტიკური აღზრდის პროცესის კომპონენტები;
5. ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიური საშუალებები.

პედაგოგიკაში მიღებული აღზრდის კომპონენტთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ესთეტიკურ აღზრდას. ესთეტიკა ბერძნული სიტყვაა და ლექსიკონში განმარტებულია როგორც მგრძობელი, გრძობადი. ესთეტიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა სინამდვილისა და ხელოვნების მშვენიერების შესახებ, სამყაროს შემეცნებისა და სილამაზის კანონებით ცხოვრების, ასევე ხელოვნების, მხატვრული შემოქმედებისა და ესთეტიკური აღზრდის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ. ესთეტიკა არკვევს ადამიანისა და სამყაროს გრძობად, ემოციურ ურთიერთმიმართებათა კანონზომიერებებს. სამყაროს ესთეტიკური აღქმა ცნობიერების ფორმაა, რომლის კონცენტრირება ხდება სულიერობის, გრძობებისა და ემოციების სფეროში. ესთეტიკური აღქმა უკავშირდება ობიექტის ესთეტიკურ ღირებულებასა და აღმქმელის ესთეტიკურ კულტურას. ესთეტიკურის საფუძველს წარმოადგენს პარმონია, წესრიგი, სიმეტრია, პროპორცია, ზომიერება, წონასწორობა, რიტმი, რითმი, მელოდიურობა, უდერადობა და ა. შ. ესთეტიკურის გაგებაში მნიშვნელოვანია ესთეტიკური კატეგორიების არსის გაგება, როგორიცაა: მშვენიერება, ამაღლებული, კომიკური და ტრაგიკული. ესთეტიკური, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის სიამოვნებას, ტკბობას, აღფრთოვანებას, მოწონებას უკავშირდება. ეს იქნება რეალური

სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმები, მეთოდები, ხერხები თუ საშუალებები სიტყვაში, მუსიკაში, მხატვრობაში, ქორეოგრაფიაში და ბუნებაში არსებული კანონებისა და კანონზომიერებებში, მათ ჰარმონიულობაში, რეალურ სინამდვილეში, ადამიანურ ურთიერთობებში და ა. შ.

ესთეტიკასა და პედაგოგიკას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მეცნიერებებს წარმოადგენენ კვლევის ობიექტით, მიზნითა და ამოცანებით, მაინც არსებობს მათ შორის მჭიდრო კავშირი. ესთეტიკის მონაცემთა გამოყენების საფუძველზე პედაგოგიკა ახდენს ესთეტიკურ აღზრდას, ესთეტიკურის აღმქმელთა, შემფასებელთა და არა მარტო მათი, არამედ ესთეტიკურის შემქმნელთა ფორმირებას. მასწავლებლის მიერ ესთეტიკურის შინაარსის პედაგოგიური პროცესად გადაქცევა პედაგოგიური პრინციპების, მეთოდების, ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით ესთეტიკური აღზრდის მიზნის მისაღწევად ემყარება ამ ორ მეცნიერებათა შორის კავშირის კანონზომიერებას.

პედაგოგიკა, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური აღზრდის მიზნის განსაზღვრისა და მის შესაბამისად ესთეტიკიდან და თავის წიადიდან საჭირო კომპონენტების ინტეგრაციით ახდენს მათ კონსტრუირებას დასახული მიზნის მისაღწევად.

ესთეტიკური აღზრდის მიზანია მოსწავლეებში ესთეტიკური კულტურის ჩამოყალიბება. მიზნის სიცხადისთვის საჭიროა ესთეტიკური კულტურის ზუსტი გაგება, კონკრეტულად თუ რა მოიაზრება “ესთეტიკური კულტურის” ცნებაში. ჩვეულებრივ, როცა ესთეტიკურ კულტურაზეა ლაპარაკი, მასში ორ ასპექტს გულისხმობენ: სოციალურსა და ინდივიდუალურს. საზოგადოების ესთეტიკურ კულტურაში იგულისხმება ყველა ესთეტიკურ ფასეულობათა ერთობლიობა საზოგადოებასა და გარესამყაროს შორის ურთიერთობაში. ხოლო პიროვნების ესთეტიკური კულტურა ნიშნავს სამყაროს ესთეტიკური ანუ სილამაზის კანონების საფუძველზე გრძნობითი, ემოციური აღქმისა და გარდაქმნის უნარების ერთობლიობას. შეგნებული



ცხოვრების ყველა სფერო – ეს იქნება შრომითი, ყოფითი,

სპორტული, სამეცნიერო თუ მხატვრული – აუცილებლად მოითხოვს ესთეტიკურ ელემენტებს. ადამიანის ქცევასა და მოქმედებას, სამყაროსადმი მის დამოკიდებულებას, ყველანაირი ურთიერთობებს ესთეტიკა უნდა ახლდეს. როგორც ჩეხოვმა თქვა ‘ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს. “ადამიანში ყველაფერი, სახეც, ჩაცმულობაც, სულიც და აზრიც მშვენიერი უნდა იყოს”-ო. ესთეტიკური აღზრდა მოწოდებულია სწორედ, ახალგაზრდობას განუვითაროს ესთეტიკური მოთხოვნილებები, სამყაროსადმი, როგორც უნივერსალურისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება; სილამაზისა და მშვენიერების შეგრძნების, აღქმის, გაგების, შეფასებისა და, რაც მთავარია, ესთეტიკურის შექმნის სურვილი და უნარ-ჩვევები.

ესთეტიკური აღზრდის მიზნის მისაღწევად საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები: ესთეტიკური შეგნება, ესთეტიკური გრძნობები და ესთეტიკური ქცევისა და მოქმედების უნარ-ჩვევები.

ესთეტიკური შეგნების ფორმირებაში იგულისხმება ესთეტიკის საგნის, ცნებების, კატეგორიების, ესთეტიკურის არსის ცოდნა და გაგება ხელოვნებასა და გარემომცველ რეალურ სინამდვილეში, მხატვრული განსწავლულობა, სწორი წარმოდგენები, განსჯა და რწმენა ხელოვნების ნაწარმოებების, მოვლენების, ფაქტებისა და საგნების ესთეტიკურ აღქმასთან დაკავშირებით; ესთეტიკური იდეალები რეალურის ესთეტიკურობის შესაფასებლად; წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისება და შედარება თანამედროვე მიღწევებთან მისი განვითარების ტენდენციების დასადგენად; სამყაროს ესთეტიკური აღქმის, შემოქმედებითი უნარების, ინტერესისა და მისწრაფებების განვითარების დონე.

ესთეტიკურ გრძნობებში შედის ემოციურ-მგრძნობელობითი გამოძახილი მშვენიერსა და მახინჯზე, ამადლებულსა და მდაბიურზე, გმირულსა და სიმხდალეზე; ხელოვნებაში კომიკურსა და ტრაგიკულზე, ცხოვრებაზე, შრომასა და ბუნებაზე, ქცევასა და მოქმედებაზე, ამასთანავე უნარი საკუთარი გრძნობების მართვისა.

ისწავლება. ამიტომ გონებრივი აღზრდა, რომელიც უშუალოდ შემეცნებას და ცოდნას ეფუძნება, ამ შემეცნების ობიექტის ესთეტიკური ასპექტების გათვალისწინება ოპტიმალურ რეჟიმში აყენებს სამყაროს შესახებ ცოდნის ფონდის დაუფლების ურთულეს პროცესს. რაც უფრო მაღალია შემეცნებითი პროცესის ესთეტიკური შეფერილობა, მით უფრო ეფექტურად გარდაიქმნება ცოდნა მსოფლმხედველობად, იდეებად, მრწამსად და ა. შ. რომელ მოსწავლეს არ აღაფრთოვანებს გ. სადარაძის მიერ წაკითხული გალაქტიონი, ო. მეღვინეთუხუცესის მიერ განსახიერებელი დათათუთაშხია, პ. ბურჭულაძის ოპერა, ნ. ბრეგვაძის მიერ შესრულებული რომანსები, ვ. კიკაბიძის ესტრადა და ა. შ. წარსულის ხელოვნების დიდოსტატები: რუსთაველი, ვაჟა, ფიროსმანი; საზღვარგარეთელი ხელოვნების: ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, ბოტინელის, პიკასოს და ა. შ. მხატვრობის თუ ქანდაკების შედეგები. მაგრამ ამას უნდა პედაგოგიური მიზნით გამოყენება. მხოლოდ მათი არსებობის ცოდნა არ არის საკმარისი, რომ ის მოსწავლის ესთეტიკური კულტურის ნაწილად იქცეს. ამისთვის აუცილებელია ხელოვნების ნიმუშისადმი გრძნობითი ემოციური შეგრძნებების განცდების გამოწვევა.

ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთკავშირი და მათი ურთიერთ განპირებულობაც ობიექტური კანონზომიერებაა. ზნეკეთილობა, სიყვარული, პატიოსნება და სამართლიანობა, თანაგრძნობა და დახმარება ყოველთვის იმსახურებს მოწონებას, ყოველთვის სიამოვნებისა და სიხარულის მომგვრელი და მიბაძვის საგანია, რადგან სიკეთე ყოველთვის ღამაზსა და მშვენიერებასთან, ამაღლებულთან ასოცირდება. რუსმა ფსიქოლოგებმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი: სხვადასხვა ქვეყნის 3000 ბავშვს მისცეს დავალება, დაეხატათ, მათი აზრით, ყველაზე მშვენიერი და ყველაზე მახინჯი სურათი და მიეცათ შესაბამისი ახსნა. 9 წლის ბავშვმა თავის ნახატს ასეთი მინაწერი გაუკეთა: “ყველაზე მშვენიერია მეხანძრე. მას წითელი კასკა აახურავს და ძალიან ღამაზად გამოიყურება იმიტომ, რომ ის გულადია და თავს არ ზოგავს ადამიანების გადასარჩენად.”

“ყველაზე მახინჯია რობოტი. მასში არაფერია ადამიანური. ყველაზე ლამაზია ბუნება. ის აღმაფრთოვანებელია, მდელოზე ითამაშებ, მდინარეში იცურავებ” – ასე მსჯელობს 11 წლის ბავშვი.

ესთეტიკურის დანახვა შრომაში მარტივი არ არის, მით უმეტეს მაშინ, როცა შრომა სათანადოდ არ ფასობს. ის ესთეტიკური აღქმის ობიექტად რომ იქცეს, გათვალისწინებული უნდა იქნეს წესრიგი, სისუფთავე, რიტმი, ტემპი, შრომის შედეგის ხარისხი და პრაქტიკული ღირებულება. შრომის პროცესს აგრეთვე მიმზიდველს ხდის რომანტიკა, მუსიკა, ცეკვა, სიმღერა, ზოგჯერ ზომიერი ნადიმიც. სასწავლო შრომა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლემ ეს პროცესი აღიქვას როგორც თვითრეალიზაციის, თვითდამკვიდრების შესანიშნავი, ადგილი, რომელსაც სიამოვნებაც ახლავს და კმაყოფილებაც. ე. ი. როგორც იტყვიან, სასიამოვნოცაა და სასარგებლოც, როგორც მატერიალური, მორალური და ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება.

ჩვენი ბუნებრივი გარემოს საოცრება, იქ გამეფებული ჰარმონია და წესრიგი, სილამაზე და სარგებლიანობა ესთეტიკური ტკობის საგანია. ამიტომ ესთეტიკური აღზრდის კავშირი ეკოლოგიურ აღზრდასთან ობიექტური კანონზომიერებაა. ვის არ ხიბლავს ჩვენი მარად მწვანე დედამიწა თავისი წყლითა და ჰერით, ფლორითა და ფაუნით, უმცირესი მიკრობიდან დაწყებული მეგაეკოსისტემებით, გაცხადებული და დაფარული საოცრებებით. ხილული და უხილავი ქმნილებების გრანდიოზულობა, ვის არ აღაფრთოვანებს და არ აღძრავს მათი შემოქმედი ღმერთისადმი უდიდესი მოწიწების, მადლიერებისა და ემოციური კმაყოფილების გრძნობით. ამიტომ თვლიან ოდითგანვე დიდი მოახროვნეები ბუნებას ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად. აქ ნათლად იკვეთება ესთეტიკასა და სულიერობას შორის კავშირი, რაზედაც მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება და აქციოს მოსწავლეთა დაფიქრებისა და განსჯის საგნად, რომ პარალელურად მოახდინოს მათი სულიერობის ამადლებაც.

ფიზიკური აღზრდა თავისი შინაარსითა და ფორმით

ესთეტიკურ აღზრდასთან ლოგიკურ კავშირშია. განსაკუთრებით სპორტის ისეთი სახეობები, როგორცაა: მხატვრული გიმნასტიკა, მსუბუქი ატლეთიკა, ფიგურული სრიალი ყინულზე და სხვა. ფიზიკულტურა და სპორტი მოქნილი და დახვეწილი, გრაციოზული მოძრაობით, გამბედაობითა და თავდაჯერებულობით, სხეულის სილამაზითა და ცხოველმყოფელობით იწვევს აღტაცებას, ესთეტიკურ გრძნობებსა და ემოციებს. სხეულისა და სულის ჰარმონიულობა ესთეტიკური ფენომენია.

ესთეტიკური აღზრდის ეფექტურობას გარკვეულწილად მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინების პრინციპი განაპირობებს, რაც აღზრდის ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის კანონიდან გამომდინარეობს. ყოველ ასაკობრივ პერიოდს თავისებური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების სპეციფიკურობა ახასიათებს, რომლის გაუთვალისწინებლობა აღზრდაში დაუშვებელია.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია კონკრეტული, ხატოვანი აზროვნება, რომელიც ძირითადად შეგრძნებებს ემყარება. ჯერ ეძლევათ ნიმუშ-წარმოდგენები, შემდეგ მარტივი ცნებები. ბავშვი ხატვას რომ იწყებს, ჯერჯერობით არავითარი მიზანდასახულობა არ გააჩნია. ის უაზროდ, მექანიკურად ავლებს რაღაც გაურკვეველ ხაზებს. მაგრამ სისტემატური ვარჯიშის გზით, გარკვეული დროის შემდეგ იცნობიერებს ფერებს, ფორმებს, კონტურებს, სახელს არქმევს თავის ნახატს. ბავშვი აქედანვე ავლენს დაუოკებელი ცნობისმოყვარეობის, მიმბაძველობის, ემოციურობის, შთამბეჭდაობისა და პლასტიკურობის გასაოცარ უნარებს, რაც აუცილებლად გამოყენებული უნდა იქნეს მიზნობრივად პედაგოგიური თვალსაზრისით.

უმცროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უფრო მეტად იზიდავთ არა მხატვრული შემოქმედების შედეგი, რამდენადაც თვით პროცესი. მათ უყვართ რაღაცის კეთება, გამოგონება, დეტალებში კირკიტი. ამის გათვალისწინებით მასწავლებელმა

მოსწავლეებს უნდა შეუქმნას არჩევანის თავისუფლების, ინიციატივის, დამოუკიდებლობის შეგრძნება, რომ თავის საქმეს ჩაუღრმავდეს და დაიხარჯოს ბოლომდე, რომ სასწავლო პროცესიდან უკმარისობის გრძნობა არ გამოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა საქმეს ხელს ვერ მოკიდებს, რაც გამოხატულებას პროულობს სხვა სასწავლო საქმეში უინტერესობაში, სასწავლო ენერჯის დაქვეითებასა და მოწყენილობაში, ან კიდევ წესრიგის დარღვევაში.

მოზარდობის ასაკში მოსწავლეებს ძირითადად ახასიათებთ თვით შეგნების, თვითდამკვიდრების, თვითგამოხატვის მოთხოვნილება. აქ მასწავლებელს ეძლევა საშუალება ესთეტიკური აღზრდის პროცესი გამოადგეს მოსწავლეს თავისი სოციოგენური მოთხოვნების დასაკმაყოფოლებლად. მხატვრული იდეალის შექმნის, სხვადასხვა ესთეტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობის, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების გონივრულად გამოყენების გზით, მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ესთეტიკური შეგრძნებებისა და აღქმის, ესთეტიკურით ტკობის, სილამაზისა და მშვენიერების, ზომიერებისა და წონასწორობის გარჩევის უნარ-ჩვევები.

უფროს სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უკვე განვითარებული აქვთ ესთეტიკური კულტურის გარკვეული დონე. უწყვეტობა-წყვეტადობის უზოგადესი კანონის თანახმად, უკვე მიღებული ესთეტიკური ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით უნდა წარმართოს ესთეტიკური აღზრდის პროცესი მათი ასაკობრივი მდგომარეობის შესაბამისად. ამ ასაკში მათ უკვე ამოძრავებთ სოციალური და პროფესიული მოტივები და შესაბამისად, უფრო აინტერესებთ ადამიანისა და ყოფაქცევის ესთეტიკა, რომ ადვილად მოახერხონ ადაპტაცია ახალ სოციალურ გარემოსთან, საზოგადოებასთან, ადამიანებთან.

ესთეტიკური აღზრდა წარმოადგენს პედაგოგიური პროცესის ერთერთ სისტემას, რომელშიც სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები მოყვანილია შესაბამისობაში ესთეტიკური აღზრდის მიზნის მისაღწევად. ეს სისტემა მოიცავს მთელ პედაგოგიურ

პროცესს. ეს იქნება საკლასო-საგაკვეთილო თუ კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასაწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა. თითოეული რგოლი იყენებს სპეციფიკურ პედაგოგიურ ფორმებსა და მეთოდებს.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ცალკე სასწავლო საგანი არ არის, მაგრამ ყველა სასწავლო დისციპლინა მოიცავს ამის პოტენციურ შესაძლებლობას. განსაკუთრებით კი ხელოვნების დარგები, როგორცაა: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, ხატვა და ხელოვნების ფაკულტატური კურსები. რომლის გამოყენების ყველაზე ოპტიმალური პირობები გააჩნია საკლასო-საგაკვეთილო სისტემას. ოღონდ მთავარია საგანთა სწავლების ესთეტიკური პოტენციალის განსაზღვრა ესთეტიკური განათლების თემატური სისტემის მიხედვით. ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება ხელოვნების დარგების სწავლების პროცესში. განსაკუთრებით ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვისას. ესთეტიკური განათლების ძირითადი დანიშნულებაა ესთეტიკის საგნის, ცნებების, კატეგორიების, ესთეტიკურის ნიშან-თვისებების, სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური მიმართება, როგორც მშვენიერებისა და ხელოვნების არსებობისა. სინამდვილესთან ადამიანის მიმართებები მრავალფეროვანია: ფიზიკური, ბიოლოგიური, პრაქტიკულ-გარდაქმნითი, რწმენითი (უხილავის შეგრძნება), პრაგმატულ-უტილიტარული, ზნეობრივ-სოციალური, თეორიულ-შემეცნებითი, ესთეტიკური და სხვა. მიმართება ყოველთვის ორ მხარეს გულისხმობს. ეს არის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა და ამ ურთიერთობებში მშვენიერებისა და სილამაზის ობიექტურად არსებობის გამო ყოველთვის შეიძლება ესთეტიკურის დანახვა მხოლოდ სუბიექტის ესთეტიკური კულტურის, ესთეტიკური გემოვნების არსებობის შემთხვევაში. მშვენიერებისა და ლამაზის ობიექტურად არსებობა რეალური სინამდვილის თვისებაა, რადგან ჰარმონია და რაც მასში იგულისხმება: წესრიგი, სიმეტრია, პროპორცია, რიტმი, რითმი, ტემპი და ა. შ. სამყაროს არსებობის წესია. არსებობის ბუნებრივი კანონზომიერებაა. კანონზომიერებას ვერაფერს წაუვა, წინააღმდეგ

შემთხვევაში, უმაღლესი სასამართლო უწყისებებს ქაოსი, ანარქია, უწესრიგობა, დისბალანსი, უზნეობა, სიმახინჯე, კატასტროფა და ა. შ. და ეს მაშინათვე ხდება ცნობადი შედარების მეთოდით, რადგან კონტრასტი უმაღლესი შეიმჩნევა. მშვენიერება და სიმახინჯე, ამაღლებული და მდაბიური, უმანკოება და გარყვნილება, სიმართლე და სიცრუე, სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბოროტება . . . აბა, რომელია სიამოვნებისა და უსიამოვნების მომგვრელი, ბედნიერებისა და უბედურების წყარო?

რა არის კომიკურში და მით უმეტეს ტრაგიკულში ესთეტიკური? თუ მათში სუბიექტი ვერ შენიშნავს ესთეტიკურს, ხელოვნების ასეთი ნიმუში მისთვის მხოლოდ შემეცნებისა და სენტენციების სფეროში, ესთეტიკური გრძნობებისა და ემოციების მიღმა რჩება, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოვკრჩხეს ის ფაქტიც, რომ შეიძლება ობიექტი ყოველთვის არ იყოს ესთეტიკური და სუბიექტი არაფერ შუაში იყოს. მაგრამ ესთეტიკური კულტურის მატარებელი ადამიანი ამასაც ადვილად შეამჩნევს და ობიექტი ნაცვლად ესთეტიკურისა, სამართლიანი კრიტიკის სამიზნედ იქცევა.

ხელოვნების სფეროში რეალურის პარალელურად განზოგადოებული ახლი მხატვრული რეალობის შექმნის მხატვრული ხერხების: პოეტური ენა, სტილი, სახე, ტიპი, პოეტური და სინტაქსური ფიგურები, ტროპები, ლიტერატურული რემინისცენციები, ლექსთწყობის ძირითადი ფორმები და ა. შ. ესთეტიკისა და ესთეტიკურის ის თეორიული საფუძვლებია, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ლიტერატურული ნაწარმოების მშვენიერების, მისი ესთეტიკურობის გაგება. ასეთი მიდგომა განზოგადებადია ხელოვნების სხვა დარგებისთვისაც. აქედან გამომდინარე, ესთეტიკის ზოგადი საფუძვლების, მისი თეორიული ელემენტების ათვისება ესთეტიკური აღზრდის პირველი და მნიშვნელოვანი ამოცანაა. მშვენიერების სამყაროში შესვლის პირველი და აუცილებელი ნაბიჯია აღსაზრდელობისთვის.

ხელოვნების ციკლის საგანთა სწავლების პროცესი იძლევა

საშუალებას ესთეტიკის თეორიის ელემენტარული ცოდნის მიღებისა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ესთეტიკურის აღქმის უნარის, ესთეტიკური გემოვნების განვითარება მხოლოდ ესთეტიკის თეორიის საფუძვლების ცოდნით არ შემოიფარგლება. რადგან ესთეტიკური ფენომენი ესთეტიკური გრძნობებისა და ემოციების სფეროა. ამიტომ ესთეტიკური აღზრდა თვით ხელოვნების ნიმუშებზე, ბუნებრივ გარემოზე, ყოფა-ქცევაზე უშუალო დაკვირვების, უშუალო შეგრძნებებისა და აღქმების მეთოდებით უნდა წარიმართოს. თეორიას არასოდეს არ შეუძლია იმ ესთეტიკური გრძნობებისა და ემოციების გამოწვევა, როგორც ეს ძალუძს თვით ესთეტიკურის ობიექტს. ინფორმაციათა 80% თვალის, მხედველობის მეშვეობით მიეწოდება ცნობიერებას და ქმნის შთაბეჭდილებებს. მაგალითად, აყვავებული ვაშლის ხე! არ შეიძლება ბუნების ამ საოცრებამ, მისმა სილამაზემ ფერების, ფორმების, ზომების, განლაგების ჰარმონიულობამ მნახველში არ გამოიწვიოს აღფრთოვანება, მოწონება, სიმოწონება; მისი არსის, მისი პრაქტიკული ღირებულების გაცნობიერებამ არ შეგვაგრძნობინოს მისი მშვენიერება და ესთეტიკური ტკობის განცდა, რაც ლოგიკურად უკავშირდება ზნეობრიულს – მოვლა, დაცვა, ზრუნვა; სულიერობას – ყოვლის შემოქმედი ღმერთის სიბრძნის, გონიერების, სიყვარულისა და ძალის გრანდიოზულობის შეგრძნებასა და მისადმი მოწიწებასა და მადლიერებას.

საბუნებისმეტყველო ციკლის საგნების სწავლების პროცესში მისი ესთეტიკური პოტენციალის ოსტატურად გამოყენება, ბუნების განვითარების ობიექტური კანონებისა და კანონზომიერებათა შესწავლა, ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგანპირებულობების ჰარმონიულობის დანახვება უზრუნველყოფს მოსწავლეებში ესთეტიკური მსოფლმხედველობის ფორმირებას, ესთეტიკური კულტურის ამაღლებას.

ამ პროცესს აძლიერებს, აღრმავეს და განამტკიცებს



კლასგარეშე პედაგოგიური სისტემების მიზნობრივად, ამ მიმართულებით გამოყენება. მაგალითად, თემატური საუბრები, დისკუსიები, ექსკურსიები, სკოლისა და საკლასო ოთახების გაფორმებაში მონაწილეობის მიღება, თეატრებში სექტაკლებზე, ფილმებზე დასწრება და განხილვა, პოეზიისა და მხატვრული თვითშემოქმედებითი სადამოების მოწყობა, ამ უსასრულო და მრავალფეროვან სამყაროში დასანახის დანახვება, მოსასმენის მოსმინება, დასაყნოსის დაყნოსვა, დაგემოვნება, შეხებები და ა. შ. ეს პროცესი რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია შეგრძნებები და შთაბეჭდილებები, რაც ესთეტიკური აღზრდის საყრდენს წარმოადგენს.

პედაგოგიურ პროცესში მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის კულტურა, კომუნიკაბელურობის სტილი და ხარისხი განაპირობებს თანამშრომლობის ეფექტურობას. პედაგოგიური თანამშრომლობის გარეშე კი პედაგოგიური პროცესი შემდგარი არ არის. როგორც მარცვლის გარეშე წისქვილი ტრიალებს და არ ფქვავს. ურთიერთობის მთავარი იარაღი კი, როგორც მოგეხსენებათ, ეს არის მეტყველება. მეტყველების უნარი ღვთიური ძღვენია, მეტყველების კულტურა კი მეცნიერებით შეფერადებული. პედაგოგიკის ფუძემდებელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ სიტყვა თაფლს შეადარა. როგორც თაფლი წარმოადგენს უამრავი ყვავილის წვეთთა ერთ შენაერთს, ასევეა სიტყვაც, ისიც უამრავ მეცნიერებათა კარგად ათვისების შედეგად მიიღება. სიტყვა ზეპირი, სიტყვა წერილობითი! კვინტილიანეს მიხედვით, სიტყვა თავისი ღირსებებით: სისწორე, სიცხადე და სილამაზე გამოითქმის ერთი უმშვენიერესი ცნებით – მჭევრმეტყველება. გაკვეთილი რომ მოსწავლეთათვის ესთეტიკური აღსაქმელი იყოს, მასწავლებელი, როგორც ორატორი, მეტყველების კულტურის უმაღლეს ფორმას – მჭევრმეტყველებას უნდა ფლობდეს. ვინ არ იცის, რომ აზრიანი, ლაკონური, ლოგიკური, ფრთიანი სიტყვა, თავისი გამოთქმისა და წარმოთქმის

ატრიბუტებით, როგორ დამატყვევებელ ზემოქმედებას ახდენს

მსმენლის გრძნობებსა და ემოციებზე და აღწევს მიზანს. მჭევრმეტყველებას მუდამ თან ახლავს პარალელები, მეტეფორები, ეპითეტები, ფრთიანი გამოთქმები, აფორიზმები, ანდაზები, გონებასახვილური და კეთილი ხუმრობები, ტონი, მიმიკა, ინტონაცია, დიქცია, მახვილი, პაუზა, მგზნებარება, კეთილმოსურნეობა და ა. შ.

სიტყვის სიდიადეს გულისხმობდა დიდი შოთა თავის ცნობილ აფორიზმში: “გველს ხერედიდან გამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი.” პერიკლე, დემოსთენე, ციცერონი, სენეკა სასწაულებს ახდენდენ მსმენელებზე თავიანთი გამოსვლებით. სენატის ერთერთ სხდომაზე ციცერონმა კატილინას ასე მიმართა: “რაკილა სახელმწიფოს მართვაში მე სიტყვის ძალას ვეყრდნობი, შენ კი იარაღს, ამიტომ ჩვენს შორის კედელი უნდა აღიმართოსო” (პლუტარქეს რჩეული ბიოგრაფიები. თბ., 1975, გვ. 598). აპოლონიოსმა ერთხელ ციცერონს სთხოვა სავარჯიშო სიტყვა ბერძნულად წარმოეთქვა. ციცერონიც ხალისით დაეთანხმა, აპოლონიოსი შეცდომებს ასე უკეთ გამისწორებსო. მისი გამოსვლით აღფრთოვანებული მსმენელები მის ქებაში ერთანეთს ეცილებოდნენ, აპოლონიოსი კი იჯდა ჩაფიქრებული და ხმას არ იღებდა. ციცერონს ეწყინა, იფიქრა, არ მოეწონაო. მაშინ აპოლონიოსმა ასე მიმართა: “მე, ციცერონო, გაოცებული ვარ შენი ხელოვნებით და გაქებ კიდევაც, მაგრამ ელადის ბედს დავტირი; აშკარად ვხედავ, რომ შენი წყალობით რომაელთა ხელში გადადის განათლება და მჭევრმეტყველებაც, ეს ერთადერთი უპირატესობა, რაც დღესდღეობით მრავალ მშვენიერებათაგან შემოგვრჩაო” (იქვე, გვ. 586-587).

აღზრდის საყოველთაობისა და პერმანენტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ესთეტიკური აღზრდა, როგორც წესი, მხოლოდ სპეციალური პედაგოგიური ღონისძიებებით არ წყდება. გარდა პედაგოგიური ზემოქმედებისა, ბავშვი განიცდის უამრავ გათვალისწინებულ თუ გაუთვალისწინებელი სიტუაციების გავლენას, მაგრამ განუსაზღვრელია ოჯახის როლი. შეუცვლელი, მყუდრო, უსაფრთხო, ნათესაური კავშირითა და სიყვარულით

გაერთიანებულ ადამიანთა გარემოცვა საუკეთესო ბუნებრივი ადგილია აღსაზრდელში ესთეტიკური გრძნობებისა და ემოციების გამოვლინებისა და განვითარებისათვის. ოჯახური ჰარმონიულობა,

გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური – განვითარება, სხეულისა და სულის ჰარმონიული სრულყოფა.

## თემა XV. ფიზიკური აღზრდა

საკითხები:

1. ფიზიკური აღზრდის არსი და მიზანი;
2. ფიზიკური აღზრდის როლი ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირებაში;
3. ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური საშუალებები;
4. ფიზიკური აღზრდის მორალური და ესთეტიკური ასპექტები.

კაცობრიობის ისტორიაში დასაბამიდან დღემდე აღზრდის უმაღლეს იდეალად სხეულისა და სულის ჰარმონიული სრულყოფა ითვლება. ბიბლიური დებულება “ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში” დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას. ღვთისმეტყველები ადამიანის სხეულის სილამაზე და მშვენიერება მუდამ წარმოადგენდა ხელოვანთა მუხის წყაროს, რასაც მოწმობს ხელოვნების ის შედეგები – ზოგადკაცობრიულ – განზოგადოებული მხატვრული რეალობა ადამიანის სხეულის რეალური სილამაზისა. როგორცაა: ლაოქარესის ქანდაკება “აპლონ ბელვედერელი,” პრაქსიტელის “აფროდიტე,” მიქელანჯელოს 4.20 მეტრიანი მარმალის ქანდაკება “დავითი,” ბოტინელის ნახატი “ვენერას დაბადება”, ტიციანის “ვენერა ურბინოელი,” ჯორჯონეს “ვენერა”, რუბენსის “ვენერა და აღონისი” და ა. შ. პედაგოგიკის კლასიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ფიზიკურ აღზრდას. ჟან-ჟაკ რუსო აღზრდის უპირველეს ამოცანად თვლიდა ფიზიკურ აღზრდას, ბავშვის ფიზიკურ სიჯანსაღეს, სხეულის ჰარმონიულ განვითარებას, სიძნელის გადალახვის უნარს. ფიზიკური აღზრდის სპარტანულ მეთოდს ანიჭებდა უპირატესობას, მისი აზრით, ბავშვმა იმთავითვე უნდა განიცადოს ცხოვრების სიმწარე, რომ დიდობისას წინააღმდეგობები ადვილად დაძლიოს. “ არც

საბავშვო – წერს რუსო – ქუდი, არც ბორბლებიანი კალათი, არც ეტლი, არც მაშველი ღვედები. მე არათუ ვეცდები დავიცვა ემილი დაცემისაგან, არამედ, პირიქით, ძალიან უკმაყოფილო ვიქნები, თუ მას არასოდეს ეტკინება რამე, თუ ისე გაიზრდება, რომ არ ეცოდინება რა არის ტკივილი და ტანჯვა” (“ემილი ანუ აღზრდის შესახებ”). ფიზიკური აღზრდის პესტალოცისეული კონცეფცია გულისხმობს ბავშვის ფიზიკური თვისებების ერთდროულად, ჰარმონიულად განვითარებისათვის აუცილებელი პირობების გათვალისწინებას. ფუნქციონალური მოძრაობებიდან გამომდინარე, ბავშვის აქტივობას, მოუსვენრობასა (კარგი გაგებით) და სიცვლქეს განვითარების მემკვიდრეობით მიღებული ტნდენციების ბუნებრივ გამოვლინებად თვლის და მოითხოვს თამაში მისი ფიზიკური განვითარებისთვის მიზანმიმართულად იქნეს გამოყენებული, რადგან “იგი სხვა არ არის რა, თუ არა გამოღვიძება ახლად ჩამოყალიბებული ცხოველისა, რომელსაც უნდა გახდეს ადამიანი”. ილია ჭავჭავაძის აზრით, “. . . კაცს ტანი და აგებულებაც აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თავისთა რჩეულთა” (ი. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწერები, ტ. 4. გვ. 228). იაკობ გოგებაშვილი პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტად ფიზიკურ აღზრდას მიიჩნევდა. გოგებაშვილი ფიზიკურ ვარჯიშებს, სპორტულ თამაშებს ფიზიკური გაჯანსაღებისა და გაკეთილშობილების საუკეთესო საშუალებად თვლიდა. “ამის შედეგად –წერს დიდი იაკობი – აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი . . . შემცირდა აგრეთვე დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ; ძლიერ ამადლდა მოსწავლეთა წარმატება” (ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 39-40). პლუტარქე აღნიშნავს, რომ ციცერონს კუჭის პრობლემა ჰქონდა თურმე და ამის გამო ძალიან გამხდარი და ძალაგამოცლილი ყოფილა, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით ისე გაიკაჟა ჯანმრთელობა, რომ როცა სიტყვით

გამოდოდა, ხმის სიძლიერის გამო კედლები ზანზარებდაო. დეტის უნიკალური ქმნილების, ადამიანის ბიოლოგიური აგებულების სტრუქტურაში ჩვენ ვერაფერს შევცვლით. ფიზიკურ აღზრდას ისღა შეუძლია მხოლოდ, რომ ორგანიზმის ზრდასა და თანდაყოლილი ფუნქციონალური მოძრაობების სწორად, ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებას, ჯანმრთელობას, შრომისა და თავდაცვის უნარიანობას, ხალისიან და აქტიურ ცხოვრებას წესის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

ფიზიკური აღზრდის უპირველესი ამოცანაა აღსაზრდელის სპეციალური ცოდნით შეიარაღება ადამიანის ბიოლოგიური და ფიზიკური დეტერმინანტის, სხეულის ნაწილების ფუნქციონალური მოძრაობებისა და სხვა ფიზიკური თვისებების: ძალა, სისწრაფე, სიჩქარე, სიმარჯვე, წონასწორობა, გამძლეობა, მოქნილობა და სხვა უნარების გამოვლინება-განვითარების, ფიზიკური კულტურის პიროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის, ასევე ფიზიკური განვითარების პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების შესახებ. მოკლედ, ყოველივე ის, რაც ფიზიკური განათლებისა და შეგნების ცნებებში მოიაზრება და რასაც ინფორმაციული ხასიათი გააჩნია. ე. ი. ფიზიკური განათლება ფიზიკური აღზრდისა და სრულყოფის მეცნიერული საფუძვლების, პედაგოგიური სისტემების, კომპონენტების და საშუალებების, საზოგადოებრივი ღირებულებებისა და დანიშნულების სრულყოფილი ცოდნაა.

ფიზიკური აღზრდის პრაქტიკული მხარე გულისხმობს ფიზიკური კულტურით დაკავებას, ფიზიკურ ვარჯიშებში სისტემატიურ მონაწილეობას.

ფიზიკურ აღზრდა დიალექტიკურ კავშირშია აღზრდის სხვა კომპონენტებთან. როგორცაა: გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი, შრომითი, ესთეტიკური და ჰიგიენური აღზრდა. ფიზიკულტურულ მეცადინეობებზე მონაწილეობა ამადლებს ორგანიზმის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, გონებრივ და ფიზიკური შრომის უნარებს, ზნეობრივ და ესთეტიკურ კულტურას,

სულიერობას, სპეციფიკურ ინტელექტუალურ თვისებებს – აზროვნებას, საზრიანობას, დაკვირვებულობას, განსჯის უნარიანობას; განამტკიცებს ნებისყოფას, ასრულებს განმავითერებელ ფუნქციებს სპეციალური და საერთო განათლების საფუძველზე.

ფიზკულტურული მეცადინეობები, ვარჯიშები მოითხოვს ურთიერთობების კულტურას, ქცევისა და მოქმედების ნორმებსა და წესებს, რაც აიძულებს მოსწავლეს ზნეობრივი შეგნებისა და ზნეობრივი მოქმედების უნარ-ჩვევების დაუფლების აუცილებლობაში. ფიზიკური აღზრდის პროცესში წარმოიშება სხვადასხვა სიტუაციები, მათ შორის კონფლიქტურიც, რომელიც ცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, ადამიანებისა და თვით საკუთარი თავისადმი. აჩვენებს დადგენილი და ნებაყოფლობით მიღებული წესებისა და ნორმებისადმი პირადი ინტერესების კოლექტივისა და სპორტის ინტერესებისადმი დაქვემდებარებას, თვითფლობას, დისციპლინას, პატიოსნებას, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი გაფრთხილებას, სწავლის, შრომისა და დასვენების რეჟიმს. მისი მოქმედების პროგრამად იქცევა თავისი ფიზიკური შესაძლებლობების ნაყოფიერ შრომაში და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში გამოყენება; სიკეთისკენ სწრაფვა და ბოროტების სიძულვილი; მუდმივი მზაობა ეროვნული და სპორტული ღირსების დასაცავად; იყოს ინტერნაციონალიზმის – ხალხთა მეგობრობის და მშვიდობის იდეების თავდადებული დამცველი; თავისი ფიზკულტურული ცოდნა-გამოცდილების სხვისთვის გამოზიარებელი; მეტოქეებთან ღმობიერი; თავის წარმატებაში სხვისი წვლილის დამფასებელი; ზნეობრივი და სამართლებრივი კანონების პატივმცემელი; თავისი მოვალეობების პირნათლად შემსრულებელი.

ფიზიკურ აღზრდას და სპორტულ მიღწევებს მაშინ აქვს საზოგადოებრივი ღირებულება, როცა ის დადებით გავლენას ახდენს აღსაზრდელებში კეთილშობილური თვისებების განვითარებასა და სულიერობის ამაღლებაზე. ადამიანის სხეულის

საოცრების, მისი განუსაზღვრელი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაცნობიერების საფუძველზე მოსწავლის მიერ პიროვნების ღვთის უნიკალურ ქმნილებად აღქმა და ყოვლისშემოქმედისადმი რწმენის, მადლიერების გამოვლინება არის სულიერობის არსი.

ფიზიკურ და შრომით აღზრდას საერთო ის აქვთ, რომ ორივე საჭიროებს ერთნაირ ფიზიკურ მოძრაობებს. განსხვავება მხოლოდ შედეგებშია. ფიზიკულტურული მოძრაობების შედეგია ახალი თაობის შრომისა და თავდაცვისათვის მომზადება, შრომისა კი – სულიერი და მატერიალური ღირებულებათა შექმნა. სამოდრო აპარატის განვითარება უზრუნველყოფს შრომითი საქმიანობის სისწრაფესა და სიზუსტეს, ტემპს, რიტმს, მოძრაობის ამპლიტუდას, მაქსიმალურ ძალისხმევას, გამძლეობასა და მოქნილობას, ყველა იმ თვისებებს, რაც აუცილებელია შრომითი საქმიანობისათვის. ფიზიკულტურული და სპორტული მეცადინეობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ შრომისმოყვარეობა და შრომითი უნარ-ჩვევები. სპორტული მიღწევები დიდ ძალისხმევასთან, მუხლჩაუხრელ შრომასთან არის დაკავშირებული, მაგრამ “რაც უფრო მძიმეა გზა, მით უფრო დიდია სიხარული მიხი დასასრულისა, გამარჯვებისა”(ა. ციბაძე, სპორტი და ხალხთა მეგობრობა. თბ. 1973, გვ. 20).

ფიზიკური აღზრდის პროცესი, სპორტული მიღწევები და გამარჯვებები დაკავშირებულია ესთეტიკურ გრძნობებთან, სასიამოვნო ემოციებთან, რაც ესთეტიკურ აღზრდასთან მისი კავშირით აიხსნება. სხეულის სწორი მოხდენილი, პროპორციული აღნაგობა, ჰარმონიული შესატყვისობა, მსუბუქი მოძრაობა, პლასტიკური გამომსახველობა და სხვა მომნიბლავობა იწვევს ესთეტიკურ გრძნობებს, დადებით ემოციებს, სიამოვნებას, და, რაც მთავარია, სიხარულსა და კმაყოფილებას გერის იმის განცდა, რომ ფიზიკური კულტურა ხელს უწყობს ჯანმრთელობას, ფიზიკური სრულყოფილების იდეალის მიღწევას.

ესთეტიკური ტკბობის საფუძველს იძლევა აგრეთვე ესთეტიკურად გამართლებული ის გარემოპირობები, სადაც



ტარდება ფიზიკულტურული მეცადინეობა, ადგილის გაფორმება, ჰიგიენური ნორმების დაცვა, შესაბამისი მუსიკალური ფონი, სიმღერები, ცეკვები, კინოფილმები და ა. შ. შეიძლება სპორტული მოძრაობები ზუსტად თეორიის მიხედვით სრულდებოდეს, მაგრამ არ იყოს ესთეტიკის ობიექტი. პროცესს ჰარმონიულობა, გრაციოზულობა ბუნებრიობა, სიმსუბუქე, რიტმულობა, მხატვრული გამომსახველობა, ქარიზმატულობა სძენს ესთეტიკური ზემოქმედების ძალას. ფიზიკულტურის მშვენიერება განისაზღვრება ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული ერთიანობით, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებებით.

ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირების პოტენციული განუსაზღვრელია ფიზიკულტურული და სპორტული მეცადინეობის პროცესში, თუ ჯეროვანი ყურადღება ექცევა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ფიზიკური აღზრდა მიმართულია ორგანიზმის მორფოლოგიურ-ანატომიური და ფუნქციონალური სრულყოფის, ავადმყოფობის პრევენციისა და ჯანმრთელობის დაცვის იმუნიტეტის ამღლებისაკენ. ადამიანის სენსორულ-მოძრაობითი უნარების განვითარება განპირობებულია ყველა ფიზიკური თვისებების – ძალა, სისწრაფე, სიჩქარე, მოქნილობა, ამტანიანობა, გამძლეობა, სრული და ჰარმონიული განვითარებით. ამ მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა სპეციალური ცოდნა-გამოცდილება და უნარ-ჩვევები. სასიცოცხლო მნიშვნელობის მოძრაობათა პოტენციური უნარების (სიარული, სირბილი, ხტომა, ცურვა, ტყორცნა, თხილამურებით სრიალი, ჭიდაობა) განვითარებას უზრუნველყოფს შესაბამის მოძრაობებში გამუდმებული ვარჯიში. ეს ფუნქციონალური მოძრაობები ერთიმეორეს ავსებენ და იძენენ ისეთ ჩვევებს, რაც აუცილებელია ყოველდღიურ შრომით საქმიანობაში და მით უმეტეს სპორტულ აქტივობაში. ფიზიკური აღზრდა ასევე ემსახურება ფიზიკულტურისადმი ინტერესისა და მოთხოვნილების გამომწვევას. ჯანმრთელი ცხოვრების წესი

გულისხმობს პიროვნების მუდმივ შინაგან მზაობას ფიზიკური თვითგანვითარებისათვის. ბავშვი ბუნებით მოძრავია და აქტიური და ამაში ვლინდება მისი ფიზიკური განვითარების ტენდენცია, როგორც თანდაყოლილი უნარი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პედაგოგიურ პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლამ და ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მისი განვითარებისათვის შესაბამისი მიზანმიმართული პედაგოგიური პირობები, რაც თავის მხრივ ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, ფსიქიკური ძალების განმტკიცებას. ფიზიკური ვარჯიშების პროცესში მიღებული სიამოვნება, კმაყოფილება და სიხარული მოსწავლეში იწვევს ფიზიკულტურით გატაცებას და მის ჩვევაში განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, ფიზიკური აღზრდის სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ფიზიკური ვარჯიში, ბუნებრივი და ჰიგიენური ფაქტორები. ფიზიკურ ვარჯიშში შედის გიმნასტიკა ანუ ტანვარჯიში, თამაშები, ტურიზმი, სპორტი. ფიზიკური ვარჯიშები დადებით გავლენას ახდენენ კუნთების, ტანის ძვლოვან საყრდენი აპარატის, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ორგანიზმის განვითარებაზე, ნივთიერებათა ცვლის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე ფსიქიკის, ინტელექტის, გრძნობებისა და ნებისყოფის სრულყოფაზე.

გიმნასტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სასწავლო გეგმაში. გიმნასტიკის სპეციალური სკოლებიც კი არსებობდა. ფიზიკური ვარჯიშის ამ სახეობას გააჩნია ორგანიზმის მთლიანი და ცალკეული ნაწილების ჰარმონიული განვითარების უდიდესი პოტენციალი. მისი პრაქტიკული ღირებულება მისი გამოყენების ხელოვნებაშია. გიმნასტიკის დამახასიათებელი ნიშნებია მოძრაობის გრაციოზულობა, მოხდენილობა, ადეკვატურობა, რაც ესთეტიკურ გრძნობებსა და სასაიამოვნო ემოციებს იწვევს, ხვეწავს და ამალღებს ესთეტიკურ გემოვნებას, ამდიდრებს ესთეტიკურ კულტურას. გიმნასტიკის სახეები: ძირითადი, ჰიგიენური, სპორტული, მხატვრული, მწარმოებლური, სამკურნალო

და სხვა მიზნითა და ამოცანებით განსხვავებული.

თამაში სკოლამდელ ასაკში ძირითადი და სასკოლო ასაკში ნაწილობრივი აქტივობის სახეა. თამაში ფიზიკური, ფსიქიკური და ინტელექტუალურ უნარების გამოვლინებისა და განვითარების ღამაზი, ბუნებრივი და მნიშვნელოვანი საშუალებაა. პედაგოგიურად ორგანიზებულ, მემკვიდრეობით მიღებული ბუნებრივ საწყისებზე დაფუძნებული დიდაქტიკურ თამაშებს დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარების საქმეში. სისხარტე, მოქნილობა, მიხვედრილობა, ინიციატივიანობა, კოლექტივიზმი, მოწესრიგებულობა და ა. შ. ის თვისებებია, რომელთა ელემენტებს თამაშის პროცესში ეყრება საფუძველი.

ტურიზმსაც ფიზიკური ვარჯიშის წიაღში მოიაზრებენ. ტურისტულ ღონისძიებებში მონაწილეობით მოსწავლე იძენს ფიზიკურ წრთობას, გამძლეობის, დროსა და სივრცეში სწორად ორიენტირების, რთულ პირობებში გადაადგილების უნარ-ჩვევებს, მეგობრობის, კოლექტივიზმის, წესრიგიანობის გამოცდილებას. ეცნობა ერის კულტურულ ძეგლებს, მატერიალურ და სულიერ ღირსშესანიშნაობებს, ბუნებასა და გეოგრაფიულ მდებარეობას და ა. შ.

სპორტს ძალიან დიდი ადგილი უკავია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფიზიკური კულტურისგან განსხვავებით, სპორტი ხასიათდება ფიზიკური ვარჯიშის სხვადასხვა სახეობებში მაქსიმალური შედეგის მიღწევით. ამ მიღწევების დასადგენად და გამარჯვებულის გამოსავლენად იმართება სხვადასხვა ღონის შეჯიბრებები. შეჯიბრების აქტი თავის მხრივ დაკავშირებულია სპორტსმენის მაღალი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნებასა და გრძნობასთან. ამიტომ მოსწავლე თავდაუზოგავად ემზადება გამოსასვლელად. ემორჩილება მასწავლებელ-მწვრთნელის მოთხოვნებს, მეცადინეობის რეჟიმს, იძენს ორგანიზებულობის და კონსტრუქციული აზროვნების, მაქსიმალური ძალისხმევის უნარ-ჩვევებს, რაც თანაბრად საჭიროა

ფიზიკური და გონებრივი შრომისათვის. სპორტს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობისა და მშვიდობის საქმეშიც გარკვეული წილი უდევს.

ფიზიკური აღზრდის ბუნებრივი ფაქტორების როლი და მნიშვნელობა განუსაზღვრელია არა მარტო ფიზიკური განვითარების საქმეში, არამედ მას სასიცოცხლო ფუნქცია აკისრია. ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება მზე, ჰაერი, წყალი, დედამიწის მწვანე საფარი ანუ ფლორა. ეს ფაქტორები ბუნებრივად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ ფიზიკური აღზრდის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად აწყობენ სპეციალურ პროცედურებს. მზის სხივების, წყლის აბაზანების, ცურვის, სუფთა ჰაერზე გასეირნების მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ღონისძიებებს.

ფიზიკური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება ასევე ჰიგიენური ფაქტორებიც. მასში იგულისხმება ყოველივე ის, რაც ემსახურება ფიზიკულტურული მეცადინეობის, სასწავლო შრომის ოპტიმალური რეჟიმის, დასვენების, კვების, ძილისა და სხვა ამდგვარ მოქმედებათა ჰიგიენურ უზრუნველყოფას. კეთილმყოფელი გარემოს შექმნა ისე მექანიკურად არ ხდება. ის მოითხოვს პედაგოგიური შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პუნქტუალურ დაცვას. ეს ეხება საჭირო ნაგებობას, რეკონსტრუქციას, სკოლის შენობის, სპორტული მოედნებისა და ოთახების, რეკრეციული და დამხმარე სათავსოების კეთილმოწყობას; ფიზიკური ვარჯიშებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის, დანადგრების, ინვენტარების, სპორტული ტანსაცმლის და სხვა საშუალებების ზომის, წონის, მოხერხებულობის, მოსწავლეთა სქესობრივ, ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ადამიანის სიცოცხლისა და ქმედითუნარიანობაში სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ აქტივობის სახეობათა რიტმულ მონაცვლეობას, დახარჯული ენერჯის აღდგენა-განახლებას. მაგალითად, საკლასო-საგაკვეთილო, კლასგარეშე და თავისუფალი

დროის განაწილება-გამოყენების ნორმატივების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესატყვისობა, აუცილებელი პირობაა პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული და სრულფასოვანი განვითარებისა და აღზრდისათვის; დროისა და სივრცის დიშენსიონებში სწორად ორინტირებისათვის. მაგრამ აქ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს დღის რეჟიმის დიფერენცირება მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების პრინციპის საფუძველზე.

ახლა შევეხებით ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციულ ფორმებს სკოლაში. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად და პრაქტიკულად მიღებული და აპრობირებული ორგანიზაციულ ფორმებია სტაბილურ განრიგს დაქვემდებარებული, მოსწავლეთა ერთნაირი ასაკისა და მომზადების მოსწავლეთა უცვლელი კონტიგენტთან მეცადინეობა, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურული მუშაობა.

აღნიშნულ მეცადინეობის ორგანიზაციულ ფორმათა შორის ძირითადი და სავალდებულო ფორმაა ფიზკულტურის გაკვეთილი. მისი დანიშნულებაა მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ფიზიკური განათლების, შეგნებისა და უნარჩვევების მინიმუმის დაუფლება. ფიზკულტურის გაკვეთილი ეფუძნება ზოგადპედაგოგიკურ პრინციპებს, მაგრამ გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლებიც განსხვავებული მიზნისა და ამოცანების მიხედვით. ფიზკულტურის გაკვეთილის სტრუქტურული აგებულება თითქმის იგივეა, როგორც სხვა საგანთა გაკვეთილებისა. ისიც შედგება სამი ნაწილისაგან: მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილი. მასამზადებელ ნაწილში შედის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, საგაკვეთილო განწყობილების შექმნა, გაკვეთილის მიზნისა და ამოცანების გაცნობა. ძირითად ნაწილში ადგილი აქვს ძირითადი ვარჯიშების შესრულებას, ვარჯიშის სრულყოფას, ვარჯიშის განმავითარებელი ფუნქციების განხორციელებას, ეს შეიძლება იყოს ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, მოქნილობისა და ა. შ.

მოსწავლეთა ფიზიკური დატვირთვა ხდება თანდათანობით, თანმიმდევრულად მარტივიდან რთულისაკენ გადასვლით და ის თავის პიკს აღწევს გაკვეთილის მეორე ნახევარში, შემდეგ გაკვეთილი გადადის დასკვნით ნაწილში და იწყება ორგანიზმის ფუნქციური დატვირთვის თანდათანობითი შემცირება და გაკვეთილის ბოლოს უბრუნდება საწყის მდგომარეობას.

ფიზკულტურის გაკვეთილზე იყენებენ მცადინეობის შემდეგ დამხმარე ფორმებს: კლასის, გუნდის, სექციის, ასევე ფრონტალურს, ჯგუფურსა და ინდივიდუალურს.

ფიზკულტურის გაკვეთილს მიმართულების მიხედვით ყოფენ შემდეგ ტიპებად: ზოგადი ფიზიკური მომზადების, სპორტულ-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადების პროფესიონალ-გამოყენებითი ტიპის გაკვეთილი.

ზოგადი ფიზიკური მომზადების ტიპის გაკვეთილი ტარდება ნებისმიერი ასაკის ადამიანებთან – სკოლამდებთან საბავშვო ბაღში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, მოზრდილთა ფიზიკური მომზადების ჯგუფებში და მას გამაჯანსაღებელი, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია.

სპორტულ-საწვრთნელი ტიპის გაკვეთილი ტარდება სპორტის არჩეულ სახეობაში და ემსახურება მის სრულყოფილად ათვისებას, შეჯიბრებისათვის მომზადებას და გამარჯვებისათვის ბრძოლას.

პროფესიონალ-გამოყენებითი ტიპის გაკვეთილი ტარდება მოზარდებთან, ჭაბუკებთან და მოზრდილებთან. ამ ტიპის გაკვეთილებისთვის ნიშანდობლივია გამოყენებითი მოძრაობითი მოქმედებების სწავლება და პროფესიონალური შრომითი საქმიანობისთვის საჭირო მოძრაობების ადეკვატური უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო საქმიანობისა და შინაარსის მიხედვით გამოყოფენ აგრეთვე გაკვეთილთა შემდგ სახეებს: ახალი მასალის ათვისების, განმტკიცების, საკონტროლო და შერეული ტიპის გაკვეთილებს. პირველი სახის გაკვეთილი ახალი ვარჯიშის შესწავლასა და მის კორექციას ეთმობა მთლიანად, ხოლო სრულყოფისა და განმტკიცების გაკვეთილი ეთმობა მაღალი რანგის

სპორტსმენებთან მეცადინეობას, მაქსიმალური დონის მიღწევას. საკონტროლო ტიპის გაკვეთილი, ჩვეულებრივ, ეთმობა სპორტულ შეჯიბრებას, ან შეჯიბრებისათვის მზადებას, სადაც ხდება წარმატებისა და ნაკლოვანების, მიღწეულისა და მისაღწევის დადგენა და სათანადო კორექციული ზომების გატარება.

ფიზკულტურის გაკვეთილი ტარდება სხვადასხვა ადგილებში: საშუალო და უმაღლეს სკოლებში, ღია ცის ქვეშ, სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში, ბუნებაში და ა. შ.

ყველა მიმართულებისა და ტიპის გაკვეთილებისათვის მასწავლებელი საგანგებოდ ემზადება, ადგენს სილაბუსებს ანუ გეგმა-კონსპექტს, წინასწარ განსაზღვრავს გაკვეთილისთვის აუცილებელ ადტურვილობას, სასწავლო ტექნიკურ და დიდაქტიკურ მასალებს და ფსიქიკურად, ინტელექტუალურად, მორალურად, ემოციურად შემზადებული ატარებს გაკვეთილებს მოსწავლეებთან ერთად შემოქმედებითად.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მჭიდრო კავშირშია კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ მეცადინეობებთან, რაც ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვას მასებში ჯანმრთელობისა და აქტიური დასვენების მიზნით. კლასგარეშე პედაგოგიურ სისტემაში ჩამოყალიბებულია ფიზკულტურის წრეები და სპორტული სექციები, ეწყობა თამაშები, შეჯიბრებები, ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები, სპორტიული დღესასწაულები და სპარტაკიადები, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მოხალისე მშობლები. კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პედაგოგიურ პრინციპს. აქ ერთიანდებიან მოსწავლეები ინტერესის, მიდრეკილებების, ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების მიხედვით არჩევანისა და ინიციატივის თავისუფლებით. სწორედ, აქ ეძლევათ მოსწავლეებს მთელი თავიანთი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინების საშუალება. სკოლაში წარმატებული მოსწავლეები სპორტული დაოსტატების მიზნით გადადიან სკოლისგარეშე

სპორტულ დაწესებულებებში: ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში, სპორტის სასახლეში, ბავშვთა ტურისტულ სადგურებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, სპორტულ ბაზებში, არაფორმალურ სპორტულ საზოგადოებაში, ქალაქისა და მის გარეთ სპორტულ ბანაკებში არჩეული სახეობის მიხედვით. შრომისმოყვარე და ბეჯითი სპორტსმენები აღწევენ არნახულ წარმატებებს, უფლებიან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს და მთელ მსოფლიოში სახელს უხვეჭენ მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას.

ფიზიკური აღზრდა სკოლაში მიმდინარეობს სკოლის ხელმძღვანელების, მთელი პედაგოგიური კოლექტივის, ოჯახისა და საზოგადოების და, რაც მთავარია, სახელმწიფოსა და ფიზიკულტურისა და სპორტის უწყებების, დეპარტამენტების უშუალო თუ შუალობითი მხარდაჭერით. ამ სისტემათა კავშირების გარეშე ვერც ერთი ფიზიკულტურის მასწავლებელი, გენიოსიც რომ იყოს, ვერაფერს გახდება, მაგრამ აღნიშნულთა მხარდაჭერით მას შეუძლია სასწაულები მოახდინოს.

ფიზიკური აღზრდის საწყის ელემენტებს საფუძველი ეყრება ოჯახში. ადრეულ ასაკში ბავშვის ფიზიკურ განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევენ მშობლები. დაკანკალებენ თავს მის ფიზიკურ ზრდას, ზომას, წონას, ჯანმრთელობას, ფუნქციონალურ მოძრაობას, მის პირველ ფეხის ადგმას, ატიტინებას. მაგრამ როგორც კი სკოლაში წავა, მშობლიური ზრუნვის პრიორიტეტად იქცევა ბავშვის მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა, რაც დაუშვებელია. ამიტომ სკოლამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ოჯახი ღირსეულ მოკავშირედ გაიხადოს. დაარწმუნოს მშობლები, რომ ბავშვის აღზრდა, მათი საერთო საქმეა და ორივე მხარემ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი უნდა გააკეთონ მისი ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, სრულფასოვან პიროვნებად ფორმირებისათვის. მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მათ პედაგოგიზაციას, რომ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ აღზრდის ძირითად და პრინციპულ საკითხებზე.



ფიზიკური აღზრდის წარმატებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ პედაგოგიურ მეთოდებს, რომელიც მოსწავლეებს დაარწმუნებს და აღძრავს აქტივობისაკენ საკუთარი ფიზიკური სრულყოფისა და სოციალიზაციისათვის. ამხრივ, კარგ შედეგებს იძლევა ინფორმაციის, დარწმუნებისა და პირადი თვალსაჩინო მაგალითის მეთოდები.

ამრიგად, თუ გვინდა ჯანსაღი, ხალისიანი, სწავლის, შრომისა და თავდაცვისუნარიანი, ზნეკეთილი და გემოვნებიანი ახალი თაობის მომზადება, მაშინ მათი აღზრდისთვის უნდა იზრუნოს ოჯახმა, სკოლამ, სახელმწიფომ, საზოგადოებამ ერთიანი ძალით და ურთიერთ მხარდაჭერით პედაგოგიკური მეცნიერების მაქსიმალური გამოყენებით.

## თემა XVI. ძნელად აღსაზრდელები

საკითხები:

1. ძნელად აღსაზრდელობის ცნება;
2. ძნელად აღსაზრდელობა ტიპოლოგია;
3. ძნელად აღსაზრდელობის გამომწვევი მიზეზები;
4. ფიზიკური, გონებრივი და მორალური დეფექტების საპრევენციო, საკომპენსაციო და საკორექციო პედაგოგიური საშუალებები;

“ძნელი ბავშვის” ცნება ოფიციალურად XIX საუკუნეში შემოვიდა მეცნიერებაში. სამეცნიერო ლიტერატურაში “ძნელად აღსაზრდელობის” ცნებაში მოიაზრებენ ისეთი კატეგორიის ბავშვებს, რომლებთანაც აღმზრდელ-მასწავლებლებს უძნელდებოდა მუშაობა იმის გამო, რომ ისინი არა ადეკვატურად რეაგირებენ ჩვეულებრივ პედაგოგიურ ზემოქმედებაზე. მათი ყოფაქცევა თანატოლთა ძირითადი მასისაგან ბევრად განსხვავდება.

ძნელად აღსაზრდელობა ტიპოლოგიას ახდენენ მათი ნიშან-თვისებათა მიხედვით, რომელიც თავსდება ორ ძირითად ჯგუფში: ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენურში შედის ისეთი გადახრები, რომელიც მიღებულია გარედან და პერიფერიული ხასიათი აქვს. აქ ძირითადად მორალურ დეფექტებთან გვაქვს საქმე. ხოლო ენდოგენური დეფექტები შინაგანია და რაღაც ორგანულ დარღვევებთან არის დაკავშირებული. ეს შეიძლება იყოს ფსიქიკურ და ფიზიკურ ნაკლთან დაკავშირებული და გონებრივ-ინტელექტუალურ ჩამორჩენილობაში გამოიხატებოდეს. სწავლებისა და აღზრდის ხელისშემშლელ ფიზიკურ ნაკლში იგულისხმება მხედველობის, სმენის, მეტყველების დეფექტები, რომელნიც იწვევენ მეორად დეფექტებს. როგორცაა:

პედაგოგიური ჩამორჩენილობა, აკადემიური ჩამორჩენილობა, ასოციალურობა და ანტისოციალურობა.

ძნელად აღსაზრდელობას დევიანტურობის თვალსაზრისით სამ დონეზე განიხილავენ: ნორმის ქვევით ანუ სუბნორმატიული, ნორმის ზევით ანუ სუპრანორმატიული და საშუალო ანუ დენორმატიული.

ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა განვითარების კანონზომიერებებს, მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხებს კონკრეტულად განიხილავს პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი – დეფექტოლოგია. ეს სპეციალური დარგი პედაგოგიკისა, თავის ობიექტზე ზემოქმედების იარაღებად იყენებს პრევენციას, კომპენსაციას და კორექციას. დეფექტის კატეგორიათა მიხედვით, დეფექტოლოგიას გააჩნა თავისი ქვედარგები ანუ ქვესისტემები. ესენია: ოლიგოფრენოპედაგოგიკა ანუ გონებრივად ჩამორჩენილთა პედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა ანუ უსინათლოთა პედაგოგიკა, სურდოპედაგოგიკა ანუ ყრუმუნჯთა პედაგოგიკა, ლოგოპედია ანუ მეტყველებადაარღვეულთა პედაგოგიკა.

ეგ ზოგენურ დეფექტში შედის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული ნაკლოვანებები. მაგალითად, ბავშვი სრულიად ნორმალურია ფიზიკურად, ფსიქიკურად, ინტელექტუალურად, მაგრამ, მიუხედავად ამის, ის შეიძლება მოხვდეს ძნელად აღსაზრდელთა სიაში, რაც პედაგოგიკოსთა და ფსიქოლოგთა მუდმივი მსჯელობის საგანს წარმოადგენს და შესაბამისად პასუხიც გარკვეულწილად გაცემულია. როცა ბუნებრივი მონაცემების სიჯანსაღის მიუხედავად, ბავშვი პრობლემურია პედაგოგიური თვალსაზრისით, ის შეიძლება მივაკუთვნოთ სუპრანორმატიულ ბავშვთა კატეგორიას. ასეთი ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ავლენენ მაღალ ცნობისმოყვარეობას, შემეცნებით ინტერესს, მაგრამ სავალდებულო, სკოლის საგნები მათ ინტერესმიდმა რჩება და კმაყოფილდებიან თავიანთი ნიჭიერების წყალობით მოსმენილის ადვილად ათვისებით, რომელიც, ასევე ადვილად ეძლევა

დავიწყებას შემეცნების პედაგოგიური პრინციპებისა და მეთოდების – ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისების პრინციპისა და განმეორებისა და ინტენსიური ვარჯიშის მეთოდების უგულვებეყოფის გამო, რაც შეიძლება პედაგოგიურ, ან აკადემიური ჩამორჩენილობის მიზეზი გახდეს; მეორე პრობლემა, რომელიც შეიძლება წამოეჭრას ნიჭიერ ბავშვს, ეს არის თავისი უპირატესობის დემონსტრირება ქვენაზრახვები, უფრო მეტიც, ბოროტად გამოყენება თანატოლებთან, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს კონფლიქტურ სიტუაციას ან გაუცხოვებას; ნიჭიერი ბავშვის ძნელობის მახასიათებელად უმეტეს შემთხვევაში ითვლება მოჭარბებული მოთხოვნილება ყურადღებისა, პირველობისა, დაწინაურებისა, ლიდერობისა და ა. შ. არაობიექტური, გადაჭარბებული თვითშეფასება, რაც ართულებს მასთან ჩვეულებრივ პედაგოგიურ ურთიერთობას.

სუპრანორმატიულ ბავშვებთან ურთიერთობაში თავს იჩენს ასევე მეორე უკიდურესობა. ბავშვი გამორჩეულად ნიჭიერია და აკადემიური მოსწრებაც შესაბამისად ადეკვატური. წარმატებულია ყველანაირ ინტელექტუალურ ღონისძიებებში, ბრწყინვალეა მსჯელობებსა და გამოსვლებში. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა ცოდნის თუ ყოფის სფეროებში. არაკომუნიკაბელურია, უემოციო, მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ პოზიციებში პასიური, ხშირად კონფლიქტურიც, ძუნწი, შურიანი და ეგოისტი, ზედმეტად ინდივიდუალისტიც.

სუპრანორმატიულ ბავშვების განვითარებაში აშკარად გამოკვეთილია დისბალანსი. ერთი უნარი მოზღვავებულად არის განვითარებული სხვა უნარ-თვისებების ხარჯზე და დარღვეულია პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების ობიექტურ კანონზომიერება. ასეთი ტიპის აღსზარდულებში გაცილებით მეტია ანტისოციალურობის რისკი. განსაკუთრებით მაშინ, თუ მან ვერ მოახერხა თავისი ნიჭის პრაქტიკული რეალიზაცია, წარმატებული უნარის მიხედვით დასაქმება. თუ პირიქით მოხდა, წარმატება ვერსად გაექცევა. მაგრამ ცხოვრება ია-ვარდებით როდია მოფენილი სატანა-ეშმაკის მიერ მართულ სისტემაში.

იგი სავსეა ათასი გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობებითა და წარმოდგენელი ბუნებრივი თუ ხელოვნური პრობლემებით და ამ პრობლემების დაძლევის ცალმხრივად განვითარებული ადამიანები ვერ მოახერხებენ. ასეც რომ არ იყოს, რა უფლება გვაქვს, ღვთის ამ უნიკალურ ქმნილებას არ შეუქმნათ საჭირო პირობები სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების ღვთითობიერებული პოტენციური უნარების განვითარებისათვის, არ დავიცვათ აღზრდის ჰუმანურ-დემოკრატიული პრინციპები.

ეგზოგენური წარმომავლობის სუბნორმატიული გადახრილობა პერიფერიული ხასიათისაა და პიროვნულობის მთავრ ბირთვის ვერ აზიანებს. ამიტომ სათანადო მიზანმიმართულ პედაგოგიურ ზემოქმედებას ადვილად ექვემდებარება. ამ კატეგორიის ბავშვებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები: აკადემიური ჩამორჩენილობა, სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობა, აგრესიულობა, ასოციალურობა, ანტისოციალურობა, ქურდობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიძალება, სექსუალური თავშეუკავებლობა, ხულიგნობა, ცინიზმი, აზარტული თამაშები და მრავალი სხვადასხვა სახის უბედურება. ასეთი კატეგორიის ბავშვებზე დაკვირვებამ მეცნიერებს მისცა საფუძველი, აღმოეჩინათ მათში პიროვნული, სოციალურად ღირებული, დაფარული უნარები, როგორცაა: თავისებური კეთილშობილება, რაინდობა, ქურდული, მაგრამ თავისებური ობიექტურობის, ღირსების, სიყვარულის, თავგანწირვისა და გმირობის და მრავალი მსგავსი მომხიბლავი ელემენტები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული მორალური დეფექტი შედეგია არასასურველი გარემოპირობებისა და პედაგოგიური ხელმიშვებულობისა. ზემოქმედების ფაქტორთა ხარისხის პროპორციულია მორალური დეფექტის მანვენებელი.

დენორმატიული გადახრაც შეიძლება იყოს ეგზოგენურიც და ენდოგენურიც. ეგზონორმატიული ანუ გარე ზემოქმედების ფაქტორებით შექმნილი მორალური დეფექტი იმით განსხვავდება სუპრანორმატიულისა და სუბნორმატიული გადახრებისაგან, რომ

დენორმატიულს არც არასდროს გაუხინჯავს სოციალურობისა და მით უმეტეს პროსოციალურობის გემო. საერთოდ, არ ჰქონია ნორმების დადგენისა და გაგების პირობები. ეს ძირითადად ეხება უპატრონოდ დარჩენილ, ქუჩაში მოხეტიალე ბავშვებს.

ამრიგად, ეგზოგენური წარმომავლობის სამივე ტიპის: სუპრანორმატიული, სუბნორმატიული და დენორმატიული გადახრები მთლიანად ექვემდებარება კორექციული პედაგოგიკისა და მოწესრიგებული სოციალური ფაქტორების ზემოქმედებას, მორალური დეფექტის კორექტირებას.

13.8 მსუბუქი ფორმაა დებილობა. ის სირთულის მიხედვით ორგვარია: ნორმასთან მიახლოებული და იმბეცილთან მიახლოებული. პირველი კატეგორიის ბავშვები სპეციალურ სკოლაში სპეციალური პედაგოგიკის ზემოქმედებას გარკვეულწილად ექვემდებარებიან იმდენად მაინც, რომ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, თავის მოვლა და რჩენა, გარკვეული სახის საშუალო სპეციალური პროფესიის ათვისება და მუშაობა. დებილობის არსი, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, შემეცნებითი მოქმედების არასრულფასოვნებაში მდგომარეობს. განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ლოგიკურ აზროვნებას და, საერთოდ, სააზროვნო ოპერაციებს: ანალიზი, სინთეზი, განზოგადოება, სისტემატიზაცია და ა. შ. სამაგიეროდ ეუფლება ეთიკურ ნორმებს, იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ საჭიროებებს. დებილს შეიძლება ფიზიკურად არც ემჩნეოდეს, ან ნაკლებად შესამჩნევი იყოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა კარგი აღზრდის შედეგად.

ბავშვთა გონებრივ ჩამორჩენილობას, მათი სწავლებისა და აღზრდის კანონზომიერებებს, პედაგოგიურ პრინციპებს, შინაარსს, ორგანიზაციასა და მეთოდებს ზოგად პედაგოგიკაზე დაყრდნობით სწავლობს დეფექტოლოგიის ქვედარგი ოლიგოფრენოპედაგოგიკა, რომელიც თავისი მიზნებისათვის იყენებს ფსიქოლოგიის, ლოგოპედიის, პედაგოგიის, ფსიქიატრიის, ანატომიის, ფიზიოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიის და რიგ სხვა მეცნიერებათა სათანადო მონაცემებს.

აღამიანი ზეციერი მამისგან დაჯილდოვებულია ყველა სიკეთესთან ერთად შემეცნების განუსაზღვრელი უნარით, რომელიც არ არსებობს შეგრძნებების გარეშე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძნობის ორგანოებს ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად, ფიზიკურად ჩამოყალიბებული სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. ტვინი – ეს უნიკალური ორგანო საკვებს იღებს გარედან მხოლოდ და მხოლოდ ამ საოცარი “მსტოვრების”: თვალის, ყურის, ცხვირის, პირის ღრუსა და კანის მეშვეობით. როგორც ცნობილია, შემეცნება ემყარება სენსუალიზმის თეორიას, რომლის მიხედვით არაფერია ცნობიერებაში, რაც არ გვექონია შეგრძნებაში. მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოსა და შეხების დეოთიბობებული უნარების გაფრთხილება, მისი მოვლა და დაცვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება პიროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა. ძალიან დიდი დანაკლისია, როცა მათ დეფექტთან გვაქვს საქმე.

მხედველობის დეფექტის ცნებაში იგულისხმება ისეთი ანომალია, რომლის დროსაც საგანთა და მოვლენათა ვიზუალური აღქმა შეუძლებელია, ან უკიდურესად გაძნელებულია. მხედველობის დეფექტს სწავლობს დეფექტოლოგიის დარგი ტიპლოპედაგოგიკა. იგი არკვევს უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის კანონზომიერებებს, პრევენციულ, საკომპენსაციო და საკორექციო საშუალებებს, თვალის სტრუქტურულ აგებულებას, დაზიანების გამომწვევ მიზეზებს და ეძებს გზებს მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

მხედველობის ანალიზატორი, არის მთავარი ინფორმატორი, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის მეშვეობით უკავშირდება და ინფორმაციათა 80% აწვდის ტვინს გარესამყაროს შესახებ. მხედველობის მეშვეობით შეიგრძნობა და აღიქმება ფორმა, ფერი, სიდიდე, სიმაღლე, სიგრძე, სივანე, მოცულობა, რაოდენობა, მდებარეობა, მდგომარეობა,

ურთიერთმიმართებები, სიბნელე, სინათლე, მიმართულება, მოძრაობა, სილამაზე, ხელოვნების მშვენიერება და ა. შ. კითხვა, წერა, ხატვა – მხედველობასთან არის დაკავშირებული. ამრიგად, თვალი ცნობიერების შთაბეჭდილებათა გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. თვალი არა მარტო შეიგრძნობს და აღიქვამს გარესამყაროს, ამავდროულად იგი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვის შეუდარებელი, საკვირველი ქმნილებაა.

სამწუხაროდ, ასეთი ულამაზესი და უნიკალური ორგანო სხვადასხვა მიზეზების გამო ზიანდება და კარგავს თავის საოცარ თვისებას ან ნაწილობრივ ან კიდევ მთლიანად. თვალის ნაწილთა შემადგენლობის სირთულემ, სტრუქტურულმა აგებულებამ და

ფუნქციამ შეუძლებელია გაოცება და მისი შემოქმედისადმი მოწიწებისა და მადლიერების გრძნობა არ გამოიწვიოს. მხედველობის რეცეპტორული ნაწილი და მექანიზმთა ურთულესი სისტემა ურთიერთქმედების საფუძველზე ახდენს სასწაულებს. თვით ანალიზატორი სამ კომპონენტს მოიცავს. ეს არის თვალი, რომელიც შეიგრძნობს გარე გამლიზიანებელს, გამტარი ნერვი, რომელიც თვალში აღმოცენებულ ბიოელექტრულ დენს თავის ტვინისკენ ატარებს და მხედველობის ზონები თავის ტვინის კეფის ნაწილში, რომელებიც ღებულობენ იქ მისულ აღზნებას და რეაგირებენ მიღებული ინფორმაციის ადეკვატურად. გარდა რეცეპტორებისა, თვალს გააჩნია სხვა სისტემები: მხედველობის ნერვი, ბადურის გარსი, რქოვანა გარსი, ცილოვანი გარსი, ცისარტყელასებრი გარსი, სისხლძარღვოვანი გარსი, ყვითელი ლაქა, ბროლი, მინისებრი სხეული. ბადურა შედგება ურთულესი ნერვული ხლართებისაგან, რომელიც 130 მილიონამდე აღწევს.

მრავალ ფაქტორს შეუძლია პათოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს თვალში. ეს შეიძლება მოხდეს დაბადებამდე და მას შემდეგ. თანდაყოლილი და შეძენილი. მხედველობის დარღვევის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს რეფრაქციის ანომალია, რომლის დროს დარღვეულია ბროლის მიერ სინათლის გარდატეხვა და მისი ფოკუსირება არ ხდება ბადურაზე. ანომალიის სიმძიმის მიხედვით გამოყოფენ დეფექტის



სხვდასხვა სახეებს: მიოპიას ანუ ახლომხედველობას და ჰიპერმეტროპიას ანუ შორსმხედველობას. ასევე კატარაქტა ანუ ბროლის ამღვრევა და სხვა. მხედველობის მოშლილობას სხვდასხვა მიზეზები იწვევს. მაგლითად: ანთებითი პროცესები თვალის გარსებისა, ბადურის აგებულების დისტროფია, კატარაქტა ანუ ბროლის ამღვრევა, მიოპია – სინათლის სხივის გადატეხვის უნარის დაკარგვა, გლაუკომა – თვალის შიგა წნევის დარღვევა და სხვა.

სუსტი მხედველობის სიმახვილე 0,05-დან 0,2-მდე აღწევს სათვალის გამოყენებით. მხედველობის დაქვეითება უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე, გონებრივ აქტივობაზე, შეგროვებებსა და აღქმაზე. მიუხედავად ამისა, ნარჩენი მხედველობის გაფრთხილებასა და მაქსიმალურად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის. ნარჩენი მხედველობა საშუალებას აძლევს ბავშვს იყოს ჩვეულებრივ ბაღში, სკოლაში, ოღონდ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ, რაც გულისხმობს საკომპენსაციო ტექნიკური საშუალებების ჩართვას. მაგალითად, კარგი განათება, საკორექციო სათვალეები, ლუპები, ტელესკოპური სათვალეები და ა. შ.

მხედველობის დეფექტებს მოსდევს სერიოზული გართულებები, მეორადი დეფექტები, თუ დროზე არ იქნა მიღებული პრევენციული ზომები. როცა შეგროვებების პროცესი შეფერხებულია, ვერ ხერხდება საგნების მოვლენების ზუსტი აღქმა, სათანადო ინფორმაციების მიღება, რაც ფსიქიკურ პროცესებსა და ინტელექტუალურ განვითარებაზე ცუდად აისახება. დგება საფრთხე გონებრივი ჩამორჩენილობისა. ამ დროს სმენის ორგანოს აკისრებენ დამხმარის ფუნქციას და რამდენადაც შესაძლებელია სიტყვების საშუალებით აწვდიან სათანადო ინფორმაციას სუსტად მხედველ ბავშვს, აღსაქმელი ობიექტის შესახებ მისი ზუსტად წარმოსახვისა და გაგების მიზნით.

ბავშვის ფსიქიკური და გონებრივი განვითარების დეფექტი

იმითაც არის განპირობებული თუ რა ასაკში ხდება მხედველობის დაქვეითება. რაც უფრო გვიან ექნება ადგილი ამ პრობლემის გაჩენას, მით ნაკლებ პრობლემურია მასზე პედაგოგიური ზემოქმედება. რადგან დეფექტის ჩამოყალიბებამდე აღსაზრდელი მოასწრებდა მხედველობითი შეგარძნებების გარკვეული მარაგის მიღებას. თუ თანდაყოლილ დეფექტთან გვაქვს საქმე, აქ უკვე დამძიმებულია პედაგოგიური სიტუაცია. უფრო სამედიცინო დახმარებას საჭიროებს, ვიდრე პედაგოგიურს. ყველა კულტურულ ქვეყანაში ზრუნავენ გონებრივი და ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვთა აღზრდა-განათლებისათვის. არის სპეციალური საკორექციო სკოლები უსინათლოთა და მხედველობა დაქვეითებული ბავშვებისათვის, რომელიც აღჭურვილია უახლოესი საკომპენსაციო ოპტიკურ-ტექნიკური საშუალებებით, ცნობილი ბრაილის შრიფტით, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს მომხმარებლებში. ასოების, სხვადასხვა ნიშნებისა

და ციფრების რელიეფური ანუ ამობურცული დამწერლობა, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, კითხვა აწარმოოს ხელის საშუალებით.

ჩვეულებრივი სკოლის სუსტი მხედველობის მოსწავლეები სპეციალური ღონისძიებების წყალობით, ჯანსაღ ბავშვებს დიდად არ ჩამოუვარდებიან პედაგოგიური თვალსაზრისით. შემეცნებითი ინტერესი და სასწავლო მოტივაცია აღძრავს მათ თვითგაჯანსაღებისათვის აქტივობისაკენ.

პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია სმენა. სმენის ანალიზატორების საშუალებით ვისმენთ და ვარჩევთ ერთმანეთისგან უამრავი სახის ხმებს. ბგერები, სიტყვები, წინადადებები, ლაპარაკი, მუსიკა ათასნაირი, ჩურჩული, ყვირილი, კივილი, ჩხუბი, წივილი, სისინი, ყეფა, კნავილი, ბლავილი, შრიალი, ჩქრიალი, გუგუნი, ბრახუნი, კაკუნი და ა. შ. გვაძლევს ინფორმაციას ამ ხმების გამომცემთა შესახებ. ზოგჯერ ხმის ზუსტად აღქმას შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი ჰქონდეს. სმენის საშუალებით ვუკავშირდებით

დედამიწის ნებისმიერ წერტილს საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებებით. სმენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუსიკით, პოეზიით ტკობა.

სმენით შეგრძნებებს იწვევს ბგერებით დაძრული ჰაერის ტალღების ზემქმედება სმენის ორგანოზე – ყურზე. სმენის შეგრძნებებს წარმოშობს ჰაერის ტალღის სიგრძე, რომელიც დეციბელებში გამოიხატება და რხევის სიხშირე, რომელსაც განსაზღვრავს ჰაერის რხევათა რაოდენობა წამში. საშუალო სიძლიერის მეტყველება 60-70 დეციბელს უდრის წამში. სმენადობის მინიმუმი და მაქსიმუმი განსაზღვრულია 20-დან 20.000-მდე რხევის ტალღებით. საღი სმენა საღი მეტყველების საწინდარია. სმენის დეფექტებს შეისწავლის დეფექტოლოგიის მეორე დარგი სურდოპედაგოგიკა.

სმენის დეფექტებად ითვლება სმენითი გამღიზიანებლების აღქმის უნარის დაკარგვის ისეთ შემთხვევები, როცა ამის გამო ბავშვი ოჯახში ვერ ეუფლება მეტყველებას და მსმენელ ბავშვებთან ერთად სწავლა არ შეუძლია. სმენის პათოლოგია სმენის ანალიზატორის დაზიანებას მოსდევს. სმენის ანალიზატორის განყოფილებათა დაზიანების სახისა და ხარისხის მიხედვით განსაზღვრავენ დეფექტის სახეს. სიყრუვეს და სმენის დაქვეითებას.

სმენის ფუნქციის ყველაზე მძიმე დარღვევებს სიყრუვეს უწოდებენ. ეს ის მდგომარეობაა, როცა ბავშვს საერთოდ არ ესმის არანაირი ხმა. სიყრუვეს მოსდევს მეორადი დეფექტები. განსაკუთრებით მეტყველების პრობლემა – სიმუნჯე. ამის გამო ორმაგი ჯაფა ადგება მხედველობის ორგანოს. ის ითავსებს სმენისა და სამეტყველო აპარატის ფუნქციებს, შესტების წყალობით, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

სმენის დეფექტის მეორე სახეა სმენის დაქვეითება. სმენადაქვეითებულს უწოდებენ ისეთ ბავშვს, რომელიც ხასიათდება სმენის ნაწილობრივი უკმარისობით, რის გამოც დარღვეული აქვს მეტყველების განვითარება. ასეთ ბავშვებს სჭირდებათ 15-20-დან 75 დეციბელით ძლიერი გამღიზიანებელი,

ვიდრე ჩვეულებრივ ბავშვებს. სმენადაქვეითებული ბავშვის განვითარების მთავარი მონაცემია ნარჩენი სმენა, რომელზედაც უნდა იმუშაოს მასწავლებელმა. საკომპენსაციო ტექნიკური საშუალებებისა და სავარჯიშოს გამოყენებით ბავშვი ეჩვევა ნარჩენი სმენის მაქსიმალურად გამოყენებას, რაც გამოიხატება მეტყველების გაუმჯობესებაში, ცოდნისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

სმენადაქვეითებული ბავშვების მეტყველების დონე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: დებექტის დადგომის დრო. თუ დეფექტმა გვიან იჩინა თავი, ბავშვს თითქმის მთლიანად უნვითარდება მეტყველება, მაგრამ ეს თუ ადრევე მოხდა, სახეზეა დიდი პრობლემა. მეორე ფაქტორი არის სპეციალური ზრუნვა ბავშვის მეტყველების განვითარებაზე სკოლაში შესავლამდე, ხოლო მესამე ფაქტორი – ეს არის ბავშვის აქტივობა, რომ დაეუფლოს მეტყველებას.

სმენის დეფექტი, მართალია ბევრ პრობლემებს ქმნის ბავშვის განვითარების საქმეში, მაგრამ როგორც სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, უმცირესი გამონაკლისის გარდა, ფიზიკური განვითარების მხრივ არაფრით არ განსხვავდებიან ისინი ჯანმრთელი, უნაკლო ბავშვებისგან. მით უფრო, თუ საკომპენსაციო ზომები დროულად და ოპტიმალურად არის გამოყენებული.

ძნელად აღსაზრდელობის ერთერთი სერიოზული მიზეზია მეტყველების დეფექტები. ყველაზე დიდი და პირველი საოცრება

13.8 ორგანოს დაზიანებით არის გამოწვეული, მაშინ მას მეორად დეფექტს უწოდებენ.

სამეტყველო აპარატი ორი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება: პერიფერიული და ცენტრალური. თუ რომელია დაზიანებული, იმის მიხედვით არჩევენ მეტყველების პათოლოგიის სახეებს და შესაბამისად უწოდებენ ცენტრალურსა და პერიფერიულს. პირველ შემთხვევაში დაზიანებულია მეტყველების ცენტრალური განყოფილება, ქერქის ის ნაწილი და კვანძები, რომელიც მეტყველებას განაგებს. პერიფერიული

პათოლოგიის დროს კი ზიანდება საარტიკულაციო აპარატი, გამტარი ნერვები. ორივე შემთხვევა შეიძლება იყოს ორგანული ან ფუნქციური ხასიათის. მეტყველების ყველაზე მძიმე ანომალიებს იძლევა სამეტყველო აპარატის ორგანული დაზიანება. ორგანული დაზიანებით გამოწვეული ანომალიებია: ალალია, დიზართრია, აფაზია, აგრაფია, დისგრაფია, ალექსია, დილექსია და სხვა.

ალალია ბერძნული სიტყვაა. “ა” ნიშნავს არას, ლალია—მეტყველებას. ე. ი. არამეტყველს, უტყვს. სიმძიმის მიხედვით არჩევენ ალალიის რამდენიმე სახეს: მოტორულსა და სენსორულს. ორივე შემთხვევაში ტვინის სამეტყველო ზონებია დაზიანებული. მოტორული ალალიისთვის დამახასიათებელია ექსპრესიული მეტყველების განუვითარებლობა, ლექსიკური მარაგის სიღარიბე, არასწორი გამოთქმა. სენსორული ალალიის დროს გაძნელებულია სხვისი ნათქვამის აღქმის და გაგების უნარი და შესაბამისად ვერც თვითონ აგებინებს თავის ნათქვამს სხვას.

მეტყველების სხვა დეფექტები კიდევ უფრო მძიმეა და საკმაოდ აფერხებს ბავშვის გონებრივ განვითარებას. რადგან აზრი, ინფორმაცია სიტყვის მეშვეობით შედის ტვინში, შეფერხების შემთხვევაში ლექსიკისა და აზრის დეფიციტი იჩენს თავს და უარყოფით გავლენას ახენს პიროვნების ფორმირებაზე. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ცუდად მეტყველი ბავშვი ცდილობს იყოს თავისთვის და სიტყვიერ ურთიერთობებში არ ჩაერთოს, რაც შეიძლება ნაკლებად გამოჩნდეს მისი ნაკლი. ეს შეზღუდულობა არაბუნებრივ და არა სასიამოვნო

მდგომარეობაში აყენებს ბავშვს მეტყველებთან. ამიტომ გარეგნულადაც შესამჩნევი ხდება სხვებისგან რაღაც განსხვავებულობა. პირველად დეფექტს ყოველთვის მოსდევს მეორადი დეფექტი. მაგრამ ეს თვალში საცემი რომ არ გახდეს, საჭიროა სპეციალისტების, აღმზრდელ-მასწავლებელთა პერმანენტულ-ინტენსიური ზრუნვა, დამატებითი პედაგოგიური ღონისძიებების გატარება. ამ თვალსაზრისით ითვლებიან

გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებიც ძნელად აღსაზრდელად.

გარემომცველ სინამდვილესთან ურთიერთობის აუცილებლობიდან გამომდინარე, ბავშვი მეტყველებას იწყებს დაახლოებით წლინახევრიდან და ორი წლისას უკვე 300-მდე სიტყვას ფლობს, ხოლო სამი წლისას კი 1200-მდე აღწევს. 4-5 წლის ასაკში კი მეტყველებას გარკვეულწილად ასაკის შესაბამისად პრაქტიკულად დაუფლებულია. მეტყველების ხარისხი მასზე ზრუნვით განისაზღვრება. დადგენილა, რომ მეტყველების განვითარების ყველაზე სენზიტიური პერიოდი სკოლამდე ასაკში მოდის. მას შეუძლია ამ ასაკში უფრო ადვილად, ჩვეულებრივ ბუნებრივ ყოფით პირობებში აითვისოს ის ენებიც, რომელიც სისტემატიურად ესმის ქუჩის პირობებში. ეს ნათლად ჩანს ინტერნაციონალურ ეზოებსა და უბნებში. პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე ამიტომ აყენებდა ასე მკაცრად სწორედ, სკოლამდე ასაკში, მეტყველების განვითარებისა და ენის დაუფლების საკითხს. ის პირდაპირ ავალებდა მშობლებს ისეთი ძიძისა და მასწავლებლის შერჩევას, რომლებიც მშობლიურ და ბერძნულ ენას და მეტყველების კულტურას ზედმიწევნით იქნებოდნენ დაუფლებული და ზნეობრივადც გამორჩეული. დაგვიანებით დაწყებული მეტყველების სირთულეზე მიუთითებს მგლის ხროვაში გაზრდილი 9 წლის კამალას მაგალითი. მან 7 წელი იცოცხლა ადამიანთა საზოგადოებაში, მაგრამ მხოლოდ 100-მდე სიტყვის შეთვისება მოახერხა, ისიც დამახინჯებულად. რადგან სამეტყველო ფსიქიკური და ფიზიკური უნარები განუვითარებელი ჰქონდა ამეტყველებამდე არა ადამიანურ პირობებში მოხვედრის გამო.

ეს და სხვა ცნობილი მაგალითები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მეტყველება ურთულესი ფუნქციური სისტემაა, რომელიც მრავალი კომპონენტის დროულ, შეთანხმებულ და კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს. მეტყველების დეფექტი ეგზოგენური იქნება თუ ენდოგენური, შესაბამისი საპრევენციო,

კომპენსაციური თუ კორექციული ღონისძიებების ეფექტურად გატარების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება გარკვეულწილად პრობლემის მინიმუმამდე დაყვანა. ამას ადასტურებს სასკოლო პრაქტიკა. როგორც სათანადო წყაროები იტყობინება, თუ როგორ მოუხდენია საქვეყნოდ ცნობილ ორატორს ქსენოფონტეს თავისი თანდაყოლილი მეტყველების დეფექტის სრული კორექცია. ის სისტემატურად მუშაობდა მეტყველების დეფექტის კორექტირებაზე. პირში კენჭებს იყრიდა და ისე ლაპარაკობდა ხმამაღლა, ლაპარაკ-ლაპარაკით გორაკებზე არბოდა და ჩამორბოდა. ერთხელ კიდევ თავი ნახევრად გადაუპარსია, რომ ქუჩაში გამოსვლა არ შეძლებოდა და სარდაფში ხმამაღლა მეცადინეობდა თურმე, მეტყველების ნაკლის მოსაშორებლად. მისმა მცდელობამ საარაკო შედეგი გამოიღო და იგი ცნობილი გახდა როგორც დიდი ორატორი.

პედაგოგიურ პრობლემებს ადგილი აქვს ბავშვთა ემოციურ-ნებელობითი გადახრების შემთხვევებშიც. ეს, როგორც სპეციალისტები ადასტურებენ, ნამდვილად არ არის გონებრივი ჩამორჩენილობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ამისი მიზეზი. ამიტომ მასწავლებელს მოეთხოვება გარკვეულ ინფორმაციას ფლობდეს ამ პრობლემასთან დაკავშირებითაც, რომ შეძლოს მდგომარეობის დროულად გარკვევა და სათანადო პრევენციული ზომების მიღება მოსალოდნელი მეორადი დეფექტების თავიდან ასაცილებლად. თუ პრობლემა მის კომპეტენციას სცილდება, არ დააყოვნოს სპეციალისტების ჩართვა. ამის საშუალებას მისცემს ცოდნის ის მინიმუმი, რომლის მიღება შესაძლებელია შესაბამისი ლიტერატურის მოძიებით დეფექტოლოგიის სფეროში. აქ კი მოკლე მონახაზს გავაკეთებთ მკითხველის სწორად ორიენტირებისათვის.

ემოციურ-ნებელობით სფეროში გადახრების ძირითად სახეებად ითვლება ნერვული და ფსიქონერვული გადახრები. ორივე შემთხვევა ვლინდება ბავშვის ფსიქიკური აქტივობისა და ქცევის დროს და საგრძნობლად ხელს უშლის გარემოსთან ნორმალურ ადაპტაციას, რექციის ადეკვატურობას, რაც გარკვეულ

დისკომფორტს უქმნის ურთიერთობებში. გადახრის ეს სახეობები მედიცინაში ცნობილია ნევროპათიისა და ფსიქოპათიის სახელწოდებით.

ნევროპათია ანუ თანდაყოლილი ნერვიულობა შეიძლება გამოვლინდეს ბავშვის დაბადებისთანავე. მისი სიმპტომებია: ცუდი ძილი, ჭამისას ჭირვეულობა, ღებინება, კუჭის აშლა, ხშირი ტირილი, თითის წოვა, მთელი სხეულის რწევა, ფეხების ერთმანეთზე ხახუნი, ლუკმის დეჭვისა და გადაყლაპვის არაბუნებრივობა. შემდეგ თანდათანობით თვალსაჩინო ხდება აგზნებადობა, მოუსვენრობა, ფუსფუსი, განუწყვეტელი მოძრაობა, გუნება-განწყობილების ხშირი ცვლა, გაფანტული ყურადღება, თამაშების წამდაუწუმ ცვლა, სწრაფი გაბრაზება, ემოციების სიჭარბე, მაგრამ გაბოროტება და გულღვარძლიანობა არ ახასიათებს. არის ნევროპათიურობის მეორე უკიდურესობა: გაუბედაობა, ზედმეტი მორცხვობა, პასიურობა, უმწეობა, არაკომუნიკაბელურობა. თუმცა ეს დარღვევები შესამჩნევ გავლენას არ ახდენს მათ ფიზიკურ ზრდაზე, მაგრამ თუ სათანადო ზომები დროზე არ იქნა გატარებული, უნებისყოფობის გამო არასახარბიელო შედეგები მალევე იჩენს თავს, განსაკუთრებით გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. იმისდა მიხედვით, თუ რა სახის პათოლოგიური გადახრა აქვს ბავშვს, განსხვავებული მკურნალობა და ინდივიდუალურ – პედაგოგიური მიდგომა სჭირდება.

ფსიქოპათიურ გადახრებს ბევრი მსგავსება აქვს ნევროპათიასთან, მაგრამ მას სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს. ეს არის ქცევის პათოლოგიური შეცვლა, რომელიც გამოიხატება შემდეგი ნიშნებით: ჭარბი ემოციურობა, შიშები, ინსტიქტებისა და ვიტალური მოთხოვნილებების გაუკუღმართება, ზომიერების გრძნობის დაკარგვა, განსაკუთრებით ჭამის დროს, არა აქვთ ზიზღის გრძნობა, სისუფთავის და, საერთოდ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მოთხოვნილებები, ხშირად ავლენენ სადიზმის ნიშნებსაც. მაგალითად, აწვალავენ ცხოველებს, უმცროს და სუსტ ბავშვებს, არ ერიდებიან უცნობ სიტუაციებს, ხშირად ცრუობენ, ტყუილს იყენებენ თავიანთი საქციელის გასამართლებლად ან



აკრძალვებისა და დასჯის მეთოდებით ცდილობენ ფონს გასვლას. ამასობაში დეფექტს ეძლევა საშუალება გაფურჩქნისა. აკრძალვა პედაგოგიური მეთოდია, მაგრამ ზუსტი განსაზღვრულობის გარეშე წამდაუწუმ მისი გამოყენება უკუშედეგს იძლევა ხოლმე.

ძნელად აღსაზრდელობის კატეგორიაში შედის ყველანაირი დეფექტის მქონე ბავშვი, რომელიც აღზრდის დადგენილ სტანდარტებს არ ექვემდებარება და საჭიროებს სპეციალურ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ თუ სამედიცინო ღონისძიებებს კომპლექსურად, ან ერთ-ერთ მათგანს გაძლიერებულ რეჟიმში. პედაგოგიკური ლიტერატურის ანალიზი და რეალურ სინამდვილეზე დაკვირვება იძლევა საშუალებას ვარაუდისა, რომ მორჩილ და მონდომებულ ბავშვებთანაც თუ არ ჭრის აღზრდის მეციერებასა და პრაქტიკაში აპრობირებული პედაგოგიური მიდგომები და მეთოდები, აუცილებელია დამატებითი, სპეციალური ღონისძიებათა სისტემების გატარება, ზოგჯერ სხვადასხვა სპეციალისტთა ჩართვა პროცესში დადებითი შედეგების მისაღებად. ეს კი ძალიან რთული, შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. საჭირო ხდება სპეციალური პრევენციული, საკომპენსაციო და საკორექციო ტექნიკური და დიდაქტიკური თვალსაჩინო მასალების გამოყენება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. როცა ამის საჭიროებაა, ცხადია, რომ გაძნელებულია პედაგოგიური სიტუაცია.

ძნელად აღსაზრდელობა ყოველთვის განპირობებულია სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა პრობლემის გამომწვევი ზუსტი მიზეზების დადგენა და შესაბამისი საკორექციო პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება. ასეთ ფაქტორებად პედაგოგიკაში თვლიან ავადმყოფობას, სოციალურ მეგა, მაკრო, მეზო თუ მიკრო ფაქტორებს. ამ სფეროს სწავლობს სოციალური პედაგოგიკა, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, შიდა დაპირისპირებულობა,

სამოქალაქო და დამპყრობლური ომები, სტიქიური უბედურებები, ეკოლოგიური საფრთხეები, გენომოდიფიცირებული საკვები, ოჯახური მდგომარეობა, ფიზიკური და მორალურ-ემოციური ტრამეები, სიზარმაცე, აღზრდისადმი არასწორი პედაგოგიური მიდგომა, მასწავლებლის არაკომპენტენტურობა, ინფორმაციული დეფიციტი, სიყვარულის ნაკლებობა, ცუდი წრე, ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიძალება და ა. შ.

ყველა უბედურების მიზეზთა მიზეზი ერთია. ეს არის სულიერობის, ბიბლიური ცოდნის დეფიციტი, ყოვლისშემოქმედის მცნებებისა და კანონებისადმი დაუმორჩილებლობა.

როცა ძნელად აღსაზრდელობას ეხება საქმე, აქ ხელახლა აღზრდის პრობლემაც დგება, რაც ბევრად აღემატება ჩვეულებრივ აღზრდას. მაგრამ მდგომარეობა უნუგეშო არ არის ძნელებზე ზემოქმედების შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარების წყალობით; თუ მაკორექტირებელ (და არა მარტო მაკორექტირებელ) ღონისძიებათა სისტემებს საფუძვლად ედება ღვთიური კანონები და პრინციპები, აზროვნების განახლების ქრისტესეული შეხედულებები, მიწიერისა და ზეციერისადმი გაწონასწორებული მიდგომები, პედაგოგიურ, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებები, პრობლემა ნაწილობრივ, ან გარკვეულ შემთხვევაში სრულად გადაიჭრება. გონებრივ, ფიზიკურ და მორალური დეფექტისგან განკურნებული ბავშვები საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღიზრდებიან.

## თემა XVII. ოჯახური აღზრდა

საკითხები:

1. ოჯახის ცნება;
2. ოჯახური ბედნიერების გასაღები;
3. ოჯახური აღზრდის ბიბლიური პრინციპები;
4. მშობელთა უფლებები აღზრდაში;
5. შვილებს მიეცით კარგი მაგალითი.

ოჯახი არის პირველი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც დააფუძნა ყოველის შემოქმედმა ღმერთმა სამარადისოდ. ოჯახის ცნებაში მოიაზრება მოწონებისა და სიყვარულის საფუძველზე დაქორწინებული მამაკაცისა და დედაკაცის შეთანხმებული თანაცხოვრება, გამრავლება და შვილების ღირსეულ პიროვნებად აღზრდა. ქრისტემ თქვა: “შემოქმედმა დასაბამიდან მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი . . . ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას, მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად” (მათე 19:4,5). “ამიტომ ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ დააშორებს მათ” (მარკოზი 10:9). კაცობრიობის პირველი წინაპარი წყვილის ადამისა და ევას ოჯახში დაიბადა დედამიწაზე პირველი ბავშვი – კაენი. აქედან ჩაეყარა საფუძველი ოჯახურ აღზრდას. ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისათვის უზენაესმა მმართველმა თავის ქმნილებებს მისცა უნივერსალური კანონები და პრინციპები, რომელიც იცავს ყველა ოჯახს ბოროტებისა და ცოდვებისაგან, ვინც ამით ხელმძღვანელობს.

ბიბლია გვატყობინებს ოჯახური ბედნიერების საიდუმლოებებს. პირველი საიდუმლო არის სიყვარული. სიყვარულის უნარიც და მაგალითიც თვით ღმერთმა მოგვცა. “ღმერთმა ქვეყნიერება ისე შეიყვარა, რომ თავისი მხოლოდშობილი ძე მისცა, რათა ვისაც ის სწამს, არ დაიღუპოს,

არამედ მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს” (იოანე 3:16). ღვთის ძე – იესო ქრისტეც სიყვარულით იყო აღძრული, როცა მამის ნებას დაემორჩილა და კაცობრიობის გადასარჩენად თავი გასწირა. გონებით, სიბრძნით, სიძლიერით და სიყვარულით შექმნა ღმერთმა ცა და მიწა და რაც მასშია ხელთუქმნელი, რომ ადამიანებს ბედნიერად ეცხოვრათ მშვიდობიან და ღამაზ

გარემოში. და, რაც მთავარია, ქრისტემ თქვა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანების ამოსაცნობი ნიშანი იქნებოდა ღვთისა და მოყვასის, ასევე მტრის სიყვარული. ადამიანმაც შეიცნო სიყვარულის ძალა და თქვა: “რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”-ო. ცოლ-ქმრული სიყვარულიც ამ დიადი, ამაღლებული, ღვთიური სიყვარულის ნაწილია. რომელსაც სწავლა უნდა.

ბიბლია გვამცნობს ოჯახური ბედნიერების მეორე გასაღებს. ეს არის ურთიერთ პატივისცემა. რომაელების 12:10-ში ვკითხულობთ: “პატივისცემაში ერთმანეთს დაასწარით”. სადაც პატივისცემა არ არის, იქ არც სიყვარულია. ეს ორი თვისება ერთმანეთთან დიალექტიკურ კავშირშია, ერთმანეთს განაპირობებენ. პატივისცემას სულიერობა და მორალური თვისებები უდევს საფუძვლად. ამიტომ რჩევია ბიბლიაში, სანამ ქალ-ვაჟი გრძნობებს გაუმჟღავნებენ ერთმანეთს, კარგად უნდა გაიცნონ ერთმანეთი. სადაც სიყვარული და ურთიერთ პატივისცემა მკვიდრობს, იქ არის უკვე დანარჩენი სიკეთე: ერთგულება, ნდობა, მოთმინება და მიმტევებლობა, ურთიერთობის კულტურა. “კანონები: არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, სხვისი არაფერი ისურვო და ნებისმიერი სხვა მცნება ამ ერთ მცნებაშია შეჯამებული: “მოყვასი საკუთარი თავივით გიყვარდეს”. “სიყვარული ბოროტს არ უკეთებს მოყვასს. ამიტომ სიყვარული კანონის შესრულებაა” (რომაელები 13:8-10). ცოლ-ქმრულ ურთიერთობას აწესრიგებს და პრობლემებს აქრობს იმის შეგნება, რომ ყოველი მამაკაცის თავი ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი – ღმერთი” (I კორინთელთა 11:3). ამ იერარქიის მიხედვით, ცოლი უნდა ემორჩილებოდეს და დიდ პატივისცემდეს ქმარს. ასევე ქმარიც ვალდებულია ცოლის, ხოლო შვილები კი

– მშობლების წინაშე. ამ სამთა კავშირის შესახებ კუთხულობთ ბიბლიაში: “ცოლებო, დაემორჩილეთ ქმრებს, როგორც უფალშია საკადრისი. ქმრებო, გიყვარდეთ ცოლები და ნუ იქნებით სასტიკნი მათ მიმართ. ბავშვებო, დაემორჩილეთ მშობლებს ყველაფერში, რადგან ეს მოსაწონია უფლისათვის. მამებო, ნუ გააღიზიანებთ შვილებს, რათა არ დანადვლიანდნენ” (კოლოსელები 3:18-20).

მშობლებმა ეს უზენაესი ღმერთის მიერ ბოძებული უფლება-მოვალეობა უნდა გამოიყენონ თავიანთი შვილების ღირსეულ პიროვნებად ფორმირებისათვის.

ოჯახისა და ოჯახური აღზრდის პიროვნულ და საზოგადოებრივ როლსა და მნიშვნელობას ყოველთვის ცნობდა და აღიარებდა კაცობრიობა. ამას მოწმობს პედაგოგიკის კლასიკოსთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, I საუკუნის რომაელი მეცნიერ-პედაგოგი და ორატორი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოჯახური აღზრდის პრობლემას თავის “ორატორის დარიგებანის” 12 ტომეულში. იგი თვლის, რომ ჩვილი საწყის ეტაპზე ოჯახში, მშობლების მიერ ყურადღებით შერჩეული ძიძისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლის ზედამხედველობით უნდა იზრდებოდეს, ხოლო 7 წლის ასაკიდან ბავშვი აუცილებლად სკოლაში უნდა სწავლობდეს. მისი აზრით, აღზრდაში აუცილებელია სიყვარული, რომელიც გამოიხატება სითბოში, აღერსსა და მოფერებაში, სიახლოვეში, თანადგომასა და დაცვაში და ა. შ. ამის საშუალება კი მხოლოდ მშობლებს, სისხლ-ხორცეულ ნათასავეებს გააჩნიათ. ამდენად მშობელი შეუცვლელია. კვინტილიანე ხაზს უსვამს ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და მიმბაძველობის დიდი უნარის მიზანმიმართულად და ოპტიმალურად გამოყენების აუცილებლობას ადრეული ასაკიდანვე, რადგან მიმბაძველობისა და ცნობისმოყვარეობა თანდათანობით ასაკის მომატებასთან ერთად ნელდება. რაკი ბავშვი უკვე ფლობს გარკვეულ ინფორმაციებს სამყაროს შესახებ,

ჰგონია, რომ რაც მან იცის, ესაა ყველაფერი და მშვიდად ეძლევა თვითკმაყოფილებას. ეს განწყობა კი ამუხრუჭებს მის შემეცნებით ინტერესს და შესაბამისად ინტელექტუალურ განვითარებას.

ოჯახური აღზრდის პრობლემას მიუძღვნა იან ამოს კომენსკიმ თავისი ცნობილი პედაგოგიური ტრაქტატი “დედობრივი სკოლის იდეა”. მეცნიერის აზრით, სკოლამდელი ასაკში უნდა ჩაყვაროს საფუძველი ყველა იმ თვისებათა ელემენტებს, რაც აუცილებელია დიდობის დროს. დასაწყისშივე, სანამ სატანა დაგვასწრებდეს, ბავშვი უნდა იზრდებოდეს ქრისტეს სწავლებებით, ღვთისმშობითა და ღვთისმოსაობით.

ჯონ ლოკის ოჯახი მიაჩნდა სხვათა უზნეობისაგან თავდაცვის მთავარ გარანტად. მშობლებისგან მოითხოვდა კეთილზნეობის მაგალითი ყოფილიყვნენ შვილებისათვის. ღვთის მოწიწება და შრომისმოყვარეობა ჩაენერგათ აღსაზრდელებში.

ჟან-ჟაკ რუსო გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლების როლს ოჯახურ აღზრდაში. მან დედა გამოაცხადა აღზრდის მთავარ ფიგურად: “არ არის დედა, არ არის აღზრდა”.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელს იაკობ გოგებაშვილს ენის შენარჩუნებისა და ეროვნული ცნობიერების განვითარების საიმედო კერად ოჯახი მიაჩნდა. განსაკუთრებით აფასებდა ის დედის როლს შვილის აღზრდაში. ამიტომ მოითხოვდა იგი ქალთა მაღალ განათლებას, რადგან სწამდა, რომ განსწავლული დედა კარგი აღმზრდელი იქნებოდა.

ვაჟა ფშაველამ პოეტური ხოცბა შეასხა ღირსეული შვილის აღმზრდელ დედას: “ ლამაზი შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა”.

ოჯახის ამ ურთულეს, მაგრამ საპატიო ფუნქციას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა, მაგრამ აღზრდა დღეს ისეთი პრობლემატური გახდა, როგორც არასდროს. XXI საუკუნე ამორალურობის, ბოროტების, მატერიალიზმისა, კომერციისა და ეგოცენტრიზმის აპოგეად იქცა. მთელი ხელთქმნილი და ხელთუქმნელი, ბუნებრივი და არაბუნებრივი სიმდიდრე და სიკეთე ერთეულების ხელში მოექცა და მილიარდობით ადამიანს

სიღარიბეში ხდება სული. დაუბალანსებელმა სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურმა ვითარებამ ღარიბებს ხომ ავნო და ავნო, მაგრამ არა ნაკლებ ზიანი მიადგა მდიდრებს მორალური თვალსაზრისით. სიხარბემ, ფლობისა და განდიდების მანიამ დააზიანა მათში პიროვნება და ინსტიქტების დონზე დაიყვანა. “ამა ქვეყნისა ძლიერთა” წყალობით ოჯახმაც და სკოლამაც დაკარგა თავისი ფუნქციონალური მოვალეობა. ოჯახში ფიზიკური გადარჩენის ინსტიქტმა იმძლავრა და სულიერმა ფასეულობებმა უკანა პლანზე გადაიწია. ხელმიშვებული ბავშვი დარჩა თავის ინსტიქტებთან. ბიოლოგიზაციამ გადაასწრო სოციალიზაციას და დაირღვა ბავშვის ყოველმხრივ კარმონიული განვითარების უზენაესი კანონიც და უფლებაც. თავის დროზე სოლომონ ბრძენმა დაწერა: “თავის ნებაზე მიშვებული ყმაწვილი დედის შემარცხვენელია”-ო (იგავები 29:15).

დღეს მშობლის როლის შესრულება მართლაც ძალიან რთულია, მაგრამ ის მშობლები, რომელნიც ღვთის სიტყვას მიჰყვებიან, გამოსავალს უფრო ადვილად პოულობენ და მათი შვილებიც პიროვნული ღირსებებით გამოირჩევიან. ღვთის რჩევების გათვალისწინება იმიტომ არის საუკეთესო, რომ ქორწინებისა და ოჯახის დამფუძნებელმა ღმერთმა ყველაზე უკეთ იცის რა არის საჭირო მისი ბედნიერებისათვის. ამიტომ უნდა მივყვეთ მის ხელმძღვანელობას და მის სიტყვას – ბიბლიას. რადგან “მთელი წმინდა წერილი ღვთისგან არის შთაგონებული და სასარგებლოა სასწავლებლად, შესაგონებლად, გამოსასწორებლად და სიმართლეში აღსაზრდელად, რათა ღვთის კაცი ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მომზადებული იყოს კარგი საქმისთვის” (2 ტიმოთე 3:16,17). ბიბლიური რჩევები ხელს შეუწყობს მეუღლეებს დროულად გაიცნობიერონ, რომ მშობლობა არის სერიოზული პასუხისმგებლობა ღვთის, საზოგადოებისა და თვით შვილის წინაშე, რომ ცუდად აღზრდილი შვილი არა მარტო ოჯახისთვის, არამედ სხვისთვისაც პრობლემაა. მკვლელი, ქურდი, მრუში, უმეცარი, მატყუარა, მუქთახორა, მოძალადე, ხარბი, შურიანი, ეგოისტი და სხვა რომელიმე უკეთური თვისების

მატარებელი ადამიანი მთელი ქვეყნის უბედურებაა. კარგად აღზრდილი, ბრძენი, გონიერი და ზნეობრივი პიროვნება კი – ქვეყნის სიმდიდრე. ამის პოტენციური შესაძლებლობა ყველა ბავშვს გააჩნია შესაბამის პირობებში, ვინც გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელია.

პედაგოგიკის კლასიკოსთა აღზრდის ის პრინციპები, რომელნიც ნებისთ თუ უნებლიედ ემთხვევა ბიბლიურს, ჟამთა ცვლას არ ემორჩილება და დღემდე აქტუალობას ინარჩუნებს, რაც მის უნივერსალურობაზე მიანიშნებს. სოლომონ ბრძენის რჩევა: “ემაწვილი მისი გზის დასაწყისშივე გაწვრთენი და სიბერეშიც არ გადაუხვევს მას” (სოლომონის იგავნი 22:6). ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებიდანვე უნდა დავიწყოთ ბავშვის აღზრდა. ზოგადად მიღებულია აზრი, რომ ბავშვის აღზრდა ქალის საქმეა. მაგრამ ბიბლიური თვალსაზრისით, ასე არ არის. შვილის აღზრდაზე ორივე, დედაც და მამაც ერთნაირად არიან პასუხისმგებელნი. “მოისმინე შვილო, მამაშენის დარიგება და დედაშენის კანონს ნუ უგულვებლყოფ” – ვკითხულობთ იგავების 1:8 მუხლში. ყველასათვის ცხადია, რომ ცოლქმრის მიზანმიმართულ თანამშრომლობას აღზრდაში უეჭველად კარგი შედეგი მოაქვს. მაგრამ აქ იმასაც აქვს დიდი მნიშვნელობა თვით ამ მშობლებს რა გამოცდილება გამოჰყვამთ მემკვიდრეობით თავიანთი მშობლებიდან.

მშობლებმა, უპირველეს ყოვლისა, გაწონასწორებული სიყვარული და სითბო უნდა გამოავლინონ შვილებთან ურთიერთობაში. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ბავშვები, რომელნიც მოკლებულნი არიან მშობლების აღფრსსა და სითბოს, ფსიქიკურად და ფიზიკურად ნორმალურად არ ვითარდებიან. განსაკუთრებით ჯანსაღი გრძნობებისა და ემოციების განვითარება, ისევე გრძნობებისა და ემოციების ზემოქმედებით არის შესაძლებელი. მაგრამ ეს პროცესი ბავშვის გონებრივ, სულიერ და ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას ბუნებრივად უნდა ახლდეს და ბავშვი ცოდნა-გამოცდილების შეძენასთან ერთად უნდა ისრუტავდეს. მართალია, ყველა მშობელი



პედაგოგი არ არის და ის თეორიულ დონეზე ვერ აიყვანს ცოდნას, მაგრამ თავისი დამოკიდებულებით, ზნეობრივი და ღამაში ქცევითა და მოქმედებით შვილებს მისცემს კარგ მაგალითს, აზიარებს პატიოსნების, ადამიანებთან, ბუნებასთან, ცხოველებთან კეთილ და მზრუნველი დამოკიდებულების ელემენტებს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, უზრუნველყოფს სკოლისათვის ბავშვის მომზადებას.

ბავშვის სოციალიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. სანამ აღსაზრდელი თავად გაარკვევს სოციალურ-ზნეობრივ ფასეულობებს, იგი ექცევა ათასობით გათავალისწინებულ და გაუთვალისწინებელ ქვეყნიერებისათვის დამახასიათებელ კეთილ და უკეთურ სიტუაციათა გავლენის ქვეშ. და როცა ის სკოლაში მოდის, მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისებური მორალური კოდექსი, რომლისგან განთავისუფლება არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ მშობლები ვალდებულნი არიან, განსაკუთრებული ყურადღება და დრო დაუთმონ შვილებს, რომ, როგორც კომენსკიმ თქვა, სანამ სატანა დაგვასწრებს ბავშვის ფსიქიკის დაზიანებას, ყველა ზომები იქნეს მიღებული, მაგნე გავლენების თავიდან ასაცილებლად. ამ საქმეში საუკეთესო რჩევებს მივიღებთ, თუ ვიხელმძღვანელებით ბიბლიური პრინციპებით. ჩვენი შემოქმედი პირდაპირ გვიბრძანებს: “გულში ჩაიბეჭდე სიტყვები, რომლებსაც დღეს გიბრძანებ: ჩააგონე შენს ვაჟს და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისა და ადგომისას” (მეორე კანონი 6: 6,7). აქ ნათლად ჩანს, რომ ბავშვებს მნიშვნელოვანი დრო უნდა დაუთმონ და მივაწოდოთ რაღაც მნიშვნელოვანი სასარგებლო ინფორმაციები, რაც მათ განუვითარებს სულის ნაყოფებს: “. . . ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიკეთე, ყოველივე კარგი, რწმენა, რბილი ხასიათი, თავშეკავება” (გალატელები 5:22,23). მაგრამ პირველ რიგში თვითონ მშობელმა უნდა ჩაიბეჭდოს თავის გულში, ე. ი. თვითონ უნდა ჰქონდეს ეს თვისებები განვითარებული, რომ ბავშვმა არა მარტო სიტყვით მოისმინოს, არამედ თვით მშობლები უნდა იძლეოდნენ ამის თვალსაჩინო მაგალითს. დისტრეგმა

თქვა: “შეუძლებელია მისცე სხვას ის, რაც თავად არა გაქვს”. ვისაც აღზრდა თავად არა აქვს მიღებული, ის ვერასოდეს ვერ აღზრდის სხვას.

“ელაპარაკე მათზე სახელში ჯდომისას და გზაზე სიარულისას”. ლაპარაკი უნიკალური საკომუნიკაციო საშუალებაა. მაგრამ მთავარია შინაარსი, თუ რაზე ველაპარაკებით. სალაპარაკო თემა უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის სულიერ მოთხოვნილებებს, მოიცავდეს როგორც საგანმანათლებლო, ასევე ზნეობრივ და ესთეტიკურ ცნობებს. ამის საშუალებებს იძლევა საბავშვო მოთხრობები, ლექსები, გამოცანები, რებუსები, საბავშვო მულტიფიკაციური ფილმები, ტყე-პარკები, ფლორა, ფაუნა, წყალი, მიწა, ჰაერი, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ა. შ. ყველაფერ ამათზე და მათ შემოქმედ უზენაეს ღმერთზე ბავშვის ყურადღების მიპყრობა და საუბარი. ბუნებაზე, რეალურ სინამდვილეზე უშუალო დაკვირვებით აღზრდის უნიკალურ მაგალითს იძლევა ფრანსუა რაბლე თავის ცნობილ თხზულებაში “გარგანტუა და პანტაგრუელი”.

რაც უფრო ახლო და მეტი ურთიერთობა აქვთ მშობლებს შვილებთან, მით უფრო მათზე იქნებიან დამოკიდებული და ნაკლებად მოექცევიან მიუღებელი გავლენების ქვეშ. ბავშვებთან ურთიერთობაში ლაპარაკი რომ მომაბეზრებელი არ იყოს, აუცილებელია მოსმენა. ბიბლიაში ჩაწერილია, რომ “ყოველი კაცი მკვირცხლი იყოს მოსმენაში და ნელი სიტყვასა და რისხვაში” (იაკობი 1:19). მარტო სენტენციები, გაუთავებელი ჭკუისსწავლებები მალევე კარგავს თავის აღმზრდელით ძალას. ამიტომ კარგია თუ მონაცვლეობის პრინციპს გამოვიყენებთ და ხშირად შევცვლით ურთიერთობის ფორმებს. სოლომონ რძენი ამბობს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. “ყოველ საქმეს აქვს თავისი დრო ცისქვეშეთში: შობის დრო და სიკვდილის დრო, დარგვის დრო და დარგულის ამოძირკვის დრო, მოკვლის დრო და განკურნების დრო, დანგრევის დრო და აშენების დრო, ტირილის დრო და სიცილის დრო, მოთქმისა და ცეკვა-თამაშის დრო, ქვების გადაყრის დრო და ქვების შეგროვების დრო, ხევინის დრო და

ხვეწისგან თავის შეკავების დრო, ძეგნის დრო და დაკარგვასთან შეგუების დრო, შენახვის დრო და გადაყრის დრო, დახვევის დრო და დაკერების დრო, დუმილის დრო და სიძულვილის დრო, ომის დრო და მშვიდობის დრო” (ეკლესიასტე 3:2-8). დარიგებების შეცვლა ერთად გასეირნებით, გართობებით, სიმღერებით, ცეკვა- თამაშებით, გამოცანებისა და რებუსების გამოცნობით, ასევე ერთად სადილობა, წიგნების ერთად კითხვა, ნათესაეებისა და მეგობრების მონახულება და ა. შ. ასეთი ურთიერთობა ოჯახურ მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის საწინდარია ორივე მხარისთვის.

ცნობილია, რომ ბავშვის გულში და თავში ონფორმაციების ჩანერგვა ადვილი არ არის. მაგრამ არის აღზრდის პედაგოგიური და ბიბლიური პრინციპები და მეთოდები, რომელთა ოსტატურად გამოყენება ნამდვილად ახდენს სასწაულებს. მაგალითად, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების, სიყვარულისა და პატივისცემის, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის, ლოგიკისა და სიყვარულის პრინციპების ოპტიმალური გამოყენება, შემეცნებითი ინტერესისა და სასწავლო მოტივაციების გამოწვევა ბავშვს აყენებს იმ გზაზე, რომელსაც მიჰყავს სიკეთისა და ბედნიერებისაკენ. მიზანმიმართული და მორგებული გარემოპირობების მოწყობის ხელოვნებას დაუფლებული მშობლები და მასწავლებლები ადვილად აგვარებენ აღზრდის პრობლემას, ვიდრე შიშველ პრაქტიციზმზე და სუბიექტურ მოსაზრებებზე მინდობილი აღმზრდელები. თუ აღზრდაში სისტემატურობა და პერმანენტულობა არ იქნა დაცული, ეს იგივეა, რაც ალაგ-ალაგ რგოლგაწყვეტილი ჯაჭვი.

დაგენილია, რომ აღსაზრდელის ცხოვრებაში ყველაზე რთულ პერიოდად ითვლება გარდატეხის პერიოდი. იგი მოიცავს 12-15 წლებს. ეს სირთულე ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებებით არის გამოწვეული. თუ ის პირველი 12 წელი ნაყოფიერად იმუშავა ოჯახმა და სკოლამ, აღნიშნული სირთულე შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. სკოლამ უნდა იზრუნოს

მშობელთა პედაგოგიზაციაზე, რომ ისინი მის აქტიურ მოკავშირედ აქციოს, რომ ერთობლივი ძალით მიზანი მიღწეული იქნეს. მშობელთა პედაგოგიზაცია გულისხმობს მათი პედაგოგიური კულტურის ამაღლებას. მშობლებს გარკვეული წარმოდგენა უნდა მიეცეთ აღზრდის მიზნისა და ამოცანების, კანონებისა და პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, განსაკუთრებით აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ.

მოზარდი გოგონებისა და ბიჭების ასაკობრივი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ამ პერიოდში ახასიათებთ სქესობრივი მომწიფება, მოზღვავებული გრძნობები, დამოუკიდებლობის მოთხოვნები და ოჯახისა და სკოლის მიერ დადგენილ შეზღუდვებს ვერ ეგუებიან. ამას ისიც ემატება, რომ ამ ასაკში ფიზიკურად პროპორციული განვითარება შეფერხებულია, სახეზე გამოსდით ფერისმკვამელები, ადვილად ითენთებიან და გუნება-განწყობილება უფუჭდებათ იქამდე, რომ ზოგჯერ ნერვოზის ან ფსიქოზის ნიშნებიც კი აღენიშნებათ. მართალია, ყველას არა, მაგრამ ბევრს რთულად, მტკივნეულად გადააქვს ეს პერიოდი. ამის შესახებ მშობლები აუცილებლად უნდა იყონ ინფორმირებული. ასეთი მოზარდები ჯერ კიდევ გამოუცდელეები არიან და საჭიროებენ მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მხარდაჭერას, ფაქიზ და გულისხმიერ დამოკიდებულებას, საჭირო ინფორმაციების მიწოდებას ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კიდევ ირიბად, ინდივიდუალურად, ბუნებრივად. მოზარდებს ძალიან მოსწონთ მშობლებისგან სატრფიალო ისტორიების ან კურიოზების მოსმენა.

მოზარდებში განსაკუთრებით სახიფათოა ინტერნეტი, პორნოგრაფიული ფილმები და გადაცემები. იგი აუცილებლად გამოიწვევს სექსოლოგიურ, მორალურ და ემოციურ პრობლემებს. ამ მხრივ აუცილებელია მშობლებმა გამოიჩინონ დიდი სიფხიზლე და ბავშვს შეუზღუდონ ინტერნეტის თავისუფლად, უკონტროლოდ გამოყენება. გამოიყენონ ახსნა-განმარტებები, შემაშფოთებელი მაგალითები, ეთიკური და დასანამუსებელი

საუბრები, რომ უხერხულობა იგრძნონ აღსაზრდელებმა თავიანთი გადაჭარბებული არა ეთიკური გატაცებების გამო.

დასჯის მეთოდები ნაცადი საშუალებაა და ყველამ ვიცით, რომ მის გარეშე ყოველთვის ვერ დავაღწევთ თავს აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მით უმეტეს მაშინ, როცა არც ისე ბევრი გაკვიკეთებია თავიდან და რაც ახლა არ მოგეწონს, ის შედეგია ხელმიშვებულობისა. როცა მწარე შედეგი სახეზეა, მერე ერთბაშად გამკაცრება და რადიკალური ზომების მიღება არა ეფექტური მეთოდია. განრისხება შეიძლება უფრო სავალალო შედეგით დამთავრდეს. ასეთ დროს ბავშვის სახლიდან წასვლა, თვითმკვლელობა ან მცდელობა და მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათობას წარმოადგენს. მოსალოდნელი ხიფათები თავიდან რომ ავიციდინოთ, მშობლებს ბევრ დათმობაზე უწევთ წასვლა. მაგრამ დიდ ბოროტებას რომ ნაკლები ბოროტება სჯობია, ესეც ხომ ცხადია. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია მოზარდისთვის ავტორიტეტული პიროვნების დელიკატური ჩართვა, რომელიც თვალს აუხელს ბავშვს, გაახედებს მომავლისკენ, შეუქმნის წარმოდგენას სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებზე, ცხოვრების აზრზე, ამადლებულსა და დიადზე. მაგალითად, გერმანიაში არის სპეციალური სამსახური, რომელიც ძნელად აღსაზრდელებს მიუჩენს სპეციალისტს, რომელიც საკომპენსაციო და საკორექციო პედაგოგიური მუშაობის შედეგად აღწევს სასურველ მიზანს.

შვილებთან ურთიერთობაში მშობლები კიდევ ერთ გაუცნობიერებელ პრობლემას აწყდებიან. საქმე იმაშია, რომ ბავშვები იზრდებიან და იცვლებიან, მშობლები კი სტატისტიკურ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მათ შორის შეხების წერტილები თანდათანობით ერთმანეთს სცილდება. მშობლები შვილებისთვის უკვე აღარ არიან ავტორიტეტები. ჩნდება უმწეობის შემცველ კითხვა: რა ვქნა? ღმერთი თავის მსენელს არასოდეს ტოვებს უნუგემოდ: “რჩევას მოგცემ და თვალი მეჭირება შენზე” (ფსალმუნი 32:8) ეს რჩევებია: “მიენდე ღმერთს მთელი გულით და საკუთარ გონებას ნუ დაენდობით” (იგავები 3:5); “სიყვარული გამაერთიანებელი სრულყოფილი კავშირია” (კოლოსელები 3:14);

“ აღზარდე შვილები და გულის გაგიხარებენ” (იგავები 29:17); “თქვენი დიას იყოს დიას, არა კი – არა” (მათეა:37). “ყველაფერი წესიერად და ორგანიზებულად ხდებოდეს” (I კორინთელები 14:40) “მოსმენამდე პასუხის გაცემა უგუნურებაა” (იგავები 18:13) “სხვებს ასწავლი და საკუთარ თავს არა?” (რომაელები 2:21).

ჩვენს შემოქმედზე უკეთეს მრჩეველს ვერსად ვიპოვით, რადგან მან იცის ყველაზე უკეთ, როგორ უნდა აღზარდოთ მისი მოცემული შვილები. ქორწინება ხდება ნებაყოფლობისა და სიყვარულის საფუძველზე უფლებებისა და მოვალეობების შეთავსებით, ოჯახზე პასუხისმგებლობით. მამა, დედა და შვილი – სამივე მხარე უნდა ზრუნავდეს ოჯახში შექმნან თბილი ატმოსფერო. ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთგაგება, ურთიერთდათმობა, ერთმანეთის აზრის გათვალისწინება – ისეთი ზნეობრივი კატეგორიებია, რომ ყველა ტიპის ოჯახს მოერგება. როცა ადამიანები ერთმანეთს უყურებენ, როგორც პიროვნებებს, რომლებსაც აქვთ უფლება დამოუკიდებელი აზრი ჰქონდეთ, ყოველთვის გამონახავენ საერთო ენას.

მშობლები ვალდებული არიან შვილები არჩინონ, კარგად აღზარდონ და პასუხი აგონ მათზე. ეს აძლევეთ უფლებას უხელმძღვანელონ, უწინამძღოლონ პასუხი მოთხოვონ თავიანთ შვილებს. ეს ღვთითობობებული უფლებამოსილება – ოჯახის მართვა მაქსიმალურად, მიზანმიმართულად და ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული მათ საკეთილდღეოდ. იმთავითვე უნდა დაავადგინოთ წესები და შესაბამისად ვიმოქმედეთ. წინასწარ შემოსაზრული უნდა გვქონდეს წრე უამრავი ისეთი პედაგოგიური ვარიანტებით, აქედან რომელიც არ უნდა აირჩიოს ბავშვმა, ყველა მისაღები იყოს. არჩევანი თავისუფლების განცდასაც და პასუხისმგებლობის გრძნობასაც გაუჩენს ბავშვს აქტიუობისათვის. ოჯახში დადგენილ წესებს ყველა, დიდიც და პატარაც ერთნაირად უნდა ემორჩილებოდეს, რომ მან თავისი ფუნქცია არ დაკარგოს.

მშობლის ავტორიტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღზრდაში. ვინც სხვას ასწავლის, ის თვითონ უნდა იყოს

ნასწავლი. რასაც ბავშვს უწუნებს მშობელი, ის წუნი თავად არ უნდა ჰქონდეს და იმ დარიგებებს დამრიგებლის ქცევებში უნდა ხედავდეს, რომ სარწმუნოდ მიიღოს. მშობელი თუ ბოდიშს იხდის, ბავშვი სწავლობს, რომ თავადაც უნდა მოიბოდიშოს. თუ მშობელი ხმდაბლა ლაპარაკობს, ბავშვიც ცდილობს ხმა აუწყოს. თუ მშობელი ყოველთვის სუფთად არის და ფორმაშია, შვილიც შეეცდება მას მიბადოს. ბავშვები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მშობელთა გარეგნულ იერ-სახეს: ჩაცმულობას, ვარცხნილობას, მაკიაჟს, მანერებს, მეტყველებას და თუ ეს მათ იდეალს არ პასუხობს, უპატივცემულოდ ექცვიან, მათ მოთხოვნებს ნაკლებად ემორჩილებიან.

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების მიერ მათი უფლებამოსილების გამოყენების კულტურა. აღზრდა ორმხრივი პროცესია და მხარეები თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად თანასწორ პოზიციებში უნდა იყონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს მიეცეს პირობები თავისი აზრი გამოთქვას, გადაწყვეტილება თვითონ მიიღოს და სრულფასოვან პიროვნებად იგრძნოს თავი, მშობლებს კითხოს რჩევები, არ ეშინოდეს სახლში მეგობრის მოყვანის, გამასპინძლების; დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პრობლემის დროს მშობლებისგან მიიღებს გაგებასა და თანადგომას, რომ ოჯახია ის ადგილი, სადაც ელოდებიან, უფროსილდებიან, მასზე ფიქრობენ და მის ბედნიერ მომავალზე ზრუნავენ.

ამრიგად, ოჯახურ აღზრდაში ყველაზე ეფექტური მეთოდებია მშობლების პირადი მაგალითი, შვილებისათვის მნიშვნელოვანი დროის დათმობა, მათი აზრებისა და სურვილების წაკითხვა, კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეთიკური საუბრები, მესაიდუმლოება, თანაგრძნობა, თანადგომა და ა. შ. იმის გაცნობიერება, რომ მშობლებს შვილების აღზრდაზე უფრო დიდი საქმე არ ავალიათ, რომ მასწავლებელი ამ საქმეში მათი ყველაზე კომპენტენტური და ერთგული მოკავშირეა.

## თემა XVIII. პედაგოგიური მეთოდები

საკითხები:

1. მეთოდის ცნება, მეთოდის დანიშნულება;
2. მეთოდთა კასიფიკაცია და ჯგუფები;
3. ვერბალური მეთოდები და მათი დახასიათება;
4. წიგნზე მუშაობის მეთოდები;
5. პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდები;
6. პედაგოგიური კვლევის მეთოდები.

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “გზა რაიმესკენ”. ფილოსოფიური გაგებით კი – მიზნის მიღწევის საშუალებას. ის დაკავშირებულია შემეცნებასა და თეორიასთან. არის ზოგადი, საყოველთაო და სპეციალური ამა თუ იმ კონკრეტულ მეცნიერებასთან დაკავშირებული მეთოდები. თვით ერთ კონკრეტულ მეცნიერებაც მოიცავს ზოგადსა და კონკრეტულ მეთოდებს. კონკრეტული მეთოდი გამოდის ზოგადის წიაღიდან კონკრეტული სიტუაციების შესატყვისად მოცემული მეცნიერების დარგების მიხედვით.

პედაგოგიური მეთოდები, ფილოსოფიურისგან განსხვავებით, ემსახურება სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებას ზოგადად, ხოლო ამა თუ იმ ასაკობრივ და ინდივიდუალური თავისებურებისა და სასწავლო საგნის სწავლების მიზნის, შინაარსის, პრინციპებისა და ფორმების მიხედვით ხდება ზოგადი პედაგოგიური მეთოდების კონკრეტიზაცია.

პედაგოგიურ მეთოდთა დანიშნულებაა დროის, ენერჯის, მასალების, სულიერ და ფიზიკური ძალების მინიმალური დახარჯვით მაქსიმალური შედეგების მიღწევა აღზრდაში. ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად, ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ფორმირების ურთულესი გზის შემოკლება, გაადვილება და უზრუნველყოფა.



პედაგოგიკა მეთოდთა სამ სისტემას მოიცავს: პედაგოგიური კვლევის მეთოდები; სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდები; კერძო ანუ საგნობრივი მეთოდები.

სამეცნიერო პედაგოგიური კვლევის მეთოდთა დანიშნულებაა გამოიკვლიოს და დაადგინოს აღზრდის მიზანი, ამოცანები, კანონები და კანონზომიერებანი, პრინციპები, მეთოდები, ფორმები, საშუალებები, ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია მთლიანად პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებასა და საერთოდ, პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების, აღსაზრდელის პიროვნებად ფორმირებისა და აღმზრდელ-მასწავლებელთა პროფესიული მომზადების სფეროსთან. პედაგოგიური კვლევის მეთოდთა სისტემა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: უზოგადესი, ზოგადმეცნიერული და სპეციალური.

უზოგადესი ანუ დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს ყველა მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველს, და იძლევა მოვლენების შესწავლისადმი ზოგადი მიდგომის ბაზას, რომელსაც აკონკრეტებს ცალკეული მეცნიერებანი თავისი კვლევის ობიექტის, საგნისა და მიზნის შესაბამისად. კვლევის ზოგადი მეთოდების რეალიზაციას კონკრეტულ კვლევებში ახდენს ზოგადმეცნიერული და სპეციალური, კონკრეტულ-მეცნიერული მეთოდები.

შემეცნების ზოგადმეცნიერული მეთოდები გამოიყენება ყველა ან რიგ მეცნიერებათა სფეროში. ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება ექსპერიმენტი, მათემატიკური მეთოდები და სხვა. ზოგადმეცნიერული მეთოდები გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში და თითოეული მათგანი ირგებს მას თავისი სპეციფიკის შესაბამისად და მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ-მეცნიერულ მეთოდებთან მრავალფეროვანი კომბინაციებით.

პედაგოგიური პრობლემების გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უკვე ჩამოყალიბებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლას, მის თეორიულ გააზრებასა და მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებათა შემოქმედებითად ათვისებას, გაანალიზებასა, განზოგადებასა და სისტემატიზაციას. პედაგოგიური კვლევის ყველაზე გავრცელებულ მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება

დაკვირვება, საუბარი, ანკეტირება, ინტერაქტიული გამოკითხვა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული პროდუქციისა და სასწავლო დოკუმენტაციის გაცნობა.

წინასწარ იგეგმება პედაგოგიურ სფეროში მეცნიერული კვლევის მიზანი, ობიექტი, საგანი, ამოცანები, შეირჩევა შესაბამისი მეთოდი, კვლევისთვის საჭირო ყველა ტექნიკური და დიდაქტიკური, აუდიო და ვიდეო მასალები, დრო, ადგილი, მონაწილეები და ა. შ.

დაკვირვების მეთოდი გამოიყენება ამა თუ იმ პედაგოგიური მოვლენის ან მის ცალკეულ სპეციფიკური მხარის შესახებ მნიშვნელოვანი მასალების მოსაპოვებლად. დაკვირვება ხდება ბუნებრივ ან სპეციალურად შექმნილ პირობებში განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

საუბრის მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა მიზანშია ცდისპირთა პოზიციის, მსოფლმხედველობის, მრწამსის, დამოკიდებულებების, შეფასებების, მოსმენისა და მეტყველების კულტურის განვითარების დონის დადგენა. საუბარი მიმდინარეობს ბუნებრივ, თავისუფალ პირობებში, ყოველგვარი ჩანაწერების, კითხვების დასმისა და პასუხების დაფიქსირების გარეშე, მკვლევარის მიერ წინასწარ შერჩეული თემის ირგვლივ, გრძნობების და პოზიციის თავისუფლად გამოვლენის თვალსაზრისით.

ინტერვიურების მეთოდი, განსხვავებით საუბრის მეთოდისა, ღიად გამოიყენება. ამ შემთხვევაში კითხვების შედგენა ხდება წინასწარ მისაღები ინფორმაციის შესაბამისად და ასევე ღიად ფიქსირდება პასუხები.

ანკეტირების მეთოდი შედარებით ფართო გასაქანს იძლევა. აქ შეიძლება ერთდროულად გამოკითხული იქნეს მთელი მასა ადამიანებისა: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ფსიქოლოგები, ტექნიკური მუშაკები და ა. შ. მკვლევართა მიერ წინასწარ შედგენილი წერილობითი კითხვარები ურიგდებათ ადრესატებს განსაზღვრული რეგლამენტით, ასევე წერილობითი პასუხების გასაცემად. შეიძლება გამოკითხვა იყოს ანონიმური კონფიდენციალურობის საჭიროების მიხედვით ან სახელდებითი.

აღნიშნულ მეთოდთა გამოყენებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები: კითხვა უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი,

მარტივი, გასაგები. ღირებული, პასუხის სურვილის აღმძვრელი და კვლევის მიზნის შესაბამისი პასუხების მომცემი.

ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ცდის პირთა პირადი დოკუმენტები და მათი ნამუშევრები. დოკუმენტებში შედის საკლასო ჟურნალი, პირადი საქმეები, სამედიცინო ისტორია, დღიური, კრებებისა და სხდომების ოქმები. მათი შესაწავლა იძლევა მნიშვნელოვან მონაცემებს მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად.

მოსწავლეთა ნამუშევრებში იგულისხმება ნაწერები, გრაფიკა-ნახაზები, შემოქმედებითი პროდუქცია: ლექსები, ჩანახატები, ნახატები და ა. შ. აღნიშნული მასალების ანლიზი იძლევა საშუალებას მათი ინდივიდუალურობის, აკადემიურ-ინტელექტუალური განვითარებისა, ნიჭიერებისა და მისწრაფებების შესახებ.

დასახელებული მეთოდებით მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოპოვება შეიძლება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოვლენები შესწავლი იქნეს სიღრმისეულად მთელი ლოგიკური კავშირების სპექტრის გამოვლინებით და, მით უფრო, შეუძლებელია, რომ შემუშავდეს ახალი პედაგოგიური რეკომენდაციები და პრაქტიკაში დაინერგოს. ექსპერიმენტი არის ის მეთოდი, რომელიც სხვა მეთოდების დახმარებით უზრუნველყოფს ამ სიღრმისეულ გამოკვლევასა და კვლევის შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების საიმედოობას. თუ კვლევის სხვა მეთოდების მეშვეობით ფიქსირდება რეალური პედაგოგიური სინამდვილე, ექსპერიმენტი ყოველთვის ახდენს ობიექტურ კანონზომიერებათა აღმოჩენას. ექსპერიმენტი ორნაირი რეჟიმით ტარდება: ბუნებრივი ექსპერიმენტი და სპეციალურად ორგანიზებული ლაბორატორიული ექსპერიმენტი. სკოლის პირობებში ძირითადად ტარდება ბუნებრივი ექსპერიმენტები, რომ არ დაირღვეს პედაგოგიური რეჟიმი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ხოლო როცა მიზანშია ისეთი აუცილებელი მონაცემების მიღება, რასაც ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივი ექსპერიმენტი, მაშინ მიმართავენ მეორეს.

ექსპერიმენტული კვლევის კომპონენტია მეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება აღნიშნული მეთოდი. მეცნიერული ჰიპოთეზის ანუ ვარაუდის ფორმულირებას საფუძვლად უდევს სხვადასხვა მეთოდების საშუალებით მოპოვებული დოკუმენტური მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგები.

პედაგოგიური კვლევის პირველი ეტაპია ობიექტის შესაწავლის საფუძველზე ფაქტობრივი მასალების მოპოვება და თავმოყრა. შემდეგ, მეორე ეტაპზე ხდება მოპოვებული მასალების ანალიზი და კონკრეტული ფაქტებიდან თეორიულ განზოგადობაზე გადასვლა. თეორიული ანალიზის პროცესში მკვლევარი მოვლენებს შორის ეძებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ურთიერთდამოკიდებულებებს, ურთიერთ განპირებულობებს, ადგენს იმ პირობებს, რამაც წარმოშვა არსებული შედეგი, გამოყოფს შემთხვევითობას აუცილებლობისგან და გამოჰყავს პედაგოგიური ობიექტური კანონზომიერება. თეორიული მეთოდი გამოიყენება სამეცნიერო-პედაგოგიური და მისი მოსახლდრე მეცნიერებათა წყაროების და სასკოლო ცხოვრების პრაქტიკიდან მოპოვებული მასალების საანალიზოდ, რომ განისაზღვროს იდეალურსა და რეალურს, მიღწეულსა და მისაღწევს შორის არსებული განსხვავება და ამ განსხვავების გამომწვევი მიზეზები. სათანადო ლიტერატურის თეორიული ანალიზის საფუძველზე დგინდება ძირითადად ის პედაგოგიური კრიტერიუმები, რომელიც მკვლევარს აძლევს საშუალებას რეალურად არსებული ცდომილების დადგენისა და ამ კრიტერიუმებზე სწორებისა. პედაგოგიური კრიტერიუმი ასრულებს საზომის ფუნქციას.

კვლევის მათემატიკური მეთოდებიდან პედაგოგიკაში გამოიყენება რეგისტრაცია რაოდენობის, რანჟირების, შკალირების, სტატისტიკური მეთოდი და სხვა.

რეგისტრაციის მეთოდი ავლენს გარკვეული თვისებების რაოდენობრივ მაჩვენებლებს ცდისპირთა თითოეულ და მთელი ჯგუფის მიხედვით. ეს შეიძლება იყოს აკადემიური მოსწრება-ჩამორჩენილობა, გაკვეთილზე დასწრება-გაცდენა ან დაგვიანება და სხვა.

რანჟირების მეთოდი (რანგის მიხედვით დაჯგუფება) გულისხმობს შეგროვილი მონაცემების გარკვეული თანმიმდევრობით, ზრდის ან კლების მიხედვით დალაგებასა და კუთვნილი ადგილის მიჩენას. მაგალითად: ფრიადოსნები, კარგოსნები, სამოსნები და ა. შ. ან გამარჯვებულები და დამარცხებულები.

შკაღირება, როგორც კვლევის რაოდენობრივი მეთოდი, გამოიყენება პედაგოგიური მოვლენების ამა თუ იმ მხარის ციფრობრივი მაჩვენებლებით შეფასების დროს. ცდისპირებს უსვამენ კითხვებს, რომლებამაც პასუხი უნდა აირჩიონ “კი”, “არა”, “ნაწილობრივ” ნომრის მიხედვით. ნომრის რაოდენობის მიხედვით დადგინდება შკაღაც.

მიღებული შედეგების ნორმასთან შეპირისპირებით დადგინდება შესატყვისობა ან პირიქით, შეუსაბამობა. მაგალითად, ნორმად ითვლება თუ მოსწავლეს ათვისებული აქვს 85-90%. ან სწორ პასუხთა რაოდენობა ამდენივე პროცენტს ფარავს; თუ ბევრად ჩამორჩება ამ პროცენტს თვლიან, რომ პროგრამა არის ძნელი, ან პედაგოგი ვერ აკმაყოფილებს პროფესიულ დონეს, ან მოსწავლეს აქვს რაღაც პრობლემა. ამ მონაცემების ანალიზი იძლევა საშუალებას რეალური მიზეზის დადგენისა.

პედაგოგიური კვლევით მოპოვებულ მასალათა მთელი დასტის ანალიზისა და მათემატიკური დამუშავებისას გამოიყენება სტატისტიკური მეთოდი საშუალო სიმაღლის, დისპერსიის, საშუალო კვადრატული გადახრის, ვარიაციის კოეფიციენტისა და ა. შ. გამოსათვლელად.

პედაგოგიური კვლევის საბოლოო ეტაპს წარმოადგენს მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც დაკავშირებულია დონისძიებათა ფართო კომპლექსთან. როდესაც ექსპერიმენტით დადასტურდება მეცნიერული ჰიპოთეზის ჭეშმარიტება, მისი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, შემდეგ საჭირო ხდება ამ სიახლის პრაქტიკაში დანერგვა, სხვა პირობებში გადატანა. ამისათვის მიმართავენ მის პროპაგანდას პრესისა და სხვა მედიასაშუალებების, სამეცნიერო კონფერენციების, პედაგოგიური შეკრებებისა და სხდომების მეშვეობით. გარკვეული დროის შემდეგ ხდება მისი მასობრივი გავრცელება და მოქმედებს მანამ,

სანამ დროს გაუძლებს. თავისივე წიაღში იცვლება და ვითარდება დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მაგრამ გენოკოდი უცვლელი რჩება. ამას მოწმობს დაკვირვების, შედარების, ექსპერიმენტის მეთოდები და სხვა.

პედაგოგიური კვლევების ჩატარების, მოვლენების სიღრმეებში წვდომის, არსებობისა და განვითარების უცნობი, ან მივიწყებული ობიექტურ კანონზომიერებათა მიგნებსკენ გზას ხსნის სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდოლოგიური ლიტერატურის კითხვა, მისი შემოქმედებითად ათვისება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგიკისა და სასკოლო პრაქტიკის ისტორიის ცოდნა და ღირებულის გათვალისწინება ორი თვალსაზრისით: ისტორიული მემკვიდრეობითობის, გენოკოდის ურღვეობისა და აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენის ამოღარჯის თავიდან აცილების მიზნით. კლასიკური პედაგოგიკის შესწავლისა და ღრმად გაგების გარეშე სიპქვაზე სუბიექტური მოსაზრებებითა და შიშველი პრაქტიციზმით ან კიდევ “მოდაზე” ბრმად მიყოლას, ადგილობრივ ეთნიკურ-კულტურული სპეციფიკურობის გაუთვალისწინებლად, შედეგად მოსდევს ერთ გაცვეთილ წრეზე თავბრუ დამხვევი უაზრო ბრუნვა. ამიტომ აუცილებელია ჯერ გავეცნოთ დღემდე მიღწეულს და ცოდნა-გამოცდილების მთიდან გადავხედოთ სამყაროს, როგორც ამას აკეთებდნენ გამოჩენილი ადამიანები. მინდა აქ გავიხსენო დიდი ნიუტონის სიტყვები. თუ მე ჩემს თანამედროვეთა შორის სხვაზე მაღალი ვჩანდი, ეს იმიტომ, რომ გიგანტთა მხრებზე ვიდექიო.

პედაგოგიური კვლევის წარმატებას პედაგოგიკის მეცნიერებასა და პრაქტიკოს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, კონსულტაციების მიღება განაპირობებს. მასწავლებელმა თავის პროფესიულ მოვალეობას თავი რომ წარმატებით გაართვას, ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გაიცნოს და შეისწავლოს თავისი აღსაზრდელი ყოველმხრივ; დაადგინოს მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, გონებრივი და ზნეობრივი განვითარების დონე. ამ მონაცემების მისაღებად უნდა შეეძლოს მინი დიაგნოსტიკურ გამოკვლევების ჩატარება, ან საჭიროებისამებრ მეცნიერის ჩართვა, რომ ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს პედაგოგიური

ზემოქმედების საშუალებები. როგორც უშინსკიმ თქვა, თუ გვინდა ბავშვი ყოველმხრივ ჰარმონიულად აღზარდოს, ყოველმხრივ უნდა ვიცნობდეთ მასო.

ზემოთ განხილული იყო პედაგოგიური კვლევის მთოდები, მათი ჯგუფები და სახეები. ამჯერად შევეხებით სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაში შემავალ მეთოდებს. სწავლება-აღზრდის მეთოდები ისევე განუყოფელია, როგორც თავად სწავლება და აღზრდა. სწავლების აღმზრდელობითი ფუნქციის რეალიზება წარმოუდგენელია, ცალცალკე, ერთმანეთისგან იზოლირებულად: სწავლების მეთოდებად და აღზრდის მეთოდებად დაყოფით, როგორც ეს არის თანამედროვე პედაგოგიის სახელმძღვანელოებში. სწავლების მეთოდები დიდაქტიკის განყოფილებაშია ავტონომიურად, ხოლო აღზრდის მეთოდები გადაწყობილია აღზრდის თეორიის განყოფილებაში. ზოგ სახელმძღვანელოში ჯერ დიდაქტიკის თეორია ისწავლება სხვა დროს, სხვა სემესტრში. შემდეგ იწყება აღზრდის თეორია, ან პირიქით. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დიდაქტიკა არის რაღაც ცალკე დამოუკიდებელი მეცნიერება. არადა დიდაქტიკა ჩვეულებრივ პედაგოგიის სინონიმია და მეტი არაფერი. პედაგოგიის შემოქმედებმა, მისმა კლასიკოსებმა, მათ შორის იან ამოს კომენსკიმ განა დიდაქტიკაში არ მოაქცია სწავლებაც და აღზრდაც?! დიდაქტიკა პირდაპირი მნიშვნელობით ხომ ჭკუის სწავლებას, დარიგებას ნიშნავს, პედაგოგიაც ხომ ამასვე აღნიშნავს. ისიც ხომ ცნობილია, რომ ყოველივეს სამყაროში თავთავისი, ერთადერთი სახელი ჰქვია, ხოლო სინონიმები მხოლოდ მისი ელფერის, პატარა ნიუანსების აღმნიშვნელია და მთავარს ავსებს მხოლოდ. პედაგოგიის მოქმედ სახელმძღვანელოებში კი დიდაქტიკა ლამის სხვა მეცნიერებად არის გამოცხადებული. ასეთი მიდგომა ამახინჯებს და ძალას უკარგავს პედაგოგიის მეცნიერებას. ეს კი ყოველად დაუშვებელია. ეს ეხება არა მარტო მეთოდებს, იგივე ვითარებაა პედაგოგიურ პრინციპებთან დაკავშირებით, რომლის შესახებ უკვე ვისაუბრეთ იქ, სადაც პრინციპებს ვიხილავდით.

მაშასადამე, ჩვენ ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ მეთოდებს არ ვყოფთ ცალკე სწავლების მეთოდებად და ცალკე

აღზრდის მეთოდებად, ჩვენ მას განვიხილავთ როგორც ერთიან-განუყოფელ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესს ერთი მიზნისკენ მიმავალ ერთიან ფაქტორს. არ არსებობს არავითარი ცალკე სწავლების და ცალკე აღზრდის მეთოდები. არსებობს აღზრდის მეთოდები. აღზრდა კი სწავლების, განათლების, ცოდნის გარეშე არ არეობს. სრულფასოვნად აღზრდილია პიროვნება თუ იგი ნასწავლია და განათლებული. ამის გარეშე რაც ხდება, ის არის, გაზრდა, ზრდა. ეს პროცესი კი, როგორც ცნობილია, ბიოლოგიური ტერმინებით აღინიშნება.

ახლა კი შევუდგეთ სწავლება-აღზრდის მეთოდთა თეორიულ ანალიზს. პედაგოგიური მეთოდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიშნავს პედაგოგიური გენერალური მიზნის – ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, სულიერად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების ფორმირების გზას, ხერხს, საშუალებას. მეთოდთა დანიშნულებაა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი გახადოს მისაწვდომი, გასაგები, საინტერესო, ადვილად დასაძლევად, რომ დაძლევის პროცესში აღსაზრდელს მიანიჭოს მორალური კმაყოფილება, ესთეტიკური სიამოვნება და შეუქმნას სასწავლო მოტივაცია. დადებითად განეწყოს სწავლისადმი, სკოლისადმი, მასწავლებლისადმი და ცოდნის უმნიშვნელოვანესი წყაროს – წიგნისადმი. პედაგოგიური მიზნის, ამოცანებისა და შინაარსის კონტექსტში ჩასმული ოპტიმალურ მეთოდთა და პრინციპთა კომბინაციებით შესაძლებელია ძალიან რთული და ძნელი ინფორმაციებიც ადვილად და საინტერესოდ ავათვისებინოთ მოსწავლეებს. მეთოდთა ეფექტურობა მისი შედეგით განისაზღვრება. არ არსებობს უნივერსალური რეცეპტები აღზრდისა, მაგრამ არის უამრავი პედაგოგიური საშუალებები, რომელთა შემოქმედებითად გამოყენება მიგვიყვანს მიზნამდე. მეთოდი ეფექტურია, თუ ის დროის, ძალისა და მასალების მინიმალური დახარჯვით იძლევა მაქსიმალურ შედეგს.

სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდებია: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის მეთოდები, პრაქტიკულ-ლაბორატორიული, შეგნებაზე ზემოქმედების და კერძო ანუ საგნობრივი მეთოდები. ამ მეთოდთა ჩარჩოში ანუ წრეში



თავსდება დანარჩენი, ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდები.

ვერბალური მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: აკრომატიკული ანუ მონოლოგიური და ეროთემატიკული ანუ დიალოგიური. მონოლოგიურია მეთოდები, როდესაც ერთია მთქმელი, დანარჩენები კი – მსმენელები. ხოლო დიალოგიურია მეთოდები, რომელშიც ორივე მხარე თანაბრად მონაწილეობს, როცა ყველა მონაწილე გასუბიექტებულია პირველთან შედარებით.

აკრომატიკულ ანუ მონოლოგიურ ტიპის მეთოდთა ჯგუფში შედის თხრობა, აღწერა, კომენტარი, ლექცია, ინფორმაცია, ინსტრუქტაჟი, დარწმუნება, წახალისება, დასჯა, მოხსენება, ანგარიში, დასკვნა და ა. შ.

ეროთემატიკული მეთოდებია: საუბარი, კითხვ-პასუხები, ინტერვიუ, დისკუსია, პაექრობა.

თხრობის მეთოდი ნიშნავს სასწავლო თემის შინაარსის ისე გადაცემას, რომ მოსწავლეებმა გაიგონ ძირითადი თემა, იდეა სიუჟეტი, პერსონაჟები, სახელები, სახელწოდებები, თარიღები, ცნებებ-ტერმინები, ფაქტები, მოვლენები, ურთიერთობები, ზნეობრივი თვისებები, და ა. შ. თხრობის მეთოდი ძირითადად ემყარება კონკრეტულ-სახიერ აზროვნებას, ამიტომ ის გამოიყენება დაწყებით კლასებში. ერთდამავე გაკვეთილზე გამოიყენება მეთოდთა და ხერხთა კომპლექსი, მაგრამ მას, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს მოცემულ პედაგოგიურ სიტუაციაში, ის ითვლება მთავარ მეთოდად, ხოლო დანარჩენი დამხმარე საშუალებები კი – დამხმარე მეთოდებად და ხერხებად. აღწერითი თხრობა იმით განსხვავდება ჩვეულებრივი თხრობისაგან, რომ აქ ყურადღება მახვილდება საგნის ან მოვლენის გარეგნულ ნიშნებზე: ფორმა, ფერი, მოცულობა, რაოდენობა, სისუსტე, ზომა-წონა და ა. შ. კომენტარის დრო ხდება შინაარსობრივად, ან ფაქტის, ან მთავარი აზრის გამოკვეთა და ახსნა-განმარტების მიცემა თავის შეხედულებისამებრ; ლექცია დონეთა მიხედვით ორგვარია: სასკოლო ლექცია და უმაღლესი სკოლის ლექცია. ლექცია ეყრდნობა აბსტრაქტულ აზროვნებას და ამიტომ ის გამოიყენება ძირითადად უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ნაწილობრივ უფროს სასკოლო ასაკში. თხრობის მეთოდისაგან განსხვავებით

მას ეთმობა გაკვეთილის უმეტესი დრო, ან კიდევ მთელი გაკვეთილი. უმცროს და საშუალო ასაკის ბავშვები ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯერ კიდევ ისე არ არიან მომწიფებულნი, რომ ერთ საგანზე, ერთ პროცესზე ასე დიდხანს შეაჩერონ ყურადღება, რადგან ჯერჯერობით აბსტრაქტულ-დიალექტიკური აზროვნების უმნიშვნელო ელემენტებს ფლობენ, რაც საკმარისი არ არის სასწავლო მასალის გასაგებად. ლექციური მეთოდისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: პრობლემის დასმა, დებულებები, კონცეფციები, თეორიული ასპექტები, კლასიფიკაციები, არგუმენტაციები, სხვადასხვა მტკიცებულებები, განზოგადოება, სისტემატიზაცია და ა. შ. ლექციის ეფექტურობას განაპირობებს სტრუქტურული აგების ლოგიკა, სწორად დაგეგმვა, აზრობრივ მონაკვეთებად დაყოფა და ყოველი მონაკვეთის რეზიუმირება, პარალელები, შედარებები, სათანადო თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენება და ა. შ. ასევე ტემპი, დიქცია, მახვილები, ხმის სიმაღლე და სხვა.

ინსტრუქტაჟის მეთოდის დანიშნულება წერილობითი ან ზეპირი ინსტრუქციის მიცემა მოსწავლეთათვის გაკვეთილის მომზადების, საშინაო დავალებისა და სავარჯიშოების შესრულების, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის, სასწავლო ტექნიკური საშუალებების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების, ინტერნეტის და სხვა საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების შესახებ. შესასრულებელი დავალების სიმძიმის მიხედვით იყენებენ ინსტრუქტაჟებს. მაგალითად, თუ დავალება რთულია და ახალი, რომლის შესრულების უნარ-ჩვევები ჯერ არ გააჩნიათ, მაშინ ეძლევათ წერილობითი ინსტრუქტაჟი და სათანადო ნიმუში ანლოგიისათვის. ხოლო ზეპირი ინსტრუქტაჟი კი – უკვე ნაცნობის გასამტკიცებლად.

ერთოთემატიკული ანუ დიალოგიური მეთოდები უზრუნველყოფს ორმხრივ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. შემეცნებითი პროცესის მონაწილე მასწავლებელი და მოსწავლეები წამოადგენენ მოპირდაპირე მხარეებს. საუბრის თემა აუცილებლად ნაცნობი, უფრო მეტიც, ნასწავლი უნდა იყოს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ დიალოგში თავისუფლად ჩართვა. სასაუბრო თემა წინასწარ არის მომზადებული. მხოლოდ

ორგანიზებას უწევს მასწავლებელი, რომ სწორად, გამართულად და სასარგებლოდ წარიმართოს საუბარი. მასწავლებელს წინასწარ აქვს შერჩეული მნიშვნელოვანი კითხვები ან საკითხები, ან თვითონ მოსწავლეებს გამოაქვთ სასაუბრო თემიდან მათთვის საინტერესო კითხვები ან საკითხები, რომლის ირგვლივ უნდა გაიმართოს მსჯელობა. საუბრის მეთოდმა უნდა უზრუნველყოს ფაქტების, ცნებებისა და კანონზომიერებების ათვისება; ადრე ნასწავლთან პარალელების პოვნა და ურთიერთდაკავშირება, მეხსიერების გავარჯიშება, ხარვეზების კორექცია, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევების გამომუშავება და ა. შ. საუბრის მეთოდს აღმზრდელითი მიზნითაც გამოიყენება. კარგ საუბარს შეუძლია გამოიწვიოს დარწმუნება, შთაგონება, სასაუბრო თემისადმი დადებითი განწყობა, სუბიექტის მოტივირება და აქტივიზაცია.

კითხვა-პასუხების მეთოდი ძირითადად გამოიყენება ახალახსნილი მასალის ათვისების შემოწმებისა და განმტკიცების ანუ კატეხიზაციის, ასევე ფრონტალური კითხვები – წინა მასალიდან კლასის ცოდნის შემოწმების დროს. ეს კი საშუალებას იძლევა რაიმე ნაკლის, ხარვეზების დროულად თავიდან აცილებისა, ცოდნის გაღრმავებისა და განმტკიცებისა.

ინტერვიუების მეთოდსაც თავისი ადგილი უკავია ეროთემატიკულ მეთოდთა შორის. აქაც წინასწარ არის განსაზღვრული ადრესატი, თემატიკა, კითხვები, იმის და მიხედვით, თუ რა ინფორმაციის მიღება გვსურს. ღიად ხდება კითხვებისა და პასუხების დაფიქსირება. ამ გზით მიღებული ინფორმაციების ანალიზი და დასკვნების გაკეთება, ან კიდევ დასკვნების გარეშე ფაქტის დაფიქსირება.

პედაგოგიკაში ცნობილი და ნაცადი მეთოდია დისკუსია. ის ლათინური წარმომავლობისაა და ნიშნავს განსჯას, გამოკვლევას, საკამათო საკითხების საჯარო განხილვას. დისკუსია ეფუძნება გარკვეულ თეორიული ცოდნა-გამოცდილების მარაგს. დისკუსიის თანმხლები კომპონენტებია პრობლემის გაცნობა, გადაჭრა და ჭეშმარიტების დადგენა სარწმუნო არგუმენტებით. დისკუსიის დროს ადგილი აქვს ლოგიკურ მსჯელობას, განსხვავებული თვალსაზრისთა ურთიერთანალიზსა და ურთიერთშეფასებას და

ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას. გარდა იმისა, რომ დისკუსიის პროცესში მიიღწევა ჭეშმარიტების დადგენა, ამასთანავე მას მორალური ასპექტიც გააჩნია. საკუთარი აზრის გამოხატვისა და ოპონირების კულტურა, ჯანსაღი კრიტიკა. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეს ეხმარება თვითშეფასებისა და თვითშეცნობის, ცოდნ-გამოცდილების გაღრმავების აუცილებლობის შეგნების ამაღლებაში. განხილვის პროცესში ნათელი ეფინება სადისკუსიო თემის ბუნდოვან, საკამათო მხარეს. დისკუსიის სწორად წარმართვას უნდა აკონტროლებდეს მასწავლებელი და გზადაგზა საჭიროებისამებრ უნდა ერეოდეს კიდევ.

პაექრობის მეთოდს დიდი ხნის ისტორია აქვს. მას ახლავს შეჯიბრების ელემენტები. პაექრობა მოიცავს ექსპრომტებს, გამოცანებს, ანდაზებს, ენისსატყეხებს, გაშაირებას. მისი მიზანია გამარჯვებულის გამოვლინება. იგი მოითხოვს ფართო განათლებას, ერუდიციას, ცოდნის მარაგს, წარმოთქმის კულტურას და ა. შ.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოების მეთოდს. მას პედაგოგიურ პრინციპსაც უწოდებენ იმის და მიხედვით პედაგოგიური პროცესის თუ რა კონტექსტში გამოიყენება. იგი გაკვეთილზე ხან მეთოდად გვევლინება, ხან კიდევ პედაგოგიურ ხერხად. თუ იმის საშუალება არის, რომ სასწავლო მასალა ნატურალურ მდგომარეობაში წარმოვადგინოთ, ის უშუალოდ შეგრძნებების საშუალებით პირდაპირ ცნობიერებაში აღიბეჭდება და წარმოსახება. თვალსაჩინოების მეთოდი ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ილუსტრაციისა და დემონსტრაციის მეთოდებად. ილუსტრაციის მეთოდი მოიცავს პლაკატებს, რუკებს, ნახატებს სურათებს, მეცნიერთა პორტრეტებს და ა. შ. დემონსტრაციის მეთოდი ნიშნავს სასწავლო ობიექტის აუდიო და ვიზუალური საშუალებებით დემონსტრირებას, რომელსაც აუცილებლად ახლავს კომენტირების მეთოდიც.

ცოდნის შემოწმება-შეფასების მეთოდებია ზეპირი, წერილობითი ან გრაფიკული გამოკითხვა, ტესტური შემოწმება და ა. შ.

წახალისების მეთოდი შეიძლება იყოს სიტყვიერი,

წერილობითი, მატერიალური წახალისება, დაჯილდოება დამსახურების მიხედვით.

წიგნზე მუშაობის მეთოდები მოკრძალებულად გამოიყურებიან, სინამდვილეში ყველაზე დიდ საქმეს ემსახურებიან. წიგნი არის ცოდნის ამოუღვეველი წყარო. კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების საცავი, კაცობრიობის სულიერი საუნჯე. მოსწავლეებში წიგნის სიყვარულის გაღვივება და ინფორმაციების დამოუკიდებლად მოპოვების უნარ-ჩვევები აღზრდის ნახევარი საქმეა. წიგნი უწყინარი, უვნებელი, საიმედო, უღალატო, მარადიული მეგობარი და ერთგული მრჩეველია. კომპიუტერი მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ წინ ვერაფერი დაუდგება წიგნს. წიგნი შეგიძლია იკითხო ყველგან, ყოველთვის, შინ და გარეთ, გზაში, კარში, მჯდომარე, მდგომარე, მწოლიარე და ა. შ. როდის მოგესწრებით, რომ ოჯახში ყველა მის წევრს ჰქონდეს ინდივიდუალური კომპიუტერი?! სიკეთესთან ერთად, რაც რამ სისაძაგლეა ქვეყნად, ინტერნეტშია ჩალაგებული, რომელსაც დაწაფებული არიან მოზარდები და მთელ გონიერებისა და სიბრძნის დაგროვების ძვირფას დროს მას ახმარენ და ტვინგაბრუებულები, ზნეობაშერყვნილები, სულიერობა წარწყმედილები მიდიან სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში. მშობლები და მასწავლებლები შემფოთებულნი არიან, მაგრამ პრობლემას ვერაფერს უხერხებენ. მთავარია, რას როგორ ვიყენებთ. თუ ბოროტად გამოვიყენებთ, ერთ ღერ ასანთს შეუძლია მთელი ქვეყანა გადაწვას.

წიგნზე მუშაობის მეთოდებია: ინდივიდუალური, ჯგუფური, კოლექტიური, კომენტირებული და დეკლამატორული კითხვა. წაკითხულის დაგეგმარება, დაკონსპექტება, თეზისების, რეფერატების მომზადება, ანოტაცია, რეცენზირება და ა. შ.

პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდები თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირების, პირადი გამოცდილების მიღების შეუცვლელი საშუალებაა. პრაქტიკული მეთოდი მოიცავს მოსწავლის სასკოლო საქმიანობის მთელ სპექტრს. პრაქტიკული მეთოდებია: წერითი სავარჯიშოები, გრაფიკული ნახაზების, სქემების, რუკებისა და ატლასების შედგენა და სხვა.

პრაქტიკული მეთოდი სხვადასხვა ხერხების მეშვეობით აორგანიზებს სასწავლო პრაქტიკულ პროცესს. ეს ხერხებია: დავალების მიცემა, მისი დაგეგმარება, პროცესის მიმდინარეობის მართვა, სტიმულირება, რეგულირება, გაკონტროლება, შედეგების შემოწმება-შეფასება, ხარვეზის გამოვლინება, მიზეზის დადგენა, კორექტირება და სხვა.

პრაქტიკულ მეთოდს მიეკუთვნება აგრეთვე შრომითი საქმიანობა სკოლის სახელოსნოებში, სასწავლო – მწარმოებლურ საამქროებში, მოსწავლეთა ბანაკებში, სხვადასხვა პირობებში: ყანა, ციტრუსი, ჩაის პლანტაცია, ვენახი და ა. შ. აქვე იგულისხმება სასწავლო სახელოსნოებში ქაღალდის, ხის, ლითონის და სხვათა გადამუშავებისა და გადამმუშავებელი დანადგარებთან, სხვადასხვა ელექტროხელსაწყოებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ლაბორატორიული მეთოდი პრაქტიკული მეთოდის ნაირსახეობაა. მოვლენებზე, საგნებზე უშუალო დაკვირვებისა და პროცესში მონაწილეობის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიული მეთოდი ძირითადად გამოიყენება საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგნებში. მას გაკვეთილის ნაწილი ეთმობა და მიმართულია თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა და თვით თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებისაკენ. ცდების ჩატარება, საჭირო ხელსაწყოებთან შეხებისა და გამოყენების ცოდნა და სხვა.

პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდი აუცილებლად დაკავშირებულია ვერბალურ და თვალსაჩინოების მეთოდებთან. სანამ პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდის რეალიზაციას მოახდენენ, იყენებენ შესავალ სიტყვას დავალებაზე და მის შესრულებასთან დაკავშირებულ პირობებზე, უსაფრთხოების ზომებზე, პროცესის თანმიმდევრობასა და შედეგზე და ა. შ.

სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდთა წრეში თავსდება აგრეთვე სხვა პედაგოგიურ ურთიერთობებთან დაკავშირებული შიგა, გარე, პირდაპირ და ირიბ მიმართებებში მყოფი ძირითადი და დამხმარე მეთოდები, ხერხები და მათი უამრავი ნიუანსები.

მასტიმულირებელი, მაკორექტირებელი, მაკონტროლებელი მეთოდები.

მასტიმულირებელი მეთოდის ფუნქცია არის მოსწავლეში გამოიწვიოს წარმატებით მიღებული სიხარულის განცდა, მორალური კმაყოფილება, ესთეტიკური სიამოვნება. შემეცნებაში ჰპოვოს მან თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება. პედაგოგიკაში არის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება უზრუნველყოფს ასეთი გრძნობებისა და ემოციების გამოწვევას მოსწავლეებში. მაგალითად, მასწავლებელმა ისეთი კითხვები, დავალებები, სავარჯიშოები უნდა მოუმზადოს გასააქტიურებელ მოსწავლეებს, რომლებიც ადვილად დასძლევენ მას და მომდევნო ანალოგიური დავალების შესრულებასაც საფუძვლად დაედება. თანადგომით, კეთილგანწყობით, დაძაბულობის მოხსნით მასწავლებელმა ძალა უნდა აპოვინოს სუსტ მოსწავლეს თავისთავში. ამას კი სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს მანამ, სანამ ამის საჭიროება იარსებებს წახალისების მეთოდების თანხლებით. შეგნებაზე ზემოქმედების მეთოდთაგან განსაკუთრებულ ძალას ფლობს დარწმუნების მეთოდი. იგი ხელს უწყობს ჭეშმარიტი ინფორმაციის აქტიურ მიღებას და მისდამი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავებას მსმენელში. დარწმუნების მეთოდის მთავარი არსი ჭეშმარიტი ინფორმაციები, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მტკიცე არგუმენტაციები, პირადი თვალსაჩინო მაგალითები და შესატყვისი შედეგებია.

პედაგოგიურ მეთოდთა სისტემაში შედის კერძო ანუ საგნობრივი მეთოდიკა. ასეთი მეთოდიკა იმდენი სახისაა, რამდენიც სასწავლო საგანია. მაგალითად: ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, მათემატიკის სწავლების მეთოდიკა და ა. შ. კერძო მეთოდიკის დანიშნულებაა განსაზღვროს ზოგადი პედაგოგიკის საფუძველზე კონკრეტულად მოცემული საგნის სასწავლო აღმზრდელობითი პოტენციალი, მიზანი, ამოცანები, შინაარსი, საგანთაშორისი კავშირები და სხვა. ორიენტირება მოხდინოს პედაგოგიკის გენერალური მიზნის – პიროვნების

გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური სრულყოფისკენ.

მაშასადამე, პედაგოგიკის მეთოდთა სისტემაში შედის პედაგოგიური პროცესებიდან გამომდინარე მეთოდთა შემდეგი ჯგუფები: პედაგოგიური კვლევის მეთოდები, სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდები, დარწმუნების და კერძო ანუ საგნობრივი მეთოდები. აღნიშნულ მეთოდთა ეფექტურობა დამოკიდებულია მასწავლებლის ოსტატობაზე, მის პედაგოგიურ ხელოვნებაზე.



## თემა XIX. პედაგოგიური ხელოვნება

საკითხები:

1. პედაგოგიური ხელოვნების არსი და მნიშვნელობა;
2. პედაგოგიური ხელოვნების საფუძვლები: ცოდნა, უნარ-ჩვევები, სიყვარული და პატივისცემა;
3. პედაგოგიური ტაქტი;
4. პედაგოგიური მჭევრმეტყველება. კომუნიკაბელურობა;
5. პედაგოგიური ეთიკა და სულიერობა.

პედაგოგიური ხელოვნება პედაგოგიკური მეცნიერების ნაწილია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებით, მასწავლებლის საუკეთესო პროფესიული და პიროვნული თვისებებით შეზავებული. მასწავლებლის პროფესიის სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ანდობენ ყველაზე ძვირფასს და უნიკალურ ქმნილებას – შვილს. რომელშიც ღვთის მიერ ჩადებულია პოტენციური შესაძლებლობა, გახდეს ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, გონებრივად, ზნეობრივად, სულიერად, ესთეტიკურად და ფიზიკურად ჩამოყალიბებული სრულფასოვანი პიროვნება. ამ მისიის აღსრულება აღმზრდელ-მასწავლებლისგან მოითხოვს, თუ ფიგურალურად ვიტყვით, თავს, გულს, ხელებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი პედაგოგიკის მეცნიერების, ფსიქოლოგიისა და სპეციალური სასწავლო საგნის ღრმად ცოდნის გარდა, უნდა ფლობდეს, ამ ცოდნა-გამოცდილების შემოქმედებითად, მოცემულ კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციის შესატყვისად პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევებს. პედაგოგიკის მეცნიერება მხოლოდ ოსტატის ხელში მუშაობს. ამიტომ თუ პროფესიული პრობლემები გვაქვს, პედაგოგიკა არაფერ შუაში არ არის, პრობლემა ჩვენს პროფესიონალიზმში უნდა ვეძებოთ.

პედაგოგიკური მეცნიერება გვატყობინებს თუ რა პედაგოგიური იარაღები სჭირდება აღზრდას, ხოლო მისი ერთერთი სისტემა,

პედაგოგიური ხელოვნება კი – თუ როგორ გამოვიყენოთ ეს იარაღები, რომ პედაგოგიური მიზანი მიღწეულიქნეს. პედაგოგიკურ ლიტერატურასა და სასკოლო პრაქტიკაში პედანტები სვამენ კითხვას: პედაგოგიკა მეცნიერებაა თუ ხელოვნება? მავანთმავანი იქამდეც კი მიდის, რომ უაპელაციოდ აცხადებს: პედაგოგიკა არ არის მეცნიერებაო. თუ პიროვნების აღზრდის მეცნიერება არ არის მეცნიერება, მაშინ როგორღაა მეცნიერება მეფრინველოების მეცნიერება, მეცხოველეობის მეცნიერება, სანტექნიკის მეცნიერება და ა. შ. ამგვარი უზუსტობის ზუსტი პასუხი ასეთია: პედაგოგიკა არის მეცნიერებათა მეცნიერება, რადგან არასდროს არავინ მეცნიერი არ გამხდარა აღზრდის გარეშე. პედაგოგიური ხელოვნება არის მასწავლებლის მიერ პედაგოგიკური მეცნიერების ოსტატურად, შემოქმედებითად გამოყენება აღზრდის პრაქტიკაში. იგი ეფუძნება პედაგოგიკურ, ფსიქოლოგიურ და სხვა მოსაზღვრე მეცნიერებათა ცოდნასა და მისი გამოყენების უნარ-ჩვევებს, პროფესიონალიზმს, აღსაზრდელის სიყვარულსა და პატივისცემას. ასევე ამ ცოდნაში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგიური შრომის ობიექტის – აღსაზრდელის ყოველმხრივ: პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ ასპექტში შესწავლა, მისი ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების დასადგენად. სამყაროში ადამიანი იბადება ყველაზე უსუსური ყველა არსებათა შორის, რაც იმთავითვე მიაჩნებებს მის განსხვავებულ მისიასა თუ დანიშნულებაზე. ღმერთმა ადამიანის სიყვარულით აღსავსე ბატონობას დაუქვემდებარა მთელი დედამიწა და, რაც მასშია: “შექმნა ღმერთმა ადამიანი თავის ხატად . . . შექმნა ისინი მამაკაცად და დედაკაცად და უთხრა მათ ღმერთმა: ინაყოფიერეთ, გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას და თქვენ გემორჩილებოდნენ ზღვის თევზები, ცის ფრინველები და ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე.” . . . “აი მოგეცით ყველა თესლოვანი მცენარე მთელი მიწის პირზე, და თესლის ნაყოფის მომცემი ყველა ხე” ( დაბადება 1:27,28,29). ასეთი დიდი მისიისთვის, როგორცაა სამყაროს მოვლა და პატრონობა, ადამიანს დიდხანს სჭირდება მომზადება. სხვა არსებათა დანიშნულება მხოლოდ არსებობაა, ხოლო საარსებო საშუალება კი შეგნებული შრომის

გარეშე, მზად ეძლევათ. ადამიანი, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი უნიკალური, შემეცნებელი და შემოქმედი ბიო-სოციალური არსება კი ბიოლოგიურ, სოციალურ გარემოსა და აღზრდის ფაქტორთა მიზანმიმართული, თანმიმდევრული და სისტემატური ზემოქმედებით სრულფასოვან პიროვნებად უნდა იქცეს. ეს კი ურთულესი, ხანგრძლივი და შრომატევადი აღზრდელობითი პროცესია, რომელსაც წარმართავს პედაგოგი თეორიული პედაგოგიური ცოდნისა და მის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების საფუძველზე. პედაგოგიური ცოდნის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში იგულისხმება პედაგოგიური პროცესებისა და სისტემების და მათი კომპონენტების: პედაგოგიური მიზნის, ამოცანების, კანონების, კანონზომიერების, განათლების შინაარსის, პრინციპებისა და მეთოდების, ახალი პარადიგმებისა და ტექნოლოგიების, სწავლების დიდაქტიკური და ტექნიკური საშუალებების, ცოდნა-გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების სახეებისა და კრიტერიუმების, მოცემულ პედაგოგიურ სიტუაციასთან შესატყვისად პედაგოგიური შრომის კოორდინირება-ინტეგრირება, ორგანიზაცია და კონკრეტიზება, მისი ოპტიმიზაციისა და ინტენსიფიკაციის საფუძველზე.

ამ უზარმაზარი პედაგოგიური მექანიზმის ამოქმედება, მისი მიზნობრივად და გეგმაზომიერად მოძრაობაში მოყვანა პედაგოგიკის მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების ლოგიკურ-დიალექტიკურ კავშირში მოყვანით არის შესაძლებელი. ამაშია აღზრდის ობიექტური კანონზომიერება.

პედაგოგიური ხელოვნება აღსაზრდელის შეგნებაზე, მის გრძნობასა და ემოციებზეა ორიენტირებული და იგი მიზანს აღწევს ზემოქმედების ამავე ინსტრუმენტებით. კერძოდ, სამართლიანი მოთხოვნების, სიყვარულისა და მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის პედაგოგიურ პრინციპთა მარჯვე, ოსტატური გამოყენებით. საქმისადმი მიდგომის პედაგოგიური სტილი განსაზღვრავს პედაგოგიური ხელოვნების ეფექტურობას. ბავშვების სიყვარულის საუკეთესო მაგალითი დაგვიტოვა ღვთის ძემ, იესო ქრისტემ. “იესომ მოიხმო პატარები და თქვა: მოუშვით ბავშვები ჩემთან, ნუ აკავებთ, რადგან მაგნიარებისაა ღვთის

სამეფო” (ლუკა 18:16). ბავშვებთან ახლოს ყოფნა, მოფერება, მათი აზრის გათვალისწინება, კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მათი სოციალიზაციისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილების მოთმინებით, მისაწვდომად, საინტერესოდ გადაცემა, მათდამი სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლინებაა, რასაც მათი მხრიდანაც ადეკვატური რეაქცია მოჰყვება უსათუოდ. სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ღვთიური პრინციპია და ვინც ამას ავლენს სხვის მიმართ, ის ამითაც ღვთის ნების შემსრულებელია.

პედაგოგიური ხელოვნების კომპონენტია პედაგოგიური ტაქტი, რაც ზომიერების გრძნობას, გაწონასწორებულობას ნიშნავს. თუ ზომიერება ვერ ან არ დაიცვა მასწავლებელმა მოსწავლეებთან ურთიერთობაში, მისი დამოკიდებულება ამ უკანასკნელის მიერ არაობიექტურობად, უსამართლობად იქნება აღქმული და მასწავლებლის ავტორიტეტი ეცემა. უავტორიტეტო მასწავლებლის სიტყვა კი ძალას კარგავს და პრობლემები იჩენს თავს პედაგოგიურ ურთიერთობაში. პედაგოგიური ტაქტი არეგულირებს ზემოქმედების დროულობასა და სივრცობრიობას, შექმნილ სიტუაციასთან შესატყვისობას. სოკრატე მასწავლებლებს არიგებდა, რომ ცხელ გულზე გამოტანილი განაჩენი არასოდეს არ არის ობიექტური. არაობიექტურობას კი შესაძლებელია უფრო მძიმე შედეგები მოჰყვეს: ბავშვის განაწყენება, უნდობლობა, გულგატეხილობა ან აგრესიულობა. ეს კი ჩაითვლება როგორც მასწავლებლის მარცხი. ამიტომ თვლიდა დიდი ფილოსოფოსი ტაქტიანობას პედაგოგიურ ატრიბუტად. ტაქტიანობა კი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობაზე ვითარდება. ტაქტიანობას განსაკუთრებული პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს გარდამავალ ასაკში. ამ დროს ბვრად მაღალია მოზარდის მგრძნობელობა ასაკობრივი თავისებურების გამო, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მასთან ურთიერთობაში. მასწავლებელი ყველა სიტუაციაში უნდა ფლობდეს თავის თავს, პედაგოგიური ტექნიკის მთელ კომპლექსს; აკონტროლებდეს თავის ქცევას, გამოხედვას, ჟესტიკულაციას, ხმის ტონს, გრძნობებს, მოძრაობებს, მიხვრა-მოხვრას და ა. შ. ერთი სიტყვა სხვადასხვა ელფერს იძენს, უფო მეტიც, აზრსაც კი იცვლის ტონის მიხედვით. ამის

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აკაკი წერეთლის ცნობილი სიტყვები. ეს დიდი მგოსანი მიეფერა თურმე მეზობლის ბავშვს და მოუწოდა: ისწავლე, შეილო, ისწავლე, მამაშენივით ვირი არ გამოხვიდო. ბავშვმა აკაკის სიტყვები გაიმეორა ოჯახში, რასაც მამის განრისხება მოჰყვა. პოეტმა მხოლოდ მძიმე გადაადგილა: ისწავლე, შეილო, ისწავლე მამაშენივით, ვირი არ გამოხვიდო. ასე მარტივად განმეხტა კონფლიქტური სტუაცია სასიქადულო პოეტმა.

პედაგოგიური მჭევრმეტყველება პედაგოგიური ხელოვნების უმთავრესი ნაწილია. მეტყველება – ეს არის სამყაროს პირველი და განუმეორებელი საოცრება, ადამიანის ღვთითბოძებული უნიკალური უნარი, მჭევრმეტყველება კი – ამ უნარის მწვერვალი. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ადამიანები მეტყველების გარეშე? “უტყვი ადამიანები ერთმანეთისგან დაშორებულ კუნძულებს დაემსგავსებოდნენ” – წერს ენათმეცნიერი. მეტყველებასთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ: “სიბრძნე სიტყვით შეიცნობა და ცოდნა ენის მეტყველებითო” (სიბრძნე ზირაქისა 4:24). ორატორული ხელოვნების პრიორიტეტულ მდგომარეობაზე მიუთითებს რიტორიკის საისტორიო წყაროები: დემოსთენეს “რეჩი”, არისტოტელეს “რიტორიკა”, ციცერონის “ორატორი”, თემისტოლის XXVII სიტყვა, კვინტილიანეს “ორატორის დარიგებანი” (12 წიგნად), ანტონ I “წყობილსიტყვაობა”, იოანე ბატონიშვილის “კალმასობა”, ს. დოდაშვილის “რიტორიკა, ნ. კანდელაკის “ქართული მჭევრმეტყველება” და უამრავი სხვა და, რაც მთავარია, სიბრძნის უშრეტი წყარო, ბიბლია სავსეა ორატორული ხელოვნების უბადლო ნიმუშებით: ფსალმუნები, ქრისტეს ქადაგებანი, სატანასთან კამათი, პავლე მოციქულის მიმართვები და ა. შ. აზრისა და ფორმის ჰარმონიული ერთიანობის უნიკალური ნიმუშებია.

რიტორიკის ქართული ტერმინოლოგიის და მასთან დაკავშირებული ეპითეტებისა და გამონათქვამების, დარგებისა და უანრების მრავალფეროვნება მჭევრმეტყველების შემსწავლელი მეცნიერების – რიტორიკის სისრულეზე და თვითმყოფადობაზე, მის დროითა და სივრცით შეუზღუდაობაზე მიუთითებს. ნ. კანდელაკს რიტორიკის ტერმინოლოგიაში 70-

მდე ტერმინი, ეპითეტი და ანტონიმები აქვს აღნუსხნილი, რომელთა მექანიკური დამახსოვრებაც კი ადამიანს რიტორიკის ლექსიკური მარაგს გაუმდიდრებდა. საჭერმეტყველო ტერმინოლოგიისა და ეპითეტ-გამოთქმების, ასევე მის ანტონიმების სიმდიდრე შეუზღუდავი ენობრივი პოტენციით არის განპირობებული. რიტორიკის მეცნიერების სისტემის მრავალმხრივობასა და მრავალფეროვნებზე მეტყველებს აგრეთვე მისი დარგობრივი და ჟანრობრივი სიმდიდრე. დღემდე ცნობილია მჭევრმეტყველების შემდეგი დარგები: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო, საპარლამენტო, სამგლოვიარო, საგანმანათლებლო ანუ პედაგოგიური მჭევრმეტყველება, მორალურ-ადმზრდელიობითი და სხვა, რომლებსაც შეესატყვისება ქვედარგები: სამოდვრო, სახოტბო, საზეიმო, საგოდებელი, საპაექრო, საელჩო, პედაგოგიური, ეპისტოლარული, და ა. შ. ჟანრები: ქადაგება, სწავლება, დამოდვრა, სიტყვა, მოხსენება, ქება, შესხმა, მილოცვა, სამძიმარი და სხვა – ყველა ერთად შეადგენს რიტორიკის შინაარსს.

როგორც რიტორიკის კლასიკოსები მიუთითებენ, მჭევრმეტყველების პროცესს ქმნის ღირსშესანიშნავი შინაარსი, ფორმა, მიზანი და შესრულების ოსტატობა. შინაარსი მოიცავს თემას, მოტივს, იდეას. იგი, კვინტილიანეს მიხედვით, უნდა იყოს სასარგებლო, მნიშვნელოვანი, გასაგები და ღამაზი. მჭევრმეტყველების შინაარსთან დაკავშირებით თავის სიტყვაში “გვირგვინის შესახებ” ამბობს: “ღირებულებას წარმოადგენს ორატორის სიტყვა არა თავისთავად და არც ჟღერადობა მისი ხმისა, არამედ ის, თუ რაოდენ იზიარებს იგი ხალხის გულისნადებს და რამდენად სძულს ან უყვარს ადამიანები.” რომაელი ორატორი ციცერონი აღნიშნავს: “ღამაზად ღამაზაკი, როგორც ჭეშმარიტი ორატორი მეტყველებს, სხვა არაფერია, თუ არა ღამაზი აზრების შერჩეული სიტყვებით გამოხატვა. მჭევრმეტყველების თეორიის მიხედვით, ორატორულ სტილს განაპირობებს ტროპი, ფიგურა და კეთილხმოვანება თავისი შემადგენელი სახეებით: შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, მეტონიმია, პერიფრაზი, გრადაცია, ინვერსია, ანაფორა, სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, ეფემერიზმი, რიტმი, რიტორიკული შეკითხვები, რიტორიკული შეძახილები და სხვა.

მჭევრმეტყველების მიზანი არკვევს, თუ რისთვის ვლავარაკობთ, საით მივისწრაფით და რას უნდა მივალწიოთ, მოიცავს დასკვნებს, დებულებებს, არგუმენტებს, რომელთა მეშვეობით ხდება დამტკიცება, დარწმუნება, ზეგავლენა. მჭევრმეტყველების ოსტატური შესრულების ხერხებად ითვლება მეტყველების ტექნიკა: ხმის სიმაღლე, სიმძლავრე, პაუზა, მახვილები, ინტონაცია, მიმიკა, უესტიკულაცია, დგომის პოზა, მიხვრა-მოხვრა და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მჭევრმეტყველების პროცესს აპირობებს ჩამოთვლილ კოპონენტთა და ხერხთა კომბინაცია, მათი შემოქმედებითად, მოცემულ სიტუაციასთან შესატყვისად გამოყენების ხელოვნება. ამასთან დაკავშირებით მ. ფ. კვინტილიანე წერს: “განა არ იცით, რომ შესამსაწინააღმდეგო და სხვა წამლები, რომლებითაც ავადმყოფები ინკურნებიან, მზადდება, სხვადასხვ ნივთიერებებისაგან, რომლებიც ცალცალკე აღებულნი, საპირისპირო მოქმედებებს ახდენენ, ხოლო შერეულად, თუმცა ეს ნაერთი თავის არც ერთ ნაწილს არ გავს, თითოეულისაგან მისი სამკურნალო ძალა გამოდის?! განა არ ვხედავთ, უტყვი მწერები სხვადასხვა ყვავილთა წვენებისაგან როგორ ამზადებენ ადამიანისათვის ხელმიუწვდენელ სიტკბოებას (თაფლს – გ. ხ.) და, ნუთუ უნდა გვიკვირდეს, რომ სიტყვა, ეს ფასდაუდებელი ღვთის მიერ ბოძებული ნიჭი, მოითხოვს მრავალ მეცნიერებას, რომლებიც თუმცა კი სიტყვაში არ ჩანან, მაგრამ საოცარ ფარულ ძალას ანიჭებენ მას და თავს უჩინრად გვაგრძნობინებენ?!” ამ შედარებაში ხაზგასმულია მჭევრმეტყველებაზე, როგორც ფართო განათლებისა და მაღალი ერუდიციის შედეგზე.

მჭევრმეტყველების დამატყვევებელი ძალა ყველა სფეროში ღიაღია, მაგრამ, განსაკუთრებით, სასწავლმოქმედია მისი პედაგოგიური ძალა, შემეცნებითი და ესთეტიკური პოტენციალი. კომპეტენტური მასწავლებლის ხელში მეტყველება იქცევა შთაგონებისა და აღტაცების ჯადოსნურ ძალად, სწავლებისა და აღზრდის მოქნილ იარაღად. ამიტომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს, რომ მხოლოდ პროგრამით არ იფარგლებოდეს და მოცემულ მეცნიერებებს განვითარების კვალდაკვალ მიჰყვებოდეს, უკანასკნელ მიღწევათა ატაცებაში ვერავინ ასწრებდეს. სიახლეებს, ახალ ტერმინოლოგიებს მოსწავლე

პირველად თავის მასწავლებლისაგან უნდა ისმენდეს. გაკვეთილზე ტემპი, რიტმიკა, ფერთა გამა ნუსხავდეს, მის სულსა და სხეულს იპყრობდეს. ისე არაფერი ამდაბიურებს გაკვეთილს, როგორც მონოტონურობა და ერთფეროვნება. სწორედ ამაზეა პასუხისმგებელი პედაგოგიური ხელოვნება.

მასწავლებელი რომ გაგებულნი და მოწონებულნი იქნეს, ის მოსწავლეებთან ყოველი შეხვედრისთვის საგანგებოდ უნდა ემზადებოდეს. სათქმელი არ ელეოდეს, ლოგიკისა და ენის გაუმართაობა არ აფერხებდეს, სიტბოსა და სინათლეს არავის აკლებდეს, თავდაჭერილობა და გარეგნობა, დახვეწილობა, დროისა და სივრცის შეგრძნება არ ავიწყდებოდეს, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულ მოთხოვნებს პასუხობდეს.

პედაგოგიური მჭევრმეტყველების ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს მზადება გაკვეთილისათვის. ეს კი ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, გაკვეთილის თემის შინაარსის დრამად და ყოველმხრივ დამუშავებას მისი განვითარების უკანასკნელ სიტყვაზე: მთავარი აზრისა და იდეის გამოკვეთა, საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი პოტენციის განსაზღვრა; ეფექტური შესავლისა და დასკვნის, შესაბამისი ციტატების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების მომზადება; პედაგოგიური ტექნიკის ოპტიმალური ჩართვა. როგორცაა: ხმის სიმაღლე და ინტონაცია, აზრობრივი მახვილები და პაუზები, ძირითადი სიტყვის ან წინადადების გამეორება, შესაფერისი თვალსაჩინო მაგალითები, უესტიკულაცია და მოძრაობა, აუდიტორიის შეგრძნება, მსმენელისადმი პატივისცემა და კეთილმოსურნეობა და ა. შ.

რა ცოდნის მარაგსაც და ორატორულ ტექნიკას არ უნდა ფლობდეს მასწავლებელი, ეთიკურობისა და სულიერობის გარეშე, ინფორმაციების მატარებელ რობოტს დაემსგავსება. პედაგოგიურ ეთიკასა და სულიერობას ის ფუნქცია აქვს, რაც ცეცხლს კერძის მოსამზადებლად. ქცევისა და მოქმედების, პედაგოგიური ურთიერთობების ნორმებისა და წესების ცოდნა და მის შესაბამისად მოქმედება არის ის სწორი გზა, რომელიც მივიყვანს აღსაზრდელის გულთან. უგულოდ კი არაფერი ღირებული არ კეთდება. სიყვარული, პატიოსნება, სიმართლე და სამართლიანობა,



ობიექტურობა – საოცრად სიბლავთ ბავშვებს მაშინაც კი, როცა ეთიკურ ტერმინოლოგიებში ჯერ-ჯერობით ვერც ერკვევიან, შინაგანი ხმა კარნახობთ, რომ რაღაც სათნოებასთან, საამურთან აქვთ საქმე და ასეთ მასწავლებელთან კარგად გრძნობენ თავს. ბუნებრივად იხსენებინ და იჟღინთებინ ამ მასტიმულირებელი “ჰაერთ”. ეს კი ქმნის ნოციერ ნიადაგს აღზრდისათვის.

ბავშვებისადმი სიყვარულის გრძნობა მაშინ უჩნდება მასწავლებელს, როცა მოსწავლეში პიროვნებას, მოყვასს, თავისი ქვეყნის მოქალაქეს და მომავალს ხედავს, როცა ის თავის ბავშვობას ახსენებს და წარმოსახვით მასთან ატოლებს, რომ იცის და სჯერა ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების პროტენციური შესაძლებლობისა. პატიოსნება უბიძგებს მასწავლებელს, ყველაფერი გააკეთოს ამ ღვთის მიერ ჩადებული პროტენციური პიროვნული უნარების გამოვლინებისა და განვითარებისათვის, რომ ამ საპატიო და მნიშვნელოვან საქმეში თავის წილ პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას არ გაექცეს.

მასწავლებელი შეიძლება მოსიყვარულეც იყოს და პატიოსანი, მაგრამ თუ სიმართლეს თავს არიდებს, მის პატიოსნებას ძალა ეკარგება. სასურველი სიმართლე ძალისხმევას არ საჭიროებს, მაგრამ მწარე სიმართლე არავის არ სიამოვნებს. ამიტომ ურჩევნიათ პრობლემებს თავი აარიდონ. ზნეობრივი გამბედაობა და პრინციპულობა სიმართლეს ამარჯვებინებს. გამარჯვებულ სიმართლეს კი ვერაფერი შეედრება. ბიბლიაში ვკითხულობთ: “მართლის ენა რჩეული ვერცხლია . . . მართლის ბაგენი მრავალს მწყემსავენ, . . . მართლის პირი სიბრძნეს გამოსისხამს, უკუღმართი ენა კი მოიკვეთება” (იგავები 10:20, 21, 31). “სიმართლეში მტკიცე – სიცოცხლისკენაა, ბოროტების მდევნელი კი – სიკვდილისკენ” (იგავები 11:19).

სამართლიანობა უსამართლობის ჭიდილია კაცობრიობის მთელი ისტორია. უსამართლობა მშვიდობისა და ბედნიერების, ყოველგვარი ღირებულების მტერია. ამიტომ სურს ჩვენს შემოქმედს “წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ – უშრეტი მდინარესავით” (ამოსი 5:24). ვის არ დარისხებია უსამართლობის გრდემლი და არ უგემია სამართლიანობის

სიტკბო?! მაგრამ სულ სხვაა ის პედაგოგიკის სამფლობელოში. აბა, წარმოიდგინეთ უსამართლო მასწავლებელი და მის მოსწავლეები. უსამართლოდ იქცევა მასწავლებელი, როცა ის აგვიანებს ან აცდენს მეცადინეობას, საგულდაგულოდ არ ემზადება გაკვეთილისთვის, არ ზრუნავს მოსწავლის ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარებისათვის შესაბამისი პედაგოგიური პირობების შესაქმნელად; არ ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ აზრებს, ინტერესებს, მიკერძოებულია და არა ობიექტური.

სულიერობის გარეშე ეთიკური ნორმებისა და წესების მეხსიერებაში დამაგრება, გულში ჩაბეჭდვა და ცხოვრებაში გამოყენება ისევეა, როგორც წისქვილი უწყლოდ. ის მოქმედებაში მოჰყავს სულიერობას. ადამიანს მისივე მსგავსის მიერ შედგენილი კანონების უზენაესობად აღქმა უჭირს და მით უმეტეს მაშინ, თუ ის დამდგენთაგან ირღვევა. მაგრამ უზენაესიდან მოსული კანონების უზენაესობას, რომელიც ყოველ სულიერს თანასწორ მდგომარეობაში აყენებს, ყველა ცნობს და აღიარებს, თუმცა ყველა არ ასრულებს. ჭეშმარიტი სულიერობის გარეშე მასწავლებელსაც უჭირს პედაგოგიური ეთიკისადმი დამორჩილება. მით უმეტეს მაშინ, როცა ბევრს ერთმანეთში ეშლება ზნეობრიობა და სულიერობა. კომუნისტური სისტემის 70-წლიანმა რეჟიმმა პირველი იერიში რწმენაზე მიიტანა და სულიერობისგან დაცალა მთელი თაობები და მატერიალიზმს დაუქვემდებარა ცნობიერებაც და ყოფიერებაც. ამას მოჰყვა სულიერობის საშინელი დეფიციტი.

სულიერობა ღვთისგან მიიღება და ვინც ღმერთთან არ არის, ის ვერასოდეს მიიღებს მას. სულიერობა ნიშნავს ღვთისა და ღვთიურის სიყვარულს, ღვთისმოშიშობასა და ღვთისმოსაობას. ღვთისმოშიშობა არის ღვთის გრანდიოზული შემოქმედების, მისი ქმნილებებისა და სიტყვის – ბიბლიის ცოდნის საფუძველზე წარმოშობილი ჯანსაღი, ამაღლებული სიყვარულზე დაფუძნებული შიში იმისა, რომ ჩვენი უმადურობით არ გავანაწყენოთ ყოვლისშემოქმედი. ხოლო ღვთისმოსაობა – ვესაუბრეთ ღმერთს, ვავედრეთ ღვთისადმი ნდობას, რწმენასა და იმედს, ვსწავლობდეთ და ვიცავდეთ მის მცნებებს.

ყველაფერი შეიცნობა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, სულიერობა კი არის უხილავის დანახვა გულისა და გონების თვალთ დვთის სიტყვისა და მისი ხილული ქმნილებების საფუძველზე.

პედაგოგიური ხელოვნება გულისხმობს აგრეთვე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში თამაშისა და ესთეტიკის ელემენტების შეტანის, პედაგოგიური პროცესის სილამაზისა და მშვენიერების კანონთა საფუძველზე აწყობისა და გამართვის უნარ-ჩვევებს მოსწავლეებში დადებითი გრძნობებისა და ემოციების გამოსაწვევად.

პედაგოგიური განათლება, მჭევრმეტყველება, ზნეობა და სულიერობა, ესთეტიკური გრძნობები და ემოციები, ათავისუფლებს მასწავლებელს ქვენა აზრებისაგან, ყველანაირ ცდუნებებისაგან, ხვეწავს, აკეთილშობილებს და აყალიბებს როგორც ნამდვილ მასწავლებელს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენს ქვეყანაში არის ამის ინტელექტუალური რესურსები, ოღონდ მთავარია იყოს სახელმწიფოს პოლიტიკური ნება და ეკონომიური საფუძველი.

## თემა XX. ეროვნული განათლების სისტემა საქართველოში

საკითხები:

1. განათლების სისტემის ცნება;
2. განათლების სისტემის სტრუქტურა, რგოლები და საფეხურები;
3. განათლების სისტემის აგების პრინციპები და მართვის ორგანოები;
4. სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა;
5. პედაგოგიური საბჭო.

განათლების სისტემა ეწოდება ყველა ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა ერთობლიობას, რომელიც შედგება სხვადასხვა რგოლებისა და საფეხურებისაგან. მთელი ეროვნული მეურნეობა ორ დიდ ნაწილად იყოფა: მწარმოებლური და არამწარმოებლური. მწარმოებლურია, რომელიც მატერიალურ დოვლათს ქმნის. ხოლო არამწარმოებლურია ის სფერო, რომელიც ეროვნულ კადრებს ამზადებს ორივე – მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სფეროთათვის. ეს განათლების სისტემაა. ეროვნული მეურნეობის განვითარება ძირითადად ეროვნულ კადრების აკადემიურ ხარისხსა და რაოდენობაზეა დამოკიდებული. ეროვნული განათლების შინაარსი და მიმართულება კი საზოგადოებრივი მოთხოვნებით არის განპირობებული.

ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის ნაწილია განათლება. მეცნიერულად დასტურდება, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ/ად II ათასწლეულში ქართველებს ჰქონიათ სამედიცინო, აგრონომიული და საინჟინრო განათლების ჩანასახები. “სამარხებში აღმოჩენილი ქირურგიული ინსტრუმენტები,

ტრეპანირებული თავის ქალები, კარგად შეხორცებული მოტეხილობანი, რომელსაც გამოცდილი დასტაქარის ხელი თელავის ფილოსოფიური სემინარიები, სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები, შემდეგში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები, გიმნაზიები და უკვე XX საუკუნის დასაწყისში დიდი სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღეს კი უმაღლესი, საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ქსელით დაფარულია მთელი საქართველო, თუმცა დროებითი დაბრკოლებების მსახვრალი ხელი მოხვდა, მაგრამ სულ მალე, სულ მალე, ისევე ჩადგება მწყობრში.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაც მოწმობს ის მატერიალური და სულიერი ფასეულობები ხელოვნებაში, ხუროთმოძღვრებასა და ჭედურობაში, მეცნიერებაში, მედიცინაში და ა. შ. მიუხედავად ათასი ჯურის დამყრობელთა გაუთავებელი შემოსევებისა, მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკისა, ქართველი ხალხი სულიერობას, ეროვნულ თვითმყოფადობას ყოველთვის ინარჩუნებდა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კულტურულ მიღწევებს იცნობდა, საერთაშორისო კულტურულ წრებრუნვაში მონაწილეობდა. ევროპეიზაციის პროცესი უძველეს ქართულ ნაკვალევში აღბეჭდილა. დაწყებითი, საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სკოლები შინ და გარეთ, სასულიერო და საერო განათლება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და აკადემიები საქართველოში უცხო არასოდეს არ ყოფილა.

ეროვნული განათლება დღეს ცოტა წაბორძიკებული კი არის, მაგრამ, როგორც იტყვიან, გემი ისე არ დაინგრევა, ნავი რომ არ გამოვიდეს.

განათლების სისტემის დანიშნულებაა უზრუნველყოს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების გადაცემა თაობიდან თაობაზე მისი სოციალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების მიზნით. საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო განვითარებული საგანმანათლებლო

სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა რგოლებსა და საფეხურებს: სკოლამდელი – ბაგა-ბაღები, ზოგადი საშუალო განათლება, საშუალო სპეციალური და უმაღლესი პროფესიული განათლება, ასპირანტურა, დოქტორანტურა და ა. შ.

სკოლამდელი აღმზრდელობითი დაწესებულებებია საბავშვო ბაგა-ბაღები 1 – 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელებისთვის. მათი დანიშნულებაა ოჯახისა და სკოლის დახმარება. მშობლები, განსაკუთრებით დედები საზოგადოებას არ მოწყდნენ და შრომის უფლებით ისარგებლონ და მეორე მხრივ, ბავშვების ორგანიზებულ, მიზანმიმართული აღზრდა, სკოლისათვის მომზადება. გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური სრულყოფისათვის საფუძვლების ჩაყრა.

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა წარმოადგენს განათლების სისტემის საყოველთაო საგაღდებულო, მთავარ საბაზისო რგოლს განათლების შემდგომი საფეხურებისათვის. მისი დანიშნულებაა ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, მეცნიერებათა საფუძვლებს დაუფლებული, სულიერად მდიდარი, ეთიკურ ნორმებსა და წესებს დაუფლებული, ესთეტიკურ კულტურაში გათვითცნობიერებული, ფიზიკურად ჯანმრთელი, შრომისმოყვარე და მშვიდობისმყოფელი, გონიერი ახალი თაობის მომზადება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განათლების შინაარსი მოიცავს სამყაროს შემადგენილი ნაწილების: ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შემსწავლელ დარგებს: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული და სახელოვნებო ციკლის საწავლო საგნებს. საბუნებისმეტყველო ციკლის საგნებია: ბიოლოგია თვისი დარგებით, ქიმია, გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ასტრონომია. ამ ციკლის საგანთა სწავლების დანიშნულებაა მოსწავლეთა მიერ ბუნების განვითარების ობიექტური კანონზომიერებების ათვისება. საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული: მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიური გეოგრაფია, სამართალი, უცხო ენები, რელიგია და კულტურა, ეთიკა, ფიზკულტურა ემსახურება საზოგადოებისა და ადამიანის განვითარებასთან

დაკავშირებული ობიექტური კანონებისა და კანონზომიერების შესწავლას. ხოლო რაც შეეხება ხელოვნების დარგებს: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, ხატვა, არქიტექტურა, კინო, თეატრი და სხვათა სწავლების მიზანია მხატვრული აზროვნების, შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური კულტურის განვითარება და სპეციფიკური ნიჭის გამოვლინება მოსწავლეებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პარალელურად

მოქმედებს სპეციალური სკოლები ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთათვის, ასევე სკოლისგარეშე – ხელოვნების, მუსიკის, დრამის სპორტის და სხვა სფეროების დაწესებულებები, გიმნაზია, კოლეჯი, ლიცეუმი.

პირველი გიმნაზია დაარსებულა სტრასბურგში 1538 წელს, ჩვენთან კი 1830 წელს. გიმნაზია კლასიკური და რეალური. კლასიკურის პროფილი კლასიკური ენებია, ხოლო რეალურის – ჩვეულებრივი საერო განათლება;

კოლეჯი სამი სახისაა: საშუალო, საშუალო სპეციალური, რომელსაც საბჭოთა სისტემაში ტექნიკუმებს უწოდებდნენ და უმაღლესი განათლების კოლეჯი (ინგლისში).

ლიცეუმი, ბერძნულად “ლიკეია”, რომელიც არისტოტელეს სახელს მიეწერება, დღეს გავრცელებული საშუალო სპეციალური სკოლაა. იგი განსხვავებული მიმართულებებისაა. მაგალითად: სამუსიკო, სამხატვრო, მათემატიკური, სპორტული და ა. შ. მისი დანიშნულებაა საშუალო პროფესიული განათლების მიცემა.

განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია უმაღლესი განათლების სასწავლებლები: ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია, რომელთა მიზანია უმაღლესი კვალიფიკაციის ეროვნული კადრების მომზადება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროსათვის.

უნივერსიტეტი ტერმინი ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს გაერთიანებულს, ერთობლიობას. ხოლო ზოგადი გაგებით ნიშნავს მრავალდარგოვან უმაღლეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დარგებს, ფაკულტეტების ან დარგობრივი ინსტიტუტების ერთობლიობას. მაგალითად: პედაგოგიური, სამედიცინო,

ეკონომიური, იურიდიული და სხვა. თანამედროვე საუნივერსიტეტო სისტემა სამ საფეხურია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა და უფლებამოსილია კურსდამთავრებულებს მიანიჭოს შესაბამისად ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხი.

უმაღლესი განათლების სისტემაში შედის ასევე ინსტიტუტი და აკადემია. უნივერსიტეტისგან განსხვავებით ეს დაწესებულებები ერთდარგობრივია და შინაარსის მიხედვით ორი სახისაა: სასწავლო – სამეცნიერო და სამეცნიერო – კვლევითი.

აკადემია უმაღლესი სასწავლო – სამეცნიერო და სამეცნიერო – კვლევითი სასწავლებელია. აკადემია პირველად პლატონმა უწოდა ბაღს, სადაც ის ლექციებს კითხულობდა. საბერძნეთის სახალხო გმირის – აკადემოსის საპატივცემლოდ. თავდაპირველად აკადემიას ფილოსოფიური და რიტორიკული განათლების მისაღებ სასწავლებელს უწოდებდნენ, შემდეგში გაფართოვდა მისი არეალი და დარგობრივი ხასიათი მიიღო. მაგალითად: ფაზისის რიტორიკული აკადემია, სამხატვრო აკადემია, მეცნიერებათა აკადემია – სადაც გაერთიანებულია სახვადასხვა მეცნიერებები ან ცალკეული დარგის მეცნიერება, როგორცაა: პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემია, ჰუმანიტერულ მეცნიერებათა აკადემია და ა. შ. აკადემიის სპეციფიკურობა გარდა იმისა, რომ აქ ძირითად ბირთვს აკადემიკოსები შეადგენენ, იგი ინფრასტრუქტურულობასა და რეტროსპექტულობაში მდგომარეობს. დროის ყველა განზომილებას მოიცავს ისტორიული მემკვიდრეობითობის პრონციპის საფუძველზე. სადაც აკადემიებსა და კათედრის, დოცენტის, ასპირანტის ცნებებს აუქმებენ და ხურავენ, იქ განათლების სისტემის დაკნინებაა მიზანში. უფრო მეტიც, განვითარების მემკვიდრეობითობის, თანდათანობის, თანმიმდევრობის, ეტაპობრივობის ობიექტური კანონებისა და პრინციპების უგულვებელყოფას აქვს ადგილი.

განათლების სისტემის სიმაღლე და სიღიადე, დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი მის მრავალმხრივობასა და მრავალფეროვნებაში,



არჩევანის თავისუფლებაშია. დღის, ღამის, დასწრებულ და დაუსწრებელი, ექსტერნული ფორმები სწავლებისა, თანასწორ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის ყველა ფენას და აძლევს საშუალებას ნებისმიერი ფორმით მიიღოს განათლება სასურველი მიმართულებით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ურთიერთდაპირისპირება და სიძულვილი, კაცთმოძულე მალთუხისა და დაღესის ანტიხალხური, ვერაგული გეგმის განხორციელების შანსი, რომელიც ითვალისწინებს ფარული ხელოვნური უბედურებებით, ომების პროვოცირებით, ეთნიკური დაპირისპირებებით, სამეცნიერო ინტელიგენციის, პროფესიონალების დაკნინებით, კატასტროფებით, ეპიდემიებით, სამუშაო ადგილების შემცირებით, სიღატაკით, მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას დედამიწაზე.

სამყაროში ყველაფერი წესრიგსა და ჰარმონიას ემყარება. ყოველივეს აქვს თავისი არსებობის, მოძრაობისა და განვითარების ღვთისმიერი ობიექტური კანონები, კანონზომიერებები და პრინციპები. არც განათლების სისტემა წარმოადგენს გამონაკლისს. ცნობილია განათლების მიზნისა და შინაარსის საზოგადოებრივი მოთხოვნებით განპირობებულობის კანონი, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრება, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური წყობა, ყოველთვის არ ემორჩილება ობიექტურ კანონებს და “ამა ქვეყნისა ძლიერთა”, მყვლეფავთა სუბიექტური მოსაზრებები იკავებენ ობიექტური კანონებისა და ნორმების ადგილს. ასეთ გაუკუღმართებულ ვითარებაში განათლება გამოდის ბოროტების იარაღად. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა განათლების სისტემის აგება არა სუბიექტურ მოსაზრებებზე, არამედ ჭეშმარიტ, ობიექტურ, თეოკრატიულ საფუძვლებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობისათვის მივმართოთ ყოვლის შემოქმედს, უზენაეს ღმერთს, რადგან მასზე უკეთ არავინ იცის თუ რა სჭირდება მისსავე ქმნილებებს. კომუნისტები შეეცადნენ მოპარული ღვთიური პრინციპების გამოყენებას ათეისტური მიზნებისათვის, მაგრამ ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ადამიანს არანაირი ღირებულის შექმნა არ

ძალუძს ღვთის ძალის – სულიწმინდის გარეშე და კომუნისტ “ღმერთებმა” კრახი განიცადეს. ამიტომ გვაფრთხილებს ბიბლია, რომ ადამიანის ნაბიჯები მის ნებაზე არ არის დამოკიდებული: “. . . ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა, მიმავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს” (იერემია 10:23). მოსიყვარულე ღმერთი, რომელმაც თვისი ძე შესწირა კაცობრიობას გადასარჩენად, ის ბოროტებით არ ცდის არავის, არამედ ყველას აძლევს ბედნიერებისა და მშვიდობიანი ცხოვრების შანსს. “განაცდელის დროს ნურავინ იტყვის, ღმერთი მცდისო, რადგან შეუძლებელია ღვთის გამოცდა ბოროტებით და თავადაც არავის ცდის. თითოეულს ცდის საკუთარი სურვილი, რომელიც აიყოლიებს და აცდუნებს მას”. ამიტომ “ნუ მოტყუვდებით, ყოველი კარგი ძღვენი და ყოველი სრულყოფილი საბოძვარი ზემოდანაა, ციურ მნათობთა მამისგან მოდის” (იაკობი 1:13,14, 16,17). ბოროტება ბოროტი ქვეყნიერებისგან მოდის, რომელსაც ბოროტი ძალა – სატანა მართავს, რომელსაც ქრისტემ ამ წუთისოფლის ღმერთი უწოდა. “ყველაფერი, რაც ქვეყნიერებაშია – ხორცის სურვილი, თვალთა სურვილი და ქონებით ტრაბახი – მამისგან კი არა ქვეყნიერებისგანა” (I იოანე 2:16), “შემცოდველი ეშმაკისგან არის, რადგან ეშმაკი დასაბამიდან ცოდავს” (იქვე, 3:8). ეს და სხვა მრავალი მსგავსი გაფრთხილებები გვაძლევს საფუძველს, ჩვენს შემოქმედს მივმართოთ ხელმძღვანელობისათვის, რომ მუდამ სწორი გზით ვიაროთ და სატანის მახეში არ გავებათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების სისტემის აგებასა და მართვას საფუძველად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

1. განათლების მიღების საყოველთაობა და არჩევანის თავისუფლება;
2. პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების პირობების უზრუნველყოფა;
3. საერო და თეოკრატიული განათლების თანაარსებობა;
4. უფასო, სახელმწიფოს ხარჯზე და კერძო ფასიანი განათლების თანაარსებობა;
5. სასწავლო გეგმების, საგნობრივი პროგრამებისა და ს

სახელმძღვანელოების ერთიანობა;

6. საერთო იდეალის – ქრისტეს მიყოლა;

7. მასწავლებლის, როგორც განმანათლებლისა და აღმზრდელის როლის აღიარება და პატივისცემა;

8. სწავლება ეროვნულ სახელმწიფო ენაზე;

9. თეორიისა და პრაქტიკის ადეკვატურობა;

10. ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ კულტურულ მონაპოვარსა და იდალებზე ორიენტირება.

შემეცნების შეუზღუდავი უნარბოძებული ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად აღზრდა განათლების სისიტემის უმთავრესი დანიშნულებაა. არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე არ უნდა რჩებოდეს. ამაზე მიგვანიშნებს განვითარების ის პოტენციური შესაძლებლობა, რომელიც ყველასათვის მიუკერძოებლად აქვს ღმერთს ბოძებული სრულყოფის პერსპექტივით. ოჯახი, სახელმწიფო, საზოგადოება განათლების საყოველთაობის პრინციპის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს თითოეული ბავშვის აღზრდასთან მიმართებაში. რადგან “ეს კარგი და მოსაწონია ჩვენი მხსნელისთვის, ღვთისთვის, რომლის ნებაა ყველანაირი ადამიანი გადარჩეს და ჭეშმარიტების

საფუძვლიანი ცოდნა მიიღოს” (I ტიმოთე 2:3,4).

რაც შეეხება არჩევანის თავისუფლებას, ამას საფუძვლად უდევს ნიჭთა სხვადასხვაობა. ბიბლიაში წერია: “ხოლო ყველა ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ. მოგვცა ზოგი – მოციქულად, ზოგი – წინასწარმეტყველად, ზოგი – მახარობლად, ზოგი – მწყემსად და მასწავლებლად . . . “ (ეფესელები 4:7,11).

აღსაზრდელის ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის პრინციპის ანალოგი იკითხება II ტიმოთე 3: 17 მუხლში: “. . . რათა ღვთის კაცი ყველაფერში ჩახედული და ყოველმხრივ მომზადებული იყოს ნებისმიერი კარგი საქმისთვის”. ღვთის სიტყვით იყო აღძრული პედაგოგიკის კლასიკოსი იან ამოს კომენსკი, როცა პანპედიისა და პანსოფიის შესახებ წერდა.

იგი მოითხოვდა ყველასგან ყველაფერზე ყველაფრის ცოდნას, პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიულ აღზრდას.

საერო განათლება მოწოდებულია უზრუნველყოს პიროვნების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, აღჭურვოს იგი პოლიტექნიკური, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული განათლებით, პროფესიული კვალიფიკაციით სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. ადამიანი მარტო მუშა ძალა არ არის, დოვლათის შემქმნელი. იგი, უპირველეს ყოვლისა, სულიერობით გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია ჩაწვდეს და გაიგოს რა არის “სიგანე, სიგრძე, სიმაღლე, და სიღრმე და შეიცნოს ქრიეტეს სიყვარული, რაც ყოვლგვარ ცოდნას აღემატება” (ეფესოელები 3:18,19). სულიერობა კი მხოლოდ ღვთისგან მიიღება. თეოკრატიული განათლებაა ის ერთადერთი გზა და მისი წყარო – ბიბლია, რის საშუალებითაც სულიერობას შევიძენთ. თეოკრატიული განათლების შინაარსი გულისხმობს ზუსტ შემეცნებას ღვთისა და მისი ძის – იესო ქრისტეს და მათი უნიკალური შემოქმედების, ასევე იმ გრანდიოზული მომავლის შესახებ, რასაც თავის მორჩილ კაცობრიობას პირდება უტყუარი ღმერთი.

რაც ბოროტი ადამიანებისგან ზარალი მოსდის ქვეყანას, იმისი ნახევარი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ყველას მიეღო რიგიანი სათანადო განათლება და აღზრდა და ბოროტებაც აღარ იქნებოდა ქვეყანაზე. სხვადასხვა მიზეზთა შორის, რის გამოც ბევრი ვერ იღებს განათლებას ერთერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სიღარიბე. ეს მიზეზიც რომ არ იყოს ქვეყანაში, თავისი ბედნიერი მომავლის ხათრით, განათლება უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო და ხელმისაწვდომი.

ქვეყნის ერთიანობა, ეროვნული სოლიდარობა და მონოლითურობა სახელმწიფოს ძლიერებისა და უსაფრთხოების კანონზომიერებაა. როცა ერი პარტიებად, კავშირებად, ჯგუფებად, სექტებად არის დაქუცმაცებული და ყველა ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას და მით უმეტეს მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის იბრძვის, არც თვითონ იქნება კარგად და

მის გამო არც – სხვა. ერთიანობასთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ: “ გქონდეთ ერთი აზრი, ერთნაირი სიყვარული, იყავით ერთსულოვანნი და ერთი აზრისანი, ნურაფერს გააკეთებთ მეტოქეობითა და პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით ჩათვალეთ სხვები საკუთარ თავზე აღმატებულად და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ნუ იზრუნებთ, არამედ სხვების კეთილდღეობაზეც. ისეთივე აზროვნება გქონდეთ, როგორც ქრისტე იესოს ჰქონდა” (ფილიპელები 2:1-5). თვითონ ქრისტე ღმერთს ევედრებოდა: “ მე მხოლოდ ამათზე არ გვევდრები, არამედ იმათზეც, ვინც მათი სიტყვით მიღწეულნი, რათა ყველანი ერთნი იყვნენ, როგორც შენ მამა, ჩემთან ხარ ერთობაში, მე კი – შენთან. რათა ისინიც ერთობაში იყვნენ ჩვენთან და ქვეყნიერებამ ირწმუნოს, რომ შენ გამოგზავნე” (იოანე 17:20,21). ერთიანი ეროვნული განათლება არის ეროვნული, საზოგადოებრივი ერთიანობის საძირკველი და არაფერი ხეირი არ მოაქვს, გარდა ქაოსისა, განსხვავებულ, მოხალისეთა მიერ კომერციული თვალსაზრისით შექმნილ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სილაბუსებს, სახელმძღვანელოებს და ა. შ. ერს, საზოგადოებას რა უფრო აერთიანებს და კრავს, ერთი იდეის, ერთი პრინციპის ირგვლივ გაერთიანება თუ თავთავიანთი ამბიციების გადაყოლა?!

ერთია ღმერთი და ერთია კაცსა და ღმერთს შორის შუამავალი – იესო ქრისტე, რომელმაც თავი გასწირა კაცობრიობის გადასარჩენად. “სხვა არავისში არ არის ხსნა, რადგან არ არსებობს ცის ქვეშ აღამიანებისათვის მოცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით” (საქმეები 4:12). ამიტომ მოვალენი ვართ დავაფასოთ მისი ჩვენთვის მსხვერპლად გაღებული სისხლი და მივყვეთ მის სწავლებებს, როგორც ეს ღმერთმა მოგვიწოდა: “ ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე მოვიწონე, უსმინეთ მას” (მათე 17:5).

განუზომელია მასწავლებელის პიროვნული და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა. მასწავლებელს ცნობდნენ და აღიარებდნენ ყველა დროისა და საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და სათანადო პატივს

მიაგებდნენ მორალურად, სოციალურად, მატერიალურად. ყველა გამოჩენილი ადამიანი თავის მიღწევას მასწავლებლის დამსახურებად თვლიდა. მასწავლებლის განსაზღვრულად არანაირ ეპითეტებს არ იშურებდნენ: მზე, ლამპარი, ჩირადდანი, მოძღვარი, სულის ინჟინერი, პიროვნების მოქანდაკე, წინამძღოლი, მეგზური, და ა. შ. არ არის მასწავლებელი, არ არის აღზრდა! აღზრდაში გრძნობებსა და ემოციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებლის შეცვლა არანაირ საინფორმაციო ტექნიკურ საშუალებას არ ძალუძს ქვეყანაზე, მაგრამ მასწავლებელს ძალუძს ყველანაირი საშუალება ჩააყენოს აღსაზრდელის გასრულყოფილების სამსახურში. მასწავლებელი რომ გრძნობიერად და ემოციურად მოეკიდოს თავის პროფესიულ საქმიანობას, ამისთვის მას სჭირდება დადებითი მუხტები, მისი შრომის დაფასება, ღირსეული ანაზღაურების მიღება, სათანადო პატივმიგება, ადეკვატური დამოკიდებულება.

ენის სასწაულმოქმედებებზე უკვე ვისაუბრეთ თავის ადგილას. აქ იმას აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბავშვს ისე ადვილად არაფერი უხსნის გონებას, ცნობიერებას, როგორც მშობლიური ენა. მშობლიური ენა ზის ადამიანის სულში, სისხლში, ხორცში. უცხო ენის ცოდნა სასარგებლოა და აუცილებელი, მაგრამ შეუძლებელია ადამიანი მთლიანად დაეუფლოს მის ყველა ნიუანსებს, შეფერილობას, ემოციებსა და ქარიზმებს, ტროპებსა და ფიგურებს. აზრის მხატვრული გამოსახვის სხვადასხვა ხერხებს, რაც ინტელექტუალურ, შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებს პიროვნებას. მშობლიური ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია

იმ სულიერ-კულტურული მონაპოვრის, საუკუნეების წინ რომ დაიწერა, წაკითხვა და გაგება. საკუთარი ისტორიის, ლიტერატურის, ერის და საერთოდ, ეროვნული კულტურის, საამაყო წინაპრების შესახებ მხოლოდ მშობლიურ წერილობითი წყაროებიდან ვიგებთ. ამ საგანძურის ათვისება მშობლიურ ენის გარეშე ხომ წარმოუდგენელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა თავის ისტორიას მისწრაფებებს, ზრახვებს, იდეებს თავის ენაზე აფიქსირებს, რაღაც გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ

მხედველობაში. “ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით: რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს. . . წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას” ( გ. ორბელიან, “პასუხი შვილთა”). ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა, ილია ჭავჭავაძის აზრით, დედა-ენის გარეშე შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით ერის მოძღვარი წერს: “უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა. . . დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს” (ი. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ., ტ. 4, 1987, გვ. 255). პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა დედა ენაზე სწავლებას. რადგან მისი აზრით “ჩვენი სკოლის განსაკუთრებული დანიშნულება საჭიროდ ხდის საგნების დედა-ენაზედ სწავლებას . . . ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომფენი ცოდნა. ამ განზრახვის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედა-ენაზედ იქნება” (ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 151).

განათლების დანიშნულებაა ახალი თაობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სასწავლებელში მიღებული ცოდნა წარმოადგენდეს პრაქტიკული მოქმედების თეორიულ საფუძველს, რეალური სინამდვილის ანარეკლს. ამის უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს სასწავლო გეგმებში, სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ასახული განათლების შინაარსი და სწავლების პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეთოდი. სწავლების მწარმოებელურ შრომასთან შეერთების, პოლიტექნიზმის პრინციპი. განათლება ორიენტირებული უნდა იყოს გონებაგამჭრიახ, სულიერად მოწიფულ და ხელმარჯვე ახალი თაობის მომზადებისაკენ.

ეროვნული განათლება არამც და არამც არ ზღუდავს

საერთაშორისო კულტურულ მიღწევებზე ორიენტირებას. პირიქით, კაცობრიობა ადამის მოდგმათა ერთობლიობაა. წარღვნას გადარჩენილი ჩვენი დიდი წინაპრის ღვთის მორჩილი ნოეს სამი ვაჟის – ქამი, სემი და იაფეთისგან მოვდივართ და ბიძაშვილებს კანონით გასაყოფი ურთიერთსიყვარულისა და დაახლოების, ჩვენი საერთო საცხოვრისის – შესანიშნავი დედამიწის მოვლისა და დაცვის გარდა არაფერი არ უნდა გვექონდეს.

განათლების სისტემა ისეთი რთული, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ორგანიზმია, რომელიც საჭიროებს გონივრულ, წინასწარ მოფიქრებულ და განსაზღვრულ კოორდინირებას და მართვას, რომელიც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, განათლების მართვის სპეციალურმა ფორმალურ და არაფორმალურმა ორგანოებმა. საკანონმდებლო ანუ პარლამენტის განათლების კომიტეტი, განათლების სამინისტრო და მისი ქვეორგანოები ვერტიკალური რეჟიმით პასუხისმგებელი არიან სახალხო განათლების სისტემის აგების, მისი კოორდინაციისა და ფუნქციონირების, ასევე მისი მეცნიერული უზრუნველყოფა მეცნიერთა, სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტების, მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო ცენტრებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართვის გზით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, როგორც განათლების სისტემის ძირითადი რგოლის მუშაობის მეცნიერული ორგანიზაცია მოითხოვს კომპლექტურ მართვასა და ხელმძღვანელობას. მართვაში იგულისხმება ორგანიზებული, გეგმაზომიერი და სისტემატური ზემოქმედება განსაზღვრულ ობიექტზე მისი მოწესრიგების, რენტაბელურობის, სრულყოფისა და განვითარებისათვის. ეს კი ყველაზე მეტად ესაჭიროება განათლების სისტემას. ხელმძღვანელობის ცნების სპეციფიკურობაში კი მოიაზრებენ მთელი განათლების სისტემის ერთად და ცალცალკე მისი რგოლების გენერალური ხაზის, ერთიანი მიმართულების მიხედვით სწორად წარმართვას.

სკოლის ეფექტურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი



არიან უშუალოდ მისი ხელმძღვანელები და პედაგოგიური შემადგენლობა. სკოლის დირექტორის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზატორების, სამეურნეო დარგის კოორდინატორის ფუნქციებში შედის მოსწავლეთა კონტიგენტის შევსება, პედაგოგიური კადრების დაკომპლექტება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, კლასკაბინეტებისა და ლაბორატორიების თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით აღჭურვა, სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმების შედგენასა და შესრულებაზე კონტროლი, ორგანიზაციული და მეთოდური დახმარება, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი მუშაობის კოორდინაცია. პედაგოგიური კოლექტივის წარმატებული მუშაობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. პედაგოგიური კოლექტივი წარმოადგენს სკოლის გულს, ტვინსა და სულს, რომელთა უშუალო მონაწილეობით უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლება, მათი ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარება, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება, განათლების სისტემის შემდგომ საფეხურებზე სწავლის გასაგრძელებლად, ოჯახის შესაქმნელად და შრომისათვის მომზადება.

სკოლის დირექტორი პერსონალური პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე მოსწავლეებთან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე, მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ განვითარებაზე, მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების ხარისხსა და მოსწავლეთა გონებრივ განვითარებაზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე, სკოლის ფინანსურ და სამეურნეო მდგომარეობაზე, შრომის გონივრულ განაწილებაზე.

სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა ეფუძნება მართვისა და ხელმძღვანელობის შემდეგ კანონზომიერებებს: დემოკრატიული ცენტრალიზმი, პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა, კოლექტივობა და კოლექტიურობა, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა.

პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სკოლის უმაღლეს

ორგანოს, რომელიც ემსახურება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონის ამაღლებას, პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვას. ასევე მის კომპეტენციაში შედის სამუშაო გეგმების განხილვა, მონიტორინგი, ანგარიშგება სკოლის და მისი ცალკეული განყოფილებების, მასწავლებლების, კლასის დამრიგებელ-კურატორებისა, მეთოდური კომისიებისა და ცალკეული თანამშრომლების მუშაობის, წარმატებისა და წარუმატებლობის, საკორექციო საქმიანობის შესახებ.

ამრიგად, ეროვნული განათლება არის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი ნაწილი, რომელიც განაპირობებს ამავე საზოგადოების განვითარებას, ეროვნული კადრების, განათლებული ღირსეული თაობის მომზადებასა და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თემა I. პედაგოგიკა როგორც საზოგადოებრივი მეცნიერება .....	5
თემა II. მასწავლებლის პროფესია.....	25
თემა III. პიროვნების ფორმირება.....	40
თემა IV. პედაგოგიური პროცესი და მისი სისტემები .....	61
თემა V. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციული ფორმები .....	73
თემა VI. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დამხმარე ორგანიზაციული ფორმები.....	89
თემა VII. პედაგოგიური კანონები და პრინციპები .....	99
თემა VIII. გონებრივი აღზრდა .....	114
თემა IX. მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება .....	132
თემა X. ზნეობრივი აღზრდა .....	140
თემა XI. შრომითი აღზრდა .....	154
თემა XII. ეკოლოგიური აღზრდა .....	166
თემა XIII. სულიერი აღზრდა .....	183
თემა XIV. ესთეტიკური აღზრდა .....	199
თემა XV. ფიზიკური აღზრდა .....	212
თემა XVI. ძნელად აღსაზრდელები .....	226
თემა XVII. ოჯახური აღზრდა .....	243
თემა XVIII. პედაგოგიური მეთოდები .....	256
თემა XIX. პედაგოგიური ხელოვნება .....	273
თემა XX. ეროვნული განათლების სისტემა საქართველოში .....	284

წიგნის ავტორი და რედაქტორი  
ქ.ბ. გულნაზ ხუსუა

აიწყო და დაგაბადონდა  
ი/ს. „ვექტორში“

დაისტამბა  
ი/ს „ნატალი“- ში

თბილისი 2009 წ.